ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 55.668/3

ალექსეი
ნიკოლაევიჩ
ტოლსტოი

ყიფჭიაძე

თბილისი
1954

ეროვნული ბიბლიოთეკა
61
У 9

პროფ. ნ. ა. ყიფშიძე
სსსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

К 55.668
3
44034.

ჭოლჭოლი
და ამისი
ხეოჭა

საქმედგამი
თბილისი
1954

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შესავალი

„უკვე ორი კვირაა, რაც ბორჯომში ვარ. უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, რაც კი ოდესმე მინახავს... ჩემის აზრით, მსოფლიოში ეს ერთ-ერთი ყველაზე ღვთაებრივი და საუცხოო ადგილია.“

(პ. ი. ჩაიკოვსკის წერილიდან).

საბჭოთა საქართველო კურორტების ქვეყანაა. მის შედარებით მცირე ტერიტორიაზე აღრიცხულია და ნაწილობრივ შესწავლილი ათასზე მეტი უაღრესად მრავალნაირი მინერალური წყარო. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე საფრანგეთსა და გერმანიაში არსებული წყაროების რიცხვი, სადაც 600 მინერალური წყარო ითვლება; ხოლო ამავე დროს, ცნობილია, რომ ორივე ეს ქვეყანა წყაროების რაოდენობის მხრივ დასავლეთ ევროპის უმდიდრეს ქვეყნებად ითვლებიან.

ამჟამად საბჭოთა კავშირში 3.500 სამკურნალო წყარო არსებობს; ამრიგად, ჩვენი ქვეყნის ამ შესანიშნავ ბუნებრივ სიმდიდრეთა თითქმის ერთი მესამედი საქართველოზე მოდის.

საქართველოში ჩვენ ვხვდებით არსებული ბალნეოლოგიური კლასიფიკაციის თითქმის ყველა ტიპის წყაროს და დაახლოებით ორასამდე სამთო და ზღვისპირა კლიმატურ სადგურს.

საქართველოს მინერალურ წყაროებს შორის არის ისეთი წყაროებიც, რომელთა მსგავსი მთელ მსოფლიოში არსად მოიპოვება. წყალტუბოს წყაროების „ანალოგები არ არსებობს არც ჩვენში, არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთ და უდიდეს იშვიათობას წარმოადგენს“ (პროფ. ს. ა. შჩუკარევი). ლუგელა-მუხურის ქლოროვან-კალციუმიან წყალსაც თავისი შემადგენლობით მსგავსი არ მოეპოვება; სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს აზრით, იგი ერთადერთია მთელ მსოფლიოში. ამ ბოლო დროს, 1951 წლის ივნისში, რაიონული ცენტრის—ზუგდიდის მახლობლად—ცაიშში, 718 მეტრის სიღრმიდან ამოხეთქა მეტად იშვიათი ტემპერატურის (82°) ცხელი წყლის შადრევანმა, რომლის დებიტიც დღე-ღამეში ნახევარ მილიონ ლიტრს შეადგენს. ამ წყაროს წყალი შეიცავს აირებს, ყველაზე მეტად—აზოტს; დაწყებულია მისი ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობის შესწავლა, ხოლო შემდგომ ჩატარებული იქნება დაკვირვებები ამ წყაროს გავლენის შესახებ ადამიანის ორგანიზმზე.

საქართველოს ცხელი და თბილი წყაროების საერთო დებიტი დღე-ღამეში უდრის რამდენიმე ათეულ მილიონ ლიტრს.

მინერალური წყაროების მხრივ რესპუბლიკის სიმდიდრის შესახებ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ მხოლოდ ერთ მცირე რაიონში, ზემო სვანეთში მოიპოვება სხვადასხვა შემადგენლობის 120 წყარო, რომლებიც, უმთავრესად, სასმელად არის ვარგისი. ყაზბეგის რაიონში, საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად, ვიწრო ხეობაში არის ნარზანის ტიპის წყაროები, რომელთა დებიტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იქვე, გვერდით არსებული სოფლის მცხოვრებნი მას იყენებენ წისქვილის ასამუშავებლად.

მინერალური წყაროებით მდიდარია საქართველოს ყველა ნაწილი: როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო, მეტადრე აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი.

უკვე აღმოჩენილი და შესწავლილი წყაროების გარდა, რესპუბლიკაში მცირე როდია კიდევ ისეთი მინერალური წყაროები, რომლებიც ჯერ აღრიცხული არ არის. ერთი წელიც არ გაივლის ისე, რომ ჩვენმა სამეცნიერო-კვლევითმა ექსპედიციებმა არ აღმოაჩინონ ახალი წყაროები და არ შეისწავლონ ახალი კლიმატური სადგურები.

მცირე მნიშვნელობა არა აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მინერალური წყაროები მეტწილად განლაგებულია ისეთ ადგილებში, სადაც ხელსაყრელი კლიმატური პირობები არსებობს მათი გამოყენებისათვის. მკურნალობისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა წყაროების ზონაში კარგი, სუფთა ჰაერი, მდიდარი ტყის ნარგავები და ლამაზი ხედებია. ყოველივე ეს ხელს უწყობს ახალი საკურორტო მშენებლობის ფართოდ განვითარებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. ვ. ი. ლენინის ძეგლი ოქტომბრის რევოლუციის სახელობის პარკში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირი განსაკუთრებით მდიდარია საკურორტო რესურსებით. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მეტად მცირე რამ გაკეთდა მათი ფართო გამოყენებისათვის. მემამულეები და კაპიტალისტები ამჯობინებდნენ საზღვარგარეთის კურორტებზე წასვლას. ამ მიზნით გაწეული ხარჯები უდიდეს თანხას აღწევდა; ცალკეულ წლებში ის ორას მილიონ ოქროს მანეთს აღემატებოდა.

მეფის რუსეთში 1915 წლისათვის მხოლოდ ოცდათექვსმეტი კურორტი ითვლებოდა. საქართველოს კურორტები ამ რიცხვში არ შედიოდა. იმ დროს საქართველოში არც ერთი კურორტი არ იყო; იცნობდნენ მხოლოდ ზოგიერთ საკურორტო ადგილს. მათგან სამ ადგილას—ბორჯომში, აბასთუმანსა და სუხუმში აგებული იყო ცალკეული სასახლეები. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ იმ წლებში არავინ ზრუნავდა საქართველოში საკურორტო საქმის განვითარებაზე.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება მშრომელთა მომსახურებისათვის განკუთვნილ კურორტთა ისეთი ფართო ქსელი, როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში. ჩვენი კურორტების ორგანიზაცია და საქმიანობა ძირითადად განსაზღვრულია ცნობილი დეკრეტით, რომელიც ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილ იქნა 1919 წლის 20 მარტს. ამ დეკრეტის საფუძველზე მეფის ყველა სასახლე, მემამულეთა და კაპიტალისტთა საუკეთესო ნაგებობანი სანატორიუმებად და დასასვენებელ სახლებად არის გარდაქმნილი და მშრომელთა საკეთილდღეოდ გამოყენებული. იმავე დროს ამ მიმართულებით დაწყებულია დიდი საკურორტო მშენებლობა და კურორტების კეთილმოწყობა, ახალი წყაროებისა და კლიმატური სადგურების გახსნა.

სსრ კავშირში ამჟამად არის 350 კურორტზე მეტი, 2500 სანატორიუმი და დიდი რაოდენობა დასასვენებელი სახლებისა. წლითიწლობით იზრდება სანატორიული საწოლების რიცხვი საბჭოთა კავშირის კურორტებზე. თუ 1929 წელს მათი რიცხვი იყო 38 ათასი, 1938 წელს—102 ათასი, 1950 წელს ამ რიცხვმა ბევრად გადააჭარბა ომამდელ დონეს და 250 ათას მიაღწია. ამას უნდა მივუმატოთ საწოლთა რიცხვი დასასვენებელ სახლებში (200.000 ადგილი), აგრეთვე ბავშვთათვის განკუთვნილ სპეციალურ სანატორიუმებში (80.000). 1951 წელს საბჭოთა კურორტებზე ოთხ მილიონ კაცზე მეტი ისვენებდა და მკურნალობდა. გარდა ამისა, მილიონობით ადამიანი ისვენებს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების გარეშე და ფართოდ სარგებლობს ყველა სახის მკურნალობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაც მისაწვდომი იყო მხოლოდ ერთი მუჭა კაპიტალისტებისა, მემამულეებისა და ჩინოსანი მოხელეებისათვის, ის მთელი ხალხის კუთვნილებად გადაიქცა. საბჭოთა ადამიანები ფართოდ ახორციელებენ საბჭოთა კონსტიტუციით მათთვის მინიჭებულ უფლებას დასვენებაზე. ყველაფერი ეს ცხადად ჩანს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე განთქმული კურორტის—ბორჯომის მაგალითზე.

საქართველოს მრავალ მინერალურ წყაროებსა და კლიმატურ სადგურებს შორის ბორჯომსა და ‚მის ხეობას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მეტად ძვირფასი მინერალური წყლისა და საუცხოო კლიმატური პირობების იშვიათმა და მოხდენილმა შეხამებამ მთის ლამაზი პეიზაჟის ფონზე დამსახურებული სახელი მოუხვეჭა ამ კურორტს.

ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციამდე ეს იყო საყვარელი კუთხე ზაფხულობით დროს სატარებლად ტიტულოსანი მუქთახორებისათვის. რამდენიმე მდიდარი ვილა მკვეთრად გამოირჩეოდა კურორტის დანარჩენი ნაწილისაგან, რომლის კეთილმოწყობაზე არავინ ფიქრობდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა პირობა შექმნა კურორტის განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის, ააგო სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, გადააქცია ბორჯომი ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელობის ერთ-ერთ საუკეთესო კერად.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბორჯომი. ი. ბ. სტალინის ძეგლი ლიკანში, სსრკ სანატორიუმის წინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკლე ძველთქმული მიმოხილვა

სახელწოდება „ბორჯომის“ წარმოშობის შესახებ დღემდე არ არსებობს ყველას მიერ მიღებული განმარტება. დადგენილად ითვლება, რომ „ბორჯომის“ სახელწოდებაში, ისე როგორც დიღომის, წრომის, ბორჯომის, ბათომის (ბათუმის), ცხომის (სუხუმის) სახელწოდებაში არის ქართული ძირი, მაგრამ ამ სახელწოდების რამდენადმე დამაჯერებელი ახსნა-განმარტება ჯერ კიდევ არ არსებობს.

ზოგიერთი ავტორის ცდა, რომ სახელწოდება „ბორჯომი“ აწარმოონ ორი სიტყვისაგან — „ბურჯი“ და „ომი“, რაც ტრაფარეტულად მეორდება მათ შრომებში, საკითხის გაუბრალოებას წარმოადგენს. ასევე არასწორია ზოგიერთის მიერ იმის მტკიცება, რომ „ბორჯომი“ ძველად სიმაგრის ცნების გამომხატველი იყო, ვინაიდან იგი გარემოცულია მაღალი მთებით, რომლებიც თითქოს ბუნებრივ სიმაგრეს ჰქმნის, სადაც არა ერთხელ უწარმოებიათ ბრძოლა უცხოელ დამპყრობლებთან. მაგრამ სრულიად არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს იმის შესახებ, რომ სიტყვა „ბორჯომი“ სწორედ სიმაგრეს ნიშნავდეს. ამიტომ საკვლევით გასაგებია, რომ ჩვენი საუკეთესო ისტორიკოსები და ენათმცოდნეები ილაშქრებენ სახელწოდება ბორჯომის ახსნის ასეთი გაუბრალოების წინააღმდეგ.

ეს საკითხი შემდგომ შესწავლას საჭიროებს და ჯერ კიდევ მოელის უფრო სწორ გადაწყვეტას.

არსებული ისტორიული მასალების მიხედვით შეუძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ ბორჯომის მინერალური წყაროების აღმოჩენის თარიღი.

ბორჯომის მინერალური წყაროების აღმოჩენის „ოფიციალური“ ისტორია (რევოლუციის წინადროინდელი მასალების მიხედვით) შემდეგს ლაპარაკობს. 1828 წელს რუსეთის ჯარებმა ბრწყინვალედ დაამთავრეს სამხედრო ოპერაციები თურქეთის წინააღმდეგ. თურ-

ქეთის ფრონტზე მოქმედ რუსეთის ჯარების შემადგენლობაში შედიოდა ხერსონის გრენადერთა პოლკი პოპოვის სარდლობით. ომის დამთავრების შემდეგ პოლკი დაბანაკებულ იქნა ქ. გორში. სამშენებლო მასალის, შეშისა და ნახშირის დასამზადებლად მას გამოუყვეს ბორჯომის ხეობა. ამ მიზნით ბორჯომში იმყოფებოდა ამ პოლკის ჯარისკაცთა ჯგუფი, რომელმაც თავის საცხოვრებელ ადგილად აირჩია ორჯონიკიძის სახელობის ახლანდელი პარკის რაიონი (მინერალური წყლების ყოფილი პარკი). ჯარისკაცები ბანაობდნენ ხოლმე ბორჯომულაში, კარგად შეეგუენ ამ ადგილს და მდინარის მარჯვენა ნაპირზე, დაბურულ ტყეში, შემთხვევით აღმოაჩინეს მინერალური წყაროები, რომელთა წყალსაც ისინი ამის შემდეგ ხშირად სვამდნენ და ბოთლებითაც კი ეზიდებოდნენ თავიანთ პოლკში.

მინერალური წყლით დაინტერესდა თვითონ პოლკის უფროსიც. იმ ხანებში ის ავადმყოფობდა და ბორჯომის წყლის სმის შედეგად თავი უკეთესად იგრძნო. ის იმდენად კმაყოფილი შეიქნა მიღებული შედეგებით, რომ ყველა თავის ნაცნობ-მეგობარს დაჟინებით ურჩევდა გამოეცადათ მკურნალობისათვის ბორჯომის წყლის მოქმედება.

1837 წელს აღნიშნული პოლკი დაშლილ იქნა და მის ნაცვლად გორში გაიგზავნა ქართული გრენადერთა პოლკი, რომელიც აგრეთვე დაკავშირებული იყო ბორჯომთან. ამ პოლკის ექიმი ამიროვი ბორჯომის მინერალური წყლების პირველი პოპულარიზატორი შეიქნა და მან პირველმა ჩაატარა დაკვირვება მათ სამკურნალო თვისებებზე. მინერალური წყაროების ახლო გაშენებულ იქნა ორი ფიცრული ბარაკი; აქ სრულიად პრიმიტიულ პირობებში იღებდა ბორჯომის წყლის აბაზანებს პოლკის უფროსის ცოლი.

ბორჯომის მინერალურმა წყლებმა თავიანთი სამკურნალო თვისებების გამო თანდათანობით გაითქვეს სახელი. ცნობამ მათ შესახებ მიაღწია ამიერკავკასიის მხარის მეფის ნაცვალ გენერალ გოლოვინამდე, რომლის ქალიშვილიც მძიმედ იყო დაავადებული. საპატიო პაციენტის ჩამოსვლისთვის მოაწყვეს ოთხი პრიმიტიული აბაზანა და გაიყვანეს გზა მინერალურ წყაროებამდე. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადასასვლელად, სადაც წყაროები იყო, არსებობდა ბორანი. ავადმყოფის პატივსაცემად, რომელიც აქ განიკურნა, № 1 წყაროს ეწოდა მისი სახელი — ეკატერინეს წყარო, ხოლო № 2 წყაროს — ევგენის სახელი — თვითონ გოლოვინის პატივსაცემად. ეს იყო 1841 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ამის შემდეგ გენერალი გოლოვინი საქართველოდან გადაყვანილ იქნა რუსეთში, ხოლო მეფისნაცვლად კავკასიაში დაინიშნა ვ. ვორონცოვი. თავის საზაფხულო რეზიდენციად მან ბორჯომი აირჩია (1844—1854 წწ.). მის დროს აბაზანების რიცხვი აყვანილ იქნა 7-მდე, ბორანის ნაცვლად მტკვარზე აგებულ იქნა ხის ხიდი, პლატოზე გაშენდა პარკი, აშენდა მთელი რიგი ხისა და ქვის შენობები.

რევოლუციამდელ ლიტერატურაში არის მითითებანი, რომლებიც მოწმობენ, რომ ბორჯომის წყაროები რამდენამდე უფრო ადრე იყო ცნობილი. მაგალითად, საქართველოს გეოლოგიურ-ტოპოგრაფიულ აღწერილობაში, რაც შედგენილია 1825 წელს, ლაპარაკია ბორჯომის მინერალური წყლის სამკურნალო თვისებებზე, მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ ამ წყაროების გამოყენება გაძნელებულია „ყაჩაღთა“ ხშირი თავდასხმების გამო. „მხოლოდ ბატონიშვილებს, რომელთაც თან ახლავთ შეიარაღებული მცველი რაზმი,— ნათქვამია აღწერილობაში,— შეუძლიათ ისარგებლონ ბორჯომის წყლით ადგილობრივ სამკურნალოდ.“

ორი წლით უფრო გვიან, 1827 წელს, ექიმი მარტინენკო წერდა ბორჯომის მინერალური წყლის დიდი სამკურნალო მნიშვნელობის შესახებ და იქვე აღნიშნავდა, რომ ქიმიური ანალიზების არარსებობა საშუალებას არ იძლევა გამოირკვეს მისი სწორი გამოყენების გზები.

ყველა ეს „ოფიციალური“ მონაცემები, რაც ჩვენ მიერ ამოღებულია რევოლუციამდელ წლებში გამოცემული მასალებიდან, მოგვყავს მხოლოდ ცნობების სახით, რომლებიც ახასიათებს კურორტის განვითარებას გასული საუკუნის გარკვეულ პერიოდში. ნამდვილად კი ბორჯომის მინერალური წყაროების აღმოჩენის ისტორია უფრო ძველია. წყაროების თავდაპირველი აღმომჩენნი შორეულ დროში უნდა ვეძიოთ.

არსებობს საინტერესო ფაქტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ბორჯომის მინერალური წყლები მრავალი საუკუნის წინათ იყო ცნობილი ქართველი ხალხისათვის. მაგალითად, 1913 წელს საკაპტაჟო სამუშაოების შესრულებისას ეკატერინეს წყაროსთან 8 არშინის სიღრმეზე აღმოჩენილ იქნა თლილი ქვისაგან გაკეთებული ექვსი აბაზანა. სამწუხაროდ, ამ საკითხზე არქეოლოგთა სპეციალური გამოკვლევები არ მოიპოვება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამ ქვის აბაზანების აღმოჩენა ყოველ ეჭვს გარეშე ამტკიცებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინათ სარგებლობდნენ ბორჯომის მინერალური წყლით. არ ვიცით მხოლოდ, სასმელადაც სარგებლობდნენ ამ წყლით, თუ არა.

ქვის აბაზანების აღმოჩენა უეჭველად მიგვითითებს იმაზე, რომ დიდი ხნით ადრე-გრენადერთა პოლკის ჯარისკაცებამდე, ბორჯომის მინერალურ წყაროებს უკვე იცნობდა ადგილობრივი მოსახლეობა. არსებობს ისტორიული ძეგლები, რომლებიც ლაპარაკობენ, რომ XII საუკუნეში ცნობილი იყო თბილი წყაროები სოფელ დვირში, რომელიც ბორჯომს ზემოთ მდებარეობს, მტკვრის ნაპირზე. იმ დროს საერთოდ მეტ მნიშვნელობას აძლევდნენ თბილ წყაროებს, რომლითაც შეიძლებოდა გაუთბობლად ესარგებლათ აბაზანებისათვის.

ამგვარად, შეიძლება დავუშვათ, რომ ბორჯომის მინერალური წყაროები ცნობილი იყო გაცილებით ადრე მათ ოფიციალურ აღმოჩენამდე, მაგრამ მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების არცოდნის გამო ეს წყაროები ერთ ხანს ნაკლებ პოპულარული იყო ადგილობრივ მოსახლეობაში.

უცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელი თავდასხმების შემდეგ ბორჯომის სამკურნალო მინერალური წყლების საიდუმლოება მრავალი საუკუნის მანძილზე მიწაში დაიმარხა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მრავალმა მოგზაურმა, რომელთაც ინახულეს ბორჯომის ხეობა, დატოვეს ბუნების აღფრთოვანებული აღწერილობა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ მინერალური წყლების შესახებ.

მაგალითად, ჟან შარდენი, რომელიც 1672 წელს იყო აქ, აღტაცებაში მოვიდა ბორჯომის საკვირველი ბუნებით; ის იხსენიებს ტაძრებს, ციხე-სიმაგრეებს, წყაროებზე კი არაფერს ამბობს. აკადემიკოსი ა. გილდენშტედტი, რომელმაც 1771 წელს ინახულა ბორჯომი და მისი ხეობა, აგრეთვე ვალს იხდის მდიდარი ბუნების წინაშე, წერს ციხე-სიმაგრეებისა და საყდრების ნანგრევთა შესახებ, მაგრამ სრული დუმილით გვერდს უვლის წყაროებს; იმავე დროს მან მოგვცა თბილისის მინერალური წყაროებისა და უწერის წყაროების აღწერილობა. კიდევ უფრო გვიან, 1830 წელს აქ იყვნენ მოგზაურები ბროსე და დიუბუა. მათაც არაფერი უთქვამთ ბორჯომის წყლებზე, თუმცა აღნიშნული აქვთ, რომ ეს ადგილები არა ერთხელ აოხრებულ იქნა მტრის მიერ.

1828 წელს, როცა რუსეთის ჯარები საომარ ოპერაციებს ეწეოდნენ თურქების წინააღმდეგ, ბორჯომი გავლით ინახულა მოქმედი არმიის ერთ-ერთი პოლკის უფროსმა მურავიოვ-კარსკიმ;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. ი. ბ. სტალინის ძეგლი ოქტომბრის რევოლუციის სახელობის პარკის შესავალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის აღტაცებული იყო ბუნებით, მაგრამ ბორჯომის წყაროებზე მას არაფერი უთქვამს.

ქართველი გეოგრაფი ვახუშტი, რომელიც XVIII საუკუნეში ცხოვრობდა, იუწყება, რომ აბასთუმანში არსებობს უაღრესად მძლავრი და მდუღარესავით ცხელი წყარო, რომელსაც ოცხეს უწოდებენ; წყაროზე არის ნაგებობა, აქ ბევრი ბანაობს, რადგან ეს წყალი არჩენს რევმატიზმით, აგრეთვე წყლულებით დაავადებულთ, რომლებზეც საექიმო მკურნალობა ნაკლებად მოქმედებს.

ვახუშტი წერს აგრეთვე თბილისის გოგირდის წყაროებზე, სამკურნალო აბანოებზე საქართველოს სხვადასხვა რაიონში, თრიალეთში, — წერს ვახუშტი, — „არს წყარო, რომლისა სმით, უკეთუ იყოს ვინმე მაძლარ ფრიად ანუ დოცონვილა, მოადნობს სმითა, ვითარცა ქონსა ცეცხლი“.

საოცარი ცოდნით მოგვითხრობს იგი ბორჯომის ხეობის ფაუნასა და ფლორაზე, მაგრამ კვლავ არაფერს წერს მინერალური წყაროების შესახებ.

ეს გასაგებიცაა. ბორჯომის წყაროებმა ვერ მიიქციეს ყურადღება ვერც ტემპერატურით, ვერც სიმძლავრით; მათი მთავარი ღირსება — თითქმის უნიკალური ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობა, — იმ დროისათვის სრულიად უცნობი იყო, თანაც წყაროები ულრან ტყეში მდებარეობდა. ისინი შეიძლება ცნობილი ყოფილიყვნენ ადამიანთა მცირე ჯგუფისათვის, რომელთაც, როგორც ჩანს, ვერ შეძლეს ღირსეულად შეეფასებინათ წყაროები, მით უფრო, რომ იმ დროს დიდი უპირატესობით სარგებლობდა მხოლოდ ცხელი წყაროები. იმავე ბორჯომის ხეობაში ცნობილი იყო სადგერისა და ციხისჯვრის თბილი გოგირდოვანი და სხვა წყლები.

ყველაზე სწორი იქნება ვიფიქროთ, რომ დაკვირვებულ მოგზაურთ მხედველობიდან გამორჩათ ბორჯომის წყაროები, რადგან ისინი დამალული იყვნენ დაბურულ ტყეში, თითქმის გაუვალ ადგილას. საუკუნეთა განმავლობაში ამ ადგილთა მოსახლეობა შემოსეულმა მტრებმა ნაწილობრივ გაწყვიტეს, ნაწილობრივ ტყვედ წაიყვანეს, და საიდუმლოება წყაროების შესახებ თან წაიღეს იმ ადამიანებმა, ვინც თავდაპირველად აღმოაჩინა ეს წყლები და ვინც აქ პირველად ააგო აბაზანები.

იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს სხვა მრავალ საკურორტო სიმდიდრეზეც, რაც საუკუნეთა მანძილზე დაფარული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოუჩენელი იყო. მეფის მთავრობა მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. საქართველოს მრავალრიცხოვანი კლიმატური და ბალნეოლოგიური რესურსებიდან ძველ დროს ცნობილი იყო მხოლოდ ბორჯომი, აბასთუმანი და სუხუმი, მაგრამ ამ კურორტებზე არ იყო არავითარი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. აქ იყო მხოლოდ მეფის საგვარეულოს წევრთა და კაპიტალისტთა რამდენიმე საკუთარი აგარაკი. ამ კურორტებზე მშრომელებიც იყვნენ, მხოლოდ აბა დასვენებისა და მკურნალობისათვის, არამედ დილიდან საღამომდის მძიმე, დამქანცველი შრომისათვის, რასაც ისინი ეწეოდნენ მდიდარი მუქთახორების მომსახურებისას.

მართალია, შორეულ დროში ბორჯომის წყაროები არ იყო ცნობილი, ან, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად იყო ცნობილი, მაგრამ ბორჯომის ხეობა კი ძველთაგანვე ცნობილია. თავისი ძნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო იგი არაერთხელ გამხდარა დიდი ბრძოლების ასპარეზი. უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლებში არაერთხელ დაუცავს აქ ქართველ ხალხს თავისი მშობლიური მიწა.

ვინ არ ყოფილა ბორჯომის ხეობაში: აქ იყვნენ რომაელებიც, მონგოლებიც, თურქებიც და სპარსელებიც!

თვითონ ბორჯომში დღემდე დგას ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ლიკანთან, დღესაც არსებობს პეტრეს ციხის და მტკვრის მარცხენა ნაპირზე — გოგიას ციხის ნაშთები. ორივე ეს ციხე, ისტორიული ცნობების მიხედვით, აგებულია ძმების პეტრე და გოგია ავალიშვილების მიერ. ბორჯომის ცოტა ზემოთ, სადგერის ტაფობზე, ახლა 26 კომისრის სახელობის პარკის ახლოს, მოიპოვება სადგერის ციხის ნაშთები, იმ ციხისა, სადაც დაბანაკებული იყო სახელგანთქმული სარდალი გიორგი საakaძე. ასეთი ციხე-სიმაგრეებით სავსეა მთელი ბორჯომის ხეობა; ისინი არიან ამ რაიონში გადახდილი ბრძოლების უტყვი მოწამენი.

ბორჯომის ხეობა მდიდარია ხუროთმოძღვრების სხვა შესანიშნავი ძეგლებითაც, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ ოდესღაც აქ ცხოვრება დუღდა.

ბორჯომის მიდამოებში ჩვენამდე მოაღწია ზოგიერთმა მონასტერმა: მწვანე, ლიკანის, დაბის მონასტრები. ბორჯომთან ახლო, აწყურში, აგებულია შესანიშნავი ტაძარი — ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკური ეპოქის ძეგლი. ტიმოთეს უბანში, თამარ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. ს. კ. ორჯონიკიძის ძეგლი სერგო ორჯონიკიძის სახელობის მინერალურ წყაროთა პარკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის დროს (XII საუკუნე) აგებულ იქნა საყდარი, რომელიც დღემდე საკმაოდ კარგადაა დაცული.

XIII საუკუნეში ბორჯომის ხეობა საქართველოს ერთ-ერთ მდიდარ და მჭიდროდ დასახლებულ რაიონად ითვლებოდა. შემდგომ ის გადაიქცა მრავალსაუკუნოვანი ომების ასპარეზად, რასაც შედეგად მოჰყვა ამ ოდესლაც მდიდარი კუთხის განადგურება და გაჩანაგება.

XVI—XVIII საუკუნეებში ბორჯომი დაიპყრეს ჯერ თურქებმა, შემდეგ სპარსელებმა, შემდგომ კვლავ თურქებმა, რომლებმაც საბოლოდ გაანადგურეს ეს მხარე.

XVI საუკუნის დამლევს თურქებმა მთელ ამ რაიონში მოაწყვეს მოსახლეობის აღწერა. აღწერა მათ აინტერესებდათ მოსახლეობის დაბეგვრისათვის გადასახადით. აღმოჩნდა, რომ ბორჯომის ხეობა სავსებით დაცარიელებულიყო, მოსახლეობა იქ აღარ იყო, რადგან მისი ნაწილი განუწყვეტელ ომებში გაწყდა, ხოლო ნაწილიც მთებში გაიხიზნა.

XVII საუკუნის დამდეგს გიორგი სააკაძემ სასტიკი დამარცხება აგემა თურქთა ჯარებს ბორჯომის ხეობის მისადგომებთან სოფელ ტაშისკარის მახლობლად. 1609 წელს თურქთა ჯარების დიდი რაზმი შეიჭრა ქართლში, საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, საფრთხე შეუქმნა ქალაქ გორს, მაგრამ მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადასვლა ვერ შეძლო, რადგან ხიდი თავის დროზე აჰყარეს. გადასვლის საშუალებას მოკლებული თურქები დაიძრნენ დასავლეთისაკენ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. აქ მათ მოუსწრო გიორგი სააკაძემ თავისი ჯარით და სოფელ ქვიშხეთის მიდამოებში გაანადგურა თურქი დამპყრობლები. დღესაც არსებობს ციხის ნანგრევები ტაშისკართან, ბორჯომის ვიწრო ხეობის შესასვლელთან.

თურქთა და სპარსთა ურდოების თავდასხმების შედეგად ბორჯომის ხეობა დაცარიელდა. მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის ჯარების შემწეობით ბორჯომი სამუდამოდ თავისუფლდება თურქთა და სპარსთა ბარბაროსული უღლისაგან.

ამ განუწყვეტელი ბრძოლებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ბორჯომის მინერალურმა წყლებმა ვერ მიიქცია ვერც იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსების, ვერც უცხოელ მოგზაურთა ყურადღება, რომელნიც, თუმცა აღტაცებული იყვნენ ბორჯომის ბუნებით, მაგრამ არავითარი ცნობები არ დაუტოვებიათ, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ყოფილიყო დაგვედგინა, რომ მინერალური წყაროების აღმოჩენის თარიღი ეკუთვნის XIX საუკუნის დამდეგზე ადრინდელ პერიოდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომი და მისი ხეობის ნაწილი წინათ ქართველ თავადებს ავალიშვილებს ეკუთვნოდა. ამ რაიონში თურქთა ბატონობის დროს თავადმა ავალიშვილებმა დაკარგეს ბორჯომის მფლობელობის უფლება. როდესაც რუსეთის ჯარებმა ეს მხარე თურქთა ბატონობისაგან გაათავისუფლეს, ყოფილმა მფლობელებმა მხარის მთავარმართებელ ვორონცოვს სთხოვეს იმ თავიანთი უფლებების აღდგენა, რაც მათთვის ნაბოძები იყო საქართველოს მეფის თეიმურაზ II მიერ.

ვორონცოვმა ხერხს მიმართა. ერთი მხრივ, მან ავალიშვილებს ურჩია მიემართათ სასამართლოსთვის, ხოლო მეორე მხრივ, შეუთანხმდა როგორც სასამართლოს, ისე მემამულე ავალიშვილებს, რომ მამული მთავრობისათვის მიეყიდათ. სასამართლომ, მართლაც, გამოიტანა დადგენილება ავალიშვილების სასარგებლოდ, მაგრამ, თანახმად მოლაპარაკებისა, ავალიშვილებმა მთელი მამული მინერალური წყაროებით მიყიდეს მთავრობას სრულიად მცირე ფასად.

შემდეგში მეფისნაცვლად კავკასიაში, ვორონცოვის მაგიერ, დანიშნეს დიდი მთავარი მ. ნ. რომანოვი — ალექსანდრე II-ის ძმა (1863 წელი). მ. რომანოვს აგრეთვე მოეწონა ბორჯომი და ის გადააქცია თავის საზაფხულო რეზიდენციად. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ბორჯომის შუაგულში მან ააგო მავრიტანული სტილის შესანიშნავი ორსართულიანი სასახლე ვრცელი პარკით. ახალმოსახლეობის დღესასწაულზე პეტერბურგიდან ბორჯომში ჩამოვიდა ალექსანდრე II (1871 წ.), რომელმაც ბორჯომის უმდიდრესი მამული საჩუქრად უბოძა თავის ძმას, მეფისნაცვალს კავკასიაში, მიხეილ რომანოვს.

ასეთი საჩუქრის მიღებისთანავე ახალი პატრონი შეუდგა უმდიდრესი ტყეებისა და მინერალური წყაროების მტაცებლურ ექსპლოატაციას, ხოლო ბორჯომის კეთილმოწყობაზე ფიქრით თავს არ იწუხებდა.

არავითარი სანატორიუმი ან დასასვენებელი სახლი იქ არ არსებობდა, მშრომელებზე და მათ დასვენებაზე არავინ ფიქრობდა: ისინი, დილიდან დაწყებული, გვიან ღამით ამთავრებდნენ მუშაობას, მუშაობდნენ თავიანთი ბატონებისათვის.

ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს შემდეგი ამბავი: ცნობილია, რომ ბორჯომში და მის ხეობაში მცხოვრები გლეხები დიდ შევიწროებასა და გაჭირვებას განიცდიდნენ დიდი მთავრის მ. ნ. რომანოვისა და მისი მოხელეების მხრივ.

XIX საუკუნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, დიმიტრი ყიფიანს, თავის მემუარებში საინტერესო ცნობები მოჰყავს ამის შესახებ. ამ ცნობებიდან აშკარად ჩანს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ გლეხები, რომელთაც ბატონ-პატრონად მოევლინათ დიდი მთავარი მ. რომანოვი, მფლობელი ბორჯომისა და მისი ხეობისა.

სოფლის მცხოვრებლებმა, რიცხვით 225 კაცმა, თავის სხდომაზე საზოგადო განაჩენი გამოიტანეს, რომელშიც თავის გაჭირვებას გამოთქვამდნენ. ისინი შესჩიოდნენ დიდ მთავარს იმ უზომო გადასახადებზე, რომლებიც დაადო მოურავმა გლეხებს „სახნავ მიწებზე, სათივეებზე, სახლების და ბოსლების გათბობაზე, საძოვარზე, ჩვენი ნებით გამოტანილი ხეების წართმევაზე, ძალის დატანებაზე, რათა მამულის სამმართველოს გამოვუტანოთ თივა და შეშა, გალახვაზე მცხოვრებლებისა, ჭრილობისა და შეურაცხყოფის მიყენებაზე და ყველა ამასთან, ქრთამის ნაძალადევ მოთხოვნაზე მმართველობის მომსახურეების მიერ“ და სხვა უსამართლო მოპყრობაზე. დასასრულს სწერდნენ: „ერთხმად დავადგინეთ ვიშუამდგომლოთ, რომ ჩვენს საზოგადოებას ააცილონ თავიდან ყველა ეს შემავიწროებელი გადასახადები...“

გლეხებმა აირჩიეს თავისი წარმომადგენლები და მათ დაავალეს ამ საქმის წარმოება, მალე მათ მიემხრნენ სხვა სოფლებიც და მომჩივანთა რიცხვმა 409 კაცს მიაღწია.

გლეხებმა მიმართეს დიმიტრი ყიფიანს, როგორც უახლოეს მეზობელს. დიმიტრი ყიფიანმა დიდი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში და გამართა მიწერ-მოწერა სათანადო პირებთან. საინტერესოა, რითი დამთავრდა ეს დავა? მომყავს მემუარებიდან თვით დიმიტრი ყიფიანის სიტყვები: „სანაძლეოს დადება არ მიყვარს, მაგრამ ახლა კი მზად ვარ მკითხველს დავენაძლეო, რომ ის ვერ მიხვდება, რა გადაწყვეტილება გამოვიდა ამაზე? ხუთი სოფლის საზოგადოებათა საჩივარი უყურადღებოდ დატოვეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საჩივარი ჩემის მეშვეობით იყო წარდგენილი.“

რასაკვირველია, გლეხების საჩივრის უშედეგობა გამოწვეული იყო არა იმ გარემოებით, რომ მათ მფარველობა გაუწია დიმიტრი ყიფიანმა, არამედ ცარიზმის მმართველობის სისტემით, რადგან ეს მმართველობა ყოველთვის იცავდა მსხვილ მემამულეთა ინტერესებს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოში სამი წლის განმავლობაში ბატონობდნენ მენშევიკები. ხელისუფლების სათავეში ხანმოკლე დროის მანძილზე ყოფნისას ეს კუთხე მათ კატასტ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როფულ მდგომარეობამდე მიიყვანეს. ბორჯომი არამცთუ კეთილ მოწყობილი ხდებოდა, იგი სრულ დაქვეითებას განიცდიდა. ტყეებს ბარბაროსულად ჩეხდნენ, მინერალური წყლის ჩამოსხმა ბოთლებში უმნიშვნელო ციფრამდე დავიდა.

მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება—1921 წლის 25 თებერვლიდან, იწყება ახალი ერა ბორჯომის ცხოვრებაში. ბორჯომის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საფუძვლიანად პირველად იქნა გამოკვლეული და ხალხის სასარგებლოდ წარმართული მისი დიდი სიმდიდრე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბორჯომის ადგილმდებარეობა და კლიმატური პირობები

K 55.668
4403.

ბორჯომი მდებარეობს შავი ზღვის დონედან 806 მეტრის სიმაღლეზე; მისი გეოგრაფიული კოორდინატებია—ჩრდილო განედის 41°51' და აღმოსავლეთი გრძედის 43°24'.

ბორჯომს უკავია მდინარე მტკვრის დაბლობის ნაწილი, ის გარემოცულია მაღალი მთის ქედებით. სამხრეთით მას ეკვრის თრიალეთის ქედი, ჩრდილოეთით უშუალოდ ესაზღვრება იმერეთის ქედი. უშუალოდ ბორჯომის გარშემო მდებარე მთის ქედების სიმაღლე ზღვის დონედან აღწევს 2000—2500 მეტრს. გასაგებია, რომ ასეთი მაღალი მთები, რომლებიც ბორჯომს ორი მხრით ერტყმის, საიმედოდ იცავს მას ძლიერ ატმოსფერულ მდინარებათა შეჭრისაგან, ბორჯომის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს მაღალი ზეგანი — ახალქალაქის პლატო.

ბორჯომის ხეობა უაღრესად მდიდარია მცენარეულობით. საკმარისია ითქვას, რომ მრავალფეროვანი ფლორა მცენარეთა 450-ზე მეტ სახეობას შეიცავს. თვითონ ბორჯომში და ბორჯომ-ბაკურიანის გზაზე, აგრეთვე აწყურის მიმართულებით ჭარბობს მარად მწვანე ფიჭვი და ნაძვი, დანარჩენ ადგილებში გვხვდება წიფელი, რცხილა, მუხა, არყი, სოჭი; მაგრამ აქაც უპირატესად წარმოდგენილია წიწვიანი მცენარეები.

მწვანე მასივი შეადგენს ხეობის მთელი ფართობის დაახლოებით 70 პროცენტს. ბორჯომს უკავია 612 ჰექტარი ტერიტორია, რომლის მნიშვნელოვან ნაწილზე გაშენებულია პარკები და ბაღები.

ბორჯომის რაიონში ბევრი მდინარეა, რაც აგრეთვე ჰქმნის განსაკუთრებით ხელსაყრელ კლიმატურ და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს.

კურორტს სიგრძეზე ჩაუდის მდინარე მტკვარი, რომელიც თითქოს ორად ყოფს ბორჯომს. მტკვარი ახლანდელ საქართველოში— ეს იაფი ელექტროენერგიის წყაროა, მაცოცხლებელი წყარო სარწყავი არხებისათვის. ერთ ასეთ არხს ჩვენ ვხვდებით ბორჯომის

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ხეობაში შესვლისთანავე, ხოლო დიდ ჰიდროელექტროსადგურს — ბორჯომთან ახლოს.

ორი სხვა მცირე მდინარის — ბორჯომულას და გუჯარეთის წყლის ანუ შავი წყლის სათავე თრიალეთის მთის კალთებზე მდებარეობს. ისინი თითქმის პარალელურად მიემართებიან და გარს უვლიან სადგერის პლატოს — გაშლილ მაღლობს, რომელიც მთლიანად დაფარულია წიწვიანი მასივით და მდებარეობს თვით ბორჯომთან, მისგან 150 მეტრით მაღლა. ორივე ეს მთის ჩქარი და ხმაურა მდინარე ერთმანეთისაგან მცირე მანძილის ($1^1/_2$ კილომეტრის) დაშორებით ერთვის მტკვარს: ბორჯომულა — რკინიგზის სამგზავრო სადგურთან, ხოლო შავი წყალი—საქონლის სადგურთან.

ბორჯომის მიდამოებში ვხვდებით მთის მდინარეებს, რომლებიც მარცხენა მხრით ერთვიან მტკვარს. ეს პატარა მდინარეები გაზაფხულზე, როცა თოვლი სწრაფად დნება და წვიმაც უხვად მოდის, ხშირად ადიდდებიან ხოლმე და საფრთხეს უქმნიან სამეურნეო და საგზაო ნაგებობებს. თუმცა, საერთოდ, ასეთივეა საქართველოს ყველა დანარჩენი მთის მდინარისა და ნაკადულის თვისება. პატარა მდინარე ბორჯომულა, რომელიც მინერალური წყლების პარკს ჩაუდის და ოდნავ ფარავს ფსკერს, ზოგჯერ ისე ადიდდება, რომ ნაპირებიდან გადადის. 1923 წელს მისი ერთ-ერთი ასეთი ადიდების მოწამე გავხდით. მდინარის სათავეში ხშირი წვიმების გამო ბორჯომულა ნაპირებიდან გადმოვიდა და დაფარა პარკი და ხეობაში არსებულ შენობათა ნაწილი. ამჟამად, ცხადია, კურორტი უკეთ მომზადებულია ასეთ მოულოდნელობათა წინააღმდეგ.

ბორჯომთან მისასვლელი გზები მეტად მოხერხებულია; ყველაკზე უფრო ხშირად სარგებლობენ რკინიგზით. მანძილი თბილისიდან ბორჯომამდე რკინიგზით 149 კილომეტრს უდრის, ბათუმიდან — 259 კილომეტრს, ბაქოდან — 577 კილომეტრს, მოსკოვიდან — 2398 კილომეტრს. თბილისი დაკავშირებულია ბორჯომთან კარგი გზატკეცილით, რომლის სიგრძეც 165 კილომეტრს შეადგენს: კარგი გზატკეცილი არსებობს აგრეთვე ბათუმიდან და ქუთაისიდან ბორჯომამდე აბასთუმანზე და ახალციხეზე გავლით. თუ მოსკოვიდან დილით ადრე გამოსული თვითმფრინავით ჩამოვფრინდებით თბილისში, ხოლო აქედან მშვენიერი გზატკეცილით ავტომანქანით ვიმგზავრებთ ბორჯომამდე, შეიძლება იქ უკვე საღილობისას ვიქნეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომის ხეობა იწყება რაიონის ცენტრ ხაშურიდან 8 კილომეტრის დაშორებით. აქ, აგარაკ ქვიშხეთთან მტკვარზე აგებულია რკინიგზის ხიდი. რკინიგზა სულ მტკვრის მარჯვენა ნაპირს მიყვება, ხოლო გზატკეცილი—მარცხენა ნაპირს. გზა თანდათან სულ უფრო და უფრო ლამაზი ხდება. სულ უფრო მკაფიოდ იშლება მდიდარი და მრავალფეროვანი მცენარეულის, ტყეებით დაფარული მთების, სწრაფად და ხმაურით მიმდინარე მტკვრის პანორამა.

ვისაც სურს დატკბეს ბორჯომის ხეობის მთელი სიმშვენიერით—დაწყებული რკინიგზის ხიდიდან ქვიშხეთთან, თვით ბორჯომამდე,—მან ხელი უნდა აიღოს რკინიგზით მგზავრობაზე; ვაგონში მყოფი, თქვენ პეიზაჟის მხოლოდ ფრაგმენტებს ხედავთ. ყველაზე კარგია ღია მანქანით მგზავრობა, რაც საშუალებას იძლევა სათანადოდ შევაფასოთ ხეობის ზღაპრული ბუნება. განსაკუთრებით ლამაზია ხეობა შემოდგომით, როცა ფოთლოვანი ხეები ოქროს ფერს ღებულობს და მარად მწვანე ფიჭვების, ნაძვების და მოწითალო ბუჩქნარების გვერდით ფერების წარმტაც შეხამებას ჰქმნის.

ბორჯომის ხეობა ისეთი ვიწრო და ღრმა როდია, როგორც დარიალის ხეობა. იქ მთები თავიანთი სიმაღლითა და გრანდიოზულობით შიშს გვგვრიან, გვანცვიფრებენ, აქ კი ისინი ზომიერი სიმაღლისა არიან, ხეობა გაცილებით ფართოა, პეიზაჟი მშვიდი და ნაზი თავისი მოხაზულობით.

ბორჯომის ხეობის დასაწყისშივე, რკინიგზის ხიდიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით იწყება ტაშისკარის სარწყავი არხი, რომელიც ამჟამად კეთდება. მტკვრის წყალმა უნდა მორწყას ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა, მაგრამ ბუნებრივი პირობები საშუალებას არ იძლევა გაყვანილ იქნეს არხი ღია კალაპოტით, უშუალოდ ხაშურისა და ქარელის რაიონის დაბლობებში. მშენებლებმა წარმატებით გადაჭრეს ძნელი ამოცანა—მათ გზა მისცეს მტკვრის წყალს მთაგრეხილში რამდენიმე ასეული მეტრის გვირაბის გაჭრით; შემდეგ არხი გადის მიწის ზედაპირზე.

ტაშისკარის არხი საქართველოში წყალთა მეურნეობის ახლანდელი უდიდესი მშენებლობის ერთ-ერთი ნიმუშია. ასეთი არხები საქართველოში ათეულობით არის აგებული და ამჟამადაც შენდება. ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნება თვალუწვდენელი მინდორ-ველების მორწყვის შესახებ წარმატებით ხორციელდება. ტაშისკარის არხის მშენებლებს, ისე როგორც ყველა მშენებელს საქართველოში, ამხნევებს იმ მშენებელთა მაგალითი, რომელთაც შექმნეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, გორის საფეიქრო კომბინატი, სამგორის ზემომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გისტრალური არხი, ხრამის ჰიდროელექტროსადგური და სხვა უდიდესი ნაგებობანი, რომლებიც მთელი ქართველი ხალხის სიამაყეს შეადგენენ.

აქაც, ბორჯომის ხეობის შესავალთან, პირველი, რაც თვალში გვეცემა — ესაა საამშენებლო სამუშაოები, რომლებიც მიმართულია ბუნების გარდაქმნის გენიალური სტალინური გეგმის ცხოვრებაში გატარებისაკენ — სურათი, რასაც ამჟამად საქართველოს ყოველ კუთხეში ხედავთ. სულ მალე თბილისი-ბორჯომის გზატკეცილს ხაშურიდან ბორჯომის ხეობის დასაწყისამდე დაამშვენებს ხეივანი, ხოლო მის გასწვრივ, ხელოვნური მორწყვის მეოხებით, აყვავდება ახალი ხეხილის ბაღები და გაშენდება ვენახები; ბორჯომის ხეობის მისადგომები კიდევ უფრო გამშვენდება და კუროორტის სასოფლო-სამეურნეო ბაზა კიდევ უფრო მდიდარი გახდება.

1952 წლის შემოდგომაზე აქ გზატკეცილის გასწვრივ უკვე დარგეს 5000 კაკლის ხე. გაივლის წლები, ხეები გაიზრდება, და ეს კაკლის ხეივანი მთელ საქართველოში ერთ-ერთ ულამაზეს ადგილად გადაიქცევა.

ბორჯომის კლიმატური პირობები — ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა, ქარის სიჩქარე და მზის რადიაცია — განსაკუთრებით ხელშემწყობია ჯანმრთელობისათვის. ცხადია, ადამიანის ჯანმრთელობისათვის ყველა ამ ფაქტორს — ჰაერს, მზეს, წყალს, კვებას, შრომას და გონიერ დასვენებას — დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჯანმრთელობა მარტო ამ ფაქტორებით არ განისაზღვრება. საუცხოო ბუნებას, სუფთა ჰაერს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება თუ ადამიანი ამავე დროს განიცდის უფლებრივ, ეროვნულ და ეკონომიურ ჩაგვრას, რის მაგალითს კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიური სისტემა წარმოადგენს. ამიტომ ჯანმრთელობისათვის საჭიროა ცხოვრების ყველა პირობის კომპლექსური ზემოქმედება, რაც შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში.

განვიხილოთ ბორჯომის კლიმატური ფაქტორები.

საშუალო წლიური ტემპერატურა აქ შეადგენს 8,9°; საშუალო თვიური ტემპერატურა ნულზე დაბლა მხოლოდ ზამთრის თვეებში აღინიშნება. ბორჯომის კლიმატი წარმოადგენს საშუალოდ მთის თბილ, ზომიერ ტენიან კლიმატს ტემპერატურის მცირე სადღეღამისო რხევით.

ზაფხულის თვეებში საშუალო თვიური ტემპერატურა საკმაოდ ზომიერია: ივნისში 16,9, ივლისში 19,8, აგვისტოში 19,7, სიცხე არ იცის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. საერთო ხედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. ჩანჩქერი ხ. ორჯონიკიძის სახელობის მინერალურ წყაროთა პარკში.

ივლისის შუა რიცხვებიდან ოქტომბრამდე ჩათვლით ყველაზე მეტი მზიანი დღეებია.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ბორჯომში ზაფხული თბილია, მაგრამ სრულიად უსიცხო, ხოლო ზამთარი—ზომიერი. დამახასიათებელია, რომ ზამთარში, მიუხედავად 0-ზე დაბალი საშუალო თვიური ტემპერატურისა, დღის ტემპერატურა, თვით ყველაზე ცივ თვეში, მაინც ამ ნიშანზე მაღლა რჩება.

ტემპერატურის რხევა დღე-ღამის განმავლობაში ბორჯომში ზომიერ ნორმებს არ აღემატება, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფებისა და დამსვენებლებისათვის. ასე, მაგალითად, ტემპერატურის სხვაობა ზამთარში 7 და 13 საათს შორის უდრის 7°, გაზაფხულზე და ზაფხულში 9°, ხოლო შემოდგომაზე 10°.

ბარომეტრული წნევა შეადგენს საშუალოდ სინდიყის სვეტის 695 მილიმეტრს და ირხევა 683 და 708 მილიმეტრს შორის.

ტენიანობის მხრივ ბორჯომის კლიმატი ზომიერია: საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობა აღწევს 78%. ტენიანობის სადღეღამისო რხევის დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ყველაზე ნაკლები შეფარდებითი ტენიანობა ბორჯომში აღინიშნება დღისით, ყველაზე მეტი კი — ღამით და ადრე დილით. ამიტომ ავადმყოფებს, განსაკუთრებით რევმატიზმით და პერიფერიული ნერვული სისტემის სნეულებით დაავადებულებს ურჩევენ ღამის 11 საათისათვის დაბრუნდნენ სეირნობიდან, რაც აგრეთვე სანატორულ რეჟიმსაც შეესაბამება.

ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა ბორჯომში 580 მმ უდრის, ზაფხულის სეზონში — 170 მილიმეტრს; ნალექებიანი დღეების რიცხვი წლის განმავლობაში — 140, ხოლო ზაფხულის სეზონში — 37. ნალექების სადღეღამისო მაქსიმუმი — 60—70 მილიმეტრია. თოვლიან დღეთა რიცხვი — 35; თოვლის საფარი მუდმივია და 2—3 თვის განმავლობაში ძევს, აღწევს რა სიმაღლით 30—40 სანტიმეტრს.

ზაფხულში ბორჯომში სულშემხუთავი სიცხე არასოდეს არ იცის. თვით მაშინ, როცა თბილისში ყველაზე დიდი სიცხეა, ტემპერატურა ბორჯომში 5—6 გრადუსით დაბალია. ამიტომ არის, რომ ავადმყოფები მშვენივრად იტანენ ბორჯომის ტემპერატურას და ტენიანობას წლის ყოველ დროს. ბორჯომში საუკეთესო თვეებად ითვლება ზაფხულისა და შემოდგომის თვეები. ბორჯომის შესაძლო მაქსიმალური ტემპერატურა არის 36°, შესაძლო მინიმალური ტემპერატურა — 22°.

ჰიდრომეტეოროლოგი გ. ი. ჭირაქაძე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის ინსტიტუტში, სთვლის, რომ ბორჯომი თავისი კლიმატური პირობებით და თოვლის საფარით სრულიად თავისუფლად შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც საზამთრო კურორტი. მართლაც, კარგახანია რაც აქ მთელი წლის განმავლობაში მოქმედობს სანატორიუმები და მკურნალობით მიღებული ეფექტი ადასტურებს გ. ი. ჭირაქაძის შეხედულებას.

მზის ნათების ხანგრძლიობის მხრივ ბორჯომი აგრეთვე ხელსაყრელ პირობებში იმყოფება. მისი მდებარეობა უზრუნველყოფს მზის ხანგრძლივ მოქმედებას. ცხადია, ამ მხრივ ბორჯომის ყველა კუთხე ერთნაირი არ არის. ყველაზე უკეთეს პირობებში იმყოფება ლიკანის რაიონი და მტკვრის დაბლობი, ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში — ს. ორჯონიკიძის სახელობის მინერალური წყლების პარკი და ხეობის რაიონი მდინარე ბორჯომულას დაყოლებით.

ბოლოდროინდელ დაკვირვებათა მიხედვით, მზის ნათების ხანგრძლიობა წლის განმავლობაში ღია პლატოებზე და კალთებზე შეადგენს 2000 საათზე მეტს, ხოლო ხეობის ვიწრო ნაწილში — 1600—1800 საათს. 26 კომისრის სახელობის პლატოზე მზის ნათების წლიური ხანგრძლიობა შეადგენს 2000—2100 საათს, ხოლო ბორჯომ-პარკის რაიონში სულ 1600—1700 საათს; ვინაიდან პარკი ხეობის ყველაზე ვიწრო ნაწილში მდებარეობს, ამიტომ კარგავს „ღია მზის“ მნიშვნელოვან ნაწილს.

მზის ნათების მხრივ ყველაზე უკეთეს პირობებში მაინც ბორჯომისა და ბაკურიანის პლატო იმყოფება. აი რას წერს ამის შესახებ ჰიდრომეტეოროლოგი გ. ი. ჭირაქაძე: „ბორჯომ-ბაკურიანის რაიონის პირობებში „ღია მზის“ მოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ზამთრის პერიოდში, როცა პლატო მთლიანად და, განსაკუთრებით, მისი ამაღლებული ნაწილი დაფარულია თოვლის სტაციონარული და მძლავრი საფარით. მზისა და თოვლის საფარის ურთიერთმოქმედება აქ სავსებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის საზამთრო სპორტისა და კლიმატური მკურნალობის განვითარებისათვის“.

მართლაც, 26 კომისრის სახელობის პლატო მეტეოროლოგიური პირობების, ჰაერის სისუფთავის, მზის ულტრაიისფერი სხივების სიუხვით და თავისი განსაკუთრებით ლამაზი მდებარეობის გამო დიდი ხანია სამართლიანად ითვლება ბორჯომის საუკეთესო ადგილად. პროფ. ა. ვოეიკოვი ამის შესახებ წერდა: „ექიმებმა უკვე

დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ სადგერის პლატოზე კლიმატური მკურნალობის პირობები უაღრესად ხელშემწყობია. დღისით მინდვრად მზე ძლიერ აცხუნებს, ხოლო საღამოთი ჰაერის ტემპერატურის დაწევა და შეფარდებითი ტენიანობის მომატება გაცილებით ნელა მიმდინარეობს, ვიდრე მინერალური წყლების პარკში".

კლიმატურ ფაქტორებს მიეკუთვნება აგრეთვე ქარები. ამ მხრივაც ბორჯომი ხელსაყრელ პირობებში იმყოფება. დიდი ხანია ცნობილია, რომ ბორჯომში ძლიერი ქარები არ იცის, დილით და საღამოთი სიწყნარეა, დღის პირველ საათზე ქარი რამდენადმე ძლიერდება, მაგრამ მისი სიჩქარე წამში ორ მეტრს არ აღემატება. ამასვე ადასტურებს პროფ. ა. ვოეიკოვი:

„გვიან საღამოთი და ადრე დილით, ჩვეულებრივ, სიწყნარეა, დღისით ქარი ზომიერია, ამასთან, უმცირესი ძალის ქარი აღინიშნება ნოემბერსა და დეკემბერში, უდიდესი — ივნისიდან ოქტომბრამდე".

მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით, რომელიც პირველად 1888 წელს დაარსდა ბორჯომში, ნათელ დღეთა რიცხვი წელიწადში შეადგენს 80, ნახევრად ნათელ დღეთა — 170, მოღრუბლულ დღეთა — 110.

რაც შეეხება ბორჯომის მიკროკლიმატს, ამ მხრივ აღსანიშნავია სამი ზონა: მდინარე ბორჯომულას და გუჯარეთის წყლის ვიწრო ხეობათა კლიმატი, სადგერის პლატოს კლიმატი და მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის კლიმატი. ეს ზონები ყველა მაჩვენებლით როდია ტოლფასიანი.

ვენტილაციისა და ტენიანობის მხრივ მდინარე მტკვრის დაბლობში უკეთესი პირობებია, ვიდრე მდინარე ბორჯომულას ვიწრო ხეობაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მრავალი წლის მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა და შესწავლის საფუძველზე კლიმატური მხრით ბორჯომსა და მის რაიონს განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს სხვა საკურორტო რაიონებს შორის. მიკროკლიმატური პირობების მრავალფეროვნება, თანდათანობით გადასვლა საშუალო მთის ზონის კლიმატიდან ალპური ზონისათვის ჩვეულ კლიმატურ პირობებზე კიდევ უფრო ამდიდრებს ამ საკურორტო ზონას და მნიშვნელოვნად ზრდის მის სამკურნალო შესაძლებლობებს და რესურსებს.

ამჟამად სხვადასხვა დაავადების წარმატებით მკურნალობისათვის, განსაკუთრებით კურორტებზე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ

ეგრეთწოდებულ ლანდშაფტის ფაქტორს. ეს ფაქტორი გულისხმობს გარემომცველი ბუნების ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე (მხედველობითს, სმენითს, ყნოსვითსა და სხვ. ზემოქმედებას).

აი რას წერს ამ საკითხზე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო კურორტოლოგი პროფ. ვ. ა. ალექსანდროვი: „ვ. მ. ბეხტერევის, კ. მ. ბიკოვის და სხვა ჩვენი მეცნიერების ნაშრომებმა ცხადყო დიდი ცვლილებები, რომლებიც ემოციების ზეგავლენით ხდება ადამიანის ნერვულ სისტემაში. მაგალითად, ყირიმში მომხდარი მიწისძვრის დროს 1927 წელს ექიმები მოსახლეობის უმრავლესობაში აღნიშნავდნენ ორგანიზმის მკვეთრ ფსიქოგენურ მოშლილობას. მეორე მხრივ, შეიძლება მაღალი შეფასება მივცეთ ხელსაყრელი ლანდშაფტის იმ უნარს, რომელიც აღადგენს ავადმყოფის დაკარგულ ემოციურ სიმშვიდეს. ამ ფაქტორის დიდი მნიშვნელობა არა მარტო ნევროზებით დაავადებულთა, არამედ აგრეთვე სომატიკურ (გულით, კუჭ-ნაწლავით, ღვიძლით და სხვ.) ავადმყოფთა საკურორტო მკურნალობის საქმეში ეჭვს გარეშეა, ვინაიდან ჩვენს ორგანიზმში ფსიქიკური და სომატიკური პროცესები ურთიერთკავშირშია და ურთიერთგანპირობებულია. ახლა უკვე შეიძლება ლაპარაკი „ესთეტურ-კლიმატოთერაპიაზე“, როგორც მნიშვნელოვან კლიმატურ ფაქტორზე, რომელიც გავლენას ახდენს ავადმყოფის მთელ ორგანიზმზე ნერვული სისტემის—უმთავრესად თავის ტვინის ქერქის—მეშვეობით და რასაც განსაკუთრებული ფსიქოთერაპიული მნიშვნელობა აქვს კურორტებზე ყოფნის დროს. ამ ფაქტორმა შესაძლოა ზოგჯერ მძაფრად იმოქმედოს: სურათი, რომელიც ბაიდარის კარებთან უეცრად თვალწინ ეშლებათ მნახველებს ყირიმის სამხრეთი სანაპიროს სახით, ისეთ მძლავრ აღტაცებას იწვევს მათში, რომ ისინი ერთხანს სახტად რჩებიან, ე. ი. იგი მათში, როგორც ექიმები იტყვიან, ნამდვილ „პეიზაჟურ“ შოკს იწვევს. მეორე მხრივ, ცუდი ამინდი, რომელსაც თან ახლავს გრიგალი, ჭექა-ქუხილი და სხვ., ჩვეულებრივ, მძიმედ მოქმედებს ადამიანზე. შესაძლოა, ლამაზი ლანდშაფტების ზემოქმედებით აიხსნება ის სასარგებლო ეფექტი, რასაც ტურიზმი და მდინარით მგზავრობა ახდენს. ამიტომ, კურორტების რეკონსტრუქციის დროს, ჩვენ ამჟამად ყურადღებას ვაქცევთ მათ ლანდშაფტურ თავისებურებათა მაქსიმალურ გამოვლინებას, ტერიტორიის უხვად გამწვანებას და ხელოვნური წყალსატევებისა და ტბების მოწყობას სათანადო არქიტექტურული გაფორმებით. ჩვენს კურორტებზე ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს, ყველაფერი თვალს უნდა ახარებდეს!“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ვილაპარაკებთ სხვადასხვა დაავადების მკურნალობაში ლანდშაფტის ფაქტორსა და მის მნიშვნელობაზე, ბორჯომისა და მისი ხეობის მდიდარი და მრავალფეროვანი სილამაზის ბუნება ერთ-ერთ პირველ ადგილზე უნდა იქნეს დაყენებული. მართლაც, ხედი, რომელიც იშლება „მომჯადოებელი ბაქანიდან“ ბაკურიანის გზაზე, კავკასიის მთაგრეხილის ხედი ცხრა-წყაროს მაღლობიდან ანდა ბორჯომის ხედი 26 კომისრის სახელობის ტაფობიდან—აი ნამდვილად სად შეიძლება მოიხიბლო და მიიღო ნამდვილი „პეიზაჟური“ შოკი ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, აღტაცებაში მოხვიდე პეიზაჟის ხილვით!

სამწუხაროდ, ჩვენ, ექიმები, მკურნალობისას ნაკლებად ვსარგებლობთ ლანდშაფტის ფაქტორით, მაგრამ ბორჯომის მრავალფეროვანი სილამაზე ჩვენს საქმეს აკეთებს, იგი ცოტა დახმარებას როდი გვიწევს მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობაში.

ბევრმა გამოჩენილმა ადამიანმა ინახულა ბორჯომი და დაგვიტოვა მისი სილამაზით გამოწვეული გულწრფელი აღტაცებით სავსე სტრიქონები. განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო ბორჯომით გენიალური რუსი კომპოზიტორი პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკი. კარგად ცნობილია, რომ პ. ი. ჩაიკოვსკი ბევრს მოგზაურობდა, მას მრავალი ლამაზი ადგილი უნახავს როგორც ევროპაში, ისე ამერიკაშიც. მით უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია მისი შეხედულება ბორჯომზე.

1887 წლის ივნისის დამლევს პ. ი. ჩაიკოვსკი ჩამოვიდა თბილისში სტუმრად თავის ძმასთან, სადაც ამავე დროს მას უნდოდა ემუშავნა თავის ახალ ნაწარმოებებზე. მაგრამ თბილისში ამ დროს აუტანელი სიცხე იყო და ჩაიკოვსკიც, მეგობრების რჩევით, ბორჯომში გაემგზავრა. ორი კვირის შემდეგ მან ბორჯომიდან მისწერა წერილი ი. პ. შპაჟინსკაიას.[1] ეს წერილი იმდენად საინტერესოა, ისე ცხოვლად და მკაფიოდ ახასიათებს ბორჯომს, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ის მთლიანად:

„1887 წლის 27 ივნისი. ბორჯომი.

„უკვე ორი კვირაა, რაც ბორჯომში ვარ. უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, რომელიც კი ოდესმე მინახავს. მხოლოდ პირველ წუთს როგორღაც შემაკრთო იმის ფიქრმა, რომ მე ასეთ ხეობაში, ასეთ შეზღუდულ ჰორიზონტქვეშ მთელი

---

[1] ი. პ. შპაჟინსკაია—დრამატურგ ი. ვ. შპაჟინსკის—დრამის „ჩაროდეიკას“ ავტორის—ცოლი. როგორც ცნობილია, პ. ი. ჩაიკოვსკიმ ამ დრამის სიუჟეტზე იმავე სახელწოდების ოპერა დაწერა.

ორი თვე უნდა გამეტარებინა. მაგრამ ამ შეგრძნებამ ძალიან მალე გაიარა. აქ სეირნობა ერთიმეორეზე უკეთესია და მრავალფეროვანი; ამასთან, ყველაფერი კარგად არის მოწყობილი, ყველგან მოხდენილი ბილიკები, რამდენიც გსურს ჩრდილი, ტყეების სურნელება თვითონ სუნთქვის პროცესსაც ნამდვილ ნეტარებად აქცევს,—ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი ისე კარგია, რომ მე სავსებით შემიყვარდა ბორჯომი. ძალიან მეშინოდა აქაური მოაგარაკეებისა, მათი აბეზრობისა და ცნობისმოყვარეობისა, მაგრამ, საბედნიეროდ, მე ვიპოვე საუცხოო საშუალება, რომ არავის არასოდეს არ შევხვდე და არ ვნახო, გარდა თავისიანებისა. საკმაოა მხოლოდ მუსიკაზე არ წავიდე. აქ დღეში ორჯერ უკრავს მუსიკა. მუსიკაზე თავს იყრიან ყველანი, და მხოლოდ ამით ამოიწურება ბორჯომელი სტუმრების მისწრაფება გასეირნებისადმი. საითაც კი წახვალ მოშორებით ყველა მოაგარაკის ამ render vous-საგან[1], არავის არ შეხვდები. სასიარულო კი — რამდენიც გნებავთ! იცით, ზოგჯერ, ღმერთს გეფიცებით, ალტაცების ცრემლიც კი მდის იმ სილამაზის ხილვით, რომელსაც აქ ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით! გარდა ამ სილამაზისა, ბორჯომს კიდევ ერთი მიმზიდველი ძალა აქვს. აქ მოიპოვება შემადგენლობით და მოწყობილობით საუცხოო მინერალური წყაროები. ერთ-ერთი ძლიერ წააგავს ვიშის წყალს, რომელიც თავის დროზე დიდად მომიხდა და, აქაური ექიმის რჩევით (მან აღმოაჩინა, რომ მე მაქვს კუჭის კატარი და ღვიძლის გაგანიერება), შევუდექი წყლის სმას და თბილი მინერალური წყლის აბაზანების მიღებას მასაჟით. ერთიც და მეორეც, ვგონებ, სავსებით კარგად მოქმედობს ჩემზე...

აღმოჩნდა, რომ უსაქმოდ სიცოცხლე არ შემიძლია, და თუმცა ვგრძნობ, რომ უმჯობესი იყო სრულ dolce far niente-ს[2] მივცემოდე, მაგრამ მე მაინც შევუდექი ერთ, დიდი ხნის წინათ მოფიქრებულ სამუშაოს, სახელდობრ ჩემი სათაყვანებელი მოცარტის რამდენიმე ნაწარმოების ინსტრუმენტირებას, რომლებიდანაც შედგება მოცარტის სუიტა. გარდა ამისა, ვწერ სიმებიანი სექსტეტის ესკიზებს...“

იმავე წლის ზაფხულში პ. ი. ჩაიკოვსკიმ თავის მეგობარს პ. ი. იურგენსონს მისწერა წერილი, რომელშიც ასევე აღფრთოვანებით წერდა ბორჯომის შესახებ. აი რას წერდა პ. ი. ჩაიკოვსკი: „ბორჯომის შესახებ გეტყვი, რომ ეს ყველაზე მომჯადოებელი

---

[1] პაემანი.

[2] უსაქმურობა.

ადგილია, როგორიც კი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს... ყველგან ჩრდილია და არასდროს შემაწუხებელი სიცხე არ იცის, ღამ-ღამობით კი საამოდ გრილა. აქვეა აგრეთვე მინერალური წყლები და ბორჯომელი ექიმის რჩევით მე შევუდექი ამ წყლების სმას. თავისი შემადგენლობით ეს წყლები ძალიან ახლოსაა ვიშის წყალთან, და ჩემთვის, მგონია, მეტად სასარგებლოა. სამწუხაროდ, კურსი ორჯერ უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ვიშში, სახელდობრ, ექვს კვირას გაგრძელდება. ვიღებ აგრეთვე მინერალური წყლის აბაზანებს. არ ვიცი, წყლებს აქვს ასეთი გავლენა, თუ ჰაერს, თუ კიდევ ცხოვრების წესს (საშინლად ბევრს დავდივარ ფეხით), ეს კია, რომ დღემდე „შემოქმედებისადმი“ არავითარ მოთხოვნილებას არ განვიცდი და ამიტომ თითქმის სრულიად არაფერს არ ვაკეთებ.“

მალე ჩაიკოვსკის მოუხდა გერმანიაში—აახენში წასვლა. მაგრამ ის იმდენად მოხიბლული იყო ბორჯომით, რომ თვით საზღვარგარეთიდანაც კი სწერდა ბორჯომის შესახებ მსახიობ ქალს ე. კ. პავლოვსკაიას, თითქმის იმავე გამოთქმებით, როგორც შპაჟინსკაიასადმი მიწერილ წერილში: „ჩემის აზრით, ეს ყველაზე ღვთაებრივი და საუცხოო ადგილია მთელ მსოფლიოში“...

ბორჯომში იყო მ. გორკიც. ცნობილია თვით მწერლის სიტყვები, თუ რა დიდი ზეგავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე საქართველოს საუცხოო ბუნებამ.

საქართველოში მ. გორკი რამდენჯერმე იყო. მისი სახელგანთქმული მოგზაურობა ფეხით ოდესიდან საქართველოში, 1891 წელს, შემდეგში მის მიერ აღწერილ იქნა მოთხრობაში „ჩემი თანამგზავრი“. საქართველოში გორკი მეორედ „ჩამოვიდა“ 1898 წელს—ეტაპით ნიჟნი ნოვგოროდიდან თბილისში, სადაც ის მეტეხის ციხეში მოათავსეს. ეს „ჩამოსვლა“, რომელიც მოწყობილ იქნა თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ, ცხადია, ვერ გაწყვეტდა იმ სულიერ კავშირს, რომელიც მ. გორკის ჰქონდა საქართველოსთან.

სამი წლის შემდეგ, 1901 წლის ზაფხულში, ქარიშხალას მომღერალი, რუსული ლიტერატურის გოლიათი, კვლავ ჩამოდის საქართველოში ა. პ. ჩეხოვთან, მხატვარ ვ. მ. ვასნეცოვთან და ორ ექიმთან ერთად. ამ ჩამოსვლაზე ისინი გაემგზავრნენ თბილისიდან მცხეთაში, სადაც ვასნეცოვმა დაათვალიერა მცხეთის ტაძრის განთქმული ძველისძველი მხატვრობა.

საქართველოს ბუნების სილამაზე ყოველთვის ხიბლავდა მ. გორკის. ცხადია, მას არ შეეძლო არ ენახა საქართველოს მარგა-

ლიტი—ბორჯომი მისი განსაკუთრებით ლამაზი ბუნების სიმდიდ-
რეებით და შესანიშნავი მინერალური წყაროებით. მ. გორკი
იყო ბორჯომში საქართველოში მეოთხეჯერ ჩამოსვლისას, 1903
წელს. ბორჯომში ის თბილისიდან წავიდა და რამდენიმე დღე
დაჰყო იქ თავის ცოლთან, სამხატვრო თეატრის რეჟისორ ტიხო-
მიროვთან და გამომცემელ პიატნიცკისთან ერთად.

ამ მოგზაურობის შესახებ ეკატერინე პავლეს ასული პეშკოვა წერს:
„თქვენ გაინტერესებთ, იყო თუ არა ბორჯომში ალექსი მაქ-
სიმეს-ძე ჩვენი ერთად მოგზაურობის დროს კავკასიაში 1903 წელს.
იგი იყო როგორც ბორჯომში, ისე აბასთუმანში; ორივე კუ-
ორორტით იგი აღტაცებული იყო. აბასთუმანში ჩვენ ერთად
ვიყავით მხატვარ ნესტეროვთან, გავჩერდით აგრეთვე ბორჯომ-
ში და დავათვალიერეთ იგი“ [1].

მ. გორკი ბორჯომში უფრო ადრეც იყო. აი რას სწერდა ამის
შესახებ ი. გრუზდევს ალექსი მაქსიმეს-ძე: „ფლეროვსკისთან [2] მე
შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა, დავსეირნობდი მთელ ამიერ-
კავკასიაში, მიხაილოვოდან [3] ბორჯომში, ავდიოდი ლომის მთაზე [4],
ვიყავი ახალქალაქში [5] და ვნახე, ახმახი, წვეროსანი ვ. ვ. რო-
გორ ებრძოდა კამეჩს ტილოს ქოლგით. ეს იყო რაღაც ჰომე-
რიული“. [6]

ცნობილია, რომ მ. გორკი იყო აგრეთვე ახალციხეში.[7] მან
მოიარა მთელი საქართველო, რომელმაც იგი მოხიბლა—დაატყვევა
და სულ ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით დაატკბო.

რუსული კლინიკური მედიცინის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა
და რუსული თერაპიული სკოლის შემქმნელმა, XIX საუკუნის
სახელგანთქმულმა ექიმმა პროფ. გ. ა. ზახარინმა 1894 წელს
ზაფხული ბორჯომში გაატარა. ბორჯომის გაცნობის შემდეგ იგი
შეუდგა იქაური მინერალური წყლების შესწავლას კლინი-

---

[1] ე. პ. პეშკოვას წერილი კ. ა. კალიუჟნაიას სახელზე თბილისში, 17 დეკემ-
ბერს, 1952 წელს.

[2] ვ. ვ. ბერვა—ფლეროვსკი—პუბლიცისტი და სოციოლოგი.

[3] ამჟამად ხაშური, ამ.|კავ. რკინიგზის სადგური, ბორჯომიდან 28 კილო-
მეტრზე.

[4] მთა ბორჯომის მიდამოებში, მისი სიმაღლეა 2200 მეტრი ზღვის დონე-
დან; ამ მთიდან იშლება საუცხოო პანორამა.

[5] ბორჯომიდან ახალქალაქამდე 125 კილომეტრია.

[6] ილია გრუზდევი. გორკი და მისი დრო. ტ. I, „საბჭოთა მწერალი“,
1948 წ., გვ. 373—374.

[7] ბორჯომიდან ახალციხემდე 52 კილომეტრია.

ბორჯომი. მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა სერგო ორჯონიკიძის
სახელობის მინერალურ წყაროთა პარკში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბორჯომი. მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხნის ერთ-ერთი ცეხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაში—მოსკოვში და მთელი რიგი ნაშრომები გამოაქვეყნა. გ. ა. ზახარინი წერდა: „ეჭვი არ არის, რომ როგორც საკუთრივ ბორჯომის, ისე ახლო-მახლო წყლების სამკურნალო მოქმედება, და კლიმატის შესანიშნავი თვისებები, ადგილის იშვიათ სილამაზესთან ერთად, უზრუნველყოფენ ბორჯომის, როგორც სამკურნალო ადგილის, დიდ მომავალს“.

1892 წელს ბორჯომში ისვენებდა ცნობილი პროფესორი პ. ი. კოვალევსკი. შემდეგში, თავის დაკვირვებათა შედეგად, მან დაწერა ორი ნაშრომი: „ბორჯომი და მისი სამკურნალო წყაროები“ და „მოძღვრება ტოქსიკური ეპილეფსიის შესახებ და მისი მკურნალობა ბორჯომის წყლით“. აი რას წერდა იგი ბორჯომზე: „ეს წყლები არამცთუ საზღვარგარეთის წყლებზე უარესი არ არის, არამედ მათზე მრავალმხრივ უკეთესია და მაღალხარისხოვანი. მხოლოდ ჩვენ ჯერ კიდევ მეტად ნორჩნი ვართ, ჯერ კიდევ ნაკლებად ვიცნობთ ჩვენს სიმდიდრეს, მეტად მცირედ ვსარგებლობთ და ნაკლებად ვაფასებთ მას“.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსი გრიგოლ ორბელიანი 1858 წლის 31 ივლისს ბორჯომიდან გაგზავნილ წერილში თავის მეგობარს ვ. საგინაშვილს აღტაცებული წერდა ბორჯომის ბუნების სიმშვენიერის შესახებ.

გასული საუკუნის ორმოციან წლებში ბორჯომის მინერალური წყლებით მკურნალობდა დიდი რუსი მწერლის ა. ს. გრიბოედოვის მეუღლე ნინო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული გრიბოედოვა.

გ. სტრუვე, რომელმაც იმ დროის მიხედვით (1867 წელი) ბორჯომის მინერალური წყლების ყველაზე ზუსტი ანალიზი მოგვცა, წერდა: „ძნელია უკეთესი ადგილის გამონახვა საზაფხულოდ, ვიდრე ბორჯომია. აქ ბუნებას თავისი მადლიანი ხელით გადაუშლია ყველა თავისი სიმშვენიერე, მთელი მრავალფეროვნება, რაც მეტად კეთილნაყოფიერად მოქმედებს ადამიანის ფიზიკურ და მორალურ მხარეზე. აქ, ქალაქის ფუსფუსისა და ხმაურისაგან დაშორებით, ასე ადვილად სუნთქავ სუფთა და ჯანსაღი ჰაერით, რომელიც გაჟღენთილია მდიდარი მცენარეულის საამო სურნელებით“.

1889 წელს ბორჯომში იყო დიდი რუსი მხატვარი, ვასილ ივანეს-ძე სურიკოვი. ამ სახელგანთქმული რეალისტი ხელოვანის შემოქმედებითმა გენიამ აქ, ბორჯომში, შექმნა შესანიშნავი სურათი „ბორჯომი“, რომელიც დღემდე ამშვენებს ტრეტიაკოვის გალერეას მოსკოვში.

დიდი მხატვარი გიგო გაბაშვილი მოხიბლული იყო ბორჯომის შესანიშნავი ბუნებით. ცხრაასიანი წლების მეორე ნახევარში მან შეასრულა ბორჯომის პეიზაჟის ამსახველი ეტიუდები. ეს სურათები გამოფენილი იყო 1910 წელს მხატვარის ნაწარმოებთა მეოთხე გამოფენაზე. ამჟამად ცნობილია ბორჯომის ექვსი ეტიუდი. ნაწილი ამ ეტიუდებისა (4) დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

საქართველოს სახელგანთქმული პოეტი-კლასიკოსი აკაკი წერეთელი არა ერთხელ ყოფილა ბორჯომსა და მის ხეობაში. 1904 წელს მან დაწერა ლექსი „პატარაცემი". კეთილხმოვანი, ბრწყინვალე ლექსით, დიდი პოეტური ნიჭით უმღერა და შეამკო მან საქართველოს ამ კუთხის ბუნება. ლექსი ბოლოვდება ჩვენთვის საინტერესო განცხადებით იმის შესახებ, რომ ავადმყოფი ორგანიზმის მორჩენაში მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ბუნება, ექიმები და წამლები კი მხოლოდ დახმარებას უწევენ იმას, რასაც ჩვენ ახლა ლანდშაფტის ფაქტორს ვუწოდებთ.

უფრო გვიან, 1908 წელს, აკაკი წერეთელმა მთელი ზაფხული გაატარა ბორჯომში. აქ მან დაწერა ლექსი „ბორჯომი", რომელიც იმდენად საგულისხმოა, რომ აქვე მთლიანად მოგვყავს:

ქალაქიდან მეც ბორჯომში
ჩამოველი საზაფხულოდ.
წარამარა ვეჩეტები
ულულოდა და უგულოდ.

ჩემი გასართობი მხოლოდ
არის შავი ბორჯომელა,
მის ჩუხჩუხზე რაბირ-ნაბირ
რომ ავჰყვები ნელ-ნელა.

მივალ, სადაც მას შეერთვის
ჩახრუხა და ჩახრიალა.
თითქოს ციდან გადმონაქანს
თან მოჰქონდესთ შნო და ძალა.

საგულისხმო მშვენებაა
და დიადი აქ ბუნება!...
მაგრამ ჩემს გულს დაწყლულებულს
სულ სხვა რამეს ეუბნება:

ძირს რომ შავი ქვა აგდია
და მაღლიდან სცემს ჩანჩქერი,
სწორედ ასე თავს ესხმოდა
საქართველოს გარე-მტერი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ იდგა შეუცვლელად,
შეურყევლად, ვითა სალი,
მრავალტანჯულს ეხატვოდა
თვალწინ წმინდა მომავალი.

და ამბობდა: სჯობს გავუძლოთ
ამ უსხლეტელ გასაჭირსა!...
„ჭირსა შინა გამაგრება
ისე უნდა ვით ქვიტკირსა.“

ათასის წლის თავზე დასხმამ
ბევრი რამე ვერ დააკლო,
სანამ შინვე მოყვარემან
მწარე მუსრი არ გაავლო!

უალერსა, ანუგეშა,
საოცნებო სთქვა „ნანინა“
და ტკბილ ხმაზე, მატყუარზე,
საუკუნოდ დააძინა!..

აი იმ ქვას, განიდან რომ
მოდგომია ბორჯომელა,
ვითომ ჰკოცნის, ფეხს ულოკავს...
ძირს-კი უთხრის ნელა-ნელა!..

როგორც იმ ქვას საფეხურად
სალი კლდე აქვს დადებული,
ისე ჩვენს ერს დედაბოძად
რწმენა ჰქონდა აგებული!...

დღეს-კი, ყველას მოკლებული,
საცოდავად ჰკვნესის, ჰგმინავს,
და მით უფრო საბრალოა,
რომ ჩვეულებრ აღარ სძინავს!...

გაიღვიძა და ვერ ჰხედავს,
ახალ-გამოღვიძებული,
თუ რა უნდა გზას დაადგეს...
თვისიანზე მოსდის გული!...

ახლა უნდა მიშველება,
ეჭირვება ხსნა და შველა!..
აი რას მღერს მოჩუხჩუხე
შავი-წყალი, ბორჯომელა!

1908 წელი

(თხზულებანი, ტომი I, გვ. 802)

ჩვენ მოვიყვანეთ გამოჩენილი ადამიანების აზრი, რომლებიც მოხიბლული იყვნენ ბორჯომისა და მისი ხეობის სილამაზითა და მშვენიერებით, რომელთაც დაგვიტოვეს ბორჯომისადმი მიძღვნილი გულწრფელი აღტაცებით სავსე სტრიქონები.

შეუძლებელია ანგარიში არ გავუწიოთ აქ მოყვანილ გამოჩენილ ადამიანთა აზრს და აქედან გამომდინარე სათანადო დასკვნა არ გამოვიტანოთ ამ იშვიათი კურორტის შესახებ.



ბორჯომის მინერალური წყლები

იშვიათად ვხვდებით ზღაპრული ბუნების, განსაკუთრებით ხელსაყრელი კლიმატური პირობების და მთელ მსოფლიოში განთქმული მინერალური წყლის თანაარსებობას ერთ კურორტზე, როგორც ამას ბორჯომში აქვს ადგილი.

ბორჯომის მინერალურმა წყლებმა საკმაოდ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. თვით მათი აღმოჩენის დასაწყისში, როცა არავითარი მოწყობილობა არ იყო არამცთუ აბაზანების მისაღებად, არამედ წყლის სასმელადაც კი, როცა ადვილი არ იყო წყარომდე მისვლა, აქ ყოველი მხრიდან მოეშურებოდნენ ავადმყოფები.

ბორჯომის მინერალური წყაროები პირველად აღმოჩენილ იქნა მდინარე ბორჯომულას ნაპირას, თრიალეთის მთების ჩრდილოეთი განშტოების რაიონში, იქ, სადაც ამჟამად სერგო ორჯონიკიძის სახელობის მინერალური წყლების პარკია. უფრო ზუსტად: წყაროები იყო თვით პარკის დასაწყისში, შესავლისა და მთავარი ხეივნის მარჯვნივ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თითქმის პირველივე წლებიდან, ამ წყლების რეჟიმის შესწავლისა და წყაროების დებიტის გადიდების მიზნით, ჩატარებულ'იქნა დიდი საკვლევო ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები. ისინი სრული წარმატებით დაგვირგვინდნენ. ბორჯომის მრავალ კუთხეში—ძირითადი მინერალური წყაროების ახლოსაც და მათგან 1—2 კილომეტრის მანძილზედაც—აღმოჩენილ იქნა სავსებით მსგავსი ახალი წყაროები.

სახელწოდება—ევგენისა და ეკატერინეს წყაროები ძლიერ დიდხანს იხმარებოდა, თვით ჩვენ დრომდე[1]. ამჟამად წყლის ჩამოსხმა ბოთლებში წარმოებს სახელწოდებით „ბორჯომი. ტუტოვანნახშირმჟავა სამკურნალო წყალი“, წყაროს ნომრის აღუნიშნავადაც

[1] ქვემოთ ეს წყაროები მოხსენებული იქნება: ეკატერინეს—წყარო № 1 და ევგენისა—წყარო № 2.

კი, ვინაიდან ეს სრულიადაც არ არის აუცილებელი; როგორც ძველი, ისე ახალი წყლების ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობა სავსებით ერთნაირია.

საქართველოს სსრ კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ 1927—1935 წლების განმავლობაში ჩატარებულმა ჰიდროგეოლოგიურმა სამუშაოებმა ბრწყინვალე შედეგები მოგვცა. გეოლოგთა მოსაზრებანი სავსებით გამართლდა. დასაწყისში ეს სამუშაოები ჩატარებულ იქნა მდინარე გუჯარეთის წყალზე, № 1 და № 2 წყაროებიდან საკმაოდ ახლოს, თუ პირდაპირ ხაზს ვივარაუდებთ, მაშინ, როდესაც გზატკეცილით მანძილი დაახლოებით ორ კილომეტრს შეადგენს. გაკეთდა № 8 და № 14 ჭაბურღილები, რომლებმაც მოგვცა სრულიად ისეთივე წყალი, როგორსაც იძლევა № 1 და № 2 წყაროები. ახალ ჭაბურღილთა საერთო სადღეღამისო დებიტი შეადგენდა 30.000 ლიტრს. მალე ამავე რაიონში გაკეთებულ იქნა კიდევ ორი ჭაბურღილი—№ 37 და № 38, რომლებმაც აგრეთვე იგივე წყალი მოგვცეს, რაც ძველმა წყაროებმა, და კიდევ უფრო გაადიდეს ბორჯომის წყლების დებიტი.

მაგრამ შემდგომმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ძველი წყაროების დებიტმა შემცირება იწყო, ვინაიდან გამოირკვა, რომ № 8, № 14 და № 39 ჭაბურღილებს არ გააჩნდათ დამოუკიდებელი დებიტი; ამიტომ ისინი ლიკვიდირებულ იქნენ; დატოვეს მხოლოდ № 37 ჭაბურღილი, რომელიც კაპტირებულ იქნა. ამჟამად № 37 წყაროდ წოდებული ეს ახალი წყარო დღე-ღამეში 55.000 ლიტრს იძლევა; ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მიხედვით წყალი სავსებით ისეთივეა, როგორიც № 1 წყაროსი.

შემდგომი ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები ჩატარებული იქნა ს. ორჯონიკიძის სახელობის მინერალური წყლების პარკის რაიონში. აქ გაკეთებულ იქნა ორი ჭაბურღილი—№ 13 და № 21, რომლებმაც მოგვცა ქიმიურ შემადგენლობის მიხედვით ძველი წყაროების წყლის სრულიად თანაბარი მინერალური წყალი. № 13 ჭაბურღილის დებიტი დღე-ღამეში 13.000 ლიტრამდე აღწევდა, ხოლო № 21 ჭაბურღილისა—35.000 ლიტრამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ჭაბურღილების გახსნამ და ამ ახალი წყაროებიდან ბორჯომის წყლის მნიშვნელოვანი რაოდენობით მიღებამ გავლენა იქონია № 1 და № 2 ძველი წყაროების დებიტზე. მაგრამ, ჩატარებული სამუშაოების შემდეგ, ბორჯომის წყლის საერთო შეჯამებული დებიტი მნიშვნელოვნად გადიდდა და დღე-ღამეში 109.000 ლიტრს მიაღწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვლევი სამუშაოები შემდგომაც მეტად ენერგიულად გრძელდებოდა. ისინი გადატანილ იქნენ სრულიად სხვა, მეტად თვალწარმტაცი მდებარეობის მქონე რაიონში, ფიჭვნართან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, იქ, სადაც რკინიგზის შტო გვირაბში შედის. აქ გაკეთდა № 29 და № 35 ჭაბურღილები. ბორჯომის წყალი აქაც მიიღეს ორივე ჭაბურღილში, მაგრამ ამან მკვეთრად იმოქმედა № 21 წყაროს დებიტზე, რომელიც ამაზე წინ იქნა აღმოჩენილი ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკში, ძველი წყაროების ახლოს. ამიტომ საჭირო შეიქნა № 29 და № 35 ჭაბურღილების სავსებით გაუქმება და მუშაობის გადატანა მტკვრის მარცხენა ნაპირზე. აქ გაკეთდა № 40 და № 41 ჭაბურღილები. აღმოჩნდა, რომ № 40 ჭაბურღილმა გამოიწვია კვლავ იმავე № 21 ჭაბურღილის დებიტის შემცირება. ამჯერადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერთ-ერთი ჭაბურღილის (№ 40) ლიკვიდირების შესახებ. რაც შეეხება № 41 ჭაბურღილს, მან განსაკუთრებით დიდი დებიტი მოგვცა—71.000 ლიტრი დღე-ღამეში, რამაც მნიშვნელოვნად გაადიდა კურორტის საერთო რესურსები.

ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძველს მიემატა ახლად აღმოჩენილი წყაროები, ამასთან, ზოგი ამ ახალ წყაროთაგანი უფრო მეტ წყალს იძლეოდა, ვიდრე ერთად აღებული ძველი წყაროები.

ჩატარებული საკვლევი სამუშაოების შედეგად ბორჯომის წყლის სადღეღამისო დებიტმა მკვეთრად იმატა. იყო დღეები, როცა ამ დებიტის საერთო ოდენობა 380.000 ლიტრს აღწევდა. როდესაც შეისწავლეს მინერალური წყლების რეჟიმი, საჭირო შეიქნა დებიტის ციფრის გაწონასწორება, სტაბილიზება, რათა ახლად აღმოჩენილ წყაროებს არ შეემცირებინა სხვა წყაროების აქტივობა ეს მიღწეულ იქნა ხანგრძლივი ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შემდეგ. მიღებულ იქნა ბორჯომის წყლის დებიტის მუდმივი ციფრი საშუალოდ 220.000 ლიტრი დღე-ღამეში. მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდა. როგორც ძველი, ისე ახალი წყაროების დებიტზე მკვეთრად იმოქმედა მიწისძვრამ, რასაც ადგილი ჰქონდა 1940 წლის 8 აპრილს ბორჯომში. მიწისძვრა აქ 1942 წლის 20 დეკემბერსაც განმეორდა. არავითარი ნგრევა კურორტზე მას არ მოჰყოლია, მაგრამ წყლის დებიტმა რამდენადმე იკლო, თუმცა ის სავსებით საკმარისია სულ უფრო მზარდი ჩამოსხმისა და აბაზანებით სარგებლობისთვის. ამჟამად ბორჯომის წყლის საერთო დებიტი დღე-ღამეში 160.000 ლიტრს შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეულ წყაროებზე ჩვენ გვქონდა შემდეგი სურათი:

წყარო № 1 (ყოფ. ეკატერინეს)	26.000
წყარო № 2 (ყოფ. ევგენის)	11.000
ჭაბურღილი № 13 (ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკში)	3.000
ჭაბურღილი № 21 (ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკში)	14.000
ჭაბურღილი № 37 (გუჯარეთის წყალზე)	55.000
ჭაბურღილი № 41 (მტკვრის მარცხენა ნაპირზე)	71.000

ცხადია, ბორჯომის შესაძლებლობა არ ამოიწურება ამ ციფრით, 180.000 ლიტრით დღე-ღამეში. ამ საქმის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ყველა მონაცემი არსებობს წყლის მიღების კიდევ უფრო გადიდებისათვის და ისინი უდავოდ მართალნი არიან.

1936—40 წლებში კურორტოლოგიის ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიური სექტორის მიერ ჩატარებულ იქნა საკვლევი სამუშაოები სრულიად ახალ რაიონში, არსებული ძველი და ახალი წყაროებიდან მოშორებით, ლიკანის რაიონში. და აი აქ, სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სანატორიუმების ტერიტორიაზე, ფიჭვნარში, 247 მეტრის სიღრმის ჭაბურღილიდან ამოხეთქა ბორჯომის წყლის მძლავრმა შადრევანმა; ძველი წყაროების წყლისაგან ის განსხვავდება მხოლოდ ტემპერატურით, რომელიც 18—25° ფარგლებში მერყეობს. თავდაპირველად შადრევანი დღე-ღამეში 38.000 ლიტრ წყალს იძლეოდა. დამახასიათებელია. რომ ამ ახალი მძლავრი წყაროს აღმოჩენამ არავითარი გავლენა არ იქონია ძველი და ახალი წყაროების დებიტზე.

ამ წყაროს აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ ყოვლისა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ორი დიდი სანატორიუმისათვის ლიკანში (500 საწოლით), რომელთა ავადმყოფებს შეუძლიათ ისარგებლონ ბორჯომის წყლით როგორც დასალევად, ისე აბაზანებისათვის. გარდა ამისა, ამ ჭაბურღილის გახსნა მეტყველებს ბორჯომის მიწის წიაღში არსებულ დიდ სიმდიდრეზე, კურორტის შემდგომი განვითარების ახალ პერსპექტივებზე. შემდგომ სამუშაოებში კურორტის განსავითარებლად გათვალისწინებულია მისი ფართო გამოყენება. ამჟამად მუშაობს ბალნეო-ფიზიოთერაპიული განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფილია მინერალური წყლით აბაზანებისათვის სწორედ ამ წყაროდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. ოქტომბრის რევოლუციის სახელობის პარკის ერთ-ერთი კუთხე.

ბორჯომი. მინერალური წყაროების გალერეა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1952 წელს საბჭოთა კავშირში ცნობილ გეოლოგთა მიერ სპეციალური დავალებით გამოკვეულ იქნა საკითხი ბორჯომის მინერალური წყაროების დებიტის გაზრდის შესახებ მომავალში.

აღნიშნული კომისია, ჩატარებული მუშაობის საფუძველზე, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არსებობს სრული საშუალება დღევანდელი დებიტი გაზრდილ იქნეს ნახევარ მილიონ ლიტრამდე დღე-ღამეში. ამისათვის საჭიროა დამატებითი მუშაობის ჩატარება.

მართლაც, 7 ოქტომბერს 1953 წელს, ბორჯომში—ლიკანში, სანატორიუმის ახლოს, კურორტოლოგიის ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიური ექსპედიციის მიერ ამოღებულ საკაპტაჟო ჭაბურღილში ამოხეთქა ბორჯომის მინერალური წყლის შადრევანმა იშვიათი დებიტით, რომელიც შეადგენდა დღე-ღამეში ნახევარ მილიონ ლიტრ მინერალურ წყალს.

ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებას, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ყველა დანარჩენი ჭაბურღილი ბორჯომში ამჟამად იძლევა მხოლოდ 160.000 ლიტრ წყალს დღე-ღამეში.

თავისი ქიმიური შემადგენლობით ახალი წყაროს წყალი წააგავს № 1 მინერალურ წყაროს წყალს, მისი ტემპერატურა კი უფრო მაღალია—36° C; მაშასადამე, მომავალში შესაძლებელი ხდება აბაზანების მიღება ამ წყაროს წყლისაგან ბუნებრივი ტემპერატურით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

რევოლუციამდელ წლებში ბორჯომის რაიონის გეოლოგიური გამოკვლევა ეპიზოდურ და პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა. სხვადასხვა დროს ცალკეულ გამოკვლევებს ატარებდნენ აკადემიკოსი ა. გ. აბიხი (1872 წ.), ინჟინერი ა. მ. ჯონშინი (1873 წ.), სოროკინი და სიმონოვიჩი (1886 წ.), კ. კ. ფოხტი (1915 წ.). ბორჯომის ჰიდროგეოლოგიური რესურსების შესასწავლად წარმოებულმა მუშაობამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიიღო სისტემატური ხასიათი, სათანადო განვითარება და ტექნიკური ბაზა. ასეთ სამუშაოებს, დაწყებული 1923 წლიდან, ატარებდნენ პროფ. ს. ვ. ობრუჩევი, პროფ. ა. ნ. ოგილვი, პროფ. ა. მ. ოვჩინიკოვი, პროფ. პ. გამყრელიძე, ინჟინერი ა. ბ. მელივა და სხვები. ამ სამუშაოთა ჩატარების შედეგად დაზუსტებულ იქნა ჩვენი ცოდნა კურორტის წიალის სიმდიდრეთა შესახებ და, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად გადიდდა მინერალური წყლის დებიტი.

ამჟამად ბორჯომში 7 მთავარი წყარო მოქმედებს. 1953 წელს მათ მიემატა ახალი ჭაბურღილი, რომელიც ჯერ კიდევ ექსპლოატაციაში არ არის. სისტემატურად წარმოებს წყლის ბაქტერი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლოგიური ანალიზი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებით წყაროების შესაძლო გაბინძურებისაგან დასაცავად გამოყოფილია სამთო-სანიტარული ზონა, წარმოებს მინერალური წყლების რეჟიმის ზედმიწევნით შესწავლა, გრძელდება აგრეთვე ბორჯომის რაიონის გამოკვლევა მისი მინერალური სიმდიდრეების გამოყენების მხრივ.

საბჭოთა ხელისუფლება დიდ მზრუნველობას იჩენს აგრეთვე როგორც ბორჯომის, ისე მთელი საქართველოს საკურორტო ტყეების დაცვის მხრივ; ამ ტყეების საერთო ფართობი რესპუბლიკაში 400.000 ჰექტარს აღემატება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და მისი შემადგენლობა

ბორჯომის ყველაზე მნიშვნელოვან სიმდიდრედ უნდა ჩაითვალოს მისი მინერალური წყალი; მან გაუთქვა ბორჯომს სახელი მსოფლიოში.

ბორჯომის მინერალური წყლის მთავარი დანიშნულებაა მისი სასმელად გამოყენება, რაც ნაჩვენებია მთელ რიგ დაავადებათა დროს.

ბორჯომის მინერალურ წყალს იყენებენ აგრეთვე აბაზანებისათვის. თავისი ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობით ასეთი წყაროები მსოფლიოში არსად არ მოიპოვება. მხოლოდ ვიშის წყაროები საფრანგეთში ძალიან წააგავს ბორჯომისას, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბორჯომის წყლის შემადგენლობა ვიშის წყაროს წყალზე გაცილებით უკეთესია.

ბორჯომის წყალი სრულიად გამჭვირვალეა, მოკლებული ყოველგვარ ოპალესცენციას, მას აქვს ტუტე რეაქცია; გაზირებული ბოთლებში, იგი ძალიან სასიამოვნოა სასმელად.

ზოგჯერ ბოთლებში გვხვდება მცირე ფიფქი, განსაკუთრებით ხანგრძლივად შენახვის დროს. ხშირად ეს შეიძლება შეცდომით მივიჩნიოთ წყლის გაჭუჭყიანებად. ნამდვილად კი ესაა რკინის ჟანგის ჰიდრატის ფიფქი. რკინის ან კალციუმის მარილების შემცველ ყოველ მინერალურ წყალში, ბოთლებში ხანგრძლივად შენახვისას, გარეგანი ჰაერის ინსოლაციისა და ტემპერატურის ზეგავლენით, წარმოებს ზოგიერთი შენაერთის გამოყოფა ხსნარიდან.

რატომ ხდება ბორჯომის წყლის დაგაზიანება? იმიტომ, რომ ნახშირმჟავა ხელს უშლის ამ დაშლას და საშუალებას გვაძლევს შევინახოთ, გადავზიდოთ წყალი სხვადასხვა, ყველაზე შორეულ რაიონებში, და ბუნებრივ მდგომარეობაში დავუნიშნოთ იგი ავადმყოფებს.

გასაგებია, რომ ავადმყოფები წყაროსთან სვამენ წყალს ნახშირმჟავა აირის უმნიშვნელო შემცველობით. ავადმყოფებს, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც საშუალება არა აქვთ 2—3-ჯერ დღეში მივიდნენ პარკში წყლის დასალევად, შეუძლიათ თან წაიღონ იგი და სვან სანატორიუმში; მაგრამ საჭიროა გვახსოვდეს, რომ წყაროდან წაღებული წყალი იმავე დღეს უნდა დაიღიოს; წყლის რამდენიმე დღით თან წაღება არ შეიძლება, რადგან მეორე დღეს იგი იცვლის თავის თვისებებს.

უგაზო წყალი რომ გამჭვირვალე ჭურჭელში ჩავასხათ და რამდენიმე დღე დავტოვოთ, შეიძლება დავინახოთ, როგორ იცვლის იგი ფერს და როგორ ხდება მოყვითალო. ყოველივე ეს ხდება მარილების გამოყოფის გამო.

იმ ავადმყოფებმა, რომლებიც ღებულობენ აბაზანებს 100-პროცენტიანი ბორჯომის წყლისაგან, კარგად იციან, რომ თავდაპირველად აბაზანაში ასხამენ სუფთა, გამჭვირვალე, თვალისათვის სასიამოვნო წყალს, მაგრამ როგორც კი ამას უმატებენ გაცხელებულ ბორჯომის წყალს საჭირო ტემპერატურის აბაზანის მოსამზადებლად, აბაზანაში არსებული მთელი წყალი ღებულობს მოყვითალო, საკმაოდ არასასიამოვნო ფერს. ეს ხდება იმიტომ, რომ ბორჯომის წყალში ძლიერი გაცხელებისას, ან მით უმეტეს დუღილისას, წარმოებს რკინის მარილების გამოყოფა. ქიმიკოსებმა იციან რამდენიმე საშუალება, რომელთა მიმატებით შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ წყალი აბაზანაში არ გაყვითლდეს, მაგრამ ყველა ეს საშუალება წყლის ქიმიურ შემადგენლობას ცვლის და ამიტომ მათ არ იყენებენ.

ბუნებრივი ტემპერატურის ბორჯომის წყლის 100-პროცენტიან აბაზანებს, რასაც სააბაზანო შენობას აწვდიან აუზიდან, ავადმყოფებს არ უნიშნავენ, რადგან ბორჯომში სამკურნალო მიზნით არ იყენებენ ცივი ტემპერატურის წყალს. ამ მიზნით ბორჯომის წყალს ემატება გაცხელებული წყალი.

ბორჯომის მინერალური წყლის დაგაზიანებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. როგორადაც უნდა განვითარდეს კურორტი, რამდენი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლიც არ უნდა ააგონ იქ, ადვილი გასაგებია, რომ მათი რიცხვი, ვინც ბორჯომის წყალს საჭიროებს—თავის სახლში, კლინიკებში და საავადმყოფოებში,—განუზომლად მეტია, ვიდრე იმ პირთა რიცხვი, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ წავიდნენ ბორჯომში და ადგილობრივ სვან წყალი. ამიტომ არის, რომ ბორჯომის წყლის სახელთან ერთად, წლითიწლობით იზრდება და მატულობს ამ წყლის ჩამოსხმაც. მაგალითად, თუ 1854 წელს ბორჯომიდან გაზიდულ იქნა 1.300 ბოთლი, 1890 წელს—5.130, 1895 წ.—319.225, 1913 წ. ამ ციფრმა

9.010.800 მიაღწია. მაგრამ ყველა ეს მაჩვენებელი დიდად ჩამორჩება ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმის მაჩვენებლებს, რომლებიც მიღწეულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების დროს. 1930 წელს გაზიდულ იქნა 13.813.000 ბოთლი, 1935 წელს— 18.500.000. შემდგომ, ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების გაშლასა და ახალი წყაროების აღმოჩენასთან დაკავშირებით, წყლის დებიტი გაორკეცდა; ძველი 90.000 ლიტრის ნაცვლად იგი 180.000 ლიტრამდე გადიდდა დღე-ღამეში. წყლის ასეთი რაოდენობა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ უკვე უახლოეს დროში შესრულდეს დავალება—წლიურად ჩამოსხმულ იქნეს 40.000.000 ბოთლამდე მინერალური წყალი, იმავე დროს ბორჯომის წყაროები დააკმაყოფილებს აგრეთვე იმ პირთ, რომლებიც აბაზანებს საჭიროებენ. 1951 წელს ბორჯომიდან უკვე გაზიდულ იქნა 33.000.000 ბოთლი წყალი. 1953 წელს კი—40.258.000 ბოთლი წყალი.

იბადება კითხვა—ხომ არ იცვლება წყლის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობა ნახშირმჟავას მიმატებით? მრავალი წლის დაკვირვებით, ხანგრძლივი ექსპერიმენტული მუშაობით და ხშირი ქიმიური ანალიზებით სავსებით დამტკიცებულია, რომ ბორჯომის მინერალური წყალი ნახშირმჟავას მიმატებით სრულიად არ იცვლის თავის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს. სავსებით იმავე მონაცემებს ვღებულობთ უშუალოდ მინერალური წყაროს წყლისა და გაზიანი წყლის გამოყენების შედეგად.

ცხადია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მკურნალობის შედეგები მარტო მინერალური წყლისაგან როდია დამოკიდებული. დიდი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის მოძღვრების თანახმად, ჩვენ ახლა კარგად ვიცით, რომ დაავადებულია არა ცალკეული ორგანო, არამედ მთელი ორგანიზმი. მთელი რიგი ავადმყოფები კარგ შედეგებს ღებულობენ არა მხოლოდ ბორჯომის წყლის გავლენით, არამედ კომპლექსური მკურნალობის შედეგად: აქ მნიშვნელობა ეძლევა კლიმატურ პირობებსაც, დასვენებასაც, დიეტასაც, სანატორიულ რეჟიმსაც, სამკურნალო ფიზკულტურას, შრომით თერაპიას და სხვა სამკურნალო ფაქტორებს.

ძველი კლასიფიკაციის მიხედვით, ბორჯომის მინერალური წყლები მიეკუთვნება ტუტოვან-ნახშირმჟავა წყლებს, თანამედროვე კლასიფიკაციით — ნახშირმჟავა - ჰიდროკარბონატულ - ნატრიუმიან წყლებს. თუმცა ეს გარემოება ნაკლებად ცვლის წყლის ქიმიური შემადგენლობის საკითხის არსს.

იყვნენ ძველ დროში ავტორები, რომლებიც ამ წყლებს მარილტუტოვან წყლებს მიაკუთვნებდნენ. შემდგომმა, უფრო ზუსტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მათი მიკუთვნება მარილ-ტუტოვანი წყლებისათვის არ არის სწორი, რადგან სუფრის მარილის შემადგენლობა მათში არსებული ნახშირმჟავა ნატრიუმის $^1/_5$ ნაწილს შეადგენს, ეს კი წარმოადგენს ნორმას ტუტოვან-ნახშირმჟავა წყლებისათვის. ბორჯომის წყაროები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა მარილ-ტუტოვანი წყაროებისათვის, სუფრის მარილის რაოდენობა მათში ნახშირმჟავა ნატრიუმის ნახევარზე მეტს რომ შეადგენდეს; სინამდვილეში ეს არ არის. ამიტომ არის, რომ ამჟამად ბორჯომის მინერალურ წყლებს ყველა ავტორი საბოლოოდ ტუტოვან-ნახშირმჟავა, ან უფრო ზუსტად, ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან წყლებს მიაკუთვნებს. თუმცა, გემოთიც იგრძნობა, რომ ამ წყლების მიკუთვნება მარილ-ტუტოვანი წყლებისათვის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; მარილ-ტუტოვანი წყლების ტიპობრივი წარმომადგენლებია ესენტუკის წყაროების წყლები.

მრავალჯერ, ასი წლის მანძილზე წარმოებდა ბორჯომის მინერალური წყლების ქიმიური ანალიზები. ეს ანალიზები ადასტურებენ როგორც ძველი, ისე ახალი მინერალური წყლების ერთ შესანიშნავ თვისებას—მათი ქიმიური შემადგენლობისა და ტემპერატურის მუდმივობას. როგორც უკვე ვთქვით, ბორჯომის მრავალრიცხოვანი წყაროები ქიმიური შემადგენლობით საერთოდ ერთნაირია, ძირითადად მხოლოდ ტემპერატურაშია განსხვავება. მაგალითად, № 1 წყაროს წყალს აქვს ტემპერატურა 29°C, სრულიად შესაფერისი სასმელი წყლისათვის, ხოლო უფრო სასიამოვნო გემოს მქონე № 2 წყაროს წყლის ტემპერატურა არის 22,6°C, რის გამოც ის, კუჭის ზოგიერთი დაავადებისას, გათბობას საჭიროებს. ამ მხრივ შესანიშნავია ახალი წყარო, რომელიც აღმოაჩინეს 1953 წელს. მისი ტემპერატურა უდრის 36°; მაშასადამე, იგი ყოველგვარი გათბობის გარეშე გამოიყენება როგორც აბაზანებისათვის, ისე სასმელად, რაც უკვე ზევით აღვნიშნეთ.

ბორჯომის წყალს ხშირად ვიშის წყალს (საფრანგეთში) ადარებენ. მართლაც, როცა ვიშის წყალს სვამ წყაროსთან, გეჩვენება, თითქოს ბორჯომის წყალს სვამდე—იმდენად ემსგავსებიან ისინი ერთმანეთს თავისი ქიმიური შემადგენლობით. მაგრამ გაზიანი ბორჯომის წყალი გაცილებით უფრო სასიამოვნოა გემოთი, ვიდრე ვიშის წყალი, რომელიც არ გაზიანდება. საერთოდ, ძნელია დავასახელოთ სხვა, ბორჯომის წყლის თანაბარი, მინერალური წყალი, რომელიც ისეთივე სასიამოვნო იყოს სასმელად. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ძალიან ხშირად ბორჯომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალს სვამენ ჯანსაღი ადამიანებიც, განსაკუთრებით ზაფხულში წყურვილის მოსაკლავად, ყოველგვარი საექიმო დანიშნულების გარეშე. მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი არ ითვლება ორგანიზმისათვის განურჩეველ წყლად, რომ მას აქვს გარკვეული ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანიც. მაგრამ ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ, როცა განვიხილავთ ბორჯომის მინერალური წყლების ფიზიოლოგიურ გავლენას ადამიანის ორგანიზმზე.

ბორჯომის წყლების ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათი ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა, ვიშის წყლებთან შედარებით, არის მასში ნატრიუმის ფოსფორმჟავა და დარიშხანოვანმჟავა მარილების არარსებობა. ეს ითვლება ბორჯომის წყლის დიდ ღირსებად, თუ გავითვალისწინებთ წყლის ფიზიოლოგიურ ზემოქმედებას კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე. სპეციალისტების აზრით, იოდოვანი მარილების შემცველობას ბორჯომის წყალში დადებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქსოვილებში ქრონიკული ანთებითი პროცესების მკურნალობისას. როგორც ცნობილია, იოდოვანი მარილები ვიშის წყალში თითქმის არ მოიპოვება, არის მხოლოდ მისი ნიშნები.

საბჭოთა პერიოდამდე გამოქვეყნებული ნაშრომების გადათვალიერებისას უნებლიედ აქცევ ყურადღებას შემდეგ გარემოებას. იმდროინდელი ყველა მეცნიერი, პროფ. გ. ა. ზახარინით დაწყებული, თავის ნაშრომებში ბორჯომის წყლის მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე ადარებდა ვიშის წყლის მოქმედებას და ამ საკითხების შესწავლას პარალელურად აწარმოებდა.

მრავალი დაკვირვების შედეგად, ამ საკითხის შესახებ გამოქვეყნებულ იქნა საინტერესო შრომები.

თითქმის ყველა ავტორი ერთხმად ადასტურებს ბორჯომის წყლის უპირატესობას ვიშის წყალთან შედარებით. ზოგი მათგანი, როგორც, მაგალითად, პროფ. გ. ა. ზახარინი, ამ საკითხზე მეტად თავშეკავებულად მსჯელობს. „ეკატერინეს წყაროს წყალი,—წერს პროფ. გ. ა. ზახარინი,—მოქმედებით იგივეა, რაც ვიშის წყაროების წყალი, მაგრამ ხშირად ავადმყოფები მას უფრო ადვილად იტანენ, ვიდრე უკანასკნელს“. უფრო გარკვევით გამოთქვამს თავის მოსაზრებებს პროფ. ა. გოლუბინინი: „ბორჯომს ვიშის წინაშე ზოგიერთი უპირატესობაც აქვს, ვინაიდან იგი არ შეიცავს ზედმეტ მინარევებს: ფოსფორმჟავა და დარიშხანოვანმჟავა ნატრიუმის შემცველობა ვიშის მინუსია, ხოლო ბრომისა და იოდოვანი ნატრიუმის შემცველობა ბორჯომის პლიუსია“. ასევე გადაჭრით აძლევენ უპირატესობას ბორჯომს ვიშთან შედარებით კუჭ-ნაწლა-

ვების და მთელ რიგ სხვა დაავადებათა დროს პროფესორები: ი. ნ. ობოლენსკი, პ. ი. კოვალევსკი, ო. ვოლფკოვიჩი და სხვები.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე ეს იწერებოდა იმ დროს, როცა მოსახლეობის მაღალ და მდიდარ წრეებში გავრცელებული იყო ქედმოხრილობა საზღვარგარეთის წინაშე, როცა რუს არისტოკრატებს თავი მოჰქონდათ იმით, რომ რუსულად ლაპარაკის დროს იშველიებდნენ ფრანგულს, რომ მხოლოდ საზღვარგარეთული აქცენტით შეეძლოთ რუსულად ლაპარაკი. კურორტი ვიში კი იმ დროს მთელ ევროპაში იყო განთქმული; წყლის ჩამოსხმა ყოველწლიურად 25 მილიონ ბოთლს აღწევდა. ფრანგი კაპიტალისტები, რომელთა ხელშიც იყო მთლიანად ვიშის წყაროების ექსპლოატაცია, მთელ მსოფლიოში ეწეოდნენ მათ რეკლამირებას. ისინი ვიშის წყალს მსოფლიოში უნიკალურ წყალს უწოდებდნენ და ამავე დროს, ცხადია, ბორჯომს არც ერთი სიტყვით არ იხსენიებდნენ.

სამეცნიერო მივლინების დროს ჩვენ მოგვიხდა პარიზში ყოფნა და, რასაკვირველია, ვისარგებლეთ შემთხვევით, რომ გვენახა ეს განთქმული კურორტი. თვითონ წყაროსთან ვიშის წყალი გემოთი ძალიან მოგვაგონებს ბორჯომის № 1 წყაროს წყალს, მაგრამ ვიშის ბოთლის წყალი არ შეიძლება შევადაროთ ბორჯომის წყალს—ბორჯომის გაზიანი ბოთლის წყალი გემოთი გაცილებით უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ვიშის წყალი; რაც შეეხება ვიშისა და ბორჯომის ბუნებრივ და კლიმატურ პირობებს, უნდა ითქვას, რომ მათი შედარებაც არ შეიძლება, რადგან შეუძლებელია შევადაროთ ვიში მისი ღარიბი ბუნებითა და ცუდი კლიმატური პირობებით (ზაფხულში იქ აუტანელი სიცხე იცის) ბორჯომის ზღაპრულ ბუნებასა და მის შესანიშნავ კლიმატურ პირობებს. ერთხელ კიდევ დავიმოწმოთ პ. ი. ჩაიკოვსკი, რომელმაც თავის სიცოცხლეში ბევრი ადგილი ინახულა ევროპასა და ამერიკაში, მრავალჯერ იყო იგი ვიშშიც, და მაინც გადაჭრით და აღტაცებით წერდა ბორჯომზე, რომ „ეს ერთ-ერთი შესანიშნავი ადგილია, რომელიც კი მე მინახავს მსოფლიოში“-ო.

1892 წელს პ. ი. ჩაიკოვსკი იყო ვიშში. იმავე წლის 20 ივნისს დაწერილ წერილში პ. ი. ჩაიკოვსკი წერდა პ. ი. იურგენსონს: „იმაზე უფრო მოსაწყენი, უფრო საზიზღარი, ვიდრე ვიშია, მე არაფერი ვიცი; ერთ კვირასაც ვერ გავძლებდი აქ, ჩემთან რომ ჩემი დისწული დავიდოვი არ იყოს, რომელსაც ვიშში ყოფნა უფრო ესაჭიროება, ვიდრე მე. დღეები თვეებივით გრძელდება,



ბორჯომი. მინერალური წყარო № 1 (ყოფილი ეკატერინეს სახელობისა) სერგო ორჯონიკიძის სახელობის მინერალურ წყაროთა პარკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბორჯომი. ბალნეო-ფიზიოთერაპიული სამკურნალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მე ზიზღით ვიგონებ, რომ კიდევ ორი კვირა დამრჩა აქ საცხოვრებლად". ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორია ვიშის ბუნება და კლიმატური პირობები. რასაკვირველია, იგი ბორჯომის მშვენიერებას ვერ შეედრება.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბორჯომის მინერალური წყლები ძირითადად სასმელი წყლებია. სახელგანთქმული კლინიცისტი პროფესორი გ. ა. ზახარინი წერდა: „მაგრამ რაც არ უნდა დიდი იყოს ბორჯომის მომავალი აყვავება-განვითარება, რაც არ უნდა გადიდდეს იქ მიმსვლელ ავადმყოფთა რიცხვი, ეს რიცხვი ყოველთვის უმნიშვნელო იქნება ისეთ ავადმყოფთა რიცხვთან შედარებით, რომლებისათვისაც შესაძლოა სასარგებლო იყოს ბორჯომის მინერალური წყლები, მაგრამ რომლებსაც ოცნებაც არ შეუძლიათ ბორჯომში წასვლაზე. ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული წყლების სამკურნალო მოქმედების ცოდნა მათი ადგილსამყოფელის გარეშე, სხვა ადგილზე გადაზიდვის შემდეგ".

მას შემდეგ, რაც ეს სტრიქონები დაიწერა, ბევრი რამ შეიცვალა. ახლა აღარ არიან ისეთი ავადმყოფები, „რომლებსაც ოცნებაც არ შეუძლიათ ბორჯომში წასვლაზე". ის, რაზედაც ძველ დროს „ფიქრიც" არ შეეძლოთ ავადმყოფებსა და მათ, ვინც დასვენებას საჭიროებდა, ის, რაც კაპიტალისტურ ქვეყნებში დღესაც მიუწვდომელია მშრომელებისათვის, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში სინამდვილედ იქცა: სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ხშირი ქსელით დაიფარა ყველა ჩვენი კურორტი, მათ რიცხვში ბორჯომიც, სადაც ავადმყოფები სახელმწიფოს ხარჯზე სარგებლობენ ყველა სახის მკურნალობით.

მაგრამ ერთ რამეში უდავოდ სწორია პროფ. გ. ა. ზახარინი— იმ ავადმყოფთა რიცხვი, რომლებიც სარგებლობენ ბორჯომის მინერალური წყლებით ადგილობრივ, ბორჯომში, ყოველთვის ნაკლები იქნება იმ ავადმყოფთა რიცხვზე, რომლებიც ამ წყალს საჭიროებენ.

ბორჯომის წყლის შენახვისა და გადაზიდვისათვის საჭიროა მისი დაგაზიანება. ბუნებრივად ისმება კითხვა: რა გავლენას ახდენს დაგაზიანება, გადაზიდვა და შენახვა ბორჯომის წყლის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე? დამტკიცებულია, რომ ამ წყლის თვისებაზე თვით ბოთლის ფერი და თვისებაც, თვით საცობიც კი მოქმედებს. რაღა უნდა ვთქვათ ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, როგორიც არის დაგაზიანება?

ეს საკითხი მეცნიერთა მიერ ხანგრძლივი შესწავლის საგანს წარმოადგენდა. ჩატარდა მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული და

კლინიკური დაკვირვებები. შევეხოთ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანს.

ბორჯომის წყლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების უცვლელად შენახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წყლის რაციონალურ ჩამოსხმას. ცხადია, საჭიროა ყველა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, რათა არ მოხდეს წყლის გაჭუჭყიანება. მაგრამ ყველაზე მთავარი—ესაა რაციონალური ბალნეოტექნოლოგიური წესების დაცვა. თვით ბოთლის ფერსა და შუშის შემადგენლობას დიდი მნიშვნელობა აქვს. დამტკიცებულია, რომ ნათელი შუშის ბოთლებში ჩასხმულ ბორჯომის წყალში, ფოტოქიმიური პროცესების გამო, უფრო სწრაფად ჩნდება ნალექი, ვიდრე მუქი შუშის ბოთლებში. ამიტომაა, რომ ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმა ყოველთვის მუქი ფერის ბოთლებში წარმოებს.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს საცობ მასალას. დიდიხნიდან ხმარობდნენ საცობად კორპის მუხის ქერქს, არა მარტო ბორჯომის, არამედ სხვა მინერალური წყლებისათვისაც. საცობის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი საკმაოდ რთულია, და, მაინც, ყველა წესის დაცვითაც კი, ყოველთვის რიდი აღწევს მიზანს.

ყველაზე სერიოზულ მტერს მინერალური წყლების, განსაკუთრებით ისეთი შემადგენლობის წყლების ჩამოსხმისას, როგორც ბორჯომის წყალია, ჰაერი წარმოადგენს. ბორჯომის წყლის ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილები, როგორიცაა რკინა, კალციუმი, მაგნიუმი და კაჟნარი, წყლის ჩამოსხმისას ბოთლებში ჟანგბადის შესვლის შემთხვევაში იწვევს მარილების გამოყოფას და უხსნადი ნალექის წარმოქმნას თიფქის სახით, რაც საგრძნობლად ამცირებს წყლის სამკურნალო თვისებას. საცობი მასალა, ამ შემთხვევაში კორპის მუხის ქერქის საცობი, ისე უნდა ხურავდეს ბოთლს, რომ არც გაზს შეეძლოს იქიდან გამოსვლა და არც ჰაერს—შესვლა.

რადგან აღნიშნულმა საცობმა ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება, ამ ცოტა ხნის წინათ გადავიდნენ სხვა საცობ მასალაზე—კრონენკორკებზე—ლითონის საცობზე. ის უკეთ უზრუნველყოფს გაზის შენარჩუნებას ბოთლში და არ უშვებს მასში ჰაერს.

მთელი ის რთული მუშაობა, რაც წყლის ჩამოსხმას სჭირდება—ჭურჭლის გარეცხვა, ცარიელ ბოთლებში ბორჯომის წყლის სავალდებულო გამოვლება, გაზაცია, დაცობა და ა. შ.—ამჟამად სავსებით მექანიზირებულია. ყოველივე ამას ასრულებს საბჭოთა ქარხნებში ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული გაუმჯობესებული მანქანები ამ მნიშვნელოვანი პროცესისადმი ადამიანის

ხელის მიუკარებლად. ადამიანი მხოლოდ თვალყურს ადევნებს მანქანების მუშაობას და მათ წესრიგში ყოფნას.

ბორჯომის წყლის ჩამოსხმის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საჭირო ტექნოლოგიური პროცესის გულმოდგინე დაცვას. შემოღებული წესების ოდნავი დარღვევა გავლენას ახდენს წყლის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე და საბოლოო ანგარიშში მკურნალობის ეფექტიანობაზეც.

ბუნებაში სავსებით იდენტური წყლები საერთოდ არ არსებობს; თითოეულ მინერალურ წყალს თავისი განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებები აქვს; ბორჯომის წყალი განსაკუთრებით მდიდარია თავისი შემადგენელი ნაწილებით. საბჭოთა კავშირში არსად არ მოიპოვება ბორჯომის წყლის სავსებით თანაბარი ტუტოვანი-ნახშირმჟავა წყლები. მართალია, საქართველოში არსებობს სხვა წყლებიც, რომლებიც თავისი შემადგენლობით ძალიან ახლოს არიან ბორჯომის წყალთან. ასეთია უწერის, ავადხარისა და ნაბელლავის მინერალური წყლები, მაგრამ ისინი ბორჯომის მინერალური წყლის სრულ ანალოგებს, ბორჯომის გამეორებას არ წარმოადგენენ.

სწორედ ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა ყველა ტექნოლოგიური პროცესის დაცვას ბორჯომის წყლის ჩამოსხმის დროს; ამიტომ არის, რომ წყლის სწორად ორგანიზებული ჩამოსხმის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მინერალური წყლის ბუნებრივი თვისებების შენარჩუნება მთელი ასი პროცენტით.

ბორჯომში განხორციელებულია ყოველი ღონისძიება, რასაც კი თანამედროვე მეცნიერება იძლევა, რათა შემადგენლობით ამ განსაკუთრებულმა სამკურნალო წყალმა მიაღწიოს მომხმარებლამდე თავისი ბუნებრივი სახით, ყოველგვარი, თვით უმნიშვნელო ცვლილებების გარეშე—გამჭვირვალე, კრისტალურად წმინდა სახით, ოპალესცენციისა და ფიფქისებრივი ნალექების გარეშე.

ყველა მნიშვნელოვანი მეცნიერული შრომა, რომელიც საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის დავალებით შესრულდა უკანასკნელ წლებში სპეციალურად ამ მიმართულებით, ამტკიცებს, რომ ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმა მეცნიერულ საფუძვლებზე წარმოებს, რომ ზედმიწევნით დაცულია ყველა ტექნოლოგიური პროცესი და მომხმარებელიც ბორჯომის წყალს ღებულობს მისი ბუნებრივი სახით, ფიზიკურ-ქიმიური თვისებების რაიმე ცვლილებების გარეშე.

ცნობილია, რომ ბორჯომის მინერალური წყლის დაგაზიანება ხდება ნახშირმჟავა აირით.

ხომ არ მოქმედებს გაზაცია უარყოფითად წყლის ფიზიკურ-ქიმიურ შემადგენლობაზე და, საბოლოო ანგარიშში, ადამიანის ორგანიზმზე?

მეცნიერებმა ეს საკითხიც შეისწავლეს განსაკუთრებით აქტიურად და ნაყოფიერად—საბჭოთა პერიოდში, ვინაიდან ძველ დროს არ გააჩნდათ კვლევის ზუსტი მეთოდები და მეცნიერული მუშაობისათვის საჭირო ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორიც ამჟამად გვაქვს.

საინტერესოა განვიხილოთ ის შრომები, რომლებიც სავსებით ზუსტ პასუხს იძლევიან ზემოთ დასმულ კითხვაზე.

საკითხი წყლის შემადგენლობის შესახებ წინათაც შეისწავლებოდა, ხოლო მისი შეფუთვის, შენახვისა და ტრანსპორტის საკითხები „ცარიელ ადგილად“ რჩებოდა. ამიტომ არის, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის ინსტიტუტის ქიმიკოსთა ა. ი. ვარშამოვას და ს. ა. გეგეჭკორის საინტერესო და რთულ, ხანგრძლივ მუშაობას. თავის დაკვირვებათა შედეგი მათ გამოაქვეყნეს 1946 წელს.

ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გამოკვლევებით დამტკიცებულ იქნა, რომ ამ წყლის მოქმედების ბიოლოგიური ეფექტი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მასში რკინის აქტიურ ნაერთთა არსებობისაგან.

ახლად აღებული ბორჯომის წყალი სავსებით გამჭვირვალეა, არ შეიცავს ჟანგბადს, რის გამოც მასში არსებული რკინის ქვეჟანგის ბიკარბონატი ხსნადი სახით იმყოფება. სრულიად სხვა მოვლენა აღინიშნება, როცა წყალი ჰაერზე დგას, თუნდაც სულ ცოტა ხნით; ამ შემთხვევაში, ჟანგბადის შთანთქმისა და ნახშირმჟავას დაკარგვის გამო, რკინის ბიკარბონატი იშლება, რკინის ქვეჟანგი ჟანგბადის ზეგავლენით გადადის ჟანგში, ხოლო შემდეგში ბოთლში წარმოიქმნება ნალექი და ჩნდება სიმღვრივე. ამ პროცესში, გარდა რკინისა, მონაწილეობას იღებს აგრეთვე კალციუმი, კაჟნარი და მაგნიუმი.

ავტორებმა შემდეგი საინტერესო დაკვირვებები ჩაატარეს.

მინერალური წყალი თვითონ წყაროსთან იქნა ჩასხმული ნახევარლიტრიან ბოთლებში, ამასთან, ბოთლების ერთ ნაწილს დაუცვეს ლიფონის საცობი, ეგრეთწოდებული კრონენკორკები, მეორე ნაწილს—ჩვეულებრივი მუხის საცობი, წყლით სავსე რამდენიმე ბოთლი კი ღიად დატოვეს. სინათლის ფაქტორისა და შუშის თვისების გავლენის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად ბოთლების ერთი ნაწილი—ღია ფერისა, ინახებოდა სინათლეზე, ხოლო მეორე ნაწილი—მუქი ფერისა—სიბნელეში. ამგვარად დაცობილი ბოთლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინერალური წყლით ინახებოდა ნაწილი ჰორიზონტალურ, ნაწილი კი ვერტიკალურ მდებარეობაში.

მინერალური წყლის ყოველნაირი შენახვისას შეისწავლიდნენ მასში გამოყოფილ ნალექებს და ფილტრატს, ამასთან დროის სხვადასხვა შუალედში: 3—6—12 საათის შემდეგ, 24—48—72 საათის შემდეგ, აგრეთვე 5—15 დღე-ღამისა და 90 დღე-ღამის შემდეგაც კი. ფილტრატში ირკვეოდა: ჰიდროკარბონატი, ქლორი, კალციუმი, მაგნიუმი და რკინა, ხოლო ნალექში—რკინა, კალციუმი, მაგნიუმი და კაჟნარი.

ამ გამოკვლევის შედეგად გამოირკვა, რომ როგორც ღია, ისე დახურულ ბოთლებში წარმოებს ნახშირმჟავას დაკარგვა. დახურულ ბოთლებში საშუალოდ იგი 51%-დე იკარგება. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ბორჯომის მინერალური წყალი თავისი ბუნებრივი სახით, წყაროდან აღებული, ყოველგვარი შენახვისას, დაგა ზიანების გარეშე, მნიშვნელოვნად კარგავს ნახშირმჟავას, რასაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს მინერალური წყლის ყველა თვისების შენარჩუნებისათვის.

ბორჯომის მინერალური წყლის სხვა შემადგენელ ნაწილთა შესახებ გამოირკვა, რომ შენახვისას საგრძნობ ცვლილებებს განიცდის ჰიდროკარბონატის შემცველობაც, მცირდება კალციუმი და მაგნიუმი; მხოლოდ ქლორი რჩება თითქმის უცვლელ მდგომარეობაში. განსაკუთრებით დიდ ცვლილებებს განიცდის რკინა. წყლის ჩამოსხმიდან უკვე სამი საათის შემდეგ რკინის დანაკლისი დაცობილ ბოთლებში 32,4% უდრის, ხოლო ღია ბოთლებში—64,9%. მომდევნო საათებში დალექვა უფრო ნელა მიმდინარეობს და მესამე თვის დამლევს იგი დახურულ ბოთლებში 72,7% აღწევს, ხოლო ღია ბოთლებში—97,4%. უნდა აღინიშნოს, რომ რკინის დალექვა ღია ფერის ბოთლებში გაცილებით უფრო ჩქარა წარმოებს, ვიდრე მუქი ფერის ბოთლებში. რაც შეეხება ბოთლების შენახვას ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ მდებარეობაში, ეს ფაქტორი არ მოქმედებს წყლის შემადგენლობაზე.

ამრიგად, გამოდის, რომ უშუალოდ წყაროდან აღებული ბორჯომის მინერალური წყალი, გაზის გარეშე, მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის ქიმიური შემადგენლობის მხრივ.

ამის თავიდან აცილება შეიძლება წყალში ნახშირმჟავა გაზის შეშვებით. ეს სრულ გარანტიას იძლევა, რომ წყლის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებში არავითარი ცვლილება არ მოხდება და რომ სავსებით შესაძლებელია წყალი ბოთლებში შენახული ვიქონიოთ. ამ გარემოების პრაქტიკული მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია,

ვინაიდან ცნობილია, რომ იმ პირთა რიცხვი, რომლებიც იძენენ ბორჯომის წყალს შინ სახმარებლად, მნიშვნელოვნად აღემატება იმ ავადმყოფთა რიცხვს, რომლებსაც შესაძლებლობა აქვს უშუალოდ წყაროსთან სვან წყალი. მაგრამ იბადება კითხვა, როგორ გავლენას ახდენს ნახშირმჟავა გაზი მინერალური წყლის ფიზიკურ-ქიმიურ შემადგენლობაზე?

ამ საკითხის გადასაჭრელად ჩატარებულ იქნა გაზიანი წყლის დეტალური გამოკვლევა იმავე წესით შენახვისას, როგორც ზემოთ იყო აღწერილი. წყლის მრავალჯერი ქიმიური გამოკვლევით, წყაროდან დაწყებული ჩამოსხმის ადგილამდე, უდავოდ დამტკიცებულ იქნა, რომ მინერალური წყლის დაგაზიანება ნახშირმჟავა გაზით და მისი კარგად დაცობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში უზრუნველყოფს წყალს ნალექების წარმოქმნისაგან.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვეულებრივი ჩამოსხმის დროს დაცობილ ბოთლებში, წყალში, რომელიც უშუალოდ წყაროდან არის აღებული, ნახშირმჟავა გაზის გაუტარებლად, მღვრიე ნალექი მიიღება საკმაოდ ჩქარა—უკვე სამი საათის შემდეგ, ნახშირმჟავა გაზიან წყალში ნალექი ერთი თვის შემდეგაც არ მიიღება.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების უცვლელად შენარჩუნების მხრივ დიდი წარმატებების მიღწევა შეიძლება წყლის დაგაზიანებით. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ის გარემოებაც, რომ დაგაზიანება სრულიადაც არ აუარესებს წყლის საგემოვნო თვისებებს, პირიქით, წყალი უფრო სასიამოვნო გემოსი ხდება და ავადმყოფები მას ყოველთვის დიდი სიამოვნებით სვამენ.

თუმცა მრავალრიცხოვანი ქიმიური ანალიზებით დამტკიცებულია, რომ წყლის დაგაზიანება არ ცვლის მის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს და შესაძლებელს ხდის მის ტრანსპორტირებას და თვეების განმავლობაში შენახვას, მაინც უნდა ვალიაროთ, რომ არ შეიძლება სრული იგივეობა არსებობდეს წყაროდან აღებულ წყალსა და ბოთლებში ჩასხმულ წყალს შორის, მაგრამ სამკურნალო მიზნების მხრივ ამას არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა.

უნდა გავითვალისწინოთ,—ზემოთ ეს უკვე ხაზგასმით აღვნიშნეთ,—კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. საბჭოთა ექიმებმა, რომლებიც აღზრდილი არიან დიდი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის მოძღვრების საფუძველზე, კარგად იციან, რომ დადებითი წარმატება, რასაც ჩვენ ბორჯომში მთელ რიგ დაავადებათა მკურნა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. პეტრესციხე ლიკანში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. გოგიასციხე მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობისას ვლებულობთ, აიხსნება არა მხოლოდ მინერალური წყლის მოქმედებით, არამედ მკურნალობის მრავალრიცხოვანი ფაქტორების კომპლექსური ზემოქმედებით. მკურნალობაზე დადებით გავლენას ახდენს კლიმატური პირობებიც, დასვენებაც, რაციონალური დიეტაც, ფიზკულტურაც, ბუნებაც და მთელი სანატორიულ-საკურორტო რეჟიმიც.

ბორჯომის მინერალური წყლის ქიმიური ანალიზი წარმოებს სისტემატურად თითქმის 100 წლის განმავლობაში. პირველად ქიმიური ანალიზი ჩაატარა ვილემსმა 1851 წელს; მანამდეც აწარმოებდნენ ანალიზებს, მაგრამ არასრულს, მაგალითად, 1846 წელს გაკეთებული იყო ანალიზი კერსტენის მიერ, შემდგომ ანალიზებს ატარებდნენ: გ. სტრუვე, პროფ. პ. გ. მელიქიშვილი, პროფ. მ. ი. შალამბერიძე, რ. დ. კუპცისი და სხვები.

ბორჯომის მინერალური წყაროს (№ 1) ქიმიური შემადგენლობა

ერთი ლიტრი წყალი შეიცავს	გრამები	მილიეკვივალენტები	ეკვივალენტი %
კატიონები			
ამონიუმი NH^4	0,0056	0,31	0,41
ნატრიუმი+კალციუმი (Na+K)	1,5124	65,76	87,72
მაგნიუმი Mg	0,0357	2,94	3,92
კალციუმი Ca	0,1039	5,19	6,92
რკინა Fe	0,0023	0,08	0,11
ალუმინიუმი Al	0,0062	0,69	0,92
სულ	1,6661	74,97	100
ანიონები			
ჰიდროკარბონატი $HCO_{,2}$	3,9041	63,99	85,36
სულფატი $SO_{,4}$	0,0028	0,06	0,08
ქლორი Cl,	0,3870	10,91	14,55
ბრომი Br	0,0016	0,008	0,01
იოდი J.	0,0003	0,002	—
სულ	4,2958	74,97	100
არადისოცირებული მოლეკულები			
კაჟბადმჟავა H_2SiO_3	0,0428		
თავისუფალი ნახშირმჟავა CO_2	1,1900		
PH	6,8		
საერთო მინერალიზაცია	6,0047		
მშრალი ნაშთი	4,116		

კურლოვის ფორმულა: $CO^2_{1,2}\ M_6\ \frac{HCO^3_{85}}{Na_{88}}\ t\ 29^0$

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომის მინერალური წყაროს № 2 წყლის ქიმიური შემადგენლობა

ერთი ლიტრი წყალი შეიცავს	გრამები	მილიეკვივალენტები	ეკვივალენტი %
კატიონები			
ამონიუმი NH_4	0,0055	0,31	0,40
ნატრიუმი+კალიუმი (Na+K)	1,5896	69,12	88,23
მაგნიუმი Mg	0,0357	2,94	3,75
კალციუმი Ca	0,1136	5,67	7,25
რკინა Fe	0,0034	0,12	0,15
ალუმინიუმი Al	0.0016	0,18	0,22
სულ	1,7494	78,34	100
ანიონები			
ჰიდროკარბონატი HCO_3	4,0680	66,99	85,12
სულფატი SO_4	0,0030	0,07	0.09
ქლორი Cl	0,4105	11,26	14,76
ბრომი Br	0,0017	0,02	0,03
იოდი J	—	—	—
სულ	4,4832	78,34	100
არადისოცირებული მოლეკულები			
კაჟბადმჟავა H_2SiO_3	0,0471		
თავისუფალი ნახშირმჟავა CO_2	1,1040		
PH	6,7		
საერთო მინერალიზაცია	6,2586		
მშრალი ნაშთი	4,3300		

კურლოვის ფორმულა: $CO^2_{1,1}\ M_{6,2}\frac{HCO^3_{85}}{Na_{88}}t\,22,6^0$

1931 წლიდან ანალიზებს სისტემატურად აწარმოებს ქიმიკოსი ვ. ა. კრივოშია. გამოკვლევის ყველაზე სრულყოფილი და ზუსტი მეთოდები გამოყენებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ზემოთ მოვიყვანეთ № 1 და № 2 წყაროს წყლის ანალიზები. მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით მტკიცდება, რომ ამ წყაროების ქიმიური შემადგენლობა მუდმივია—მრავალი წლის განმავლობაში

არ იცვლება. ესეც ბორჯომის წყლის ერთ-ერთ დადებით თვისებას წარმოადგენს.

დამახასიათებელია, რომ ახალი წყაროები, რომლებიც აღმოჩენილ იქნა უკანასკნელ წლებში და რომელთაც მრავალჯერ გაადიდეს წყლის დებიტი, ქიმიური გამოკვლევისას სავსებით ისეთივე აღმოჩნდა, როგორც ძველი წყაროები.



ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიოლოგიური მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე

ბორჯომმა მსოფლიო სახელი მოიხვეჭა არა იმდენად თავისი განსაკუთრებული ბუნებრივი მონაცემებით და კლიმატური პირობებით, რამდენადაც, უმთავრესად, მინერალური წყლის სამკურნალო თვისებებით. ამ პირობების მოხდენილ შეხამებას არ შეეძლო არ მიეპყრო მკვლევართა ყურადღება. ამიტომ არის, რომ მეტად მცირეა ისეთ ბალნეოლოგიურ კურორტთა რიცხვი, რომელთა შესახებ იმდენი მეცნიერული შრომები არსებობდეს, რამდენიც ბორჯომის მინერალური წყლების შესახებ მოიპოვება.

ადამიანის ორგანიზმზე ბორჯომის მინერალური წყლების ფიზიოლოგიური მოქმედების საკითხისადმი მიძღვნილ მეცნიერულ ნაშრომთა რიცხვი უკვე დაახლოებით 250-დე ითვლება. ნაშრომთა ერთი ნაწილი ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს, მნიშვნელოვანი ნაწილი კი ავადმყოფებზე კლინიკურ დაკვირვებათა შედეგს წარმოადგენს. ჩვენ არ ვფიქრობთ გადმოვცეთ აქ ამ ნაშრომთა განხილვა ქრონოლოგიური წესით—მკითხველისათვის ეს არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს. შევჩერდებით იმ ნაშრომებზე, რომლებიც დაეხმარება მკითხველს უკეთ გაერკვეს ისეთ საკითხებში, როგორიცაა ორგანიზმზე ამ მინერალური წყლების მოქმედება, მათი გამოყენების ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი, წყლის დოზირებისა და მიღების დრო. არ მოვიყვანთ აქ სადავო საკითხებს, პოლემიკას მეცნიერთა შორის. ჩვენ გადმოვცემთ მხოლოდ იმას, რაც დღეს მიღებულია თითქმის ყველა მეცნიერის მიერ, როგორც მრავალი წლის კლინიკურ დაკვირვებათა და ექსპერიმენტული მონაცემების უდავო შედეგი; ჩვენ შევეცდებით პოპულარულად გადმოვცეთ ძირითადი და მიღებული მონაცემები ამ წყლის მნიშვნელობის შესახებ ავადმყოფებისათვის.

ბორჯომის მინერალური წყლების შესახებ არსებული ნაშრომები იყოფა ორ ჯგუფად. ერთი მათგანი, შედარებით მცირე,—ესაა საბჭოთა წინა პერიოდის ნაშრომები; მეორე, მნიშვნელოვანი—საბჭოთა პერიოდში შესრულებული შრომები. ზედმეტია იმის მტკი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბორჯომი. მდინარე ბორჯომული.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. საკურორტო სამმართველოს სასტუმრო.

ცება, რომ საბჭოთა პერიოდის შრომები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს როგორც ჩატარებულ გამოკვლევათა ოდენობით, ისე გამოკვლევათა მეთოდებისა და კლინიკურ დაკვირვებათა სრულყოფით.

ჩვენ აქ შევეხებით ორივე პერიოდის მნიშვნელოვან ნაშრომებს, მაგრამ თავდაპირველად მოვახდინოთ მცირე ექსკურსია ისტორიის დარგში.

საკმაოდ ღარიბი ისტორიული მონაცემების მიხედვით, 125 წლის წინათ, როცა პირველად იქნა აღმოჩენილი „ოფიციალურად“ ბორჯომის მინერალური წყაროები, არავინ არ იყენებდა ამ წყალს სასმელად. ბორჯომის მინერალური წყალი პირველად გასინჯულ იქნა აბაზანებისათვის. თუ მიმოვიხილავთ ძველი ქართული მედიცინის ძეგლებს, რომლებიც XIII საუკუნეს ეკუთვნის („წიგნი სააქიმოი“, გვ. 31), ჩვენ იქ წავაწყდებით ცნობებს თბილი აბაზანების დანიშნულებისა და აბაზანებით მკურნალობის წესების შესახებ. XVI საუკუნის შესანიშნავ ისტორიულ ძეგლში („იადიგარ დაუდი“ (დავითის მახსენებელი), გვ. 110) გასაოცარი სიზუსტით და საქმის ცოდნით არის ლაპარაკი წყლის ტემპერატურაზე, აბაზანის ხანგრძლიობასა და მის მოქმედებაზე. კითხულობ და გაოცებს ამ წიგნების შემდგენელთა გამოცდილება და დაკვირვების უნარი ჩვენგან შორეულ დროში.

ძველი დროის ქართული მედიცინის ზემოთ მოყვანილ ისტორიულ ძეგლებში თითქმის არაფერია ნათქვამი მინერალური წყლების სასმელად გამოყენების შესახებ. იქ ლაპარაკია მხოლოდ აბაზანებზე. იმ დროს ცნობილი იყო საქართველოს ზოგიერთი მინერალური წყაროს—მაგალითად, წყალტუბოსი, თბილისის და ზოგიერთი სხვა მინერალური წყაროს არსებობა. თაობიდან თაობაში გადადიოდა აზრი მინერალური წყლების გამოყენების სარგებლობის შესახებ აბაზანების სახით და არა სასმელად; უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე ბედი ეწია ბორჯომის მინერალურ წყალსაც, რომელსაც მხოლოდ აბაზანების სახით იყენებდნენ. ამავე დროს ამ წყლის მთავარ ღირსებას სწორედ სასმელად მიღება შეადგენს. ბორჯომის წყალი, ძირითადად, სასმელ წყალს წარმოადგენს; აბაზანებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ბორჯომის წყლის აბაზანების გარეშე შესაძლებელია ოდლად წასვლა, ხოლო მთელ რიგ ავადმყოფობათა დროს ამ წყლის მიუღებლად ოდლად ვერ წახვალ, ხელოვნურად მას ვერაფრით შეცვლი.

ბორჯომის მინერალური წყლები პირველად გამოყენებულ იქნა სასმელად 1842 წელს, როდესაც სამხედრო ექიმმა ს. ა. ამიროვმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სიფრთხილით დაუნიშნა დასალევად ეს წყლები ერთ-ერთ ავადმყოფ ქალს დღეში არა უმეტეს ორი ჭიქისა. შემდგომ იგი თანდათან ადიდებდა მინერალური წყლის დოზას და ზოგ შემთხვევაში სასმელად უნიშნავდა 12-დე ჭიქა წყალს დღეში. მინერალურ წყალს იგი იყენებდა სულ სხვადასხვაგვარ დაავადებათა დროს– რევმატიზმის, კანის პარტახტის, შარდის შეკავების, ზოგიერთ ნერვულ დაავადებათა დროს და სხვ.

ს. ა. ამიროვის დაკვირვებებს ამჟამად ჩვენთვის მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან დოზირებაც და ჩვენებებიც ამ წყლის გამოყენებისათვის, რომლითაც ხსენებული ექიმი სარგებლობდა, მიუღებელია მეცნიერული თვალსაზრისით. პირიქით, ამ წყაროების დაწვრილებითმა შესწავლამ გამოარკვია, რომ ავადმყოფს არ უნდა მივცეთ წყალი ისე, როგორც აძლევდა მას ს. ა. ამიროვი. მისი დამსახურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა გამოთქვა აზრი ბორჯომის წყლის სარგებლობაზე, როგორც დასალევი წყლისა, რასაც შემდეგ მოჰყვა სხვა ავტორების გამოკვლევები და დაკვირვებანი.

ექიმმა ს. ანანოვმა ჯერ კიდევ 1871 წელს გამოაქვეყნა თავისი დაკვირვებანი კუჭ-ნაწლავის კატარით დაავადებულ ავადმყოფებზე ლორწოს და მჟავების ჭარბი წარმოქმნით; ამასთან, მკურნალობის ეფექტიანობას ის ხსნიდა კუჭის წვენის მჟავობის ნეიტრალიზაციით მინერალური წყლის გავლენის შედეგად და ნახშირმჟავას მოქმედებით ნაწლავთა პერისტალტიკის გადიდებაზე. იგივე ს. ანანოვი მხურვალედ იცავდა სუნთქვისა და საშარდე ორგანოების შეუპოვარი კატარის მკურნალობის მიზანშეწონილობას ბორჯომის მინერალური წყლებით, აგრეთვე ამ წყლებით მკურნალობას იმ შეთხვევაში, როცა საჭიროა ანთებითი ინფილტრატის განწოვის დაჩქარება.

შაქრიანი დიაბეტისა და ნეფრიტის დროს პირველად დიდი წარმატებით გამოიყენა ბორჯომის წყალი ექიმმა ე. ი. შმიდტმა 1883 წელს.

იმ წლებში სხვა ექიმებიც იკვლევდნენ ბორჯომის წყლის მოქმედებას ავადმყოფებზე და ყველა ისინი ძირითადად ეთანხმებიან იმ შედეგებს, რომლებიც მიღებულია ზემოაღნიშნული ავტორების მიერ. ცხადია, თანამედროვე შეხედულებათა მიხედვით, მათი ნაშრომებიდან მრავალი რამ უარყოფილია, და ეს სავსებით გასაგებიცაა, რადგან ისინი თავიანთ დაკვირვებებს აწარმოებდნენ არა კლინიკებში ან ექსპერიმენტულ-ფიზიოლოგიურ ლაბორატორიებში, არამედ, უაღრესად პრიმიტიულ პირობებში. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ მათ ნაშრომებში ბევრი რამ სწორია და მისაღები.

ბორჯომის მინერალური წყლების შემდგომი შესწავლა ძირითადად გადატანილ იქნა იმდროინდელ რუსულ კლინიკებსა და ლაბორატორიებში. ამ დაწესებულებებიდან გამოსული შრომები უფრო საფუძვლიან ხასიათს ატარებს და მთელ რიგ ავტორთა მიერ მიღებული მონაცემები დღემდე თავის მნიშვნელობას არ კარგავს. ეს ავტორები დაკვირვებათა ჩასატარებლად სარგებლობდნენ დაგაზიანებული ბოთლის წყლით და არა უშუალოდ წყაროდან აღებული წყლით. მაგრამ, როგორც ახლა უკვე ცნობილია, ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობა გაზაციის შედეგად არ იცვლება და ძველ ავტორთა მონაცემები ბევრ რამეში თანამედროვე ავტორთა მონაცემებს ემთხვევა.

პირველ ყოვლისა ცნობილი გახდა, რომ იმ დაავადებათა შორის, რომელთა მკურნალობაც ნაჩვენებია ბორჯომის მინერალური წყლებით, მთავარი ადგილი უჭირავს კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ნივთიერებათა ცვლის დაავადებებს. თუ გადავსინჯავთ ბორჯომის სანატორიუმებისა და პოლიკლინიკების ფრიად დიდ მასალას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ბორჯომის წყალი სწორედ კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ნივთიერებათა ცვლის დაავადებათა დროს იძლევა საუკეთესო შედეგებს. ბორჯომში სამკურნალოდ მიმავალ ავადმყოფთა ყველაზე მეტ რაოდენობას შეადგენენ ამ ორგანოების სნეულებით დაავადებულნი.

როდესაც დიდად გამოცდილი კლინიცისტი პროფ. გ. ა. ზახარინი არკვევდა საკითხს კუჭ-ნაწლავთა დაავადების დროს მინერალური წყლების მოქმედების შესახებ, სტუდენტებისათვის წაკითხულ ლექციებში ამბობდა: „მინერალური წყლების თერაპიული ეფექტიანობის ცოდნა მოპოვებულია დიდი ხნის წინათ, როცა მედიცინა და ბალნეოლოგია ჯერ კიდევ სრულიად განუვითარებელი იყო. საჭირო შეიქნა დიდი შრომა, დიდი წარმატებანი დიაგნოსტიკის, საერთოდ პათოლოგიისა და თერაპიის დარგში, აგრეთვე მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობის ცოდნა. ეს საუკუნოვანი გამოცდა ბორჯომის მინერალურმა წყლებმა ღირსეულად ჩააბარეს: რაც უფრო სწავლობდნენ ამ წყლებს, მათი მნიშვნელობა არა თუ მცირდებოდა, არამედ თანდათან იზრდებოდა, და ახლა, წინანდელთან შედარებით, იგი გაცილებით უფრო დიდია“.

მას შემდეგ მრავალი ათეული წელი გავიდა, მეცნიერებამ მინერალური წყლების შესახებ დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ახლაც არსებობს გადაუწყვეტელი საკითხები. ამიტომ სავსებით მართალია პროფ. ა. ნ. ოგილვი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც წერდა: „ბალნეოლოგიამ თავისი ხანგრძლივი არსებობის პე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიოდში განვითარების დიდი გზა განვლო. მისტიკური ბალნეოლოგიიდან ემპირიული ბალნეოლოგიით იგი მეცნიერულ-ექსპერიმენტულ ბალნეოლოგიამდე მივიდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბალნეოლოგიაში ხშირად ახლაც ვერ ვხვდებით მინერალური წყლების სამკურნალო თვისებების ნამდვილ მეცნიერულ გაგებას".

ბორჯომის მინერალური წყლების პოპულარობა თანდათან იზრდებოდა. უკვე შეუდგნენ მოხსენებების კითხვას ამ წყლების მოქმედების შესახებ ადამიანის ორგანიზმზე არა მეცნიერულ საზოგადოებათა მცირე აუდიტორიებში, არამედ პიროგოვის ყრილობებზე. პირველი საფუძვლიანი მოხსენება გაკეთებულ იქნა პიროგოვის სახელობის ექიმთა III ყრილობაზე 1885 წელს ექიმ ა. შჩერბაკოვის მიერ პროფ. ჩერნოვის კლინიკიდან. თავის მოხსენებაში მან განიხილა კუჭის დაავადებანი, რომელთა დროსაც ძირითადად ის იყენებდა ეკატერინეს წყაროს (ახლანდელ № 1 წყაროს) წყალს გამთბარი სახით, 2—3 ჩაის ჭიქას დღეში. მისი მოხსენების დასკვნებს მეცნიერები ახლაც იზიარებენ, ვინაიდან ა. შჩერბაკოვი განსაკუთრებით კარგ შედეგებს იღებდა კუჭის მჟავე კატარის დროს, როცა ბორჯომის წყალი, მართლაც, საუცხოო შედეგებს იძლევა. იმავე შჩერბაკოვმა პირველად მიაპყრო ყრილობის ყურადღება ღვიძლისა და თირკმლის კენჭოვანი დაავადების დროს ბორჯომის წყლით მკურნალობის კარგ შედეგებს.

საკითხი ბორჯომის მინერალური წყლების შესახებ კვლავ შეიქნა პიროგოვის სახელობის ექიმთა მეხუთე ყრილობის განხილვის საგნად. მოხსენება გააკეთა ექიმმა ებერმანმა თავის კლინიკურ დაკვირვებათა საფუძველზე. ამჯერად (1894 წ.) ლაპარაკი იყო არა კუჭის დაავადებებზე, რომელთა საკითხს იხილავდნენ III ყრილობაზე, არამედ ნიკრისის შესახებ, რომლის მკურნალობის დროს ბორჯომის წყლით მომხსენებელმა კარგი შედეგი მიიღო. ექიმი ებერმანი ამტკიცებდა აგრეთვე, რომ მთელ რიგ დაავადებათა დროს შეიძლება ვიშის წყლები წარმატებით იქნეს შეცვლილი ბორჯომის წყლით. მინერალური წყლის დოზას იგი განსაზღვრავდა დღე-ღამეში ნახევარი ლიტრიდან ერთ ლიტრამდე.

ექიმი ი. პ. ვიხოდცევი 11 წლის განმავლობაში (1895 წ.) მუშაობდა ბორჯომში. მან შეაგროვა როგორც ამბულატორიული, ისე სტაციონარული მდიდარი მასალა და, მრავალი წლის დაკვირვებათა საფუძველზე, გვირჩევდა ბორჯომის წყლის გამოყენებას კუჭის კატარის, ნაღვლის სადინართა ქრონიკული ანთების, ღვიძლისა და თირკმლების კენჭების დროს. განსაკუთრებით კარგ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბორჯომი. ერთ-ერთი კუთხე პარკში.

ბორჯომი. სანატორო ქუჩა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შედეგებს იღებდა იგი ნიკრისით დაავადებულებში ბორჯომის წყლის როგორც შიგნით მიღებისას, ისე აბაზანების სახით.

პროფ. პ. ი. კოვალევსკიმ პირველად მიაქცია ყურადღება იოდისა და ბრომის მიღების მიზანშეწონილებას ბორჯომის წყლით, ვინაიდან ამ შემთხვევაში უკეთ ხდება ამ წამლების შეთვისება და ისინი არ იძლევიან გართულებებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ.

ბორჯომის წყლის მოქმედების შესწავლას აწარმოებდა მთელი რიგი წლების განმავლობაში ხარკოვში თავის კლინიკაში პროფ. ი. ნ. ობოლენსკი. თუმცა ის უპირატესობას აკუთვნებდა ბორჯომის წყლის მიღებას უშუალოდ წყაროდან, მაგრამ ‘ან მთელ რიგ დაავადებათა დროს კარგი შედეგები მიიღო გაზიანი ბორჯომის წყლით სარგებლობითაც. განსაკუთრებით აღნიშნა მან ბორჯომის წყლის მნიშვნელობა ნივთიერებათა ცვლის დაავადებათა შემთხვევაში. „დიაბეტით დაავადებულნი,—წერდა პროფ. ი. ნ. ობოლენსკი,—წყლით მკურნალობისას იძლეოდნენ ძალიან კარგ შედეგებს, რაც გამოიხატებოდა შაქრის რაოდენობის შემცირებით, ხოლო ზოგჯერ მისი სრული გაქრობით შარდში, პირში სიმშრალისა და ძლიერი წყურვილის შემცირებით, მადის აღძვრითა და ავადმყოფის ძალების აღდგენით“.

უნდა ვიფიქროთ, რომ პროფ. ი. ნ. ობოლენსკის ჰყავდა ავადმყოფები დიაბეტის მსუბუქი მიმდინარეობით, როცა, მართლაც, დიეტის დაცვით ადვილად მივაღწევთ შაქრის გაქრობას შარდში და მის ნორმალიზაციას სისხლში. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ იმ დროს ინსულინი არ არსებობდა და ბორჯომის წყლით მკურნალობის შედეგად მის მიერ დიაბეტით დაავადებულებზე მიღებულმა კარგმა შედეგებმა დიდი კმაყოფილება გამოიწვია. მაგრამ ახლაც, როცა ინსულინი ასე ფართოდ და წარმატებით არის გამოყენებული, დიაბეტით დაავადებულთათვის ბორჯომის წყლის გამოყენებას სავსებით კანონიერი და ფართო გავრცელება აქვს.

არა ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა პროფ. ობოლენსკი ბორჯომის წყალს თირკმლისა და ღვიძლის კენჭით დაავადებათა შემთხვევაში. ის წერდა: „არა ნაკლებ სარგებლობას ვხედავდით. როცა ვუნიშნავდით ბორჯომის წყალს ნაღვლის ბუშტისა და თირკმელთა კენჭებით დაავადებულ ავადმყოფებს და აგრეთვე სიმსუქნით დაავადებულებს. როგორც თირკმლების, ისე ღვიძლის შეტევები უფრო იშვიათი ხდებოდა და თავის სიმწვავეს კარგავდა; თირკმლების კენჭით დაავადებულთა შარდში ქვიშა უფრო მატულობდა, რაც კენჭის თანდათან დაშლის მომასწავებელი იყო“.

ცხადია, ყველა ეს მოსაზრება ამჟამად არ შეიძლება მიღებულ იქნეს. მართლაც, ბორჯომის წყლის გავლენით გამოიყოფა უფრო მეტი შარდის ქვიშა, ანთებითი პროცესი ცხრება, ზოგჯერ გამოიყოფა უმნიშვნელო სიდიდის კენჭებიც, მაგრამ კენჭები არავითარ შემთხვევაში არ იშლება. ახლა კარგად არის ცნობილი და ყველას მიერ აღიარებული, რომ ვერავითარი მინერალური წყალი ვერ შლის კენჭებს ადამიანის ორგანიზმში, მათ რიცხვში ვერც ბორჯომის წყალი; მათ ვერ შლის აგრეთვე ვერც ერთი მედიკამენტი. ურყევი რჩება ერთი დებულება—განსაზღვრული შემადგენლობის კენჭების არსებობისას ამ დაავადებათა დროს ბორჯომის წყლის სისტემატური მიღება ნაჩვენებია, მაგრამ არა კენჭების დაშლის მიზნით, არამედ ავადმყოფთა საერთო მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესების მიზნით, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

ბორჯომის დიდი თაყვანისმცემელი იყო პროფ. ი. სკვორცოვი, რომელიც რიგ დაავადებათა დროს აღნიშნავდა ამ წყლების დიდ თერაპიულ მნიშვნელობას. ის განსაკუთრებით უჩიოდა იმ ძველ ექიმებს, რომლებიც ქედს იხრიდნენ უცხოეთის წყლების წინაშე. „ჩვენ ექიმთა და თვით პაციენტთა შორის,—წერდა პროფ. სკვორცოვი,—ამ მხრივ განსაკუთრებული „რწმენა“ არსებობს კარლსბადისა და მარიენბადის წყლების მიმართ. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ იმას, რომ მკურნალობა კარლსბადსა და მარიენბადში დიდი წარმატებით ტარდება, მაგრამ ასეთსავე წარმატებას ისევე იოლად შეიძლება მივაღწიოთ ბორჯომშიც შესაბამისი დიეტის საშუალებით ანდა ბოთლის წყლის გამოყენებითაც ავადმყოფის საცხოვრებელ ადგილზე“. საერთო სიმსუქნის მკურნალობისას ბორჯომის წყლით იგი შესანიშნავ შედეგებს აღწევდა ერთი კვირის განმავლობაში 1—2 კილოგრამის დაკლებით წონაში, ამასთან, ავადმყოფები განსაკუთრებულ შიმშილს არ განიცდიდნენ და მკურნალობას კარგად იტანდნენ.

ბორჯომის წყლის ფიზიოლოგიური მოქმედების საკითხს რამდენიმე დისერტაცია მიეძღვნა. საბჭოთა პერიოდამდე დაცული დისერტაციებიდან უნდა აღინიშნოს ორი ნაშრომი: ექიმ ს. ი. ვაწაძისა—კლინიკური ხასიათის და პროფესორ ა. ს. ალადაშვილისა—ექსპერიმენტული შრომა.

ექიმმა ს. ი. ვაწაძემ ჩაატარა დაკვირვება 10 ავადმყოფ და 6 ჯანსაღ ადამიანზე პროფ. დ. ი. კოშლაკოვის კლინიკაში, სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში; გარდა ამისა, ცდებსა და დაკვირვებებს ატარებდა თავის თავზე. მას აინტერესებდა საკითხი ბორჯომის მინერალური წყლების (ეკატერინეს და ევგენის წყაროე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა) გავლენის შესახებ ჯანსაღ და ავადმყოფ ადამიანთა კუჭის სეკრეტორულ ფუნქციაზე და შარდის მჟავობაზე. ჩატარებულ დაკვირვებათა შედეგად ექიმი ს. ი. ვაწაძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბორჯომის ორივე წყაროს მინერალური წყალი კუჭის წვენის საერთო რაოდენობის გადიდებასთან ერთად ადიდებს თავისუფალი მარილმჟავას შემცველობას და საერთო მჟავობას. რაც შეეხება შარდის მჟავობას, წყლის მცირე დოზებით მჟავობა თითქმის არ იცვლება, ხოლო დიდი დოზებით ის იკლებს.

ასეთივე მონაცემები მიიღო ექიმმა ო. ვოლფკოვიჩმა პროფ. ნ. პ. ვასილიევის კლინიკიდან დიდი ხნით ადრე ს. ვაწაძის შრომამდე, 15 ავადმყოფზე წარმოებული დაკვირვების საფუძველზე.

მაგრამ ექიმმა ნ. ს. ალექსანდროვსკიმ პროფ. ი. პასტერნაცკის კლინიკიდან (სამხედრო-სამედიცინო აკადემია) დაახლოებით იმავე ხანებში მიიღო საწინააღმდეგო მონაცემები. მისი მონაცემების მიხედვით, ბორჯომის მინერალური წყალი აფერხებს კუჭის წვენის გამოყოფას და არ წარმოადგენს კუჭის სეკრეციის აღმძვრელს.

ახლა ადვილი გასაგებია ეს ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი გენიალური ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის შესანიშნავი აღმოჩენები. მხოლოდ იმ დროიდან, რაც აკადემიკოს ი. პ. პავლოვის მეთოდი გადატანილ იქნა ლაბორატორიებში, შესაძლებელი გახდა მინერალური წყლების შიგნით მიღებისაგან გამოწვეული მოქმედების მექანიზმის გამორკვევა.

მართლაც, ი. პ. პავლოვის მიერ შემოღებულმა „იზოლირებული კუჭის“ ოპერაციამ, რომელიც სარკესავით ასახავს „დიდი კუჭის“ მუშაობას, შესაძლებლობა მოგვცა გამოგვერკვია მინერალური წყლების გავლენა კუჭის სეკრეტორულ ფუნქციაზე.

ამიტომ არის, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროფ. ა. ს. ალადაშვილის სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც მან ჯერ კიდევ 1911 წელს შეასრულა ხარკოვში და რომელიც მთლიანად ემყარება ი. პ. პავლოვის მეთოდით იზოლირებული კუჭის მქონე ძაღლებზე წარმოებული ექსპერიმენტებით მიღებულ მონაცემებს.

თავის ნაშრომში ბორჯომის „ეკატერინეს წყაროს მინერალური წყლის ფიზიოლოგიური მოქმედების საკითხისათვის“ პროფ. ა. ს. ალადაშვილი მიზნად ისახავდა სამი საკითხის გამორკვევას: 1) ბორჯომის წყლის გავლენა კუჭის სეკრეციაზე, 2) ბორჯომის წყლის გავლენა კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეციაზე, 3) ბორჯომის წყლის გავლენა ნაღვლის გამოყოფაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუჭის სეკრეციაზე ბორჯომის წყლის გავლენის მხრივ ავტორი მივიდა ფრიად საინტერესო დასკვნამდე, რამაც გარკვეულობა შეიტანა ამ საკითხში. პროფესორმა ა. ს. ალადაშვილმა პირველად აღნიშნა, რომ თუ ბორჯომის წყალს მივცემთ ერთი საათით ადრე საჭმლის მიღებამდე, იგი დამაბრკოლებლად მოქმედობს კუჭის ჯირკვლების მუშაობაზე, არ იწვევს კუჭის წვენის რაოდენობის გადიდებას. თუ საჭმელთან ერთად მივცემთ იმავე წყალს, აღინიშნება კუჭის წვენის რაოდენობის გადიდება და მისი მჟავობის მომატება.

ამგვარად, ძაღლებზე ცდის ჩატარებით პროფ. ა. ს. ალადაშვილმა დაამტკიცა მინერალური წყლის მიღების პრაქტიკული მნიშვნელობა საჭმლის მიღებამდე ერთი საათით ადრე ან საჭმელთან ერთად.

რასაკვირველია, შეუძლიათ გვითხრან, რომ ძაღლებზე მიღებულ ფიზიოლოგიურ მონაცემებს შესაძლოა ჰქონდეს შეზღუდული მნიშვნელობა, რომ მათი მთლიანად გადატანა ადამიანზე შეუძლებელია. მაგრამ მედიცინაში ცნობილია შემთხვევები, როცა ქირურგებს უხდებოდათ კუჭის ფისტულის გაკეთება, ან როცა ავადმყოფს, პათოლოგიური პროცესების გამო, ჰქონდა „იზოლირებული კუჭი"; მსგავს ავადმყოფებზე ჩატარებულმა დაკვირვებებმა ბევრ რამეში მოგვცა ექსპერიმენტის მონაცემების მსგავსი შედეგები.

დაბოლოს, შეუძლიათ შეგვედავონ იმ მხრივ, რომ ავადმყოფ ორგანიზმს შეუძლია სულ სხვანაირი რეაგირება მოახდინოს ბორჯომის წყლის შეყვანაზე, ვიდრე ჯანსაღ ორგანიზმს. მაგრამ მრავალგზის წარმოებული დაკვირვებები ავადმყოფებზე ბორჯომის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში აგრეთვე ადასტურებს იმას, რომ კუჭის სეკრეტორული მოქმედებისათვის სულ ერთი არაა, თუ როდის იქნება მიღებული ბორჯომის წყალი; კლინიკური დაკვირვებები სავსებით ადასტურებს პროფ. ა. ს. ალადაშვილის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული მუშაობით მიღებულ მონაცემებს.

დასახელებული შრომები ძირითადად ამოწურავს ყოველივე იმას, რაც გაკეთდა ბორჯომის მინერალური წყლების შესწავლის დარგში საბჭოთა პერიოდამდე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა პერიოდში ბორჯომში დიდი გეოლოგიური გამოკვლევები ჩატარდა, რის შედეგადაც აღმოჩენილ იქნა ახალი წყაროები და წყლის დებიტმა საგრძნობლად იმატა. საბჭოთა პერიოდის შრომები მასშტაბითაც და გამოკვლევის მეთოდიკის გაუმჯობესების მხრივაც სრულიად სხვა ხასიათს ატარებს. საქართველოში არც მეფის ხელისუფლების, არც მენშევი-

ბორჯომი. სანატორიუმი № 1 (საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. სანატორიუმი № 2 (საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი).

ქების დროს არ იყო არც ერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ჩვენი საკურორტო სიმდიდრეების შესწავლისათვის. ძველი დროის სამუშაოები შემთხვევით ხასიათს ატარებდა და მეტწილად დამოკიდებული იყო ცალკეულ პირთა ინიციატივისა და თაოსნობისაგან. ეს სამუშაოები სწორ, გეგმიან ხასიათს არ ატარებდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იქნა დაარსებული კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელობითაც დაიწყო ჩვენი უმდიდრესი საკურორტო რესურსების გეგმაშეწონილი შესწავლა. ჩვენს კურორტებზე დიდი მუშაობა გაიშალა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ. ამ დროიდან იწყება კურორტების და, კერძოდ, ბორჯომის განსაკუთრებით ფართო, კომპლექსური შესწავლა.

საბჭოთა პერიოდის სამუშაოები შეიცავდა, ერთი მხრივ, ახალი წყაროების და ახალი პრობლემების შესწავლას, მეორე მხრივ—ძველი სამუშაოების შევსებასა და განვითარებას. მთელმა ამ მუშაობამ ფართო ხასიათი მიიღო. ის ტარდებოდა კვლევა-ძიების თანამედროვე, გაუმჯობესებული მეთოდებით და უმდიდრეს კლინიკურ მასალაზე, რაც ძველ დროს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას უმნიშვნელოვანეს შრომებზე.

შინაგანი ორგანოების ყველა დაავადებიდან ბორჯომის წყლით მკურნალობისათვის უფრო ნაჩვენებია, როგორც ეს ზემოთ იყო ნათქვამი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ნივთიერებათა ცვლის დაავადებანი. იმ ავადმყოფთა შორის, რომლებიც ღებულობენ ბორჯომის წყალს ადგილობრივ, უშუალოდ წყაროდან ან სვამენ მას გაზიანი სახით, დიდ უმრავლესობას შეადგენენ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი სნეულებით და კუჭის მჟავე კატარით დაავადებულნი. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდამდელი ავტორები აღნიშნავდნენ ამ გარემოებას, ხოლო საბჭოთა პერიოდის ავტორებმა ბრწყინვალედ დაადასტურეს ეს დიდ კლინიკურ მასალაზე. კურორტ ბორჯომში მომუშავე ყოველმა ექიმმა იცის, თუ როგორ სწრაფად იკურნებიან ავადმყოფები, რომელთაც აწუხებთ გულძმარვა და მჟავე ბოყინი, ამ არასასიამოვნო შეგრძნებისაგან ბორჯომის წყლის მიღებით წყაროდან ან გაზიანი ბორჯომის წყლის სმით.

პროფ. გ. ა. ზახარინი, ლაპარაკობდა რა თავის ლექციებში საერთოდ მინერალური წყლების და, კერძოდ, ბორჯომის წყლის

მოქმედებაზე, აღნიშნავდა: „მე, რომელსაც წილად მხვდა შემოწმება შემოზიდული მინერალური წყლების ხმარება შიგნით მისაღებად მთელი რიგი წლების მანძილზე როგორც კლინიკაში, ისე კლინიკის გარეთ, ჩემი კლინიკური მოღვაწეობისა და საექიმო პრაქტიკის ხანგრძლივი დროის განმავლობაში საკმაოდ გავეცანი უმნიშვნელოვანეს მინერალურ წყლებს“. შემდეგ გ. ა. ზახარინი ჩამოთვლის მთელ რიგ როგორც საზღვარგარეთის, ისე ჩვენ მინერალურ წყლებს და განაგრძობს: „ასეთ გამოცდილებაზე დაყრდნობით მე შევუდექი ბორჯომის წყაროების შემოზიდული წყლის სამკურნალო მოქმედების შესწავლას. ეს შესწავლა მდგომარეობდა სწორ კლინიკურ ვითარებაში წყლის პირდაპირ მოქმედებაზე დაკვირვებაში, იმ შემთხვევებში, როცა დიაგნოსტიკა ეჭვს არ იწვევდა. მინერალური წყლების პირდაპირ მოქმედებაზე დაკვირვებამ მოგვცა, უმთავრესად, წარმოდგენა მათი სამკურნალო ზეგავლენის შესახებ. ლაბორატორიულ გამოკვლევებს დღემდე სრულიადაც არა აქვთ ასეთი მნიშვნელობა. როდესაც მე კლინიკური დაკვირვებებით დავრწმუნდი ბორჯომის წყლის სამკურნალო ძალაში, შემოვიღე მისი ხმარება კერძო პრაქტიკაში“. უფრო ქვევით იგი წერს: „ევგენის წყაროს წყალი თავისი მოქმედებით, ერთი და იგივე ტემპერატურის დროს, მეტად ემსგავსება ეკატერინეს წყაროს წყალს“.

ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები ითქვა. საბჭოთა ავტორებმა ბევრი შრომა და ენერგია მოახმარეს როგორც ძველი, ისე, განსაკუთრებით, ახლად აღმოჩენილი წყაროების შესწავლას. მათ მიერ მიღებული მონაცემებით საკმაოდ დადასტურდა, რომ ბორჯომის მინერალური წყალი ფრიად ნაჩვენებია და სასარგებლო კუჭ-ნაწლავთა მთელ რიგ დაავადებათა დროს.

საბჭოთა პერიოდის შრომებიდან უნდა აღინიშნოს პროფ. ა. ს. ალადაშვილისა და მის თანამშრომელთა კლინიკური ნაშრომი, რომელიც შესრულებულ იქნა იმ 230 ავადმყოფზე წარმოებული დაკვირვებით, რომლებიც დაავადებული იყვნენ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით, მჟავე გასტრიტით და ფუნქციონალური ხასიათის მჟავობის მომატებით. ავტორს აინტერესებდა საკითხი ბორჯომის მინერალური წყლის გავლენის შესახებ კუჭის სეკრეციაზე. მიღებული მონაცემები მან შემდეგ დასკვნებად ჩამოაყალიბა:

1. ჭამის წინ ერთი საათით ადრე მიღებული უგაზო ბორჯომის წყალი უმრავლეს შემთხვევაში ცვლის კუჭის სეკრეციას; მისი ეფექტი თავისებურად იცვლება კუჭის დაავადების ხასიათის მიხედვით

2. კუჭის ქრონიკული წყლულის დროს ბორჯომის წყალი ამცირებს მჟავობას და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იწვევს მატებას.

3. მჟავე გასტრიტის დროს ბორჯომის წყალი, საერთოდ, იწვევს ანალოგიურ ეფექტს, მაგრამ რამდენადმე უფრო სუსტად გამოხატულს.

4. ფუნქციონალური ხასიათის მჟავობის დროს ბორჯომის მინერალური წყალი უმრავლეს შემთხვევაში იწვევს მჟავობის მომატებას.

5. 3—6 კვირის განმავლობაში ბორჯომის წყლის სისტემატური მიღებისას კუჭის წვენის მჟავობის ცვლილება უფრო ხანგრძლივ და მკვეთრად გამოხატულ ხასიათს იღებს.

ამ დაკვირვებათა საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს შემდეგი კანონზომიერება, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: ბორჯომის უგაზო მინერალური წყალი სხვადასხვანაირად მოქმედებს კუჭის სეკრეციაზე; ეს მოქმედება განისაზღვრება წყლის მიღების დროისა და კუჭის დაავადების ხასიათის მიხედვით. დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს, აგრეთვე მჟავე გასტრიტის დროს, ჭამის წინ ერთი საათით ადრე მიღებული ბორჯომის მინერალური წყალი ამცირებს კუჭის სეკრეციას; იგივე წყალი, საჭმელთან ერთად მიღებული, აძლიერებს მას. ასეთივე მონაცემებს აქვს ადგილი, როცა ბორჯომის წყალი მიიღება ჭამის წინ ერთი საათით ადრე ჯანსაღი კუჭის მქონე ადამიანის მიერ. ფუნქციონალური ხასიათის მჟავობის მომატებისას, როცა არ არსებობს კუჭის ორგანული დაავადება, ჭამის წინ ერთი საათით ადრე მიღებული წყალი იძლევა სეკრეციის მომატებას.

რით აიხსნება ბორჯომის წყლის ეს სხვადასხვანაირი მოქმედება კუჭის სეკრეციაზე?

ამ კითხვაზე წინათ არ შეეძლოთ პასუხი გაეცათ, მაგრამ ი. პ. პავლოვის სკოლის შრომების შემდეგ მან თავისი გადაჭრა და მეცნიერული დასაბუთება ჰპოვა.

ი. პ. პავლოვის სკოლა შეისწავლიდა ტუტეების მოქმედებას კუჭის სეკრეციაზე. აღმოჩნდა, რომ კუჭში შეყვანილი სოდა აძლიერებს სეკრეციას, მაგრამ იგივე სოდა, თორმეტგოჯა ნაწლავის მორწყვისათვის ხსნარში გამოყენებული, აფერხებს სეკრეციას.

ამ ცდების შესაბამისად, ფიქრობენ, რომ ჭამის წინ ერთი საათით ადრე მიღებული ბორჯომის მინერალური წყალი კუჭიდან თორმეტგოჯა ნაწლავში გადადის და იქიდან რეფლექსურად იწვევს სეკრეციის დეპრესიას და, მაშასადამე, მჟავობის შემცირებას.

მნიშვნელოვანი შრომები მიეძღვნა საინტერესო საკითხს ბორჯომის მინერალური წყლის გავლენის შესახებ კუჭის ევაკუაციურ მოქმედებაზე.

რიგ ავტორთა (გ. ი. დიდებულიძე, თ. ი. ავალიშვილი, ი. მ. პარმა, მ. ი. ნოდია, ვ. გოკიელი, ვ. გერსამია და სხვ.) მიერ ავადმყოფებზე წარმოებულ დაკვირვებათა საფუძველზე დამტკიცებულია, რომ ჭამის წინ ერთი საათით ადრე მიღებული ბორჯომის მინერალური წყალი აძლიერებს კუჭის ტონუსს, აჩქარებს კუჭის ევაკუაციას, რაც აიხსნება წყლის შემადგენლობის გავლენით. ასეთივე მონაცემები მიიღო ექიმმა მ. ლეჟავამ ექსპერიმენტული ცდების ჩატარების შედეგად ძაღლებზე. საინტერესო ექსპერიმენტული მუშაობა ჩაატარა ექიმმა ა. დ. ჟლენტმა, რომელმაც პირველად წამოაყენა საკითხი ადამიანის ორგანიზმზე ბორჯომის წყლის მოქმედების ნერვულ-ჰუმორალური მექანიზმის შესახებ.

ცნობილია, რომ კუჭის ზოგიერთი დაავადების დროს მისი შეწოვითი ფუნქცია მკვეთრად ირღვევა, მაგალითად, გასტრიტებისა და კუჭის წყლულის დროს კუჭის შეწოვითი ფუნქცია მკვეთრად დარღვეულია კუჭში ლორწოს დიდი რაოდენობის და აგრეთვე სხვა ფაქტორების გავლენის გამო. ავადმყოფზე ჩატარებულ დაკვირვებათა საფუძველზე დამტკიცებულია, რომ ბორჯომის მინერალური წყალი, როგორც გაზიანი, ისე უგაზო, იწვევს კუჭის შეწოვით ფუნქციის ნორმალიზაციას. ეს აიხსნება იმ ლორწოს გახსნით ბორჯომის წყლის გავლენის შედეგად, რომელიც კუჭის კედელს ფარავს, აგრეთვე, მთელ რიგ შემთხვევებში, მინერალური წყლის უშუალო ზემოქმედებით კუჭის ლორწოვანი გარსის უჯრედებზე.

ამგვარად, რიგი ავტორების კლინიკურ-ექსპერიმენტული შრომებით დამტკიცებულია, რომ ბორჯომის მინერალური წყალი კეთილად მოქმედებს კუჭის სეკრეტორულ ფუნქციაზე, აძლიერებს კუჭის ტონუსს, აჩქარებს მის ევაკუაციურ მოქმედებას და იწვევს მისი შეწოვითი უნარის ნორმალიზაციას.

ამიტომ არის, რომ ეს წყალი უაღრესად სასარგებლო საშუალებას წარმოადგენს კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის დაავადებათა, უმთავრესად, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულისა და ქრონიკული მჟავე გასტრიტის მკურნალობისათვის.

ზემომოყვანილი დაკვირვება ტარდებოდა ბორჯომის არა მარტო ძველ, არამედ ახალ წყაროებზეც. საინტერესოა, რომ მიღებულ იქნა სრულიად ერთნაირი შედეგები. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს



ბორჯომი. სანატორიუმი № 3 (საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. სხპცს სანატორიუმი „ფირუზა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ფიზიკურ-ქიმიურ გამოკვლევათა მონაცემების სისწორეს, რომლებიც ამ წყაროების იდენტურობას მოწმობს.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სანატორიუმის ექიმთა კოლექტივმა პროფ. ვ. ა ანდღულაძის ხელმძღვანელობით ჩაატარა საინტერესო დაკვირვება კუჭის წყლულით დაავადებულ ავადმყოფთა დიდ რაოდენობაზე, ამასთან იგი იყენებდა საკურორტო პირობებში ბორჯომის მინერალურ წყალთან ერთად მკურნალობის სხვა მეთოდებსაც. თავის მრავალგზის წარმოებულ დაკვირვებათა საფუძველზე ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თუ ბორჯომის წყალს შევუხამებთ პარაფინისა და ტალახის აპლიკაციებს, კისრის ნერვული კვანძების მიდამოს დიათერმიას, ნოვოკაინის ბლოკადას ვიშნევსკის წესით, ახალი ციტრატული სისხლის ხშირ გადასხმებს მცირე დოზებით, ლიკანის პირობებში, მკურნალობის უკეთეს შედეგებს მივიღებთ, ვიდრე მხოლოდ დიეტითა და წყლით მკურნალობისაგან.

უნდა ვიფიქროთ, რომ წყლულით დაავადებულთა ასეთი კომპლექსური მკურნალობა კურორტ ბორჯომის პირობებში სავსებით დასაშვები და სასურველია, ამასთან აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ავადმყოფისადმი ინდივიდუალური მიდგომა კომპლექსური მკურნალობის სათანადო მეთოდის გამოყენებით.

ვამთავრებთ რა მეცნიერულ ნაშრომთა მიმოხილვას, რომლებიც მიეძღვნა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებათა მკურნალობას ბორჯომის მინერალური წყლით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დაავადებათა შორის მთავარი ადგილი კუჭის დაავადებებს უკავია. რაც შეეხება ნაწლავთა დაავადებებს, ამ შემთხვევებში ბორჯომის წყლის გამოყენება განსაზღვრულია.

ქრონიკული კოლიტისა და ენტერო-კოლიტის დროს (არა ამებიური და არა წყლულოვანი ხასიათისა) ბორჯომის წყალს იყენებენ კოლიტის ხასიათისა და კუჭის წვენის მჟავობის მიხედვით. შეკრულობით მიმდინარე კოლიტისა და ისეთი კოლიტის დროს, როცა ჭარბობს დულილის პროცესები, წყლის მიღება შიგნით ნაჩვენებია, მაგრამ იგი წინააღმდეგნაჩვენებია ფაღარათით მიმდინარე კოლიტის დროს.

ამ უკანასკნელ ხანებში იწყეს ბორჯომის წყლის გამოყენება კოლიტის დროს კუჭ-ნაწლავის სიფონური გამორეცხვის სახით. გამორეცხვა წარმოებდა 38° C ტემპერატურის ერთი ლიტრი ბორჯომის წყლით, სუსტი წნევის ქვეშ. მკურნალობა 15—20 დღე გრძელდებოდა. ავტორები (გ. ი. დიდებულიძე და თ. ი. ავალიშვილი) აღნიშნავენ კარგ შედეგებს: წყალი ხსნის ლორწოს, ამცირებს

ანთებით მოვლენებს, აცილებს ლორწოვანი ქსოვილიდან დაშლისა და ლპობის პროდუქტებს, აგრეთვე ტოქსინებს, დამაწყნარებლად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის გაღიზიანებულ და ანთებით პროცესში მყოფ ლორწოვან გარსზე და აუმჯობესებს ავადმყოფის როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ მდგომარეობას.

ქრონიკული კოლიტის დროს ბორჯომის მინერალური წყლით კუჭ-ნაწლავის სიფონური გამორეცხვის ასეთ კეთილსასურველ მოქმედებას ავტორები ხსნიან ამ წყლის მექანიკური, თერმული და ქიმიური მოქმედებით.

ბორჯომის მინერალური წყალი ნაჩვენებია აგრეთვე ღვიძლისა და ნაღველის გზების დაავადებათა მკურნალობისათვის.

დიდი ხანია, რაც ღვიძლის სნეულებით დაავადებულნი სარგებლობენ მინერალური წყლებით თავისი დაავადების, განსაკუთრებით, ნაღველ-კენჭოვანი სნეულების მკურნალობისათვის. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მეცნიერულად არ იყო დამტკიცებული მინერალური წყლების გავლენა ღვიძლის ფუნქციაზე, ავადმყოფები დიდი რაოდენობით თვით მიეშურებოდნენ ბორჯომში, ესენტუკსა და ჟელეზნოვოდსკში იმ იმედით, რომ იქ ისინი ჰპოვებდნენ თავისი სენისაგან განკურნებას. ამ საკითხში ხალხურმა მედიცინამ წინ გაგვისწრო, ვინაიდან მაშინ ჯერ კიდევ არავითარი ექსპერიმენტული და კლინიკური დაკვირვებები არ არსებობდა, ხოლო ავადმყოფებმა იცოდნენ, რომ მინერალურ წყლებს სარგებლობა მოაქვს ღვიძლის დაავადებისას, და ამიტომ ასეთ ავადმყოფთა დიდი რაოდენობა სარგებლობდა მკურნალობის ხსენებული მეთოდით.

რასაკვირველია, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ღვიძლით დაავადებულთა მკურნალობის მიზანშეწონილება მინერალური წყლებით დასაბუთებულ იქნა მეცნიერულად, შეიცვალა მკურნალობის მეთოდებიც, მაგრამ ურყევი დარჩა ძველი დაკვირვება, რომ მინერალურ წყლებს ზოგ შემთხვევაში დიდი შემსუბუქება მოაქვთ ასეთი ავადმყოფებისათვის.

პირველად ა. ს. ალადაშვილმა ჩაატარა ექსპერიმენტული მუშაობა ბორჯომის მინერალური წყლის გავლენის შესახებ ღვიძლის ფუნქციაზე, კერძოდ, ნაღვლის გამოყოფაზე. მისი მონაცემების მიხედვით, ბორჯომის წყალი შედარებით მცირე გავლენას ახდენს ნაღვლის გამოყოფაზე, მაგრამ იწვევს ნაღვლის გათხევადებას. რაც შეეხება საკითხს ბორჯომის წყლის გავლენის შესახებ ნაღვლის წარმოქმნაზე, ამ მნიშვნელოვანმა საკითხმა ვერ ჰპოვა მის ცდებში თავისი გადაწყვეტა, იმ მეთოდიკის უვარგისობის გამო, რომლითაც ის სარგებლობდა ნაღვლის წარმოქმნაზე მინერალური წყლის გავლენის საკითხის გადასაჭრელად.

საბჭოთა პერიოდის ნაშრომებმა ამ საკითხსაც სინათლე მოჰ-ფინა.

ექიმ შ. კ. ფარჯანაძის მიერ ძაღლებზე ჩატარებულმა საინტერესო ექსპერიმენტულმა ცდებმა ავტორს შესაძლებლობა მისცა გაეკეთებინა შემდეგი დასკვნები:

1. ბორჯომის მინერალური წყლები № 37 და № 41 (ახალი წყაროები), ცხოველებისათვის უზმოზე შეყვანილი, აძლიერებს ნაღვლის წარმოქმნას;

2. ცხოველთა მიერ რძესთან ერთად მიღებული იგივე მინერალური წყლები ნაღვლის წარმოქმნის ძლიერ სტიმულატორს წარმოადგენს;

3. რძის მიცემამდე $1^1/_2$ საათით ადრე შეყვანილი იგივე მინერალური წყლები აძლიერებს ნაღვლის წარმოქმნას, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებად, ვიდრე რძესთან ერთად წყლის შეყვანის დროს;

4. ბორჯომის მინერალური წყლები № 37 და № 41, ნაღვლის წარმოქმნის გაძლიერებასთან ერთად, იწვევს ხვედრითი წონის დაკლებას, ორგანული და არაორგანული მარილების შემცირებას ნაღვლის სეკრეტის კონცენტრაციის ცვლილების შესაბამისად.

ამგვარად, ბორჯომის მინერალური წყალი აძლიერებს ნაღვლის სეკრეციას, ათხევადებს მას, სპობს ნაღვლის შეგუბებას ნაღვლის გზებში და ანთებითი ექსუდაციის ნაშთებს. ყოველივე ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და გასაგები ხდება, თუ რატომ არის, რომ ღვიძლით დაავადებული ბევრი ავადმყოფი, ბორჯომში მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგ, დიდ შემსუბუქებას გრძნობს. ცხადია, ნაღველ-კენჭოვანი დაავადებისას, შეუძლებელია, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, იმედი ვიქონიოთ, რომ კენჭი დაიშლება. თანამედროვე შეხედულებით, ნაღვლის გზების კენჭები, რა წარმოშობისაც არ უნდა იყონ ისინი, არ დაიშლებიან არავითარი მინერალური წყლით, მათ შორის—არც ბორჯომის წყლით. ასევე არ დაიშლებიან ისინი არც რაიმე მედიკამენტის გავლენით. მაგრამ ეჭვს გარეშეა ერთი რამ—ასეთი ავადმყოფები უკეთობას გრძნობენ ანთებითი მოვლენების შესუსტებით.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთი ავადმყოფი მინერალური წყლებით მკურნალობის შედეგად კენჭისაგან თავისუფლდება. ეს სავსებით დასაშვებია მცირე კენჭების მიმართ, რომლებიც შეიძლება გატარდეს ნაღვლის გზებში და ამით ავადმყოფი განიკურნოს, მაგრამ დიდი კენჭების მიმართ შეუძლებელია ამის იმედი ვიქონიოთ, ვინაიდან მათი გასვლა ნაღვლის ვიწრო გზებში შეუძლებელია.

ჩვენი ცოდნის თანამედროვე დონისა და შესაძლებლობათა მიხედ-
ვით, შეგვიძლია რენტგენისა და სათანადო კონტრასტული მასის
დახმარებით გამოვარკვიოთ ნაღვლის გზებში არა მარტო კენჭების
არსებობა, არამედ მათი რაოდენობა და სიდიდეც კი. ეს მნიშვნე-
ლოვნად აადვილებს როგორც დიაგნოსტიკას, ისე მკურნალობის
შედეგთა გათვალისწინებასაც.

პროფ. გ. ი. დიდებულიძემ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა
ადგილობრივ, ბორჯომის კლინიკურ სანატორიუმში იმ საკითხის
გამოსარკვევად, თუ რა გავლენა აქვს ბორჯომის მინერალურ
წყალს დუოდენალურ სეკრეციაზე. ის აღნიშნავს, რომ ბორჯომის
მინერალური წყლის გავლენით დუოდენალური სეკრეცია ძლიერ-
დება. ეს უნდა აიხსნას წყლის მინერალური შემადგენლობით.
ამასთან ერთად, მას აინტერესებდა წვენში ბილირუბინისა და
ქოლესტერინის შემცველობის საკითხი. მის მიერ წარმოებულ
დაკვირვებათა საფუძველზე გამოირკვა, რომ ბილირუბინის შემ-
ცველობა მატულობს შემთხვევათა უმრავლესობაში, ხოლო ქოლეს-
ტერინის შემცველობა—ყველა შემთხვევაში.

თუმცა კლინიკური დაკვირვებანი და ჩატარებული ექსპერიმენ-
ტული გამოკვლევები ლაპარაკობენ საერთოდ მინერალური წყლე-
ბის და კერძოდ ბორჯომის წყლის უეჭველ სარგებლობაზე ღვიძლით
დაავადებული ავადმყოფებისათვის, მაგრამ ეს მაინც საკმარისი არ
არის მთელ რიგ პრაქტიკულად საინტერესო და მნიშვნელოვანი
საკითხების გადასაჭრელად. ამიტომ საჭიროა ამ მიმართულებით
კიდევ ბევრი რამის შესწავლა და ღვიძლით დაავადებულებზე ამ
წყლების მოქმედების უფრო ვრცლად გაშუქება.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საბჭოთა პერიოდამდე, ისე
ჩვენ დროშიც, ბევრი ნაშრომი მიეძღვნა ბორჯომის მინერალური
წყლის მოქმედების შესწავლას საჭმლის მომნელებელი აპარატის
ორგანოთა დაავადებისას. სამწუხაროდ, ამის თქმა არ შეიძლება
ღვიძლისა და ნაღვლის გზების დაავადებათა შესახებ. ამ საკითხზე
შრომები ძალიან ცოტაა. ამიტომ არის, რომ კურორტოლოგიის
ინსტიტუტისათვის, ჩვენი კლინიკებისა და სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტებისათვის უახლოესი წლების ამოცანას წარმოადგენს
ამ ხარვეზის შევსება, რასაც არა მარტო თეორიული, არამედ,
უმთავრესად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ჯერ კიდევ ძველი ავტორები ანიჭებდნენ დიდ მნიშვნელობას
ბორჯომის მინერალურ წყლებს ნივთიერებათა ცვლის მოშლილო-
ბით დაავადებულთა მკურნალობისას. ნივთიერებათა ცვლის მოშ-

ბორჯომი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბორჯომი. ოქტომბრის რევოლუციის ხახელობის პარკი.

ლასთან დაკავშირებულ დაავადებათაგან ასეთი მკურნალობისათვის ყველაზე შესაფერისია მსუბუქი და საშუალო ხარისხის შაქრიანი დიაბეტი, ნიკრისი და სიმსუქნე.

ბორჯომის მინერალური წყლის კარგ მოქმედებას შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფებზე ჯერ კიდევ მრავალი წლის წინათ აღნიშნავდნენ ექიმები თავიანთ დაკვირვებათა საფუძველზე. საბჭოთა პერიოდის შრომებიდან უნდა მოვიხსენიოთ ა. ს. აბულაძის და ლ. ი. დადუნიშვილის ნაშრომი, რომლებიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შაქრიანი დიაბეტის დროს „ბორჯომის მინერალური წყლის ხანგრძლივი გამოყენება საგრძნობლად ამცირებს ავადმყოფის წყურვილის გრძნობას, ორგანიზმში წყლის შეჩერების გამო, და უნდა ვიფიქროთ, იმავე დროს ამცირებს აციდოზის მოვლენებსაც. ამის გამო მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს დიაბეტის მკურნალობა აღნიშნული წყლით.“

მართლაც, ხანგრძლივ დაკვირვებებს დიაბეტით დაავადებულებზე ბორჯომში იმ რწმენამდე მივყავართ, რომ წყლით მკურნალობის გავლენით იქმნება უკეთესი პირობები ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვეული წონასწორობის აღსადგენად. ცხადია, ამ შემთხვევაშიც დიეტოთერაპია რჩება ძირითად და მნიშვნელოვან პირობად შაქრიანი დიაბეტით დაავადებულის წარმატებით მკურნალობისათვის.

მაგრამ, შაქრიანი დიაბეტის მძიმე შემთხვევების მკურნალობა ბორჯომში წინააღმდეგნაჩვენებია. ეს წინააღმდეგჩვენება ეწყარება არა იმ დებულებას, რომ ავადმყოფებს ვნებს ბორჯომის წყალი, არამედ იმ მოსაზრებას, რომ ასეთი ავადმყოფებისათვის ძნელია სანატორიუმში წარმატებით მკურნალობისათვის საჭირო პირობების შექმნა. ისეთი ავადმყოფების მკურნალობა სანატორიუმში, რომლებიც ყოველდღიურად საჭიროებენ ინსულინის ორ-სამჯერ ინექციას, რომლებსაც მუდმივად უნდა ვუსინჯოთ შაქრის რაოდენობა სისხლსა და შარდში, შეუძლებელია; მათთვის საჭიროა კლინიკები, საავადმყოფოები. მაგრამ ასეთი მძიმე დიაბეტით დაავადებულნიც კი წარმატებით სარგებლობენ ბორჯომის მინერალური წყლით.

ავადმყოფთა შემდეგ ჯგუფს, რომლებიც ფართოდ სარგებლობენ ბორჯომის წყლით, ნიკრისით დაავადებულნი შეადგენენ.

ჯერ კიდევ ძველი ექიმები აღნიშნავდნენ, რომ ბორჯომის წყლით და აგრეთვე ამ წყლის აბაზანებით სისტემატური მკურნალობის მეოხებით, სათანადო დიეტის დაცვასთან ერთად, ნიკრისით დაავადებულნი ჯანმრთელობის საგრძნობ გაუმჯობესებას აღ-

წევენ; იკლებს ტკივილი და შესივება სახსრებში, უმჯობესდება საერთო მდგომარეობა.

შემდგომმა გამოკვლევებმა აგრეთვე დაადასტურა ის უდავო ფაქტი, რომ ასეთ ავადმყოფებში ბორჯომის წყლის გავლენით ხდება სწორი აზოტური და მინერალური ცვლის აღდგენა. ავადმყოფებმა ეს კარგად იციან და ამიტომ დიდი ხანია, რაც მკურნალობისათვის ბორჯომის წყლით სარგებლობენ.

ცხოველებზე ჩატარებული მრავალრიცხოვანი ცდები და აგრეთვე ავადმყოფებზე დაკვირვებანი საფუძველს აძლევენ ავტორებს გამოიტანონ დასკვნა, რომ ბორჯომის წყლის გავლენით ძლიერდება ჟანგვის პროცესები.

ნივთიერებათა ცვლის მოშლილობით დაავადებათა შორის, რომელთა დროსაც წარმატებით იხმარება ბორჯომის წყალი, უნდა მოვიხსენოთ აგრეთვე სიმსუქნე.

იყვნენ ფრიად ავტორიტეტული მეცნიერები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საერთო სიმსუქნის მკურნალობისას უკეთეს შედეგებს იძლევა ბორჯომის წყლები, ვიდრე ასეთ შემთხვევებში სახელგანთქმული კარლოვი ვარის და მარიენბადის წყლები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბორჯომის მინერალური წყალი უფრო ნაკლებ აღიზიანებს კუჭისა და ნაწლავების ლორწოვან გარსს, ვიდრე აღნიშნულ კურორტთა წყლები. აღნიშნავენ აგრეთვე იმ უეჭველ ფაქტს, რომ ბორჯომის წყლით მკურნალობისას სიმსუქნით დაავადებულნი ნაკლებ იღლებიან, ადვილად იტანენ მკურნალობას, და შედეგებიც კარგია. ამ მიმართულებით აგრეთვე ჩატარებულ იქნა მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული გამოკვლევები და კლინიკური დაკვირვებები, რომლებმაც საკვლევით დაადასტურა ბორჯომის წყლით მკურნალობის ეფექტიანობა სიმსუქნის დროს.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველგვარი დაავადების და, მით უმეტეს, სიმსუქნის დროს, მარტო ბორჯომის წყალი დიდ სარგებლობას ვერ მოიტანს; ყველა შემთხვევაში უნდა ჩატარდეს კომპლექსური მკურნალობა თითოეული ავადმყოფის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით. მხოლოდ მაშინ, კომპლექსური მკურნალობის ფონზე, შეასრულებს ბორჯომის წყალი უდავოდ მნიშვნელოვან როლს.

უკანასკნელ დრომდე ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები არსებობდა იმის შესახებ, სასარგებლოა თუ არა ბორჯომის წყალი თირკმელებით დაავადებულთა განსაზღვრული დიდი ჯგუფისათვის. ეს ჩანს მრავალი ავტორის ნაშრომის გაცნობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ როდესაც თირკმლებით დაავადების ზოგიერთ შემთხვევაში ბორჯომის წყალს უეჭველად სარგებლობა მოაქვს, სხვა შემთხვევებში მან შეიძლება ზიანი მოიტანოს. ამიტომ მინერალური წყლის დანიშვნამდე პირველ პირობას დაავადების ზუსტი დიაგნოსტიკა წარმოადგენს.

დიდი კლინიცისტი აკადემიკოსი ფ. გ. იანოვსკი სტატიაში „თერაპიულ ღონისძიებათა საფუძვლები საშარდე გზებში კენჭების დროს წინათ და ახლა“ სწორად აღნიშნავს, რომ „მინერალური წყლის სმა, როგორც თერაპიული ღონისძიება, ფართო გავრცელებით სარგებლობდა და სარგებლობს. მაგრამ მან განვლო თავისი ოპტიმიზმისა და პესიმიზმის ეპოქები და, ბოლოს, საშუალო მდგომარეობაში მოექცა.“

აქედან გამომდინარე, ზუსტად უნდა ვიცოდეთ, როდის უნდა მივცეთ ასეთ ავადმყოფს ბორჯომის წყალი და როდის—არა.

ნეფრიტითა და ნეფროზით დაავადებულნი, ნეფროსკლეროზზე რომ არაფერი ვთქვათ, ზაფხულშიც კი არ უნდა გაიგზავნონ ბორჯომში, რადგან კურორტის არც კლიმატური პირობები, არც მისი მინერალური წყალი მათთვის სასარგებლო არ არის. ასეთი ავადმყოფებისათვის საქართველოს პირობებში ყველაზე შესაფერის ადგილს წარმოადგენს თბილისი თავისი მშრალი და თბილი ჰავით. ზაფხულშიც კი, როცა ბევრი ცდილობს თბილისიდან გავიდეს, რათა თავი იხსნას სიცხისაგან ბორჯომის ხეობაში, ნეფრიტით დაავადებულნი თავს უფრო კარგად გრძნობენ თბილისში, ვიდრე ბორჯომში. ამიტომაც ასეთი ავადმყოფები არ უნდა იგზავნებოდნენ ბორჯომში; ისინი სრულიად არ საჭიროებენ ბორჯომის წყალს არც კურორტზე, არც სახლში.

მაგრამ არსებობს ავადმყოფთა მნიშვნელოვანი ჯგუფი თირკმლებისა და საშარდე გზების დაავადებით, რომელთათვისაც ბორჯომსა და მის მინერალურ წყალს უეჭველი სარგებლობა მოაქვს.

ბორჯომში წარმატებით მკურნალობენ თირკმელთა კენჭოვანი სნეულებით ავადმყოფები, თუ ცნობილია კენჭის შემადგენლობა; ამის დადგენა კი ადვილია შარდის სისტემატური გამოკვლევით. ოქსალატებისა და ურატებისაგან შემდგარი კენჭების მკურნალობა უნდა წარმოებდეს ბორჯომის წყლით, მაგრამ ფოსფატებისაგან შემდგარი კენჭების მკურნალობა ტუტოვანი წყლით წინაალმდეგნაჩვენებია.

გამოჩენილი საბჭოთა უროლოგი პროფ. ნ. თ. ლეონევი ბორჯომში ავადმყოფებზე წარმოებულ დაკვირვებათა შედეგად შემდეგს

წერდა თავის სტატიაში: „ბორჯომი და მისი მინერალური წყაროები საშარდე გზების დაავადების მკურნალობისას“. „ბორჯომის მინერალური წყლით მკურნალობის გავლენით სწრაფად გაივლის ურატურია და ოქსალურია, რომლებიც ხშირად განაპირობებენ თირკმლების, შარდსაწვეთების ასეპტიკურ ჭვალებს და იწვევენ გალიზიანებას საშარდე ბუშტის მხრივ დიზურიული მოვლენების სახით.“

ასევე კარგ შედეგებს იღებდა იგი ბორჯომის მინერალური წყლით თირკმლის მენჯის ანთებით, საშარდე ბუშტის კატარით დაავადებულთა მკურნალობისას, აგრეთვე ნიკრისის მკურნალობის დროს.

მართლაც, ბორჯომის მინერალური წყალი დიდი წარმატებით გამოიყენება თირკმლებისა და საშარდე გზების ზემოხსენებულ დაავადებათა დროს. აქ ჩვენ უნდა გავიმეოროთ ის, რაზედაც უკვე ვწერდით ღვიძლით დაავადებულთა მკურნალობის განხილვის დროს: ბორჯომის მინერალური წყლის გავლენით, ცხადია, თირკმლებისა და საშარდე გზების კენჭები არ იშლება, არ იშლება აგრეთვე ღვიძლის კენჭებიც. საერთოდ, როგორც უკვე იყო ნათქვამი, კენჭები არ იშლება არც ერთი მინერალური წყლისა და მედიკამენტის ზემოქმედებით. მაგრამ მინერალური წყლისა და სათანადო კომპლექსური მკურნალობის ზეგავლენით კენჭები ადვილად გაივლის და ავადმყოფი არაიშვიათად იკურნება კიდეც. ბორჯომის წყლის გავლენით მატულობს შარდის რაოდენობა დღე-ღამეში, ძლიერდება მარილების გამოყოფა და ცხრება კატარალური მოვლენები.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ შარდის ტუტოვანი რეაქციით მიმდინარე ფოსფატურიის დროს ბორჯომის წყლის დანიშვნა არ არის ნაჩვენები. წინათ სანატორიუმებშიც კი ვხვდებოდით ფოსფატურიით დაავადებულ ავადმყოფებს, რომლებიც შორეული ადგილებიდან იყვნენ მოსულნი ბორჯომში სამკურნალოდ. ადვილად წარმოსადგენია ასეთ ავადმყოფთა იმედგაცრუება, როცა მათ ერთი ჭიქა ბორჯომის წყლის დალევის ნებასაც არ ვაძლევდით. ამჟამად ავადმყოფების გადარჩევა საკურორტო კომისიებში უფრო გულდასმით წარმოებს და ამიტომ სულ უფრო იშვიათად გვხვდებიან ავადმყოფები, რომელთა მკურნალობაც ბორჯომში ნაჩვენები არ არის.

ამრიგად, თირკმლებითა და საშარდე გზებით დაავადებულთა მკურნალობისას როგორც ბორჯომში, ისე კურორტს გარეშეც,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. ლიკანი, სსპცს სანატორიუმი, კორპუსი № 1.



ბორჯომი. ლიკანი, სსპცს სანატორიუმი, კორპუსი № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა ასეთ ავადმყოფთა გულდასმით გადარჩევა. შარდმჟავა დიათეზის დროს ოქსალატებითა და ურატებით ბორჯომის წყალს დიდი სარგებლობა მოაქვს, ფოსფატების დროს ეს წყალი ნაჩვენები არ არის.

რჩება კიდევ ავადმყოფთა დიდი, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი—გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებით. როგორ მოქმედებს ასეთ ავადმყოფებზე ბორჯომი მისი კლიმატური და ბუნებრივი სიმდიდრეებით, მისი მინერალური წყლით?

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ კუჭის წყლულით, ღვიძლის ან სხვა ორგანოების სნეულებით დაავადებულთა შორის ძლიერ ხშირად ეხვდებით ავადმყოფებს, რომელთაც იმავე დროს გულ-სისხლძარღვთა სისტემაც აქვთ დაავადებული.

მართლაც, თუ კუჭის წყლულით ან სხვა სნეულებით ასეთი დაავადებულისათვის მინერალური წყლებით მკურნალობა ფრიად ნაჩვენებია, მაგრამ კურორტი ისეთ სიმაღლეზე მდებარეობს და ისეთი კლიმატური პირობები აქვს, რომ იგი აშკარად წინააღმდეგ-ნაჩვენებია გულით დაავადებულისათვის, ეს გარემოება ავადმყოფს შესაძლებლობას მოუსპობს ისარგებლოს ამ კურორტით.

ამ მხრივაც ბორჯომი საუკეთესო თვისებების საოცრად მოხდენილ შეხამებას წარმოადგენს. ზღვის დონედან თითქმის იმავე სიმაღლეზე მდებარე, როგორზეც განთქმული კარდიოლოგიური კურორტი კისლოვოდსკი, თავისი კლიმატური და ბუნებრივი პირობებით ბორჯომი იმავე დროს საუცხოო ადგილია გულით ავადმყოფისათვის.

ბორჯომში თავს კარგად გრძნობენ გულის მანკით დაავადებულნი კომპენსაციისა და სუბკომპენსაციის სტადიაში, ავადმყოფები გულის კუნთის დაზიანებით, ჰიპერტონიით შეპყრობილნი ტვინის სისხლმიმოქცევის მოშლილობისა და თირკმლების დაზიანების გარეშე, არტერიოსკლეროზით დაავადებულნი ტვინისა და თირკმლების სისხლძარღვთა სკლეროზის მკვეთრად გამოხატული მოვლენების გარეშე, აგრეთვე ავადმყოფები გულის ფუნქციონალური დაზიანებით.

ბორჯომი ზღვის დონედან არც თუ დიდ სიმაღლეზე მდებარეობს; მას აქვს კარგი კლიმატური პირობები ტემპერატურის მკვეთრი რხევის გარეშე, ნახშირმჟავა-ტუტოვანი აბაზანები და განსაკუთრებით ლამაზი ბუნება—ყველაფერი ეს უაღრესად კეთილსასურველ პირობებს ქმნის გულ-სისხლძარღვთა სისტემის სნეულებით ავადმყოფებისათვის.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა მკურნალობაში ბორჯომს, ცხადია, არ შეუძლია გასწიოს კისლოვოდსკისა და მაცესტას მაგიერობა, მაგრამ ის გარემოება, რომ ეს კურორტი არა თუ უკუნაჩვენები არ არის, არამედ, პირიქით, ნაჩვენებია გულის მთელ რიგ დაავადებათა დროს, კიდევ უფრო ამაღლებს მის ღირსებას.

გულის მანკით და გულის კუნთის სნეულებით დაავადებულნი, რომელთაც არა აქვთ შეშუპება და შეგუბებითი მოვლენები ღვიძლის, ფილტვებისა და თირკმლების მხრივ, მშვენივრად იტანენ ბორჯომს. ხშირად ასეთი ავადმყოფები მნიშვნელოვან შემსუბუქებასაც კი გრძნობენ, როცა ექიმის დანიშვნით სარგებლობენ ტუტოვან-ნახშირმჟავა აბაზანებით ან ხელოვნური ნახშირმჟავა აბაზანებით.

ასევე კარგად გრძნობენ თავს ზომიერი ჰიპერტონიით დაავადებულნი კომპენსაციის მოშლილობის გარეშე. ბორჯომის კლიმატური პირობები და სიმაღლე სავსებით ხელსაყრელია ასეთი ავადმყოფებისათვის, გარემომცველი ბუნება კი ხელს უწყობს სიმშვიდესა და დასვენებას, რაც ასე ესაჭიროება ხსენებულ ავადმყოფებს.

როცა გულით დაავადებულ ავადმყოფებზე ვლაპარაკობთ, უნდა შევეხოთ ექიმ ნ. თ. ცხომელიძის საინტერესო ნაშრომს, რომელიც რიგი წლების განმავლობაში აწარმოებდა ბორჯომში დაკვირვებებს ავადმყოფებზე, რათა გამოერკვია საკითხი, თუ რა გავლენა აქვს ინდიფერენტული ტემპერატურის მქონე, მხოლოდ მინერალური წყლის აბაზანებს სისხლის წნევაზე. მისი მონაცემების მიხედვით, სისხლის წნევა იკლებს. ამ შემთხვევაში საჭიროა გავითვალისწინოთ საკურორტო-სანატორიული ცხოვრების მრავალი სხვა ფაქტორის და არა მარტო მინერალური აბაზანების გავლენა.

უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ბორჯომში ასეთი ავადმყოფების მკურნალობის საქმეში. პროფ. ი. ა. ვალედინსკის შრომების თანახმად, ასეთ ავადმყოფებს, გარდა ჰემოდინამიკური მოშლილობისა, აღენიშნებათ აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის მოშლა; საკურორტო ფაქტორები კი კარგ გავლენას ახდენს აგრეთვე ნივთიერებათა ცვლაზე. ნივთიერებათა ცვლის მოშლა ვერ გამოსწორდება მარტოოდენ აბაზანებით ან ბორჯომის წყლის მიღებით, აქ საჭიროა აგრეთვე სწორად დაყენებული სამკურნალო კვება. ბორჯომის ბალნეო-კლიმატური ფაქტორები, დანარჩენ პირობებთან ერთად, დიდ შესაძლებლობას უქმნიან ექიმს დარღვეული წონასწორობის აღდგენის საქმეში გულ-სისხლძარღვთა სისტემის სნეულებით ავადმყოფებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ყველა დაავადების დროს, რომლებიც ბორჯომში მკურნალობას ექვემდებარება, ისე გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებისას, წარმატება დამოკიდებულია კომპლექსური მკურნალობისაგან. საბჭოთა ექიმები, რომლებიც აღზრდილი არიან დიდი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის მოძღვრების საფუძველზე, ბორჯომში მკურნალობის წარმატებას მარტოოდენ ბორჯომის წყალს კი არ მიაწერენ, არამედ იმ უმდიდრესი ფაქტორების კომპლექსურ ზემოქმედებას, რომლებიც კურორტს გააჩნია.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბორჯომის წყლის აბაზანები ნაჩვენებია აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებისას. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ დადებითი ეფექტი დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორია ჩვენებანი მოცემულ კურორტზე ავადმყოფის მკურნალობისათვის და რამდენად ეგუება ამა თუ იმ ავადმყოფის ორგანიზმი საკურორტო მკურნალობას. არც ერთი დაავადების დროს არ არის საჭირო ისეთი უაღრესი სიფრთხილე ბორჯომში აბაზანებით მკურნალობისას, როგორც გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებისას. მკურნალობის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აგრეთვე იმისაგან, თუ რამდენად სწორად ასრულებს ავადმყოფი ექიმის ყველა დანიშნულებას.

გაზიანი წყლების მოქმედება ორგანიზმზე აბაზანებით მკურნალობისას შედგება თერმული, მექანიკური და ფიზიკურ-ქიმიური ხასიათის გაღიზიანებათაგან. აბაზანის ტემპერატურა, მინერალური წყლის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობა (მარილები და გაზები), წყლის დაწოლა სხეულზე—ასეთია ორგანიზმზე გაზიანი წყლების მოქმედების ძირითადი ელემენტები.

ნახშირმჟავა გაზი, რომელსაც ბორჯომის წყალი საკმაო კონცენტრაციით შეიცავს, შეიწოვება კანის მეშვეობით და ცენტრალური ნერვული სისტემის მონაწილეობით იწვევს გარკვეულ ჰემოდინამიკურ ძვრებს, რის შედეგადაც იქმნება უკეთესი პირობები გულის მუშაობისათვის.

იყო დრო, როცა ბორჯომის წყლის გამოყენების საკითხი ბავშვთა დაავადების დროს დავას იწვევდა ექიმებს შორის. ეს დავა დიდი ხანია რაც გადაჭრილ იქნა.

ბორჯომი არ წარმოადგენს ბავშვთა სპეციალურ კურორტს. ბავშვებისათვის საქართველოში მთის საუკეთესო კლიმატური და ზღვისპირა კურორტები არსებობს. მაგრამ თუ ბავშვები ავადდებიან ისეთი ავადმყოფობით, რომლის დროსაც ნაჩვენებია ბორჯომის წყალი, არ არსებობს არავითარი წინააღმდეგჩვენება მათი მკურნალობისათვის ბორჯომის წყლით ბორჯომში ან ბორჯომს გარეთ.

ჯანსაღი ჰავა, გრილი ზაფხული, საუცხოო შემოდგომა კარგად მოქმედებს ყოველი ასაკის ბავშვზე. სათანადო მოვლით და სწორი რეჟიმის დაცვით ბავშვები წონაში საკმაოდ კარგად მატულობენ ბორჯომში. ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ ბავშვები სიამოვნებით სვამენ ბორჯომის წყალს, რადგან მას სასიამოვნო გემო აქვს. მხოლოდ წყლის დოზირება ბავშვებისათვის სხვანაირია, ექიმის დანიშნულების მიხედვით.

სუნთქვის ორგანოების დაავადებისას ბორჯომი აგრეთვე ნაჩვენებია, როგორც კლიმატური სადგური თავისი წყაროებითურთ, მაგრამ მას ჰყავს განსაზღვრული კატეგორიის ასეთი ავადმყოფები. აქ პირველ რიგში თავს კარგად გრძნობენ ავადმყოფები, რომელთაც დაზიანებული აქვთ ზედა სასუნთქი გზები. ერთი მხრივ, შემთბარი მინერალური წყლის სმა, მეორე მხრივ—უშუალო ზემოქმედება ზედა სასუნთქი გზების ლორწოვან გარსზე ინჰალაციის, მინერალური წყლით გამორეცხვის, გამოვლების და პულვერიზაციის სახით, უალრესად შესაფერისი კლიმატური ფაქტორების ფონზე, საუცხოო პირობებს ქმნის ასეთი ავადმყოფების წარმატებით მკურნალობისათვის.

ფილტვების ემფიზემით დაავადებულნი (მსუბუქი და საშუალო ფორმები) აგრეთვე მნიშვნელოვან შემსუბუქებას იღებენ ბორჯომში. რაც შეეხება ბრონქიალური ასთმით დაავადებულ ავადმყოფთა დიდ ჯგუფს, ბორჯომში უნდა იმკურნალონ მხოლოდ იმ ასთმიანმა ავადმყოფებმა, რომლებიც საერთოდ კარგად იტანენ სამთო-კლიმატურ სადგურზე ყოფნას.

ტუბერკულოზით დაავადებულთათვის ბორჯომი საერთოდ ნაჩვენები არ არის. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბორჯომში თქვენ ვერ შეხვდებით ტუბერკულოზიან ავადმყოფებს. ის ტუბერკულოზიანებიც კი, რომლებიც ადგილობრივ ცხოვრობენ, ცდილობენ გავიდნენ ბორჯომთან ახლო მდებარე სამთო-კლიმატურ სადგურებში (აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, ლიბანი), სადაც ისინი თავს გაცილებით უკეთ გრძნობენ.

ბორჯომი არ არის აგრეთვე სპეციალურად გინეკოლოგიურ ავადმყოფთა კურორტი. მართალია, არსებობს ძველი შრომები პროფ. ნ. ნ. ფენომენოვის კლინიკიდან მთელ რიგ გინეკოლოგიურ დაავადებათა დროს ბორჯომის ბოთლის წყლის წარმატებით გამოყენების შესახებ, მაგრამ მისმა დაკვირვებებმა შემდგომი განვითარება ვერ მიიღო.

ბორჯომში, უმთავრესად ზაფხულში, გვხვდებიან გინეკოლოგიური ავადმყოფებიც, მაგრამ ეს ავადმყოფთა ის ჯგუფია, რომელიც,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. ლიკანი, სსპცს სანატორიუმის ერთ-ერთი კუთხე.

ბორჯომი. ლიკანი, სსპცს სანატორიუმის პარკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინეკოლოგიურ დაავადებებთან ერთად, შეპყრობილია აგრეთვე კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის დაავადებით, ნივთიერებათა ცვლის შარდის გზების მოშლილობით და სხვ. ავადმყოფთა ამ კატეგორიისათვის ბორჯომი უთუოდ მოსახდენია, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბორჯომის კარგად მოწყობილი ბალნეოფიზიო-თერაპიული სამკურნალო ახტალის ტალახით დიდი წარმატებით არჩენს ასეთ ავადმყოფებს მათი ძირითადი სნეულებისაგან.

ნერვული სისტემის ფუნქციონალური დაავადებანი—ნევრასთენია (ვეგეტო-ნევროზები) ნევრასთენიული რეაქციის ფორმით აგრეთვე წარმატებით იკურნება ბორჯომში. ასეთი ავადმყოფებისათვის არ არსებობს სპეციალიზებული სანატორიუმები; ისინი მეტწილად პოლიკლინიკებში მკურნალობით სარგებლობენ. არ მოიპოვება აგრეთვე ამ საკითხისადმი მიძღვნილი ნაშრომები, მაგრამ გამოცდილ სპეციალისტთა დაკვირვებები, რაც პოლიკლინიკურ მასალებს ემყარება, ასეთი ავადმყოფების ბორჯომში მკურნალობის სასარგებლოდ ლაპარაკობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათთვის შესაფერისი პირობები შეიქმნება.

მთის ლამაზი პეიზაჟი, გასეირნება, სუფთა ჰაერი, ჰაერისა და მზის აბაზანები, ბალნეო-ფიზიოთერაპიული პროცედურები, სამკურნალო ფიზკულტურა, შესაფერი კვება, ექიმის ავტორიტეტული სიტყვა—ყოველივე ეს ქმნის შესაფერ პირობებს ასეთ ავადმყოფთა მკურნალობისათვის. როგორც სწორად აღნიშნავს პროფ. ი. ვ. კანაბიხი, „ამ კატეგორიის ავადმყოფები განსაკუთრებული იმედით შეჰყურებენ საკურორტო მკურნალობის პერსპექტივებს. ისინი ხარბად ისმენენ ცნობებს ამა თუ იმ წყაროს სასწაულმოქმედი რადიაქტივობის შესახებ. ასეთი „მისწრაფება კურორტისაკენ“, ცხადია, ქმნის უალრესად ხელსაყრელ წანამძღვარს შესაძლო თერაპიული ეფექტისათვის.“

მართლაც, კონსტიტუციური ნევრასთენიით დაავადებულნი მთელ რიგ შემთხვევებში წარმატებით მკურნალობენ ბორჯომში.

ენდოკრინული სისტემის დაავადებებს ფრიად შეზღუდული ჩვენება აქვს ბორჯომში მკურნალობისათვის.

ერთ-ერთი საუკეთესო ენდოკრინოლოგი პროფ. ნ. ა. შერეშევსკი აღნიშნავს, რომ საკითხი ენდოკრინული სისტემის დაავადებათა მკურნალობის შესახებ კურორტზე სავსებით გადაჭრილი როდია.

ენდოკრინული სისტემის დაავადებათა შორის ბორჯომში მკურნალობა ნაჩვენებია მხოლოდ თირეოტოქსიკოზის მსუბუქი ფორ-

მებისა. ასეთი ავადმყოფებისათვის ბორჯომში არსებობს ელექტროთერაპიის მხოლოდ ზოგიერთი სახეები და შესაფერისი კლიმატური პირობები.

უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ ავადმყოფებს ესაჭიროებათ სიმშვიდე, მზრუნველობით მოპყრობა, მედიკამენტოზური და ელექტროთერაპიული მკურნალობა; მათ არ უნდა მიეცეთ საბაბი გაღიზიანებისათვის. თუ ასეთი პირობები არ იქნა, ავადმყოფის მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ავადმყოფთა მკურნალობისათვის ბორჯომში მეტად დიდი შესაძლებლობაა, ვინაიდან ის პირობები, რომლებიც ამ კურორტს გააჩნია, უზრუნველყოფს დაავადებათა დიდი ჯგუფის წარმატებით მკურნალობას.

ბორჯომის გაზიან მინერალურ წყალს ხშირად ჯანმრთელი ადამიანებიც სვამენ ექიმის მიერ ყოველგვარი დანიშვნის გარეშე, ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივად. წყალი იმდენად სასიამოვნო დასალევია, რომ ძნელია იმის თქმა, ვინ უფრო სვამს მას, განსაკუთრებით ზაფხულში, ავადმყოფი თუ ჯანმრთელი ადამიანი. მას სვამენ როგორც ჭამის წინ, ისე ჭამის შემდეგ, ხოლო ზოგჯერ საჭმელთან ერთად სადილზე. როგორ მოქმედებს ბორჯომის წყლის ასეთი არარაციონალური სმა ადამიანის ორგანიზმზე? ამ საკითხს არა მხოლოდ მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, არამედ წმინდა პრაქტიკულიც.

ამ საკითხის გადასაწყვეტად დოც. მ. მ. ტყემალაძემ ფრიად საინტერესო დაკვირვება ჩაატარა. ამ მიზნით მან მოახდინა ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხნის მუშების გამოკვლევა, რომლებიც ხანგრძლივად, არარაციონალურად სვამდნენ მინერალურ წყალს ისე, როგორც ჩვეულებრივ წყალს, ზოგჯერ წლობით, დღეში 2-დან 5 ლიტრამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა ბორჯომის მინერალური წყლის შესწავლას მრავალი შრომა მიეძღვნა, ჯერ არავის ჰაუტარებია გამოკვლევა იმ ასპექტში, როგორც ეს დოც. მ. მ. ტყემალაძემ შეასრულა.

მან გამოიკვლია ჩამომსხმელი ქარხნის 27 მუშა 21—57 წლის ასაკში, ამასთან ამ მუშების ნახევარზე მეტი 10-დან 25 წლამდე განუწყვეტლივ მუშაობდა ქარხანაში. ამ მუშებს შორის არც ერთი არ ყოფილა კუჭ-ნაწლავის ტრაქტით დაავადებული. კლინიკურად, ვრცელი გამოკვლევით, თვით რენტგენის სხივებით გაშუქების ჩათვლით, ყველა მათგანი ჯანმრთელი აღმოჩნდა, და არ ყოფი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბორჯომი. ოქტომბრის რევოლუციის სახელობის პარკი.

ბორჯომი. ლიკანი. სსპცს სანატორიუმის ბალნეო-ფიზიოთერაპიული სამკურნალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა შემთხვევა, რომ რომელიმეს თავისი ავადმყოფობის შესახებ შეეჩივლა.

ყველანი ცივ გაზიან წყალს სვამდნენ, ზაფხულში უფრო მეტს, ვიდრე ზამთარში, მაგრამ მათგან არც ერთი არ ყოფილა ისეთი რომელსაც ყოველდღიურად ერთ ლიტრ წყალზე ნაკლები დაელია. მუშების ნახევარზე მეტი დღეში 2 ლიტრზე მეტ წყალს სვამდა.

თანამედროვე მეთოდებით გამოიკვლიეს თითოეულის კუჭის სეკრეტორული და მოტორული ფუნქცია. შედეგად აღმოჩნდა, რომ 27-დან 16 მუშას კუჭის წვენის მომატებული მჟავობა ჰქონდა (59 პროც.), ხუთს—ნორმალური, ხოლო დანარჩენ ექვსს—დაქვეითებული. დამახასიათებელია, რომ 16 მუშას, რომლებსაც მჟავობა საგრძნობლად მომატებული ჰქონდა, არც ერთ შემთხვევაში კუჭის დაავადების რაიმე სიმპტომი არ აღმოაჩნდა. დანარჩენ მუშებსაც არავითარი პათოლოგიური გადახრა ნორმიდან არ ჰქონიათ.

ამ დაკვირვებათა საფუძველზე ავტორმა შემდეგი დასკვნები გამოიტანა: 1) ბორჯომის გაზიანი მინერალური წყლის ხანგრძლივ, სისტემატურ და არარაციონალურ სმას შეუძლია კუჭის წვენის მჟავობის მომატება; 2) მარტოოდენ ფაქტი კუჭის წვენის მჟავობის მომატებისა თუ დაკლებისა არ წარმოადგენს კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის მხრივ პათოლოგიური მოვლენების მაჩვენებელს.

მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ამ შემთხვევაში კუჭის წვენის მჟავობის მომატება ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის მუშათა მნიშვნელოვან რაოდენობას არა მხოლოდ და მხოლოდ მინერალური წყლის გავლენით შეიძლებოდა ჰქონოდა. აქ საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მუშები სვამდნენ ცივ ბორჯომის წყალს (10—12° C), ხოლო მთელ რიგ მეცნიერთა მიერ დამტკიცებულია როგორც ექსპერიმენტებით ცხოველებზე, ისე დაკვირვებით ადამიანებზე, რომ კუჭის წვენის მჟავობის მომატება ხდება ცივი წყლის გავლენით. გავლენას ახდენს აგრეთვე ნახშირმჟავას შემცველობა გაზიან წყალში.

ამ საინტერესო დაკვირვების განხილვის დროს უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ის, რომ ბორჯომის მინერალური წყალი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს სოდას; ყოველდღიურად 3—4 ბოთლი ბორჯომის წყლის მიღებით მუშები საგრძნობი რაოდენობით იღებდნენ სოდას (15—20 გრამს). იბადება კითხვა, უარყოფით გავლენას ხომ არ ახდენს სოდის ასეთი რაოდენობა ადამიანის სხვა ორგანოებზე, მაგალითად, საშარდე გზებზე? ამ საკითხის შესახებ არსებობს აგრეთვე საინტერესო დაკვირვებები კლინიცისტებისა, რომლებმაც გამოარკვიეს, რომ კუჭით დაავადებუ-

ლებს, რომლებიც წლობით ღებულობდნენ სოდას დღეში 40—50 გრამის რაოდენობით, არავითარი პათოლოგიური მოვლენები შინაგანი ორგანოების მხრივ არ ჰქონიათ.

დიდი ხანია ცნობილია, რომ მხოლოდ და მხოლოდ კუჭის წვენის მჟავობის მომატება ან დაკლება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ადამიანის დაავადებას. ხშირად გვხვდებიან ადამიანები კუჭის წვენის მომატებული ან მკვეთრად დაკლებული მჟავობით, მაგრამ კლინიკურად სავსებით ჯანსაღნი; ისინი არ უჩივიან კუჭის ან სხვა ორგანოების დაავადებას.

ამ შეხედულების სისწორეს ადასტურებს დაკვირვებები ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის მუშებზე, რომელთა შორის იყვნენ როგორც მომატებული, ისე დაკლებული და ნორმალური მჟავობის მქონენი, მაგრამ არც ერთი მათგანი თავის ჯანმრთელობას არ უჩიოდა.

რა თქმა უნდა, აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ ყველა ჯანმრთელ და ავადმყოფ ადამიანს ჩვეულებრივი წყლის ნაცვლად შეუძლია სვას ბორჯომის მინერალური წყალი. ეს იქნებოდა საკითხის გაუბრალოება, მაგრამ ზოგიერთის შიში ამ მხრივ გადაჭარბებულია და საფუძველს მოკლებული.

ბორჯომის წყლით მკურნალობისას მნიშვნელობა აქვს წყლის ტემპერატურას, გაზის შემცველობას, მიღების დროს—ჭამის წინ, ჭამის შემდეგ ან ჭამისას, მიღების ხანგრძლიობას და მიღებული წყლის რაოდენობას. თითოეულ შემთხვევაში ავადმყოფმა უნდა მიიღოს პოლიკლინიკის ან სანატორიუმის ექიმის მითითებანი.

ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით ვილაპარაკებთ იმის შესახებ, თუ რა ავადმყოფობის დროს და როგორ უნდა მივიღოთ ბორჯომის წყალი, აგრეთვე მოვიყვანთ იმ წინააღმდეგჩვენებებს, რომლებიც ამ წყლის გამოყენების შესახებ არსებობს.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ კურორტზე მკურნალობის ეფექტიანობა მხოლოდ და მხოლოდ ბორჯომის მინერალური წყლის ან თუნდაც ბორჯომის კლიმატური პირობებისაგან არის დამოკიდებული. ი. პ. პავლოვის მოძღვრების მიხედვით ცნობილია, რომ კურორტზე მკურნალობის ეფექტიანობას განსაზღვრავს ყველა ფაქტორის, მათ რიცხვში საკურორტო ფაქტორთა კომპლექსის ზემოქმედება თავის ტვინის ქერქზე, რაც ხორციელდება ექსტეროინტეროორეცეპტორების გაღიზიანებით ამ ფაქტორთა მიერ.

მკურნალობის სანატორიულ-კურორტული პირობები, რომლებიც შეიცავს საკურორტო ცხოვრების გარემოს, ბალნეო-ფიზიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერაპიულ პროცედურებს, სამკურნალო ფიზკულტურას, სამკურ-
ნალო-კვებით და ამ კომპლექსის სხვა პირობებსაც, მოქმედებს
კანში, ლორწოვან გარსებსა და ყველა შინაგან ორგანოში არსე-
ბულ რეცეპტორებზე, რომლებიც, თავის მხრივ, იწვევენ აგზნებისა
და შეკავების პროცესთა ნორმალიზაციას თავის ტვინის ქერქში.

მაგრამ, გარდა ავადმყოფებისა, ბორჯომში დიდი რაოდენო-
ბით მოდიან კლინიკურად ჯანსაღი ადამიანები, რომლებიც თა-
ვიანთ შვებულებას აქ ატარებენ. ასეთ პირთა რიცხვი წლიდან
წლამდე იზრდება. ბორჯომში განსაკუთრებული პირობები არსე-
ბობს იმისათვის, რომ ადამიანმა ნამდვილი სიმშვიდე და დასვე-
ნება ჰპოვოს.

ამ მხრივ ყველაზე მომთხოვნელმა დამსვენებელმაც კი შეიძლება
სრული კმაყოფილება მიიღოს. ბორჯომის სიმაღლე ზღვის დონე-
დან შესაფერისია როგორც ჯანმრთელთათვის, ისე ავადმყოფები-
სათვის. აქაური გრილი ზაფხული სიმშვიდესა და მოსვენებას
ანიჭებს ცხელი ადგილებიდან ჩამოსულთ. ზაფხულში ბორჯომში
არ ცხელა, შემოდგომაზე არ ცივა, ზამთარი მკაცრი არ იცის.
საუცხოო მთიანი პეიზაჟი თვალს უალერსებს და ორგანიზმს
ასვენებს. თვალწარმტაც ადგილებში გასეირნებასა და ექსკურ-
სიებს სულ ახალ-ახალი შთაბეჭდილებები მოაქვს. ბორჯომიდან
ბაკურიანში, ხაშურსა და გორში, ახალციხესა და აბასთუმანში
გასეირნება მანქანებითა და ავტობუსებით კეთილნაყოფიერ გავ-
ლენას ახდენს დამსვენებლებზე. ჰაერისა და მზის აბაზანები, მდი-
ნარეში ბანაობა, ვისთვისაც ეს შესაძლებელია ჯანმრთელობის
მდგომარეობის მიხედვით,—ორგანიზმს აწრთობს. ამას დაუმატეთ
ფეხით გასეირნება განსაკუთრებით ლამაზ ადგილებში.

რა მშვენიერებაა ზაფხულში ბორჯომის მომხიბლავი მთვარი-
ანი ღამეები, როდესაც ამომავალი მთვარე ჯერ კიდევ დამალულია
მთებს იქით, მაგრამ სინათლე თანდათანობით იკვლევს გზას ფიჭ-
ვისა და ნაძვის ხეებში, რომლებითაც ასე მდიდარია ბორჯომის
მთები. ღამის სიჩუმე ირღვევა მხოლოდ ბორჯომულას ჩუხჩუ-
ხით და მტკვრის ტალღების ხმაურით. მინერალური წყლების პარკ-
ში, სადაც იკრიბება დამსვენებელთა დიდი რაოდენობა, მთვარიან
ღამეს ახასიათებს თავისებურება. ამ პარკს არავითარი ღობე არ
აქვს, მის მაგივრობას ასრულებს მწვანე ხეებით დაფარული მაღა-
ლი მთები. იმის გამო, რომ მთების სიმაღლე სხვადასხვაა, რო-
დესაც პარკის ბოლო განათებულია მთვარის სინათლით, პარკის
დასაწყისში ჯერ კიდევ არ ჩანს მთვარე.

ბორჯომში დამსვენებელი დღედაღამ სარგებლობს ფიჭვ-ნაძვნარის სურნელებით გაჟღენთილი წმინდა ჰაერით; ტყის ნარგავთა უმეტესობას აქ ფიჭვი და ნაძვი შეადგენს. შემოდგომით, როცა მწვანე წიწვიან მცენარეთა ფონზე ფოთლოვანი ხეები თავის ფერს იცვლიან, ბორჯომისა და მისი ხეობის ტყეები დაუვიწყარ სურათს წარმოადგენს. დამსვენებელი თითქოს ხელოვნურად მოქარგულ გასაოცარი სილამაზის ხალიჩას უცქერის.

მშვენიერია ბორჯომი თვით წვიმიან დღეებშიც, ჰექა-ქუხილის დროსაც, როცა ცაზე დაკლაკნილი ელვა თითქოს ეხება ფიჭვისა და ნაძვის წვეროებს, ხოლო ამის შემდეგ წარმოისახება ცისარტყელა, რომელიც მრავალფეროვანი რკალის სახით თავს დაცქერის ბორჯომის მთელ ტერიტორიას. მეორე დღეს კი, როცა დილით ადრე, ნისლი თანდათან აიკრიფება, და თითქოს ფარდა აიხადაო, სულ მაღლა, მაღლა იწევს, შენს თვალწინ იშლება კურორტის ჯადოსნური სანახაობა, რასაც ალტაცებაში მოჰყავხარ თავისი განსაცვიფრებელი სილამაზით.

უნებლიეთ გაგონდება ჩვენი საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის შესანიშნავი სიტყვები:

„მე ვიცი:
უმღერდნენ
ედემს და სამოთხეს,
მაგრამ თუ
ლექსავდნენ
ოცნებით,
ალბათ
საქართველო
ედემად გამოჰყვეს,
მასზე თუ
გალობდნენ
მგოსნები.“[1]

ბორჯომი და მისი ხეობა დიდ ინტერესს წარმოადგენს ტურისტებისა და ექსკურსანტებისათვის. აქ უხვად არის წარმოდგენილი ისტორიული ძეგლები. სახელგანთქმული ვარძია, 800 წლის წინათ კლდეში გამოკვეთილი, XI და XII საუკუნის მონასტრები და ციხე-სიმაგრეები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია და რომლებიც მოწამენი არიან ქართველი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლისა უცხოელ

[1]) თარგმანი ირ. აბაშიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამპყრობლებთან, მწვერვალი „ცხრა-წყარო“, რომელიც ზღვის დონედან 2711 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, საიდანაც მოჩანს მთელი კავკასიონის მთაგრეხილი, კალმახით მდიდარი ტაბაწყურის ტბა და ბაკურიანის სათხილამურო ტრამპლინი, რომელიც ზამთრობით კავშირის ყველა კუთხიდან იზიდავს მეთხილამურეებს, და მრავალი სხვა, ჭეშმარიტ სიამოვნებას განაცდევინებს ყოველ ტურისტს.

ნადირობა ბორჯომის რაიონის მდიდარ ტყეებსა და მინდვრებში, თევზის ჭერა დიდ და მცირე მდინარეებში კიდევ უფრო აძლიერებს ექსკურსანტებისა და ტურისტების მიერ ამ რაიონში მიღებულ შთაბეჭდილებებს.



ქაღაქი-კურორტი

პარკები, საწამლოები, კულტურული დასვენებულები

სანატორიულ ავადმყოფთა და დამსვენებელთა საყვარელ ადგილს ბორჯომში ს. ორჯონიკიძის სახელობის მინერალური წყლების პარკი წარმოადგენს. აქ არის განთქმული მინერალური წყაროები, ბორჯომის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი სამკურნალო ფაქტორი.

120 წლის წინათ აქ იყო დაბურული ტყე და ადამიანები ვიწრო საცალფეხო გზით დიდი გაჭირვებით დადიოდნენ წყაროზე. მაგრამ ახლაც ამ კუთხემ, მიუხედავად დიდი ცვლილებებისა, ბევრი რამ შეინარჩუნა თავისი პირვანდელი ბუნებრივი სილამაზიდან. ესაა ვიწრო ხეობა წიწვიანი და ფოთლოვანი ჯიშის საუკუნოვანი ხეებით, სადაც არავითარი ხარიხები და ლობეები არ არსებობს, და მათ ნაცვლად აღმართულია მაღალი მთის შტოები. სიგრძე პარკს სამ კილომეტრზე მეტი აქვს, განი კი, თვით ყველაზე გაშლილ ადგილებში, მხოლოდ ასეული მეტრები.

ამ ვიწრო ხეობაში, პარკის გასწვრივ, ჩხრიალით მიედინება მდინარე ბორჯომულა, რომელიც ძლიერ გვაგონებს არაგვს და თერგს, მაგრამ ბევრად ჩამორჩება ამ უკანასკნელს წყალსავსეობით. როგორც მთის მდინარეთა უმრავლესობა, ბორჯომულაც პირდაპირი გზით არ მიიმართება, არამედ ძლიერ იკლაკნება. ამის შესაბამისად პარკიც მიხვეულ-მოხვეულია სიგრძეზე. ამიტომ არის, რომ ხშირად გვიხდება მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა, რისთვისაც ამ მოკლე მანძილზე 7 ხიდი არსებობს.

პარკის შესავალთან, მარჯვნივ, არის წყარო № 2 (ყოფ. ევგენის), მისგან ახლოს—მთავარი წყარო № 1 (ყოფ. ეკატერინესი), რომელიც ავადმყოფთა ყველაზე მეტ რაოდენობას იზიდავს, რად-

გან მის წყალს გათბობა არ ესაჭიროება; თავისი ტემპერატურით ეგი სასმელად ყველაზე შესაფერისია. ორივე წყარო ერთმანეთთან შეერთებულია საკმაოდ პრიმიტიული დახურული გალერიით, რომლის ადგილას განზრახულია კაპიტალური გალერიის აგება.

პარკში მოსეირნეთათვის საყვარელ ადგილს წარმოადგენს ლამაზი ჩანჩქერი, რომლის წყალიც, სადგერის ტაფობიდან წამოსული, დიდი სიმაღლიდან კასკადებით ეშვება ძირს და მდინარე ბორჯომულას უერთდება. ზაფხულში აქ თავს იყრის მრავალი დამსვენებელი, რომლებიც გრილდებიან ჩანჩქერისაგან ჰაერში გაფანტული მაცოცხლებელი შხეფებით. ჩრდილოვანი ადგილები პარკში ბლომადაა, მათი ძებნა არ გჭირდებათ, მაგრამ საითაც უნდა წახვიდეთ, ყველგან თან გდევთ ბორჯომულას შხუილი, რომელიც მიაქანებს თავის გამჭვირვალე ტალღებს ქვიან კალაპოტში, ვიწრო ხეობაში ფრიალოსაებრ ჩამოთლილი თვალწარმტაცი ნაპირებით.

თუ გავივლით რამდენიმე მეტრს ჩანჩქერიდან პარკის სიღრმეში, ბორჯომულას მარჯვენა ნაპირზე ჩვენ ვნახავთ 1899 წელს აგებულ ჰიდროელექტროსადგურს. მისი სიმძლავრე მაშინ 300 ცხენის ძალას შეადგენდა. ის აწვდიდა ენერგიას ბორჯომსა და ლიკანს. იმ დროს ელექტროსინათლით განათებული იყო მხოლოდ სასახლეები, ჩამომსხმელი ქარხანა და ქუჩების ერთი ნაწილი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური ერთ-ერთი პირველი ელექტროსადგური იყო რუსეთში „თეთრი ნახშირის"—წყლის ენერგიის გამოყენებით; ეს სადგური ახლაც არსებობს. იგი რეკონსტრუირებული, გაფართოებულია და მისი სიმძლავრე ამჟამად 1000 ცხენის ძალას აღემატება. რა პატარა, სათამაშოსებრი გვეჩვენება ახლა ეს სადგური, ოდესღაც ბორჯომის მდიდარ მფლობელთა სურვილით აგებული, შედარებით აქვე ახლოს, ბორჯომის რაიონში აგებულ ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურთან, რომლის ექსპლოატაციაც 1950 წელს დაიწყო.

ცნობილია, რომ საქართველო მეტად მდიდარია ენერგეტიკული რესურსებით. საქართველოს ახლანდელი ელექტრობალანსი დიდად აღემატება რევოლუციამდელს. ყოველწლიურად მწყობრში შედის სულ ახალ-ახალი ელექტროსადგურები, რომლებიც სულ უფრო მეტ ენერგიას აწვდის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას. ბორჯომიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით აგებული ჩითახევის ჰიდროელექტროსადგური—ეს მეორე სადგურია მტკვარზე—ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის შემდეგ. მისი ენერგია ეძლე-

ვა საქენერგოს ელექტროსადგურთა რგოლს, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების წლებში აგებულ ისეთ მძლავრ სადგურებს, როგორიცაა ლენინის სახელობის ზაჰესი, სტალინის სახელობის რიონჰესი, ხრამისა და სუხუმის ჰიდროელექტროსადგურები, ტყვარჩელის ჰიდროელექტროსადგური და სხვები. ისე როგორც საქართველოს სხვა კურორტები, ბორჯომიც უკვე აღარ განიცდის ელექტროენერგიის ნაკლებობას: ელექტროენერგიას ღებულობენ როგორც სანატორიუმები, ისე მუშა-მოსამსახურეთა სახლები. ელექტრონით განათებულია ყველა ქუჩა, ყველა საწარმო უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით.

ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური უნდა დარჩეს როგორც მოგონება ძველი ტექნიკის უბადრუკობაზე, რომელიც წარსულს ჩაბარდა! ტურისტსა და ექსკურსანტს სრული შესაძლებლობა აქვთ ბორჯომისა და ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურების თვალსაჩინო მაგალითზე დარწმუნდნენ, თუ როგორ შორს წავიდა წინ ჩვენი ენერგეტიკის განვითარება.

პარკში შესასვლელთან, მის მარცხენა მხარეზე იმყოფება წყლის ჩამომსხმელი ქარხანა. ამჟამად აქ გატარებულია მთელი მუშაობის სრული მექანიზაცია.

№ 1 წყაროსთან ახლოს აგებულია ს. ორჯონიკიძის ძეგლი, რომლის სახელსაც ატარებს პარკი.

უახლოეს დროისათვის დასახულია პარკში რიგი სამშენებლო და კეთილმოწყობის სამუშაოთა ჩატარება. ჩვენ ვფიქრობთ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ზემოდან დახურული საზაფხულო როტონდის აგება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სიმფონიური მუსიკის მოსმენა და კონცერტებისა და ლიტერატურული საღამოების მოწყობა. ამჟამად თვით ჩანჩქერთან არსებული ლია შენობა ამ მიზნებისათვის შეუფერებელია, რადგან ჩანჩქერის ხმაური და ბორჯომულას სიახლოვე ხელს უშლის მუსიკის მოსმენას. ორივე წყაროს შემაერთებელი გალერია ისე უნდა იქნეს აგებული, რომ თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს როგორც არქიტექტურის, ისე ავადმყოფთა და დამსვენებელთათვის მომარჯვებულობის მხრივ. ჩამომსხმელი ქარხანა პარკიდან გატანილ უნდა იქნეს შავ-წყალზე.[1]

ბორჯომში დიდ სამამულო ომამდელ პერიოდში ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკში დამსვენებლები ყოველ ზაფხულზე ისმენ-

---

[1] უკვე დაწყებულია ახალი მძლავრი ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა შავ-წყალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ სიმფონიურ მუსიკას. ჯერ კიდევ პ. ი. ჩაიკოვსკის დროს (1887 წ.) პარკში უკრავდა სიმფონიური ორკესტრი. სამწუხაროდ, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ბორჯომში აღარ ვისმენთ სიმფონიურ ორკესტრს. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ რადიოსა და კინოს ეპოქაში არ არის საჭირო კურორტზე სიმფონიური ორკესტრი. მათ ავიწყდებათ, რომ რადიო და კინო მის ადგილს ვერ დაიჭერს. ექიმებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ კარგი მუსიკა არ არის მხოლოდ გართობა და დროს ტარება, არამედ ეს არის მძლავრი სამკურნალო ფაქტორიც.

დროა დავუბრუნდეთ ამ კარგ ტრადიციას და ჩვენი კურორტებიდან არა თუ გავდევნოთ სიმფონიური მუსიკა, არამედ ყოველ მხრივ ხელი შევუწყოთ მის განვითარებასა და დანერგვას.

სერგო ორჯონიკიძის სახელობის მინერალური წყლების პარკის ბოლოში, მე-4 კილომეტრზე, მდინარე ბორჯომულას ხეობაში არსებობს გოგირდის წყაროები ცელსიუსით 24° ტემპერატურისა, დღე-ღამეში 120.000 ლიტრზე მეტი დებიტით. ეს წყაროები პოპულარობით სარგებლობენ ახლომდებარე სოფლის მცხოვრებთა შორის. ამ წყლებს ათბობენ საჭირო ტემპერატურამდე და ღებულობენ აბაზანების სახით რევმატიზმის, გინეკოლოგიურ, კანის დაავადებათა დროს, აგრეთვე პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებისას.

მომავლისათვის განზრახულია ამ წყაროების შეერთება ბალნეოფიზიოთერაპიულ საავადმყოფოსთან მილსადენებით და მაშინ ავადმყოფებს უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ უკეთეს პირობებში ისარგებლონ გოგირდის წყაროებით მთელ რიგ დაავადებათა დროს.

მეორე პარკი—ოქტომბრის რევოლუციის სახელობისა—ბორჯომის ცენტრში იმყოფება. იგი სწორად იყო დაგეგმილი ფართო და სწორი ხეივნებით, მაგრამ ეს პარკი საგრძნობლად შემცირდა და დაკარგა თავისი წინანდელი მნიშვნელობა, რადგან მისი დიდი ნაწილი რკინიგზის სადგურმა დაიკავა. მიუხედავად ამისა, ეს პარკი ახლაც მრავალ დამსვენებელს იზიდავს. აქ ბევრია მაღალი, ასწლოვანი წაბლის, ჭადრისა და სხვა ხეები, რომლებიც უხვად იძლევიან ჩრდილს.

საკმაოდ კარგი პარკი აქვს № 1 სანატორიუმს; ამ პარკის მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი მდებარეობს მთის ფერდობზე, მტკვრის მარცხენა ნაპირის გასწვრივ, საიდანაც თვალწინ გადაშლილია ბორჯომის საუცხოო ხედი.

ბორჯომის პარკთა შორის უდავოდ შესანიშნავია 26 კომისრის სახელობის (ყოფ. ვორონცოვის) პარკი. კლიმატური პირობების,

ტყის ნარგავების სიმდიდრისა და იმ საუცხოო პანორამის ბლოკ, რომელიც თვალს ეშლება აქედან, ეს საუკეთესო ადგილია ბორჯომში. ამ პარკს 136 ჰექტარი ფართობი უკავია. მას უშუალოდ ეკვრის სადგერის ტყე-პარკი, რომელსაც 124 ჰექტარი უკავია. ადვილი წარმოსადგენია, რა სიმდიდრეს წარმოადგენს ბორჯომისათვის ასწლოვანი ფიჭვნარით დაფარული 260 ჰექტარი ფართობი, რომელიც ზღვის დონედან დაახლოებით 1000 მეტრზე მდებარეობს ჯანსაღ, მზით მდიდარ და მკაცრი ქარების თარეშისაგან თავისუფალ, ზაფხულში გრილ ადგილზე.

ბორჯომიდან ამ პარკში მიმავალი გზებიც მოხერხებულია, ქვეითად სასიარულო გზა გადის ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკიდან; ეს გზა მცირე ალმართიანია, რაც სრულიად უვნებელია თვით გულით ავადმყოფისათვისაც კი. საავტომობილო გზა იწყება ბორჯომის ცენტრში, სასტუმრო „ბორჯომთან“ ახლოს; ორივე გზით მანძილი ხსენებულ პარკამდე 1 და $1^1/_2$ კილომეტრს შეადგენს.

ეს პარკი ჯერ კიდევ კეთილმოწყობილი არ არის, იგი კიდევ ელის მშენებლებსა და არქიტექტორებს. აქ არსებობს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ორი დასასვენებელი სახლი 140 საწოლით, 1925 წელს აგებული. უნდა ვიფიქროთ, რომ უახლოეს წლებში ამ კუთხეში აგებულ იქნება ახალი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, აგრეთვე ჩატარდება ისეთი სამუშაოები, რომლებიც უზრუნველყოფს აქ ბუნების სანახაობით დასატკბობად მოსულ დამსვენებლებს ყველა საჭირო პირობით.

კურორტ ბორჯომის მომავალი განვითარება უნდა წარიმართოს ამ პარკის ტერიტორიაზე,—სხვა შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს. აქ უნდა შეიქმნას „ზემო ბორჯომი“. თავისუფალ მინდვრებზე სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები შეიძლება ისე აიგოს, რომ პარკის ძირითადი სიმდიდრე—ტყის ნარგაობა არ დაზარალდეს. აქ ისეთი ვრცელი ტერიტორია არსებობს, რომ მისი გამოყენება შეიძლება კულტურისა და დასვენების პარკისათვის, მით უფრო, რომ ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკს, ხეობის სივიწროვის გამო, ზრდის პერსპექტივები არ გააჩნია. ამავე დროს 26 კომისრის სახელობის პარკის კლიმატური და ბუნებრივი პირობები ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკის ასეთივე პირობებზე გაცილებით უკეთესია.

ერთადერთი საკითხი—მინერალური წყლით სარგებლობის შესახებ ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკში შეიძლება ადვილად გადაიჭრას არსებული გზების წესრიგში მოყვანით, ანდა ჩქარი

ლიფტების, ფუნიკულერის, ან ესკალატორის აგებით. დაბოლოს, გამორიცხული არ არის 26 კომისრის სახელობის პარკის ტერიტორიაზე ახალი მინერალური წყაროების აღმოჩენის შესაძლებლობა. არ უნდა შევჩერდეთ უკვე ჩატარებულ ჰიდროგეოლოგიურ საკვლევო სამუშაოებზე, არამედ საჭიროა მათი კიდევ უფრო ენერგიულად წარმოება სადგერის ტაფობის რაიონშიც. არსებობს მრავალი მონაცემი, რომლებიც მოწმობს იმას, რომ ეს რაიონი მეტად მდიდარია მინერალური წყაროებით. საჭიროა უფრო თბილი წყლის მიღება. მაგრამ ისეთივე მინერალიზაციით, როგორსაც № 1 წყარო შეიცავს; მაშინ ჩვენ საშუალება გვექნება გაუთბობლად მივაწოდოთ წყალი ავადმყოფებს და ამით დავაკმაყოფილოთ ბალნეოლოგიის ერთი ყველაზე მთავარი მოთხოვნათაგანი—მივცეთ ავადმყოფებს მინერალური წყალი თავისი ბუნებრივი სახით, მის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა რაიმე ცვლილების გარეშე.

ბორჯომის პარკებსა და ტაფობებს შორის უნდა მოვიხსენოთ კიდევ თორის ტაფობი 15 ჰექტარი ფართობით. ის მდებარეობს ბორჯომის ზემო ნაწილში, მტკვრის მარჯვენა მხარეზე და ბორჯომულას მარცხნივ, № 3 სანატორიუმის ზემოთ. აქაც აგრეთვე გვხვდება მთლიანი წიწვიანი ტყეები, ასწლოვანი ფიჭვები, საიდანაც მოჩანს ბორჯომისა და ლიკანის შესანიშნავი ხედი. როგორც ტერიტორიის, ისე სხვა მაჩვენებლების მხრივაც, თორის ტაფობი ნაკლები პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე 26 კომისრის სახელობის პარკი. მაგრამ ისიც იზიდავს ტურისტებსა და ექსკურსანტებს, რომლებიც საუცხოო ადგილებს პოულობენ აქ დასასვენებლად და ტკბებიან ბუნების დიადი სანახაობით.

იყო დრო, როცა ბორჯომის მთელი მრეწველობა ერთი პრიმიტიულად აგებული შუშის ქარხნისგან შედგებოდა. პირველად შუშის ქარხანა აშენებულ იქნა ბორჯომში 1830 წელს, მაგრამ არა ბოთლების დასამზადებლად და მინერალური წყლის ჩამოსასხმელად,—იმ დროს ჩამოსხმა ჯერ კიდევ არ წარმოებდა,—არამედ მელვინეობის საჭიროებისათვის. როგორც ცნობილია, ბორჯომი მელვინეობის რაიონი არ არის, მაგრამ ეს ადგილი ქარხნისათვის იმიტომ შეარჩიეს, რომ აქ ყველაზე უფრო გამოსადეგი ნედლეული აღმოჩნდა. ამასთან, როგორც მასალებიდან ჩანს, კლიმატურმა და ბუნებრივმა პირობებმა სათანადო შთაბეჭდილება მოახდინეს იმ სპეციალისტზე, რომელიც იმ დროს მოწვეული იყო რუსეთიდან ამ საქმის მოსაგვარებლად. მაგრამ ამ პრიმიტიულმა ქარხანამ ძალიან მცირე ხანს იარსება და მალე გაუქმდა.

მხოლოდ 67 წლის შემდეგ, 1897 წელს, აგებულ იქნა შუშის ახალი ქარხანა, უკვე ბორჯომის წყლის ჩამოსხმის საჭიროებისათვის. ჩამოსასხმელი ქარხანა აშენდა 1890 წელს, მაგრამ ისიც მეტად მცირე, კუსტარულად მოწყობილი იყო და მეტისმეტად უმნიშვნელო პროდუქციას იძლეოდა. მუშები აქაც მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ.

შუშის ქარხანა ბორჯომის საქონლის სადგურთან ახლოს იმყოფება, შავ-წყალზე. ჩვენ შემთხვევა გვქონდა გვენახა ძველ დროს ამ ქარხნის მუშაობა. ბოთლები კუსტარული მეთოდით მზადდებოდა; ცხელ, გამდნარ მასასთან იდგნენ მუშები და თვითონ, მანქანის დაუხმარებლად, ბერავდნენ ბოთლებს, რის გამოც მათ სასუნთქი ორგანოების დაზიანების საფრთხე ემუქრებოდა. როგორც წესი, მუშები დიდხანს ვერ უძლებდნენ ასეთ მუშაობას და დაავადებული ფილტვებით მიდიოდნენ ქარხნიდან; მაგრამ ქარხნის მფლობელთ ეს არც აინტერესებდათ და არც აწუხებდათ. ახლა ქარხანაში ყველა პროცესი მთლიანად მექანიზებულია. გაფართოებულ, განიერ საამქროებში დადგმულია მინისებრი მანქანა-ავტომატები. მუშებმა სწრაფად აითვისეს რთული მანქანები და მნიშვნელოვნად აჭარბებენ გამომუშავების დაწესებულ ნორმებს. წარმოება მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მაგალითად, თუ 1946 წელს ქარხანამ 5 მილიონი ბოთლი გამოუშვა, ომისშემდგომი პირველი ხუთწლედის დამლევს ამ ციფრმა 20 მილიონს მიაღწია. საგრძნობლად გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხიც.

ბორჯომის შუშის ქარხანამ, რომელიც მ. ი. კალინინის სახელს ატარებს, ომისშემდგომი პირველი ხუთწლედის გეგმა სამი წლის განმავლობაში შეასრულა. ორ წელზე მეტია, რაც ზედიზედ, კვარტალიდან კვარტალში, მას უკავია პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო 1951 წელს ქარხანამ გეგმის გადაჭარბებით 1.500.000 ბოთლი გამოუშვა.

შუშის ქარხნის კარგი მუშაობისაგან მჭიდროდ არის დამოკიდებული ჩამომსხმელი ქარხნის მუშაობა — რაც მეტი ბოთლი იქნება გამოშვებული, მით უფრო მეტ ბორჯომის წყალს მიიღებს მომხმარებელი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრი რამ გაკეთდა ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის ტექნიკური მოწყობილობისა და მუშაობის მექანიზაციის მხრივ. ის, ვისაც ძველ ქარხანაში მუშაობა უნახავს, როცა მუშები დილიდან დაწყებული დაღამებამდის წყალში იდგნენ, ახლა ველარ იცნობს ამ ქარხანას. 1951 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან ვადამდე ერთი თვით და თერთმეტი დღით ადრე დაამთავრა ბოთლებში ჩასხმის წლიური გეგმა. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულ იქნა 2.500.000 ბოთლი მინერალური წყალი.

მოთხოვნილება ბორჯომის მინერალურ წყალზე დღითი-დღე იზრდება, იზრდება ჩამომსხმელი ქარხნის პროდუქციაც.

ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკიდან გადის ეგრეთწოდებული სამკურნალო სიარულისათვის განკუთვნილი გზა.

სამკურნალო სიარული ანუ ტერენკური ეწოდება მაღლობზე დიზირებულ ასვლას აღმართის განსაზღვრული კუთხით და დანიშნული ბილიკებით. მკურნალობის ამ მეთოდს წარმატებით იყენებენ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა, აგრეთვე სიმსუქნის დროს. ერთ ხანს ექიმებს შორის დიდი ადგილი ჰქონდა მკურნალობის ამ მეთოდით გატაცებას, მაგრამ შემდეგში ის მწვავედ გააკრიტიკეს, საკითხის მეცნიერული დამუშავების მეოხებით, უმთავრესად, კისლოვოდსკის კარდიოლოგიურ კლინიკაში, გამომუშავებულ იქნა ტერენკურის ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი, და ამჟამად სამკურნალო სიარულს წარმატებით იყენებენ საბჭოთა კავშირის მთელ რიგ კურორტებზე.

დიდი ხანია ცნობილია, რომ ყოველი გასეირნება, განსაკუთრებით სუფთა ჰაერზე, სასარგებლოა და დამამშვიდებლად მოქმედებს ადამიანზე. მაგრამ სამკურნალო სიარული—ეს უბრალო გასეირნება როდია, არამედ სისტემატური სვლაა აღმართზე მისი სხვადასხვა კუთხით, ავადმყოფობის თავისებურებათა, წლისა და დღის დროის, ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობის, ქარების მიმართულებისა, ავადმყოფის ტანსაცმელის და სხვა იმ ფაქტორთა გათვალისწინებით, რომლებიც სიარულის დროს გავლენას ახდენენ ავადმყოფის ორგანიზმზე. სწორედ ამიტომ ეს სამკურნალო მეთოდი გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ ექიმის დანიშნულებით, რომელიც ითვალისწინებს ავადმყოფის ყველა თავისებურებას და მრავალრიცხოვან ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს მკურნალობის ამ სასიამოვნო მეთოდის ყველაზე უფრო რაციონალურ გამოყენებას.

სამკურნალო სიარულის მთავარი დანიშნულებაა გულის კუნთის გამაგრება გულის სხვადასხვა დაავადების დროს. მკურნალობის ეს ხერხი სათანადო მეთვალყურეობის პირობებში კარგ შედეგებს იძლევა, განსაკუთრებით გულის კუნთების სისუსტით შეპყრობილ მსუქან ადამიანებში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთებზე მეთოდური მსვლელობა დაკავშირებულია გულის გადაჭანცვის საფრთხესთან, თუ ავადმყოფი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ არ იმყოფება ან ზუსტად არ ასრულებს ყველა მის რჩევა-დარიგებას.

სამკურნალო სიარულის დროს გულის მუშაობა ძლიერდება. ამ მხრივ ასეთი სიარული ძალიან გვაგონებს სამკურნალო ტანვარჯიშს. მაგრამ სამკურნალო სიარულს თითქმის არასდროს არ ახლავს ისეთი მეთვალყურეობა და გრადუირება, როგორც სამკურნალო ტანვარჯიშს. გარდა ამისა, სამკურნალო სიარულის დროს ყოველთვის შესაძლებელია ადგილი ექნეა არასასურველ შემთხვევებს: ამინდის უეცარ შეცვლას, ქარის ამოსვლას და სხვ. ამიტომ მეთოდურ მსვლელობას მთებზე ყოველთვის უნდა ვიყენებდეთ ფრთხილად და ექიმის მეთვალყურეობით. ჩვეულებრივ, ექიმი ამ სამკურნალო პროცედურას არ ესწრება, ის მხოლოდ წინასწარ მითითებებს და რჩევა-დარიგებას აძლევს ავადმყოფს; მაშასადამე, მკურნალობის წარმატება დამოკიდებულია ავადმყოფის მიერ ექიმის რჩევა-დარიგების შესრულებისაგან.

ხშირად ხდება, რომ ავადმყოფებს გაიტაცებს ბუნების სილამაზე და სიამოვნება, რასაც ისინი მაღლობზე ასვლით განიცდიან; ამიტომ არ ერიდებიან ასვლასთან დაკავშირებული დატვირთვის გადიდებას, რაც იწვევს გულის გადაღლას; ამას შესაძლოა მოჰყვეს გულის მუშაობის შესუსტება გულის კუნთის კვების გაუარესების გამო. საბოლოოდ, სარგებლობის ნაცვლად, შეიძლება ავადმყოფის ძდგომარეობა გაუარესდეს.

რა სარგებლობა მოაქვს ავადმყოფისათვის სწორად ორგანიზებულ სამკურნალო სიარულს?

ასეთი სიარულის გავლენით ძლიერდება გულის კუნთი, ფართოვდება სხეულის პერიფერიული სისხლძარღვები და გულის კუნთის მკვებავი სისხლძარღვები, რის გამოც მატულობს კუნთის შეკუმშვის უნარი და ხდება გულის საერთო გამაგრება. გარდა ამისა, ისპობა ვენური შეგუბება, ძლიერდება ოფლის გამოყოფა და სუნთქვითი ექსკურსიები. სამკურნალო სიარული კეთილნაყოფიერად მოქმედებს აგრეთვე სისხლმბად ორგანოებზე: წარმოებს სისხლის წითელი ბურთულებისა და ჰემოგლობინის ზრდა. ასეთი სიარული კარგად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ნივთიერებათა ცვლაზე, კუჭ-ნაწლავთა მოქმედებაზე, კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის ჯირკვლების მუშაობაზე. ამით კი ძლიერდება ორგანიზმისათვის საჭირო საკვები პროდუქტების შეთვისება, უფრო აქტიური ხდება ყველა უჯრედის და მთელი ორგანიზმის მუშაობა.

ტერენკურით მკურნალობაში წინააღმდეგჩვენებებიც არსებობს. არ შეიძლება ტერენკურით ისარგებლონ ავადმყოფებმა, რომლებსაც აქვთ გულის ანგინის და გულის ასთმის შეტევები, ანევრიზმა, ტვინში სისხლის ჩაქცევისა და ემბოლიებისადმი მიდრეკილება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისა და სისხლძარღვების აშკარად გამოხატული სკლეროზი, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დეკომპენსაცია, ფილტვების მკვეთრად გამოხატული ემფიზემა და თირკმლების დაავადებანი.

ბორჯომის საკურორტო სამმართველომ გამოსცა სპეციალური ინსტრუქცია სამკურნალო სიარულით სარგებლობის შესახებ. ამ ინსტრუქციის თანახმად, სამკურნალო სიარულით სარგებლობისას საჭიროა მტკიცედ შესრულდეს შემდეგი წესები:

1. სამკურნალო სიარულის პროცედურების ჩატარება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ექიმის რჩევით.

2. ექიმის ყველა მითითება უნდა შესრულდეს ზუსტად, წინააღმდეგ შემთხვევაში სამკურნალო სიარულის პროცედურებმა სარგებლობის ნაცვლად შეიძლება ზიანი მოუტანონ ორგანიზმს.

3. სიარული უნდა იყოს მსუბუქი ნაბიჯით, თავისუფალი. ბუნებრივი მიხრა-მოხრით.

4. სიარულის დროს მხრები რამდენადმე გადაწეული უნდა იყოს უკან, ხელების ქნევა—ბუნებრივი, თავისუფალი.

5. სუნთქვა უნდა თანაბარზომიერი და ღრმა; ადამიანის ორგანიზმი, სწორი სუნთქვისას, დიდი რაოდენობით იღებს მისთვის საჭირო ჟანგბადს; ამოსუნთქვისას დიდი რაოდენობით გამოჰყოფს დაღლილობის მრავალ პროდუქტს (ნახშირმჟავას) და ამიტომ სხვა თანაბარ პირობებში გაცილებით ნაკლებად იღლება.

6. უმჯობესია ცხვირით სუნთქვა; თუ შესუნთქვა ცხვირით ხდება, ჰაერი ცხვირის ხვრელის გავლით მტვერისაგან იწმინდება, თბება და ტენიანდება.

7. სიარულის დროს შეიძლება ჩასუნთქვის წარმოება გარკვეული რაოდენობის, მაგალითად, 2—3 ან 4 ნაბიჯის გადადგმისას, და ამოსუნთქვა—ამდენივე ნაბიჯზე.

8. სრული ამოსუნთქვის შემდეგ უფრო ადვილად და უკეთესად ხდება ღრმად ჩასუნთქვა, ამიტომ ზოგჯერ მიზანშეწონილია სრული ამოსუნთქვის გამომუშავება.

9. სიარული უნდა თანაბარზომიერი ნაბიჯით მარშრუტში აღნიშნული სიჩქარით და დასვენებისათვის საჭირო შესაბამისი გაჩერებით.

10. სამკურნალო სიარულის წინ და მის შემდეგ საჭიროა დასვენება, დაჯდომა, ექიმის რჩევა-დარიგებით, 10—30 წუთი.

11. სიარული უმჯობესია გრილ ამინდში ან ჩრდილოვან ხეივნებში, უზმოდ (მსუქანი ადამიანებისათვის), ანდა საჭმელის მიღებიდან განსაზღვრული ხნის შემდეგ. საუკეთესო სასეირნო დრო—დილით 9—10 საათამდე და საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

12. სამკურნალო სიარული უნდა ჩატარდეს 30—60 წუთით ადრე ჭამის წინ და 50—60 წუთის შემდეგ საჭმელის მიღებიდან.

13. დასვენება ბალნეო-ფიზიოთერაპიული პროცედურების მიღებასა და სამკურნალო სიარულს შორის 2 საათზე ნაკლები არ უნდა იყოს.

14. აბაზანების მიღებასა და სამკურნალო სიარულს შორის დროის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 2 საათისა.

15. დატვირთვის გაძლიერება უნდა ხდებოდეს, პირველ რიგში, მარშრუტის გახანგრძლივების ხარჯზე, შემდეგ კი სიარულის ტემპის აჩქარებისა და დასვენებისათვის საჭირო გაჩერებათა რაოდენობის შემცირების ხარჯზე.

16. მზის აბაზანების მიღებასა და სამკურნალო სიარულს შორის დროის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 1 საათისა, ხოლო უფრო სუსტი ავადმყოფებისათვის დროის ასეთი შუალედები შესაბამისად გადიდებულ უნდა იქნეს.

17. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული ლაპარაკი მთაზე ასვლისას, რადგან ეს არღვევს სუნთქვის სწორ რიტმს; არ არის ნაჩვენები აგრეთვე წყლის სმა; მხოლოდ ძლიერი წყურვილის დროს შეიძლება დავუშვათ პირში წყლის გამოვლება; დასვენებისას საჭიროა რამდენიმე სუნთქვითი ვარჯიშის ჩატარება ზემო კიდურების ამოძრავებით, განსაკუთრებით ამოსუნთქვისას.

18. ხუთ დღეში ერთხელ საჭიროა მაჯის ცემის დათვლა ერთი წუთის განმავლობაში სამკურნალო სიარულის წინ და მის შემდეგ, და კიდევ 30 წუთის გასვლის შემდეგ; ეს ციფრები უნდა ეცნობოს ექიმს.

19. ქოშინის, შესამჩნევი დაღლილობის და სხვა არაკეთილსასურველი ნიშნების გამოჩენის შემთხვევაში, საჭიროა სიარულის შენელება; თუ ქოშინი არ გაივლის, საჭიროა დასვენება დგომით ან ჯდომით, ღრმა სუნთქვით; ესეც თუ არ იმოქმედებს,—სიარული უნდა შეწყდეს, ავადმყოფი დაჯდეს და კარგი დასვენების შემდეგ, სანატორიუმში დაბრუნებისას ექიმს მიმართოს.

20. სანატორიუმში ყოფნის დროს სასარგებლოა გამომუშავდეს ჩვევა—ყოველდღე საათნახევარი—ორი საათი ფეხით სიარული ისე, რომ შემდეგ, შინ დაბრუნებისას დავიწყებულ არ იქნეს იგი. ასეთი ჩვევა საგრძნობლად გააუმჯობესებს ჯანმრთელობას და ხელს შეუწყობს ამ უკანასკნელის შენარჩუნებას მრავალი წლით.

ქვემოთ მოგვყავს სამკურნალო სიარულის მარშრუტები.

ბორჯომი. ლიკანი, სპეცსამკურნალო-სანატორიული სამმართველოს სანატორიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომი. 26 კომისართა სახელობის პარკი, დასასვენებელი სახლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარშრუტი № 1

ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკის შესავალის ახლო, მარცხნივ მდებარე კიოსკიდან, მდინარე ბორჯომულას გასწვრივ, მე-3 ხიდამდე. მანძილი 1000 მეტრი. აღმართის კუთხე 1°-დან 2°-მდე.

ეს მანძილი გავლილი უნდა იქნეს ნელი ნაბიჯით ღრმა სუნთქვით 20 წუთის განმავლობაში. დასვენება ჯდომით—5 წუთი. უკან დაბრუნებისას აგრეთვე 20 წუთის სავალი გზა. კვლავ დასვენება ჯდომით—5 წუთი. სულ 2000 მეტრი. დრო 50 წუთი.

ამავე მანძილის გავლა შეიძლება შემდეგი ვარიანტებით: ა) 18 წუთის განმავლობაში, დასვენება—4 წუთი; ბ) 16 წუთის განმავლობაში, დასვენება—2 წუთი; გ) 14 წუთის განმავლობაში, დასვენება—1 წუთი და დ) 12 წუთის განმავლობაში -დაუსვენებლად; ყველა ვარიანტი ექიმის რჩევა-დარიგების მიხედვით.

მარშრუტი № 2

ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკის შესავალთან ახლოს, მარცხნივ მდებარე კიოსკიდან ფინიშამდე 26 კომისრის სახელობის ტაფობზე. გზა—ზიგზაგისებური. მანძილი 1200 მეტრი. აღმართის კუთხე 2° 5′-დან 6° 40′-მდე.

მთელი ეს გზა გავლილ უნდა იქნეს 24 წუთის განმავლობაში. დასვენება ყოველ 200 მეტრზე—ერთი წუთი. უკან დაბრუნება გაჩერების გარეშე 20 წუთის განმავლობაში. სულ 2400 მეტრი. დრო—50 წუთი.

ამ მარშრუტის ვარიანტებია: ა) აღმართი 1200 მეტრი 20 წუთში, დასვენება 3 წუთი; ძირს დაშვება 15 წუთში; ბ) აღმართის ავლა 18 წუთში, დასვენება 2 წუთი, ძირს დაშვება 12 წუთში; დ) აღმართის ავლა 16 წუთში დაუსვენებლად, ძირს დაშვება 11 წუთში; ყოველივე ეს ექიმის რჩევა-დარიგების მიხედვით.

უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ ორივე მარშრუტი გაივლის განსაკუთრებით ლამაზ და თვალწარმტაც ადგილებში. ეს, როგორც ემოციური ფაქტორი, კეთილ გავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზე.

ბორჯომში 7 სანატორიუმი და 3 დასასვენებელი სახლია. ზოგიერთი სანატორიუმი, როგორც, მაგალითად, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსი, სამხედრო ოლქისა და საკურორტო სამმართველოს (1) სანატორიუმები მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ; რაც შეეხება დასასვენებელ სახლებს, ისინი მხოლოდ ზაფხულობით არიან ღია. გარდა ამისა, ავადმყოფთა და დამსვენებელთა ნაწილი მთავარ საკურორტო სამმარ-

თველოს 200 ოთახში და ადგილობრივ მცხოვრებთაგან დაქირავებულ ოთახებში თავსდება.

ბორჯომში მოწყობილია ბალნეო-ფიზიოთერაპიული სამკურნალო, რომელსაც აქვს განყოფილებები მინერალური, ნახშირმჟავა, ტალახის აბაზანების მისაღებად და სხვა ფიზიოთერაპიული პროცედურების ჩასატარებლად. სამკურნალოს გამტარიანობა დღეში 800 პროცედურას უდრის.

ავადმყოფთა საექიმო მომსახურება როგორც სანატორიუმებში, ისე პოლიკლინიკაში, უზრუნველყოფილია კვალიფიციურ სპეციალისტთა კონსულტაციით.

ბორჯომში ყოველწლიურად 20000 ავადმყოფი მკურნალობს. ეს რიცხვი აშკარად უმნიშვნელოა, თუ გავიხსენებთ, რომ საკავშირო მნიშვნელობის ისეთი კურორტი, როგორც კისლოვოდსკია, წელიწადში 100000 ავადმყოფს ატარებს. მაგრამ ბორჯომის შემდგომი განვითარების პერსპექტივები ისეთია, რომ თამამად შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ უახლოეს წლებში მისი გამტარუნარიანობის მრავალჯერ გადიდება.

ბორჯომში არსებობს კულტურის სახლი, სადაც მოთავსებულია რაიონული თეატრი, საზამთრო კინოთეატრი და ქალაქის ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, არსებობს საზაფხულო კინოთეატრი, საერთოსაკავშირო სამთო-სათხილამურო სადგური, რომელიც ზამთრობით მუშაობს, საზაფხულო ტურისტული ბაზა 40 საწოლით, 1952 წელს აგებული აეროსოლარიუმი, სანიტარულ-ჰიგიენური სადგური, 80-საწოლიანი საავადმყოფო, რომელიც გაფართოებას საჭიროებს, და რიგი სხვა სამკურნალო, სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

სასმელ წყალს ბორჯომი ღებულობს ორი წყაროდან—სადგერისა და გოგიას-ციხის წყაროებიდან. გარდა ამისა, № 1 სანატორიუმს ცალკე აქვს წყაროს წყალი. კურორტის შემდგომი განვითარების გეგმებში, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონში სასმელი წყლის მხრივ მისი მზარდი მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების პრობლემამ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს. მართალია, წყალსადენის და კანალიზაციის მხრივაც ბორჯომი უკეთეს პირობებში იმყოფება, ვიდრე საქართველოს სხვა კურორტები, - მაგრამ საკავშირო მნიშვნელობის კურორტებს, რომელთაც ის სამართლიანად ეკუთვნის, ჯერ კიდევ ჩამორჩება.

უახლოესი წლებისათვის დასახულია ღონისძიებანი კურორტ ბორჯომის გაფართოებისა და კეთილმოწყობის დარგში. გადაწყვეტილია აგებულ იქნეს ხუთი ახალი დიდი სანატორიუმი,

პანსიონატი, ახალი სააბაზანო შენობა, საკურორტო პოლიკლინიკა, საავადმყოფო, აეროსოლარიუმი, კურზალი.

ბორჯომში უკვე აგებულია შესანიშნავი რკინიგზის სადგური.

ბორჯომი თანდათან კეთილმოწყობილი ხდება და სულ უფრო მორთულ-მოკაზმული კურორტის სახეს იღებს.

ბორჯომის ნაკრძალის, რომელიც დაარსებულია 1933 წელს, 15 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი ძირითადად ტყეს უკავია. აქ ჩვენ ვხვდებით ირემს, ჯიხვს, ფურ-ირემს, შველს; ფრინველებიდან—ტყის ქათამს, მტრედს, მწყერს; მტაცებელი მხეცებიდან მგელს, დათვს, ფოცხვერს, გარეულ კატას, კვერნას, ციყვს, მაჩვს და სხვ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ირემს, ჯიხვს და რუხ-მოშავო მელას. ნაკრძალის დაარსებამდე არავითარ მზრუნველობას არ იჩენდნენ ცხოველებზე და ირმის მდიდარი ჯოგი თანდათან ნადგურდებოდა; ირმების რიცხვი წლითიწლობით მცირდებოდა და ნაკრძალის დაარსების დროს ასამდე თუ აღწევდა. მიღებული ზომებით ყოველი პირობა შეიქმნა მათი გამრავლებისათვის და ამჟამად ვარაუდობენ, რომ მარტოოდენ კავკასიის კეთილშობილი ირმების რიცხვი ამ ნაკრძალში 1500 სულს აღემატება.

ნაკრძალის მუშაკებმა მოაწესრიგეს ირმების მოვლა: მათთვის საჭირო ქვა-მარილს ისინი წელიწადში ორჯერ ტონობით მიმოაბნევენ ტყეში; საზამთროდ გარკვეულ ადგილებში საკმაო რაოდენობით ეზიდებიან მათთვის თივას; წარმოებს აგრეთვე გარეული მტაცებელი მხეცების დახოცვა, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ სასარგებლო ცხოველებს.

ცნობილია, რომ ბორჯომის რაიონს, განსაკუთრებით ბაკურიანის მხეცთა საშენს, საქართველოში რაოდენობრივად და თვისობრივად ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ბეწვეულის დამზადების საქმეში.

ბორჯომში არსებობს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომლის გაცნობაც დიდ სარგებლობას მოუტანს ყველას, ვისაც აინტერესებს ამ რაიონის ბუნების სიმდიდრენი, ფლორა, ფაუნა, გეოლოგია, ისტორიული წარსული და გაშლილი სოციალისტური მშენებლობა. მეტად საინტერესო ექსპონატებია მუზეუმის სატყეო განყოფილებაში, მდიდრულად არის წარმოდგენილი ბორჯომის რაიონის ფაუნა საუცხოოდ შესრულებული ფიტულებისა და სურათების სახით, არის ბეწვეულის მთელი რიგი ნიმუშები, რომლებიც წარმოდგენას იძლევა რაიონის ცხოველთა სამყაროს

სიმდიდრეზე. მრავალი ექსპონატია სამხატვრო, ფაიფურისა და კერამიკულ ნაწარმთა განყოფილებაში. მუზეუმის ისტორიულ-არქეოლოგიური კოლექციები ასახავენ ქვისა და გვიან ბრინჯაოს ეპოქებს.

ცხადია, ინტერესმოკლებული არ არის ბორჯომისა და მისი რაიონის წარსული, მაგრამ გაცილებით დიდ ინტერესს იწვევს მისი აწმყო, ის, რაც გაკეთდა საბჭოთა პერიოდში, რის შესახებაც ჩვენ ნაწილობრივ უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ. განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა ბორჯომსა და მის რაიონში ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების დარგში.

ძველ დროს ბორჯომში მხოლოდ ერთი სკოლა—სახელოსნო სასწავლებელი არსებობდა. ამჟამად აქ არის 4 სრული საშუალო სკოლა, 1 სატყეო ტექნიკუმი, 1 საფერშლო სკოლა, 1 სახელოსნო სკოლა. სულ ბორჯომის რაიონში 12 სრული და არასრული საშუალო სკოლაა.

ოდესღაც სოფელ ტიმოთეს-უბნის გლეხები ყმები იყვნენ იმავე სახელწოდების ტაძრისა, ახლა ამ სოფლის კოლმეურნეთა ბავშვები წაღვერის სრულ საშუალო სკოლაში სწავლობენ, უმაღლეს განათლებას კი თბილისში იღებენ.

ამასთან დაკავშირებით, უნებლიედ გვაგონდება ერთი ეპიზოდი. 1904 წელს დიდი ქართველი მწერალი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე სტუმრად იყო ქართველ მწერალ სოფრომ მგალობლიშვილთან. აქ იგი შეხვდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის სტუდენტ ი. ა. ყიფშიძეს. გაიგო რა, რომ ეს ახალგაზრდა მომავალი სამთო ინჟინერია, ილია ჭავჭავაძემ ნატვრით წარმოთქვა: „რა ბედნიერება იქნება საქართველოსთვის, როცა მას 10 ქართველი ინჟინერი და 15 აგრონომი ეყოლებაო.“

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 30 წლის მანძილზე საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიერ გამოშვებულია 50 ათასი სპეციალისტი. საქართველოს ათასობით ინჟინერი და აგრონომი წარმატებით ემსახურება სამშობლო მხარის სახალხო მეურნეობას. ამ სპეციალისტთა შორის, ეჭვს გარეშეა, ტიმოთეს-უბნის ახალგაზრდებიც არიან, რომელთა პაპები ჯერ კიდევ ყმები იყვნენ. ის, რაც ოდესღაც მეტად შორეულ ოცნებად მიაჩნდათ ისეთ გამოჩენილ ადამიანებსაც კი, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე, მრავალჯერ უფრო მეტის ძალით იქცა ჩვენი დროის საუცხოო სინამდვილედ. ასე ხორციელდება ცხოვრებაში დიდი სტალინის სიტყვები: „ჩვენ გვინდა ყველა მუშა და ყველა გლეხი კულტურუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. ლიკანი, სსპცს სანატორიუმი, კორპუსი № 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. ლიკანი, სხპცხ სანატორიუმი, კორპუსი № 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი და განათლებული გავხადოთ, დრო მოვა და ამას ჩვენ გავაკეთებთ.“

საქართველოს იმ მრავალრიცხოვან სპეციალისტთა შორის, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღიზარდნენ, მნიშვნელოვან რაზმს შეადგენენ ისინი, ვინც რესპუბლიკის საკურორტო სიმდიდრეთა შესწავლაზე შრომობენ და მიზნად აქვთ უფრო ფართოდ და სრულად გამოიყენონ ეს სიმდიდრე ხალხის სამსახურისათვის. კეთილშობილი, საპატიო შრომაა!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოჭოში მკურნალობის ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი

ჩვენებანი

I. კუჭ-ნაწლავთა დაავადებანი

1. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება მკვეთრი გამწვავების, განმეორებითი სისხლდენის არარსებობით ანამნეზში და პილორუსის ან თორმეტგოჯა ნაწლავის ნაწიბურო-ვან შევიწროებათა გარეშე, რომლებიც ევაკუაციის დარღვევას განაპირობებს.

2. ქრონიკული გასტრიტი ნორმალური ანუ მომატებული მჟავობით კუჭის ევაკუაციის მკაცრი მოშლილობის გარეშე.

3. კუჭის სეკრეციის ფუნქციონალური მოშლილობა მისი გაძ-ლიერების სახით.

4. წყლულის გამო ოპერირებული კუჭის დაავადებანი (ოპერა-ციის შემდგომი გასტრიტი, ანასტომოზის და სხვ. დაავადებანი) გამაგრებული ოპერაციისშემდგომი ნაწიბურის დროს.

5. წვრილ და მსხვილ ნაწლავთა ქრონიკული ანთებითი დაავა-დებანი: სხვადასხვა ეტიოლოგიის ენტერიტი და კოლიტი, გარდა წყლულოვანი, სტენოზირებითი ფორმისა და როგორც ამებური, ისე ბაცილარული დიზენტერიისა.

II. ღვიძლისა და ნაღვლის გზების დაავადებანი

1. ნაღვლის გზებისა და ნაღვლის ბუშტის დისკინეზიები, ეგ-რეთწოდებული ფუნქციონალური ქოლეცისტოპათიები.

2. ღვიძლისა და ნაღვლის გზების ქრონიკული ანთებითი დაა-ვადებანი სხვადასხვა ეტიოლოგიისა: ჰეპათიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპათო-ქოლეცისტიტი, ანგიოქოლიტი, ტემპერატურის მნიშვნე-ლოვანი მომატების გარეშე და ნარჩენი მოვლენები მწვავე პარენ-ქიმატოზული ჰეპათიტის შემდეგ.

3. ნაღველკენჭოვანი დაავადება, გარდა ისეთი ფორმებისა, რომლებიც გართულებულია მწვავე ჩირქოვანი პროცესებით და ოპერაციულ ჩარევას მოითხოვს.

III. ნივთიერებათა ცვლის დაავადებანი

1. ნიკრისი მწვავე შეტევისა და სახსრების მხრივ მკვეთრი დეფორმაციების გარეშე.
2. სიმსუქნე.
3. მსუბუქი და საშუალო ხარისხის შაქრიანი დიაბეტი.
4. შარდმჟავა და მჟაუნმჟავა დიათეზი.

IV. თირკმლებისა და საშარდე გზების დაავადებანი

1. თირკმლის მენჯის, შარდსაწვეთების და შარდის ბუშტის ქრონიკული ანთებითი დაავადებანი შარდის მჟავე რეაქციის არსებობისას.
2. თირკმელკენჭოვანი დაავადება.

V. დაავადებანი გულ-სისხლძარღვთა სისტემის

1. გულის მანკი, არა უადრეს 4 თვის გავლისა მწვავე ან ქვემწვავე ენდოკარდიტის დამთავრებიდან, ნორმალური ტემპერატურით, არამკვეთრად აჩქარებული ედრ-ის პირობებში, კომპენსაციისა და სუბკომპენსაციის მდგომარეობაში.
2. გულის კუნთის ქრონიკული დაავადებანი მკვეთრად გამოხატული დეკომპენსაციის გარეშე.
3. ზომიერი საერთო არტერიოსკლეროზი და აორტის სკლეროზი ტვინისა და თირკმელთა სისხლძარღვების სკლეროზის მკვეთრად გამოხატული მოვლენების გარეშე.
4. ჰიპერტონიული დაავადება ტვინისა და გულის სისხლძარღვთა სკლეროზის მკვეთრად გამოხატული მოვლენებისა და თირკმელთა ფუნქციების მნიშვნელოვანი მოშლილობის გარეშე.
5. ჰიპოტონია, არა გულის დაავადებათა ნიადაგზე და არა ადისონის ავადმყოფობით გამოწვეული.

VI. სუნთქვის ორგანოების დაავადებანი

1. ზედა სასუნთქი გზების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ფილტვების ემფიზემისა და ბრონქიალური ასთმის მსუბუქი და საშუალო ფორმები.

VII. ნერვული სისტემის დაავადებანი

1. ნერვული სისტემის ფუნქციონალური დაავადებანი—ასთენიური მდგომარეობა და ნევროზული რეაქციები, დაკავშირებული განვითარებულ: ა) ინფექციასთან, ბ) ინტოქსიკაციასთან, გ) ნერვული სისტემის ტრავმებთან, დ) შინაგანი ორგანოების დაავადებასთან, ე) არამკვეთრად გამოხატულ ენდოკრინულ დარღვევებთან (ჰიპერთირეოზი, კლიმაქსი და სხვ.), რომლებსაც არ ერთვის აფექტის მოვლენები, დეპრესიები, მყარი აკვიატებული მდგომარეობა, გულყრა და ა. შ.

წინაალმდეგჩვენებანი

1. კუჭის ორგანული დაავადებანი, რომლებიც არსებითად არღვევს მის ევაკუატორულ ფუნქციას და იწვევს შიგთავსის შეჩერებას მასში.

2. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება მწვავე პერიოდში ან ხშირი გამწვავებისა და სისხლდენისადმი მიდრეკილებით.

3. წყლულოვანი ენტეროკოლიტი, ქრონიკული დიზენტერია—ამებური და ბაცილარული.

4. ღვიძლის და ნაღვლის გზების დაავადებანი, რომლებიც გართულებულია სეპტიკური ან მწვავე ჩირქოვანი პროცესით და ოპერაციულ ჩარევას საჭიროებს—ნაღვლის გზების დაცობა კენჭით, ობტურაციული სიყვითლე, წყალმანკი და ნაღვლის ბუშტის ემპიემა.

5. შაქრიანი დიაბეტის მძიმე ფორმები დაუძლურებით, მნიშვნელოვნად გამოხატული აციდოზით ან პრეკომატოზული მდგომარეობის სიმპტომებით.

6. ნეფროზისა და ნეფრიტის მწვავე ფორმები (ჰემატურია, სუბურემიული და ურემიული მოვლენები, თირკმლების კონცენტრაციული უნარის მკვეთრი დაქვეითება).

7. ფოსფატურია.

8 ტუბერკულოზი—ყველა ფორმა.

9. გულის მწვავე დაავადებათა დაუმთავრებელი ფორმები—ენდოკარდიტი და მიოკარდიტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10. გულის ორგანული დაავადებანი, რომელთაც თან სდევს დეკომპენსაცია.

11. მკვეთრად გამოხატული არტერიოსკლეროზი (აგრეთვე გვირგვინოვანი და ტვინის არტერიებისა).

12. ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაავადებანი.

13. ფსიქიკური დაავადებანი, მძიმე ნევროზები, ეპილეფსია.

14. თირეოტოქსიკოზის მძიმე ფორმები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომის ჯგუფის კურორტები

წალვერი, ცემი, ლიბანი, პატარა-ცემი, ბაკურიანი და სხვ.

ბორჯომიდან ბაკურიანამდე გადის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. ეს გზა ჯერ კიდევ 1902 წელს იქნა გაყვანილი. არსებობს აგრეთვე საუცხოო გზატკეცილი. ადგილები, სადაც გადის რკინიგზა და გზატკეცილი, განსაკუთრებული სილამაზით არის შემკული.

რკინიგზა მეტწილად გუჯარეთის-წყლის გასწვრივ მიდის. გზა თითქმის სულ მთას მიყვება, ადის სულ მაღლა, მაღლა და ძირს სტოვებს მზის სხივებში მოელვარე მთის მდინარის დაკლაკნილ ვერცხლის ზოლს.

მთელ ამ გზის მანძილზე (37 კილომეტრი, გზატკეცილით კი 28 კილომეტრი), სხვადასხვა სიმაღლეზე, ამფითეატრისებრ განლაგებულია საუცხოო სამთო-კლიმატური სადგურები, რომელთაც დიდი პოპულარობა მოიხვეჭეს არა მარტო საქართველოს მოსახლეობაში, არამედ მის გარეთაც.

ბორჯომიდან ბაკურიანამდე არის აგრეთვე საკმაოდ მოხერხებული, ამასთან მეტად ლამაზი, ფეხით სასიარულო გზა სადგერის პლატოზე, რომელიც ნახევარზე მეტად ამოკლებს მანძილს რკინიგზასთან და გზატკეცილთან შედარებით. ეს გზა უკვე დიდი ხანია რაც საყვარელ ადგილად იქცა ტურისტებისა და ექსკურსანტებისათვის.

სადგერის ტაფობი ყველაზე ჯანსაღი ადგილია ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში. იგი სულ მთლად დაფარულია წიწვიანი ტყეებით, ძირითადად, ფიჭვნარით, და თვით ბორჯომიდან იწყება. სამი მხრიდან მას მდინარეები უვლის. ბორჯომს, სადგერის ტაფობის ბოლოს, მტკვარი ჩაუდის, ხოლო დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მიედინება ბორჯომულა და გუჯარეთის-წყალი.

ამ გარემოებას კლიმატური მხრივ მცირე მნიშვნელობა როდი აქვს, ვინაიდან ეს მდინარეები თითქოს ბუნებრივ შემწოვ მილებს წარმოადგენენ, რომლებიც ქვენიადაგის წყალს ღებულობენ.

ბორჯომ-ბაკურიანის გზის გასწვრივ, მდებარე, ყველაზე პოპულარული და შედარებით კარგად შესწავლილი სამთო-კლიმატური სადგურებიდან უნდა აღინიშნოს: წაღვერი—საშუალო სიმაღლე 1020 მეტრი შავი ზღვის დონედან, ცემი—1117 მეტრი, ლიბანი—1368 მეტრი, პატარა ცემი—1370 და ბაკურიანი—1654 მეტრი.

ბორჯომიდან 14 კილომეტრზე მდებარეობს მეტად პოპულარული კურორტი წაღვერი, რომელიც ზაფხულობით დაახლოებით 15 ათას დამსვენებელს იზიდავს. კურორტის ნაწილი მოქცეულია ქვაბურში, რომლის გასწვრივ გადის რკინიგზა და გზატკეცილი, შუაზე კი ჩაუდის გუჯარეთის-წყალი. ამ ადგილას წაღვერის სიმაღლე არ აღემატება 1000—1020 მეტრს ზღვის დონედან. მაგრამ კურორტის მთავარი ნაწილი, მისი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, მდებარეობს ყველაზე საღ და ლამაზ ადგილას, მთის ფერდობებზე, რომლებიც გარს არტყია ქვაბურს და მთლიანად დაფარულია ასწლოვანი ფიჭვნარით. ეს ადგილი ცნობილია კეჩხობის სახელწოდებით. აქ კურორტის სიმაღლე აღწევს 1050 მეტრს ზღვის დონედან.

წაღვერის ქვაბურის ვენტილაცია სუსტად წარმოებს, ამასთან ადგილი აქვს ნაგებობათა დიდ შეჯგუფებას; ამიტომ კურორტის ეს ნაწილი დამსვენებელთა შორის ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. ერთ დროს არსებობდა გეგმა ქვაბურში დიდი „წაღვერის ტბის“ მოწყობისა გამდინარე წყლით გუჯარეთის-წყლიდან. ბუნებრივი პირობები უაღრესად ხელს უწყობს ასეთი ხელოვნური წყალსატევის შექმნას. ეს გეგმა რომ განხორციელებულიყო, გარდა იმისა, რომ წაღვერი ბევრად უფრო ლამაზი შეიქნებოდა, მისი კლიმატური პირობები კიდევ მეტად გაუმჯობესდებოდა. სამწუხაროდ, ამ გეგმას უკვე დიდი ხანია თავი ანებეს და მას აღარ უბრუნდებიან. მაგრამ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბორჯომის ხეობაში დიდ სამუშაოთა განხორციელების მსვლელობაში მას კვლავ მიაქცევენ ყურადღებას.

წაღვერში საშუალო წლიური ტემპერატურა 7,2°, საშუალო იანვარში—4,5°, საშუალო ივლისში 17,5°; შესაძლო მაქსიმუმი—37°, შესაძლო მინიმუმი—25°. ნალექები—საშუალოწლიური ჯამი 600 მმ, ტენიანობა—საშუალოწლიური შედარებითი 70 პროც.

წაღვერი, როგორც სამთო-კლიმატური კურორტი, რომელიც საშუალო სიმაღლეზე მდებარეობს, უაღრესად ხელსაყრელია

ფილტვების სნეულებით ავადმყოფთა მკურნალობისათვის, რომ-ლებსაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის გამო არ ძალუძთ ისარგებლონ ისეთი მაღალმთიანი კლიმატური სადგურებით, როგორიცაა აბასთუმანი და ლიბანი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას—ნახშირმჟავა-რკინის წყლის არსებობას და ამ კურორტით როგორც იმავე დროს ბალნეოლოგიური კურორტით სარგებლობის შესაძლებლობას, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ წაღვერში უმჯობესია გაიგზავნონ სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური სნეულებით დაავადებული ავადმყოფები, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ტუბერკულოზით დაავადებულთათვის იმავე რაიონში უკეთესი ადგილები მოიპოვება.

წაღვერში შეიძლება იმკურნალონ ავადმყოფებმა, რომლებიც შეპყრობილი არიან ქრონიკული ბრონქიტით, ფილტვების ემფიზემით, ბრონქიალური ასთმით, სხვადასხვა წარმოშობის პნევმოკონიოზებით, მეორადი წარმოშობის სისხლნაკლულობით, ნევრასთენიით ავადმყოფებმა და გადატანილი მძიმე დაავადების შემდეგ გამოჯანსაღების პერიოდში მყოფმა პირებმა (რეკონვალესცენტებმა).

დაბოლოს, ვინაიდან წაღვერში არსებობს საუცხოო ნახშირმჟავა-ჰიდრო-კარბონატული — რკინის წყარო, აქ მკურნალობით შეუძლიათ ისარგებლონ აგრეთვე ავადმყოფებმა, რომლებიც დაავადებული არიან საჭმლის მომნელებელი ორგანოების (ქრონიკული გასტრიტი, კოლიტი), ღვიძლისა და ნაღვლის გზების სნეულებით. ცხადია, საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და ღვიძლის სნეულებით ავადმყოფთათვის ძირითად კურორტს ბორჯომი წარმოადგენს, მაგრამ წაღვერი გამოსადეგია ავადმყოფთა იმ კატეგორიისათვის, რომლებიც იმავე დროს შეპყრობილი არიან სუნთქვის ორგანოების დაავადებით; ამ შემთხვევაში ავადმყოფები წაღვერში მკურნალობით უფრო მეტ სარგებლობას იღებენ.

წაღვერის მინერალური წყარო დიდი სახელით სარგებლობს. მისი თავდაპირველი დებიტი მცირე იყო—10000 ლიტრი დღე-ღამეში, მაგრამ კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ აქ ჩატარებულმა მეცნიერულ-კვლევითმა სამუშაოებმა შესაძლებელი გახადა იგი 70000 ლიტრამდე გადიდებულიყო დღე-ღამეში. მართალია, ეს დებიტი დიდხანს ვერ დარჩა ასეთ მაღალ დონეზე; უკანასკნელ წლებში იგი რამდენადმე დაეცა, მაგრამ წყალი მაინც სრულიად საკმარისია, მით უმეტეს, რომ მას მხოლოდ სასმელად იყენებენ და არა აბაზანებისათვის. წყალი ცივი და სასიამოვნო გემოსია. თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით იგი მიეკუთვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წალვერი. საერთო ხედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წალვერი. მონასტერი ტიმოთესუბანში.

ნება ნახშირმჟავა-რკინის-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიან წყლებს, რომლებიც ფრიად ძვირფასი და სასარგებლოა სასმელად ავადმყოფებისა და დამსვენებლებისათვის.

ეს შესანიშნავი კურორტი თავისი კლიმატური და ბალნეოლოგიური ფაქტორებით წინათ არავითარ ყურადღებას არ იქცევდა. იქ არავითარი მეცნიერული მუშაობა არ ყოფილა ჩატარებული, თუ არ ჩავთვლით მინერალური წყაროს წყლების რამდენიმე ქიმიურ ანალიზს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ პირველად იქნა ჩატარებული როგორც ექსპერიმენტული, ისე კლინიკური ხასიათის მეცნიერული დაკვირვებანი.

წაღვერში მყოფ ავადმყოფებზე წარმოებულ კლინიკურ დაკვირვებათა საფუძველზე გამოირკვა, რომ ამ კურორტის კლიმატური ფაქტორებისა და რკინის წყლის გავლენა სისხლის შემადგენლობაზე დადებითია უკლებლივ ყველა შემთხვევაში: სისხლის წითელი ბურთულების რაოდენობა მატულობს უმრავლეს შემთხვევაში, ხოლო ჰემოგლობინის რაოდენობა—ყველა შემთხვევაში (შ. ლორთქიფანიძისა და ა. მჭედლიშვილის შრომები).

წაღვერის კლიმატური ფაქტორებისა და რკინის წყლების გავლენა სისხლის შემადგენლობაზე ერთი და იმავე მიმართულებით წარმოებს და ერთმანეთის შემავსებელ საუცხოო შეხამებას წარმოადგენს.

გარდა ამისა, წაღვერის მინერალური წყალი შიგნით მიღებისას აძლიერებს კუჭის სეკრეციას, ადიდებს მჟავობას და კარგად მოქმედებს გასტრიტზე. ასეთივე ხასიათის ექსპერიმენტული მუშაობა ჩაატარა დოც.მ. ლეჟავამ ძაღლებზე და ანალოგიური შედეგები მიიღო. აღნიშნულია წყლის კეთილნაყოფიერი მოქმედება აგრეთვე კუჭის ევაკუატორულ ფუნქციაზე.

კიდევ უფრო ადრე დამტკიცებული იყო, რომ წაღვერის მინერალური წყლის სისტემატურად მიღება შიგნით აძლიერებს ჟანგვით პროცესებს ორგანიზმში.

წაღვერის მინერალური წყლის მიღებისას უნდა გვახსოვდეს ერთი გარემოება—რომ წყალი განიცდის ცვლილებებს, თუ მას ღია ან არამჭიდროდ დაცობილ ჭურჭელში დავტოვებთ. ამიტომ ამ წყლის მიღება ნაჩვენებია წყაროსთან. საჭირო შემთხვევებში წყალი სასმელად უნდა წავიღოთ მჭიდროდ დაცობილ (რეზინის კორპებით) ბოთლებით; რაც უფრო ახალია წყალი, მით უფრო ნაკლები ცვლილებებია მასში.

წაღვერიდან სულ ახლოს, ორ კილომეტრზე, მდებარეობს სოფელი ტიმოთეს-უბანი, რომელიც მრავალმხრივ საყურადღებოა.

ის საუცხოო ადგილზეა—1060 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონე-დან, გარშემო ფიჭვ-ნაძვნარი აკრავს. აქ არის მინერალური (ტუ-ტენახშირმჟავა) წყაროები, რომლებიც თავისი შემადგენლობით უახლოვდება ბორჯომის მინერალურ წყაროებს. სოფელი იმდენად ახლოსაა წაღვერთან, რომ უნდა ვიფიქროთ—მომავალში იგი წაღვერს შეუერთდება და მაშინ ამ ორი სამთო-კლიმატური სად-გურის გამტარუნარიანობა კიდევ უფრო გაიზრდება; ამასთან, მათ მფლობელობაში იქნება ორი მნიშვნელოვანი მინერალური წყარო: ნახშირმჟავა-რკინა-კალციუმიანი (წაღვერი) და ტუტე-ნახშირმჟავა (ტიმოთეს-უბანი) წყაროები.

დაბოლოს, ტიმოთეს-უბანი ყურადღებას იქცევს მატერიალუ-რი კულტურის ისტორიული ძეგლით. აქ საკმაოდ კარგადაა შენა-ხული იმავე სახელწოდების მატარებელი უძველესი ტაძარი.

ბორჯომიდან ტიმოთეს-უბნამდე გუჯარეთის-წყლის გასწვრივ მიიმართება საუცხოო გზატკეცილი და ვიწროლიანდაგიანი რკინი-გზა თვით წაღვერამდე. შემდეგ იწყება მეტად ლამაზი სასოფლო გზა. აქ ჩვენ შევდივართ მდინარე გუჯარეთის-წყლის ვიწრო ხეობაში, რომლის მარცხენა ნაპირზე თვალწინ იშლება საინტე-რესო სანახაობა. ფიქალის მაღალ კლდეებში გამოკვეთილია სამ-სართულიანი გამოქვაბულები, რომლებსაც ოდესღაც უცხოელ დამპყრობთა თავდასხმისას თავს აფარებდა ადგილობრივი მოსახ-ლეობა. საინტერესოა, რომ დღემდე დარჩენილია ნიშნები კლდეში აქა-იქ ჩასმული ირმის რქებისა, რომელთა დანიშნულებაც იყო გამოქვაბულში ასვლა ამ ორიგინალური კიბით.

სოფელი ტიმოთეს-უბანი მდებარეობს გუჯარეთის-წყლის მარჯვენა ნაპირზე. სოფლიდან ნახევარი კილომეტრის მანძილზე დგას უძველესი ტაძარი. ეს ტაძარი შთაბეჭდილებას ახდენს თავისი სიდიდითა და სიმაღლით. არქიტექტურის მხრივ ის მოგვაგონებს თბილისის სიონს, სვეტიცხოველს და გელათს.

ტაძარი აგებულია აგურისაგან და მოპირკეთებულია ქვით, ფრონტონი და გუმბათი შემკულია საკმაოდ კარგად შენახული ცისფერი შორენკეცებით. ასევე კარგად არის შენახული, განსა-კუთრებით ადგილ-ადგილ, მდიდარი მხატვრობა, რომელიც ამშვე-ნებს ტაძრის კედლებს. არის ისეთი სიუჟეტები, რომლებიც ვარ-ძიის ფრესკულ მხატვრობაში გვხვდება.

შემორჩენილია კედლების წარწერა, სადაც მოხსენებულია გიორგი III, რომელმაც დაიწყო ტაძრის აგება, და თამარ მეფე, რომელმაც დაამთავრა იგი. ამ წარწერებით ძნელი არ არის იმის გამორკვევა, რომ ეს შესანიშნავი ტაძარი აგებულია XII საუკუნის დამლევს და XIII საუკუნის დამდეგს, შოთა რუსთაველის ეპოქაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალვერიდან ორ კილომეტრზე, ზღვის დონედან 1200 მეტრზე, მდებარეობს სამთო-კლიმატური სადგური მზეთა-მზე. უკვე მარტო ეს სახელწოდება ლაპარაკობს ამ ადგილის განსაკუთრებულ კლიმატურ პირობებზე. მართლაც, სპეციალისტთა დასკვნით, აქ შექმნილია მზით ნათების იდეალური პირობები. მთელ ადგილს რკალივით ერტყმის ფიჭვნარი. აქ უხვად არის საუცხოო წყაროები; არის მინერალური წყარო, რომლის წყალსაც ადგილობრივი კოლმეურნეები წარმატებით იყენებენ აბაზანების სახით სამოძრაო ორგანოთა, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის და სხვა დაავადების დროს. მინერალურ წყალს იყენებენ აგრეთვე სასმელად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სნეულებით დაავადებულნი.

მზეთა-მზესთან ახლოს, ცოტა ზემოთ, მდებარეობს მთელი რიგი სამთო-კლიმატური სადგურები, რომლებიც აგრეთვე მდიდარია ბორჯომის, ესენტუკის, საირმის და სხვ. ტიპის მინერალური წყაროებით. ასეთ კლიმატურ-ბალნეოლოგიურ საკურორტო ადგილებს მიეკუთვნება პატარა-მიტარბი, თელოვანი, ტყემლოვანი, ვარდევანი, წინუბანი, მაჭარ-წყალი და სხვ.

ეჭვს გარეშეა, მომავალში ყველა ეს ადგილი, პირველ რიგში კი წალვერი, ტიმოთეს-ჟბანი და მზეთა-მზე, შექმნიან ერთ მძლავრ კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კომბინატს, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ აქ სამკურნალოდ და დასასვენებლად მოსულთა რიცხვი. თუ მხედველობაში მივიღებთ კლიმატურ პირობებთან ერთად მდიდარი მინერალური წყაროების არსებობას და აგრეთვე შესანიშნავ ბუნებას, ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა ბრწყინვალე მომავალი ელის ამ ადგილებს.

მეცნიერებმა უკვე კარგა ხანია დაამტკიცეს, რომ მთის კლიმატი ცენტრალური ნერვული სისტემის საშუალებით გამაღიზიანებლად მოქმედებს ძვლის ტვინზე, რის გამოც სისხლი მდიდრდება წითელი ბურთულებით და მასში იმავე დროს მატულობს ჰემოგლობინი. საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ჩვენმა მეცნიერ-მუშაკებმა მრავალი საინტერესო დაკვირვება ჩაატარეს ამ მიმართულებით სამთო-კლიმატურ კურორტებზე. მაგალითად, მზეთა-მზეში დოცენტმა მ. ი. ნოდიამ ერთი ზაფხულის სეზონში ჩაატარა დაკვირვება ავადმყოფებზე, რის საფუძველზეც მიიღო შემდეგი საინტერესო მონაცემები: 1) მზეთა-მზის მაღალმთიანი ადგილის კლიმატური კომპლექსი უაღრესად კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს სისხლის შემადგენლობაზე—უმრავლეს შემთხვევაში 92%-დე სისხლის წითელი ბურთულების რაოდენობა მატულობს,

ალინიშნება აგრეთვე ჰემოგლობინის შემცველობის ზრდა (შემთხ-ვევათა 92%), სისხლის თეთრი ბურთულების რაოდენობა ნორმას უახლოვდება, ერითროციტების დალექვის რეაქციაც (ედრ) აგრეთვე ნორმას აღწევს; 2) კლიმატური მკურნალობა მზეთა-მზეში დადებით შედეგებს იძლევა ლიმფური ჯირკვლების გადიდების, ქრონიკული ბრონქიტის, მშრალი პლევრიტის, ფილტვების ტუბერკულოზის ფიბროზული ფორმების, მალარიისა და მეორადი სისხლნაკლულობის დროს.

ამგვარად, წაღვერი და მის ახლო მდებარე ადგილები ბუნების სილამაზით, კლიმატური პირობების შეხამებით, მინერალური წყაროების სიმდიდრით, მოხერხებული გზებით, ყველაზე თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს საქართველოს უმდიდრეს საკურორტო რესურსებს შორის. მთელ ამ რაიონში, განსაკუთრებით მზეთა-მზეში, ჩვენ გვაქვს მთიანი რაიონებისათვის მზით ნათების იდეალური პირობები, ადგილის კარგი ვენტილაცია, ტენიანობის დაბალი მაჩვენებლები, როგორც პირდაპირი, ისე გაფანტული რადიაციის ინტენსივობის მაღალი მაჩვენებლები, ატმოსფეროს დიდი გამჭვირვალობა და გაგრილების კომფორტული პირობები, რომლებიც გამორიცხავს ზაფხულის სიცხეში გადახურების შესაძლებლობას (გ. ი. ჭირაქაძის შრომები).

წაღვერის გვერდით, ცოტა მის ზემოთ, ზღვის დონედან 1117 მეტრის სიმაღლეზე, მდებარეობს კურორტი ცემი. იგი მოთავსებულია ტაფობზე, რომელიც სადგერის ტაფობის გაგრძელებას წარმოადგენს, გაშლილ ადგილას და, ამრიგად, მთელი დღის განმავლობაში მას მზე უყურებს. მისი ასეთი გაშლილი მდებარეობა განაპირობებს მთელი ტაფობის თავისუფალ ვენტილაციას უპირატესად ადგილობრივი წარმოშობის სუსტი ატმოსფერული მდინარებით.

ცემში საშუალოწლიური ტემპერატურა უდრის 7,5°, საშუალო ტემპერატურა იანვარში—4,3°, ივლისში—18°; ტემპერატურის შესაძლო მაქსიმუმი 32°, შესაძლო მინიმუმი—24°. ნალექები: საშუალოწლიური ჯამი—640 მმ; ჯამი ზაფხულის სეზონში—190 მმ, ნალექიანი დღეების რიცხვი წლის განმავლობაში—134, ზაფხულის სეზონში—36; თოვლიანი დღეების რიცხვი—44, თოვლის ფენა მუდმივია და იგი დეკემბრით დაწყებული მარტის გასვლამდე ძევს; ნალექების მაქსიმუმი დღე-ღამეში—124 მმ. ტენი: საშუალოწლიური შედარებითი ტენიანობა—76%, საშუალო მაჩვენებელი იანვარში—78%, ხოლო ივლისში—76%.

ცემში შეიძლება მოვხვდეთ ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით, აგრეთვე მშვენიერი ასფალტიანი გზატკეცი-

ლით. გაცილებით ახლოა ცემი საცალფეხო გზით ბორჯომიდან. 26 კომისრის სახელობის ტაფობიდან გზა განსაკუთრებით ლამაზია. ტაფობი, რომელზეც ცემი მდებარეობს, ბორჯომიდანვე იწყება; იგი თანდათან მაღლდება და თითქმის 7 კილომეტრზეა გაწვდილი, ზოგ ადგილას ტაფობის განი 1—1½ კილომეტრს აღწევს.

ცემი ძირითადად წარმოადგენს კურორტს როგორც ფილტვების, ისე ძვალ-სახსართა ტუბერკულოზით დაავადებულთათვის (დახურული ფორმები). თანაბარი წარმატებით მკურნალობენ აქ ავადმყოფები ტუბერკულოზური ხასიათის ლიმფადენიტით, ქრონიკული პლევრიტით, ქრონიკული ტუბერკულოზური პერიტონიტით და მეზენტერიალური ჯირკვლების ტუბერკულოზით ნაწლავთა კლინიკურად გამოხატული დაზიანების გარეშე. აქ იკურნებიან აგრეთვე ავადმყოფები სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის სნეულებით (ქრონიკული ბრონქიტი, სხვადასხვა წარმოშობის პნევმოკონიოზი, ფილტვების ემფიზემის დაწყებითი ფორმები და სხვ.).

ცემში ამჟამად მთელი წლის განმავლობაში მუშაობს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სანატორიუმი 200 საწოლით და ბავშვთა რკინიგზის სანატორიუმი 100 საწოლით. განსაკუთრებით ბევრი ავადმყოფი და დამსვენებელი არის აქ ზაფხულობით, როცა მათი რიცხვი 8000 აღემატება.

მრავალი წლის დაკვირვებით დამტკიცებულია, რომ ცემში მკურნალობისას ტუბერკულოზიან ავადმყოფთა ტემპერატურა ნორმალური ხდება, მათი სუბიექტური მდგომარეობა უმჯობესდება, წონა მატულობს და, კომპლექსური მკურნალობის შედეგად, იწყება ტუბერკულოზური პროცესის კომპენსაცია.

ცემთან ახლოს მდებარეობს სოფელი ტბა (1½—2 კილომეტრზე) და სადგური. აქ უმთავრესად მოდიან დამსვენებლები. ნახშირმჟავა-რკინა-ქლორიდული წყაროების სიახლოვე კიდევ უფრო მეტ პერსპექტივებს მატებს ამ საკურორტო ადგილებს.

თუ განვაგრძობთ გზას რკინიგზით ან გზატკეცილით უფრო ზემოთ, მოვხვდებით ლიბანში.

ლიბანი მდებარეობს 1368 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონედან, ტაფობის ვაკე ნაწილში, რომელიც სულ ერთიანად დაფარულია ხშირი და მაღალი წიწვიანი ტყით, უმთავრესად ფიჭვნარით. ეს გარემოება საკმაო დაბრკოლებას უქმნის აქ საერთო ატმოსფერულ მდინარებათა შეღწევას, რის გამოც რაიონი არ არის უზრუნველყოფილი ჯეროვანი ვენტილაციით, შედარებითი ტენიანობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩვენებლები დიდია. მაგრამ სპეციალისტთა აზრით, კლიმატურ-მელიორაციულ სამუშაოთა ჩატარებით შესაძლებელია ამ რაიონში ზომიერი ქარების უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს ვენტილაციის გაძლიერებას და ამ ადგილის ჭარბი ტენისაგან განტვირთვას.

10 წელზე მეტია რაც ლიბანში მუშაობს მეტეოროლოგიური სადგური. სადგურის მონაცემების მიხედვით, აქ არის შემდეგი კლიმატური მაჩვენებლები: საშუალოწლიური ტემპერატურა 5,6°, საშუალო იანვრის განმავლობაში—5,8°, საშუალო ივლისში—13,1°, შესაძლო მაქსიმუმი—31°, შესაძლო მინიმუმი—23°.

ნალექები: ნალექების საშუალოწლიური ჯამი—700 მმ, ნალექების ჯამი ზაფხულის სეზონში—190 მმ; ნალექიანი დღეების რიცხვი წლის განმავლობაში—170, ზაფხულის სეზონში—43; თოვლიანი დღეების რიცხვი—74; თოვლის ფენი სტაციონარულია და ძევს დეკემბერ-აპრილის განმავლობაში; ნალექების მაქსიმუმი დღე-ღამეში—75 მმ.

ტენიანობა: საშუალოწლიური შედარებითი ტენიანობა—82%, საშუალო იანვრის განმავლობაში—84%, ხოლო ივლისში—81%.

მზის ნათების ხანგრძლიობის მხრივ ლიბანს მთელ ამ რაიონში პირველი ადგილი უჭირავს. მზის ნათების ხანგრძლიობის წლიური ჯამი აქ 2000—2300 საათს აღწევს. იმის გამო, რომ ჰორიზონტი იდეალურად გაშლილია, მზის სხივების მოქმედება აქ დილით ადრე იწყება და გვიან საღამოთი მთავრდება.

ლიბანში არსებობს რკინიგზელთა საუცხოო სანატორიუმი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობს. იგი ნავარაუდევია 200 საწოლზე, მხოლოდ ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულთათვის. მრავალი წლის დაკვირვებებისა და სანატორიუმის ექიმთა მიერ გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე მკურნალობით მიღებულ შედეგთა მხრივ აქ უაღრესად კარგი მაჩვენებლები არსებობს. ისევე როგორც სხვა სანატორიუმებში, აქაც საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ კომპლექსური მკურნალობის შედეგად.

ლიბანიდან 1½ კილომეტრის, ხოლო ბორჯომიდან 27 კილომეტრის მანძილზე, იმავე სიმაღლეზე (1370 მეტრი) მდებარეობს დიდი ხნიდან ცნობილი სამთო-კლიმატური სადგური პატარა-ცემი.

პატარა-ცემის კლიმატური მაჩვენებლები თითქმის იგივეა, რაც ლიბანისა, მაგრამ პატარა-ცემის მდებარეობა დაქანებულ ფერდობზე და მისი სიახლოვე მდინარე ბაკურიანის ხეობასთან უზრუნველყოფს ადგილობრივი ქარების შეღწევას, რომელთაც ნაჭარბი ტენი გააქვთ რაიონიდან. ამიტომ აქ ვენტილაციის პირობები ცოტა უკეთესია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

წალვერი. სსპცს სანატორიუმი.

ნალვერი. პარკი კეჩხობში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის ნათების რეჟიმის მიხედვით პატარა-ცემი სავსებით იმავე პირობებშია, როგორც ლიბანი. ამრიგად, ეს ორი კურორტი ბორჯომის ხეობაში,—პატარა ცემი და ლიბანი, მზის ნათების—წარმატებითი მკურნალობის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორის—ხანგრძლიობის წლიური ჯამის მხრივ, თვითეული სარეკორდო ციფრს—2200—2300 საათს იძლევა. მზის ნათების საათების ასეთი მნიშვნელოვანი რიცხვი ჩვენ გვაქვს მხოლოდ მზეთა-მზეში.

ჩვენ საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება ისეთი მეცნიერული შრომები, რომლებიც მიძღვნილია ადამიანის ორგანიზმზე პატარა-ცემის სამკურნალო ფაქტორების გავლენის საკითხისადმი. ყველა ეს ნაშრომი დაწერილია საბჭოთა წლებში. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

პატარა-ცემი დიდი ხნიდან ითვლება ძირითადად ბავშვთა კურორტად. ამჟამად აქ არსებობს სანატორიუმი მხოლოდ ბავშვთათვის. პატარა-ცემში ჩატარებული მეცნიერული სამუშაოები პედიატრებს ეკუთვნის.

ბავშვთა ფიზიკურ განვითარებაზე სანატორიული მკურნალობის გავლენის საკითხისადმი პატარა-ცემის სამთო-კლიმატურ პირობებში მიძღვნილია ა. ყანჩელის და ი. რცხილაძის შრომა.

სანატორიულ პირობებში თავისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევების საფუძველზე ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სანატორიული მკურნალობა პატარა-ცემში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვთა ფიზიკურ განვითარებასა და გაჯანსაღებაზე. ზრდა-განვითარება და წონაში მომატება ყველაზე ინტენსიურად წარმოებს მკურნალობის კურსის პირველი თვის დამლევს და მეორე თვის განმავლობაში. რაც უფრო ნაკლებია ბავშვის წონა სანატორიუმში მიღებისას, მით უფრო საგრძნობია წონაში მატება. მკურნალობის პირველი 5—10 დღის განმავლობაში ბავშვთა $^2/_3$ პატარა-ცემში არ მატულობს წონაში, პირიქით, იკლებს კიდევაც. წონაში მატება მეტწილად მე-10—15 დღეზე იწყება. კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის გადიდება საერთო ზრდასთან (სიგრძე, წონა და სხვ.) შედარებით რამდენადმე შენელებულია. ფიზიკური განვითარების დინამიკის მონაცემთა საფუძველზე პატარა-ცემში მკურნალობის ვადად დაწესებულ უნდა იქნეს არა ნაკლებ ორი თვისა.

პროფ. პ. ვ. ნანეიშვილის ხელმძღვანელობით და საქართველოს გამოცდილ ექიმ-პედიატრთა მონაწილეობით პატარა-ცემის სანატორიულ პირობებში ჩატარებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევებიც უდავოდ ადასტურებენ ბავშვის ორგანიზმზე ამ საკურორტო

ადგილის სამთო-კლიმატური ფაქტორების მოქმედების დიდ ეფექტიანობას მკურნალობის სხვა მეთოდებთან კომპლექსში.

პატარა-ცემში მუშაობს ბავშვთა სანატორიუმი 80 საწოლით ზაფხულის 3 თვის განმავლობაში. აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ სანატორიუმის მუშაობა აქ მთელი წლის განმავლობაში წარმოებდეს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ჩვენს სამთო-კლიმატურ სადგურებზე ბავშვთა სანატორიუმების რიცხვი მეტად მცირეა, განსაკუთრებით ძვლის ტუბერკულოზის ღია ფორმით დაავადებულთათვის. ამავე დროს, სპეციალისტთა აზრით, ადგილმდებარეობით (სრული იზოლაცია) და კლიმატური პირობებით პატარა-ცემი ძლიერ ხელსაყრელია ძვლის ტუბერკულოზის ღია ფორმით დაავადებულ ბავშვთა მკურნალობისათვის.

წალვერიდან პატარა-ცემამდე მთელ მანძილზე დიდი რაოდენობით არის გახსნილი ზაფხულობით საბავშვო მოედნები, პიონერთა ბანაკები და ბავშვთა საზაფხულო სანატორიუმები.

გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა 1904 წელს ინახულა პატარა-ცემი და აქ დაწერა ლექსი, რომლის მოყვანაც საჭიროდ მიგვაჩნია.

თუ სენი ვისმე შემოჰპარვია
და გულს ნაღველი ისრად სცემია,
მისთვის სამოთხე—სააგარაკოდ
და სამკურნალოდ მხოლოდ ცემია!

ჰაერი წმინდა, გრილი და რბილი
სუნნელ-კეთილად შეზავებული:
ირგვლივ ნაძვნარი—ქარბუქის ფარი,
შუა-მინდორში აყვავებული.

მდინარე წყალი, ჩუხჩუხ-მმღერალი,
ვით უკვდავების წყარო კამკამი,
და აიაზმად გადმონასხური
დილა-საღამოს ციური ნამი...

მიველ გაყრის დროს დღე და ღამისა,
როცა ნათელი ბნელს ეჯიბრება,
მაგრამ ძლეული ბუნების რიგით,
რომ შეისვენოს, დროებით ჰქრება.

იქვე მახლობლად მაღალ მწვერვალზე
თავი ამოჰყო, გადმოდგა მთვარე,
ბურთი ციური სასუფევლისა,
გულსევდიანი... სხივმოისარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტყორცნა ნათელი, გამოაფხიზლა
ჩაფიქრებული იმ დროს მიდამო,
და თითქოს ტკბილად უმახარობლა:
მადლი მოგიძღვნა მაღლით ზეცამო.

შეირხენ შტონი ფოთოლთ შრიალით:
ყვავილოვანი ბიბინებს ველი;
მიმოჰქრის სიო, ჰგალობს ბულბული,
ქვეყნად გადმოდის სასუფეველი.

გამმსჭვალა მეც ამ სანახაობამ,
ბრძმედში გამავლო და გადამცვალა,
სული ამაღლდა რა საზენაოდ,
ხორცს საამქვეყნოდ ემატა ძალა!

და ვსთქვი: ბუნებავ, ძლევამოსილო,
თვით ჯანიოზი* შენ ხარ მკურნალი,
და ხელის შემწყობ მხოლოდ მასალად
ექიმები და რეცეპტ-წამალი.

1904

თხზულებანი, ტომი I, გვ. 686.

ბორჯომ-ბაკურიანის შტოს უკანასკნელ სადგურს წარმოადგენს ბაკურიანი—მაღალმთის კლიმატური კურორტი.

ბორჯომიდან ბაკურიანში მიმავალ გზაზე წაღვერამდე არც ერთი დიდი აღმართი არ არის; მხოლოდ წაღვერიდან იწყება აღმართები, სულ უფრო და უფრო ციცაბო; გზა სულ მაღლა და მაღლა იკლაკნება მთებში და ალაგ-ალაგ უეცრად უხვევს, არა მარტო გზატკეცილზე, არამედ თვით რკინიგზაზეც. ჰაერი სულ უფრო და უფრო სუფთავდება და მსუბუქი ხდება, ხოლო ხეები იმდენად მაღალია, რომ შორი მანძილიდანაც კი თავი უკან უნდა გადაწიოთ, რათა თვალი შეავლოთ მათ წვეროებს.

ყოველ ნაბიჯზე ახალი ხედები იშლება—სურვილი გიპყრობს დადგე, საათობით უცქირო და დატკბე ულრანი ტყეების სიმშვენიერით.

ყოველ მოსახვევზე თქვენ ხედავთ ახალ პეიზაჟებს, ახალ გარემოს, სულ სხვადასხვანაირად შემკულს და განათებულს. ორთქლმავალთა და ავტომობილების საყვირთა ხმა აქ, ამ ხეობაში სულ სხვანაირად გაისმის და გამოძახილს პოულობს შორს, გზის გადაღმა. ბუნება ისეთი ლამაზი, მდიდარი და მრავალფეროვანია,

---

[1] ჯანიოზი—გამოჩენილი ბერძენთა მკურნალი „წიგნი სააქიმოი“: 1936 წ., გვ. 338, (ლ. კოტეტიშვილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ბაკურიანი ზღვის დონედან 1654 მეტრზე მდებარეობს; ზოგ ადგილებში სიმაღლე 1700 მეტრს და მეტსაც აღწევს. აქ გადის ალპური ზონის ქვედა საზღვარი, და ეს გარემოება, ცხადია, მნიშვნელოვნად განაპირობებს ბაკურიანის კლიმატური პირობების სპეციფიკურობას.

ბაკურიანის კლიმატური მაჩვენებლები შემდეგია: საშუალოწლიური ტემპერატურა—4,4°, საშუალო იანვრის განმავლობაში—5,8°, საშუალო ივლისში—11,2°, შესაძლო მაქსიმუმი—30°, შესაძლო მინიმუმი—27°.

ნალექები: საშუალოწლიური ჯამი 840 მმ; ჯამი ზაფხულის სეზონის განმავლობაში—260—270 მმ, ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში—170, ზაფხულის სეზონში—49; თოვლიან დღეთა რიცხვი—72, თოვლის ფენი მუდმივია და ძევს ნოემბერ-აპრილის განმავლობაში; ზამთარი მყარია, თოვლის ფენი აღწევს 50 სმ.

ტენი: საშუალოწლიური შედარებითი ტენიანობა—75%, საშუალო იანვრის განმავლობაში—75%, ხოლო ივლისში—82%.

თუმცა ბაკურიანში, განსაკუთრებით უახლოეს მთაგრეხილებზე, ხშირია ღრუბლები და ნისლი, მაგრამ მზის ნათების ხანგრძლივობა წლის განმავლობაში აქ აღწევს მაღალ ციფრს—1800 საათს.

ბაკურიანს საკმაოდ ფართო ტაფობი უკავია გაშლილი ჰორიზონტით; ეს ტაფობი მთლიანად გარემოცულია ასწლოვანი ფიჭვის ხეებით. აქ იცის სუსტი ქარები, რადგან ირგვლივ ბორცვები და მთის ქედებია; ქარის სიჩქარე მცირეა, არ აღემატება 1,5—1,6 მეტრს წამში.

ბაკურიანის ჰავა ზომიერად მშრალია. მზის სიუხვემ და იმ გარემოებამ, რომ ტემპერატურა მკვეთრად არ მერყეობს, დამსახურებული სახელი და პოპულარობა მოუხვეჭა განსაკუთრებით ლამაზ ბუნების მქონე ამ ადგილს, სადაც სუფთა, კრიალა ჰაერი ფიჭვის სუნით არის გაჟღენთილი.

ზაფხული აქ გრილია. ზაფხულის თვეებში აქ ისვენებს არა ნაკლებ 5000 კაცისა. ამ პერიოდში მუშაობს ბავშვთა სანატორიუმები და პიონერთა ბანაკები.

ძირითადად ბაკურიანში ატარებენ ზაფხულს ისინი, ვინც დასვენებასა და თავისი ძალების აღდგენას საჭიროებს. ტუბერკულოზიან ავადმყოფთათვის ბაკურიანი ნაჩვენები არ არის. აქ თავს კარგად გრძნობენ და იკურნებიან მეორადი სისხლნაკლულობით დაავადებულნი, მძიმე დაავადებათა გადატანის შემდეგ გამოკეთე-

ცემი. ხსპცს სანატორიუმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცემი. საერთო ხედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაში მყოფნი, ფუნქციონალური ნევროტიკები და სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური სნეულებით დაავადებულნი. ბავშვები საკმაოდ ჩქარა მატულობენ წონაში, უმჯობესდება ბაკურიანში დამსვენებელთა სისხლის საერთო სურათი.

ძნელია იმის თქმა, თუ წელიწადის რომელი დრო ითვლება საუკეთესოდ ბაკურიანში. წინათ აქ მოდიოდნენ მხოლოდ საზაფხულოდ, ზამთრობით გამოჩნდებოდნენ ხოლმე მხოლოდ სპორტის თითო-ოროლა მოყვარულები. ახლა სურათი შეიცვალა. ვინაიდან ზამთარი აქ მყარია (თოვლის ფენი 50 სანტიმეტრს აღემატება, ძევს 5 თვის განმავლობაში), ხოლო კლიმატური პირობები მეტად ხელსაყრელი და ჯანსაღია, ზამთრის პერიოდში თავს იყრის სათხილამურო სპორტის მოყვარულთა და ოსტატთა დიდი რაოდენობა. განსაკუთრებული გამოცოცხლება ემჩნევა ბაკურიანს საზამთრო არადადეგების დროს. ჯანსაღი ყინვა, ძლიერი ქარების არარსებობა, საკმაო ინსოლაცია, ღრმა თოვლის ფენი, ფიჭვნარის ჭალაკები,—ყოველივე ეს უამრავ მეთხილამურეს იზიდავს.

ზოგი ფიქრობს, რომ მზიან საქართველოში სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობები არ არსებობს. სინამდვილეში კი აქ არის ისეთი ადგილებიც, სადაც სათხილამურო სპორტით ვარჯიში შესაძლებელია არა მარტო ზამთარში, არამედ ზაფხულშიც.

საქართველოში სათხილამურო სპორტის აკვანს წარმოადგენს ბაკურიანი. სათხილამურო სპორტის განვითარების ისტორია ჩვენში 1908 წლიდან იწყება, მაგრამ მაშინ ამ სპორტს მხოლოდ ერთეულები მისდევდნენ. ამიტომ უფრო სწორი იქნება, რომ დასაწყისად 1931—32 წწ. მივიჩნიოთ, როცა ბაკურიანში დაარსებულ იქნა სათხილამურო სპორტის ბაზა. უკვე შემდგომ წელს აქ მოწვეულ იქნა ხელმძღვანელი—მწვრთნელი და სკოლაც გაიხსნა; ამ ზამთრის სეზონში ბაზაში გატარდა 600 მეთხილამურე.

სათხილამურო სპორტი საქართველოში სულ უფრო და უფრო ვითარდება. 1936 წელს მოეწყო სამთო-სათხილამურო გადარბენა ბაკურიანიდან ლენინაკანში (160 კილომეტრი). საქართველოს მთიან რაიონებში სპორტის ეს სახეობა ყოფაცხოვრებაში შეიჭრა. მაგალითად, სვანეთის კოლმეურნეებმა თხილამურები გამოიყენეს სოფლებს შორის მიმოსვლისათვის; მათ მოაწყვეს და ბრწყინვალედ შეასრულეს კიდეც მეტად ძნელი გადარბენა თხილამურებით სვანეთიდან ბაკურიანში.

როდესაც საბჭოთა კავშირში სპეციალური კომისია შეუდგა სრულიად საკავშირო სათხილამურო შეჯიბრების მოსაწყობად

საუკეთესო ადგილის გამონახვას, „საბჭოთა დავოსის“ შესაქმნელად არჩეულ იქნა ბაკურიანი.

მართლაც, სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად, ბაკურიანი საუცხოო ადგილს წარმოადგენს აგრეთვე სათხილამურო შეჯიბრებისათვის. თოვლი აქ მოდის ნოემბრის დამდეგს და ძევს აპრილამდე. კლიმატი ცივი არ არის, ზამთარი ზომიერია მზიანი დღეების დიდი რაოდენობით და სუსტი ქარებით; თებერვლის თვეში საშუალო ტემპერატურა უდრის—4,9°. ბაკურიანი გარემოცულია მთებით, რომელთა სიმაღლე ზღვის დონედან 3000 მეტრს აღწევს.

ბაკურიანში თავის შესაფერ ადგილს პოვებს როგორც სამთო-სათხილამურო სპორტის დამწყები, ისე ამ სპორტის ოსტატი. ოსტატს შესაძლებლობა აქვს ავიდეს მაღალ მთებზე, ალპურ ზონაში, გადმოხედოს და დატკბეს დიადი ბუნების სანახაობით.

ბაკურიანში ზამთრობით იმდენი მზიანი დღეა, რომ მეთხილამურეები სიცივეს ვერ გრძნობენ. აქ ხშირად შეხვდებით სპორტსმენებს, რომლებიც იანვარში მაისურებსა და ტრუსებში დასეირნობენ და შინ მზით გარუჯულნი ბრუნდებიან.

საბჭოთა კავშირის მრავალ სამთო-სათხილამურო სადგურს შორის განსაკუთრებით განთქმულია კიროვსკი, მაგრამ იქ გარშემო მდებარე მთების სიმაღლე ზღვის დონედან 1200 მეტრს არ აღემატება, რაც შეუძლებელს ხდის მაღალი კლასის სათხილამურო შეჯიბრების ჩატარებას. ამასთან ზამთარი იქ მეტად მკაცრია.

საბჭოთა კავშირში სათხილამურო სპორტი საერთოდ სპორტის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და სასარგებლო სახეობაა. ტრამპლინიდან ხტომა მეთხილამურეთა შეჯიბრების საყვარელ სახეს წარმოადგენს. კავშირის მრავალ კუთხეში იქმნება სასწავლო-სპორტული ბაზები მეთხილამურეთათვის. მაგრამ ყველგან როდი შეიძლება ტრამპლინების აგება. მოხერხებულად შერჩეული ადგილი და სწორად აგებული ტრამპლინი აუცილებელი პირობაა შესაძლო ავარიებისა და საშიშროების თავიდან ასაცილებლად. ამ მხრივაც ბაკურიანი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. 1950 წელს აქ აგებულ იქნა 45 მეტრიანი, ხოლო უფრო გვიან—75 მეტრიანი ტრამპლინი. ამან კიდევ უფრო მიიზიდა სათხილამურო სპორტის მოყვარულნი.

ძნელია იმის თქმა, თუ როდის უფროა გამოცოცხლებული ბაკურიანი: ზაფხულში, როცა მოაგარაკენი სიცხეს გაურბიან და აქ თავს აფარებენ, თუ ზამთარში, როცა ბაკურიანს სრულ ბატონ-პატრონებად ევლინებიან მეთხილამურე სპორტსმენები?

ზამთრობით ბაკურიანში თავს იყრიან მეთხილამურეები სავარჯიშოდ და შეჯიბრებაზე მთელი საბჭოთა კავშირიდან. მეთხილამურე-ოსტატები ერთმანეთს ეჯიბრებიან სწრაფად დაშვებაში, ტრამპლინიდან ხტომაში. მეტად საინტერესო სანახაობას წარმოადგენს მარად მწვანე ფიჭვნართა ფონზე ტრამპლინიდან მხტომთა შეჯიბრება.

განსაკუთრებით დინამიკურია შეჯიბრება სლალომში. სპორტსმენები დიდი სიჩქარით მისრიალებენ განლაგებულ „სარჭებსა“, „კლაკნილებსა“, „კარებსა“ და „სამკუთხედებს“ შორის.

სათხილამურო სპორტმა მტკიცედ მოიდგა ფეხი საქართველოში და იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ახალგაზრდობაში. ეს ერთ-ერთი ყველაზე ჯანსაღი და სასიამოვნო სახის სპორტია, ხოლო ბაკურიანი ამ მხრივ შესანიშნავ ადგილს წარმოადგენს.

საქართველოში სათხილამურო სპორტი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სახეობაა სპორტისა. მაგრამ იგი სულ უფრო მეტად ვითარდება, და ამას ბევრ რამეში ხელს უწყობს ბაკურიანი. საქართველოს ალპინისტები ბევრ ბრწყინვალე გამარჯვებას ითვლიან; მათ შორის—1951 წლის ზაფხულში განხორციელებულ ტრავერსს უშბასა და შხელდაზე. ბაკურიანში წარმოებული ვარჯიში ხელს შეუწყობს ალპინისტებს და მეთხილამურეებს მათ მიერ სულ ახალ-ახალ თვალსაჩინო სპორტულ გამარჯვებათა მოპოვებაში.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თბილისის ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს ინიციატივით 1951 წელს ბაკურიანში გაიხსნა საექსკურსიო ბაზა. მისი ამოცანაა მოაწყოს და უხელმძღვანელოს ექსკურსიებს ბორჯომისა და მისი ხეობის ყველაზე ღირსშესანიშნავ ადგილებში. ბაზას თავის განკარგულებაში ჰყავს ტრანსპორტი, გამყოლები და ლექტორები.

განსაკუთრებულ გამოცოცხლებას ჰქონდა ადგილი ბაკურიანში 1952—53 წლის ზამთარში, როცა მთელი საბჭოთა კავშირიდან ბაკურიანში მოვიდნენ უძლიერესი და სახელგანთქმული სპორტსმენი-მეთხილამურეები. აქ შეხვდებოდით მეთხილამურეებს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, სვერდლოვსკიდან, გორკიდან და სხვა ქალაქებიდან; მათ შორის ჩვენი კავშირის საუკეთესო სპორტსმენ-მეთხილამურეთ, სლალომისტთ, ტრამპლინიდან საუკეთესო ოსტატ-მხტუნავთ. მათ მიყვებოდნენ საქართველოს საუკეთესო მეთხილამურეები, რესპუბლიკის ჩემპიონები. აქ შეხვდებოდით აგრეთვე საქართველოს მეთხილამურეებს განსაკუთრებით ზამთრის სასკოლო არდადეგების დროს.

ბაკურიანის კლიმატური პირობები მეტად ხელსაყრელია ჯიშიანი მელების გასამრავლებლად. ამ მიზნით 1932 წელს ბაკურიანში მოეწყო ნადირთმეურნეობა, რომელსაც 100 ჰექტარი ფართობი უკავია.

დასაწყისში ამ საბჭოთა მეურნეობაში იყო 36 წყვილი რუხშავი მელა. დროთა განმავლობაში საბჭოთა მეურნეობა განვითარდა, და ახლა აქ მელების რიცხვი 2600-მდე აღწევს. ნადირთმეურნეობა მიზნად ისახავს საუკეთესო ხარისხის ბეწვეულის გამოშვებას და მელის ჯიშის გაუმჯობესებას. ამ მხრივ საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს. მათ შეძლეს მიეღოთ და გაემრავლებინათ მელების საუკეთესო ჯიში—თეთრი მელები, რაც სპეციალისტთა დასკვნით დიდ იშვიათობას წარმოადგენს და რის მიღწევაც ვერ შესძლეს ვერც დასავლეთ ევროპასა და ვერც ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ნადირთმეურნეობის სპეციალისტთა წინადადებით მელების ამ ჯიშს ეწოდა „ბაკურიანის თეთრი მელა“.

გარდა განსაკუთრებით ლამაზი ბუნებისა და იშვიათი კლიმატური პირობებისა, ბაკურიანის პოპულარობას ხელს უწყობს აგრეთვე მოხერხებული მიმოსვლა საუცხოო გზატკეცილით და რკინიგზით.

დიდ ინტერესს შეადგენს გასეირნება ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღში, სადაც წარმოდგენილია ალპური და სუბალპური ზონების მდიდარი ფლორა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბაკურიანთან ახლოს წარმოებს მჟავაგამძლე ანდეზიტის ქვის დამუშავება.

ბაკურიანიდან მე-10 კილომეტრზე მდებარეობს მაღალი მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ციხის-ჯვარი. კურორტი მდებარეობს ზღვის დონედან 1803 მეტრის სიმაღლეზე, თვალწარმტაც ადგილას, რომელიც დაფარულია წიწვიანი ტყეებით, უმთავრესად, ასწლოვანი ფიჭვებით. კურორტი გარემოცულია მთებით: სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართულია ცხრა-წყარო, მოპირდაპირე მხარეზე კი—კოდიანი. ამ ადგილის კლიმატური მაჩვენებლები ძირითადად ბაკურიანის თანაბარია.

ციხის-ჯვარი განთქმულია თავისი თბილი მინერალური წყაროებით—500.000 ლიტრზე მეტი დებიტით დღე-ღამეში. ეს წყაროები ეკუთვნის ჰიდრო-კარბონატულ-ნატრიუმ-მაგნიუმიანი ტიპის წყაროებს. სულ ოთხი წყაროა. № 1 წყაროს ტემპერატურა არის 37,5° C, № 2 წყაროს—38,0°C. ორივე ეს წყარო ყველაზე უფრო ხელსაყრელია აბაზანების მისაღებად წყლის გაუთბობლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიბანი. სანატორიუმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლიბანი. სანატორიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანარჩენი ორი წყაროს ტემპერატურა ოდნავ უფრო დაბალია—ის შეადგენს ცელსიუსით 31,5°.

აქ არის სააბაზანო შენობა საკმაო ტევადობის სამი საერთო აუზით (თითოეული 10—15 კაცზე) და 8 ინდივიდუალური აბაზანა.

ციხის-ჯვრის მინერალური წყლები დიდი პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივ მოსახლეობაში და აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან მოსულ დამსვენებელთა შორის.

ციხის-ჯვრიდან სამ კილომეტრზე არის გოგირდის მინერალური წყაროები 12°C ტემპერატურისა და სამკურნალო ტალახი, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს რევმატიზმებისა და კანის ავადმყოფობის დროს.

ციხის-ჯვარს გააჩნია ყველა პირობა შემდგომი განვითარებისათვის. ესაა—მდიდარი მინერალური წყაროები დიდი დებიტით, მალალმთიანი კლიმატი, სათანადო სამშენებლო ფართობი დიდი მშენებლობის გასაშლელად და ისეთი კურორტის შესაქმნელად, სადაც კომბინირებულად იქნება გამოყენებული ციხის-ჯვრის კლიმატურ-ბალნეოლოგიური რესურსები.

ამგვარად, ბორჯომს აკრავს კურორტების დიდი ჯგუფი, რომლებიც აგრეთვე შესანიშნავია თავისი ბუნებრივი და სამკურნალო ფაქტორებით. ყველა ამ კურორტს შემდგომი განვითარების ბრწყინვალე პერსპექტივები აქვს.

ჩვენ აქ მოვახდინეთ ბორჯომის რაიონის ყველაზე პოპულარული და ცნობილი სამთო-კლიმატური სადგურების მოკლე აღწერა.

მაგრამ ამით სრულიადაც არ ამოიწურება ამ რაიონის უმდიდრესი საკურორტო შესაძლებლობა. საკმარისია ითქვას, რომ ამ პატარა რაიონში, გარდა იმისა, რომ საუცხოო კლიმატური პირობები არსებობს და ბუნებაც მშვენიერია, 40-ზე მეტი მინერალური წყარო მოიპოვება—თბილი და გრილი, ტუტოვან-ნახშირმჟავა, ნახშირმჟავა-რკინის, გოგირდოვან-წყალბადის და სხვა წყაროები. დამახასიათებელია, რომ მრავალრიცხოვანი საკურორტო ადგილები და მინერალური წყაროები განლაგებულია ამფითეატრად, დაწყებული 700 მეტრით და გათავებული 2000 მეტრი სიმაღლით ზღვის დონედან. ამრიგად, აქ შეიძლება გამონახულ იქნეს შესაფერისი ადგილი ყოველი ავადმყოფისათვის, იქნება ის ტუბერკულოზით თუ კუჭ-ნაწლავთა სნეულებით დაავადებული.

ბორჯომის ჯგუფის საკურორტო ადგილთა მნიშვნელოვან უპირატესობას შეადგენს ის, რომ ყველა ეს ადგილი რკინიგზის ზონაში მდებარეობს; რკინიგზიდან დაშორების რადიუსი სულ მცირეა—ის 2—6 კილომეტრს არ აღემატება. გარდა ამისა, აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის აგრეთვე შესანიშნავი გუდრონირებული გზა. ამრიგად, არსებობს ყოველგვარი მონაცემები კურორტთა ამ ჯგუფის შემდგომი განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მიზანშეწონილი არ არის სახსრების დაქსაქსვა—სანატორიუმების, სასტუმროების და ბალნეოლოგიური დაწესებულებების აგება ყველგან, სადაც კი წყარო ამოხეთქავს.

პირველ ყოვლისა საჭიროა მინერალური წყლის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობის შესწავლა, ცდების მოწყობა ცხოველებზე, დაკვირვებათა ჩატარება იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მოქმედებს ახლად აღმოჩენილი წყარო ადამიანის ორგანიზმზე; ეს გაცილებით ნაკლებ სახსრებს მოითხოვს, და მხოლოდ დადებითი შედეგების მიღების შემდეგ უნდა შევუდგეთ სასტუმროს, სანატორიუმის და ბალნეოლოგიურ დაწესებულებათა მშენებლობას.

ამ მხრივ ბორჯომის რაიონი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. აქ არსებობს უკვე მომზადებული და შესწავლილი ბაზა მშენებლობისათვის, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, რომლებსაც გააჩნია მინერალური წყაროები.

სულ ახლოს ბორჯომთან, 2—5—10 კილომეტრის მანძილზე, არსებობს შესანიშნავი ადგილები, რომელთაგან შეიძლება განვითარდეს მომავალი კურორტები. ასეთია—დაბა-ძველი, ახალ-დაბა, ქვაბის-ხევი, ნეძვი, დაბა, ბანის-ხევი. ეს ადგილები შესანიშნავია თავისი საუცხოო კლიმატური პირობებით, მდიდარია ფიჭვნარის ჭალაკებით, მთის ტბებით, ლამაზი პეიზაჟებით. აქვე, ბორჯომთან ძლიერ ახლოს, არსებობს მშვენიერი საკურორტო ადგილები, სადაც მოიპოვება სულ სხვადასხვა შემადგენლობის მინერალური წყაროები. ასეთებს ეკუთვნის: მაჭარწყალი, წინუბანი, ვარდევანი, ტყემლოვანი, პატარა მითარბი, აბანოს-ღელე, ციხის-ჯვარი და მრავალი სხვა.

ამ ჯგუფის კურორტებზე შეიძლება განკურნება ჰპოვონ და აღიდგინონ თავისი ჯანმრთელობა სულ სხვადასხვა სახის ავადმყოფებმა და დამსვენებლებმა. აქ შეუძლიათ მკურნალობით ისარგებლონ ადამიანებმა, რომლებიც შეპყრობილი არიან სუნთქვის ორგანოების როგორც ტუბერკულოზური, ისე არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებით, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, სამოძრაო აპარატის, ნერვული სისტემის, ნივთიერებათა ცვლის და სხვ. დაავადებით.

ყველა აღნიშნული ადგილი დიდი ხანია პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივ მოსახლეობაში. აქ ცოტანი როდი არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსული ავადმყოფებიც. მაგრამ ყოველივე ამას ხშირად არაორგანიზებული ხასიათი აქვს.

ბორჯომის უმდიდრეს რაიონს მისი უდიდესი საკურორტო და ბალნეოლოგიური რესურსებით ყველა მონაცემი აქვს შემდგომი კიდევ უფრო ფართო განვითარებისათვის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ინტერესთა სასარგებლოდ.

ბრძოლა ბუნების გარდაქმნისათვის, აგროტექნიკის მიჩურინული მეთოდების დანერგვისათვის, რომელიც გაშლილია საქართველოში, თავის გამოხატულებას პოულობს აგრეთვე ბორჯომსა და მის რაიონში. განსაკუთრებით წარმატებით მოჰყავთ აქ ხილ-ბოსტნეული.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ რესპუბლიკურ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ იუწყებოდნენ, რომ საქართველოს სხვადასხვა რაიონის მრავალი კოლმეურნეობა მოითხოვს პამიდორ „რველის“ თესლს, რომლითაც განთქმულია ბორჯომის რაიონი. რველი—ესაა იმ სოფლის სახელწოდება, რომელიც მდებარეობს ბორჯომიდან რამდენიმე კილომეტრზე, ბანისხევის ხეობის შესავალთან. ამ სახელწოდების პამიდორი, რაც განსაკუთრებით მსხვილი, წვნიანი და ხორცოვანია—გამოყვანილია ადგილობრივი მცდელის, ან როგორც მას უწოდებენ „ბორჯომელი მიჩურინის“, გ. მ. თაქთაქიშვილის მიერ.

თითქმის დაქანებულ ფერდობზე, თაქთაქიშვილის სახლთან ახლოს, მთელი სასოფლო-სამეურნეო მუზეუმია. პამიდორ „რველის“ კვალის გვერდით დარგულია კიდევ უკეთესი ხარისხის პამიდორი. მარცხნივ ხახვია, რომლის თითოეული თავი იწონის 800-დან 1200 გრამამდე; ქვემოთ—ჭარხალი; მისი მოსავალი ჰექტარზე 800 ფუთს აღწევს. მეზობელ კვლებში დარგულია სხვა მაღალმოსავლიანი ხარისხის ბოსტნეული.

ბორჯომის რაიონში არასდროს არ იზრდებოდა ატამი, არასდროს ასე მაღლა მთებში საზამთრო არ მოჰყავდათ. ახლა, თაქთაქიშვილის ბეჯითი შრომის მეოხებით, მრავალ სოფელში ნახავთ ატმის ხეებს, ხოლო აქაური საზამთრო ბევრით არ განირჩევა კახური საზამთროსაგან.

ექვს წელს მუშაობდა თაქთაქიშვილი მსხლის განსაკუთრებული ჯიშების გამოყვანაზე. ამჟამად ძნელად თუ გამოარჩევთ მის მიერ გამოყვანილ მსხლის ჯიშს სახელგანთქმული „დიუშესისაგან“. თითქმის ათი წელი დასჭირდა მიჩურინელს იმისთვის, რომ გამოეყვანა, მოეხდინა აკლიმატიზირება და გაემრავლებინა მთელი რიგი ძვირფასი ჯიშის სხვადასხვა ხილი. მიღებულია აგრეთვე

ლობიოს, ნესვის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალმოსავლიანი ჯიშები.

თაქთაქიშვილის მიერ მიღებული თესლეული, მის მიერ გამოყვანილი ჯიშები ფართოდ გავრცელდა არა მარტო რაიონის ფარგლებში, არამედ საქართველოს სხვა ადგილებშიც; მათ შესწავლას აწარმოებენ სასელექციო სადგურები.

ამჟამად თაქთაქიშვილი თავის შვილთან ერთად მუშაობს მთელი რიგი ახალი ჯიშების გამოყვანაზე. მისი პატარა ბაღი საკოლმეურნეო-საცდელ ბაღად გადიქცა რაიონში. მასთან ხშირად მიდიან თესლეულისათვის, ცნობის ან რჩევა-დარიგების მისაღებად არა მხოლოდ კოლმეურნეები, არამედ აგრონომებიც.

ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებში უკანასკნელ წლებში, სპეციალისტთა მტკიცებით, ბოსტნისა და ხეხილის ნარგავებმა 500 ჰექტარზე მეტი ფართობი დაიკავა; ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ბორჯომის რაიონი მეხილეობა-მებოსტნეობის რაიონად არ ითვლება. მიჩურინელთა შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უკეთ მომარაგებისათვის.

ბორჯომის რაიონი მდიდარია აგრეთვე სამკურნალო მცენარეებით. აქ დიდი რაოდენობით მზადდება სამრეწველო მნიშვნელობის მქონე სამკურნალო მცენარეები. საკმარისია დავასახელოთ რამდენიმე მათგანი, რომ გასაგები გახდეს, თუ ამ მხრივ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რაიონს. ასე, მაგალითად, აქ მოიპოვება საუცხოო თვისების საგულე საშუალება—ჟანგოვანა სათითურა, ჭიის საწინააღმდეგო საშუალება—მამალგვიმრა, ბელადონა, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს კუჭ-ნაწლავთა დაავადების დროს, ორჭისები და მთელი რიგი სხვა სამკურნალო მცენარეები, რომლებიც დიდად ფასობს მედიცინაში.

ბორჯომის ხეობაში იზრდება ისეთი თვისების ნაძვები, რომლებიც რეზონატორის საუკეთესო თვისებებს იჩენს და ამიტომ მისგან ამზადებენ პიანინო-როიალების დაფებს. საინტერესოა, რომ ასეთი იშვიათი ხარისხის ნაძვი საბჭოთა კავშირში მხოლოდ ორ ადგილას იზრდება—იმიერკარპატის უკრაინაში და აქ, ბორჯომის ხეობაში. სპეციალისტები ფიქრობენ, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს ბორჯომის იშვიათ ჯანსაღ ჰავასა და გეოგრაფიულ მდებარეობას, რომ ეს გარემოება არაჩვეულებრივ სიმკვრივესა და სიმჭიდროვეს აძლევს ხის ბოჭკოებს.

დაფებისათვის გამოსადეგ მასალას დიდი სიფრთხილითა და გულდასმით უნდა შერჩევა. აქ გათვალისწინებული უნდა იყოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა-ცემი. საერთო ხედი, ბავშვთა სანატორიუმი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. ბაკურიანის გზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი წვრილმანი. ყოველივე ტრავმა, მიყენებული ასეთი ნაძვისათვის ხისმჭრელების მიერ და მეტადრე კი ტრანსპორტირების დროს, „ხმას“ უკარგავს ნაძვს და ამიტომ მთელი რიგი წესები ზუსტად უნდა იყოს შესრულებული ამ მასალის მიღებისა და ტრანსპორტის დროს.

საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება. როდესაც ასეთი ხარისხის ნაძვს დიდი სიფრთხილით სპეციალური პლატფორმებით თბილისში ჩამოიტანენ (მათი ტივებად შეკვრა არ შეიძლება), ხდება ამ ხეების რადიალურად დახერხვა, თეთრ პრიალა ფიცრებს გასაშრობად აწყობენ განსაკუთრებულ ფარდულებში; მათი ხმარება პიანინოს და როიალის დაფებად შეიძლება მხოლოდ სამი წლის შემდეგ: რაც მეტ დროს იქნება იგი შენახული გასაშრობად, მით უკეთესი თვისების დაფები დამზადდება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



შოკრეული ექსკურსიები

ბორჯომისა და მისი ხეობის ერთ-ერთ შესანიშნავ თვისებას შეადგენს საექსკურსიო ადგილების სიუხვე და მრავალფეროვნება. არამც თუ ერთი თვის, ერთი ზაფხულის განმავლობაშიც კი ძნელია ყველა ამ ადგილში ყოფნა. ისინი, ვინც მოდიან ბორჯომში დასასვენებლად და სამკურნალოდ, თანდათანობით ეცნობიან საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის ყველა ღირსშესანიშნავ ადგილს.

დროის დახარჯვისა და დაღლის მხრივ ყველაზე ძნელია მოგზაურობა ცხრა-წყაროში ამ მთის მწვერვალზე ასვლით. მაგრამ ექსკურსანტი სამაგიეროდ დაჯილდოებული იქნება მრავალი შთაბეჭდილებით.

ბორჯომიდან ცხრა-წყაროს მთის ძირამდე გადაჭიმულია შესანიშნავი 50-კილომეტრიანი საავტომობილო გზატკეცილი. მგზავრობა შეიძლება რკინიგზითაც, პირველად ბორჯომიდან ბაკურიანამდე (37 კილომეტრი) და შემდეგ გზატკეცილზე მანქანით—13 კილომეტრი, არის აგრეთვე უფრო მოკლე საცალფეხო გზა, ტყეველზე გავლით, ბაკურიანიდან ცხრა-წყარომდე.

ცხრა-წყაროს ძირში დგას პატარა ფიცრული სახლი, სადაც ჩერდებიან ღამის გასათევად. ამ სახლიდან იწყება საცალფეხო გზა მთის მწვერვალზე ასასვლელად, რომლის სიმაღლე 2711 მეტრს უდრის. ეს საცალფეხო გზა საკმაოდ მოხერხებულია, იგი არავითარ სიძნელეს და საშიშროებას არ წარმოადგენს. ერთადერთი უხერხულობა, რასაც ჩვენ აქ ვაწყდებით, თუ კი შეიძლება ეს უხერხულობად ჩაითვალოს, ისაა, რომ მგზავრობა ცხრა-წყაროში აუცილებლად გულისხმობს ღამის გათევას მთის ძირას ამ პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში. ბევრი რამ, ცხადია, ამინდისაგან არის დამოკიდებული; უნდა გვახსოვდეს, რომ მთის პანორამები ხშირად ღრუბლებშია გახვეული, ამიტომ მწვერვალზე ასასვლელად საჭიროა შესაფერი დროს შერჩევა. ადგილობრივ მცხოვრებთა აზრით, ყველაზე ხელსაყრელი დროა აგვისტო და სექტემბერი, უფრო ზუსტად— აგვისტოს მეორე ნახევარი და სექტემბრის პირველი ნახევარი.

მთის ძირას პატარა სახლში გამოძინებული, თქვენ დგებით გათენებისას, 4 საათზე, რათა მოასწროთ მთაზე ასვლა მზის ამოსვლამდე. იბანთ პირს ცხრა-წყაროს ყინვასავით ცივი წყლით, ნაყრდებით და მიდიხართ. მთაზე ასვლას იწყებთ, როცა ჯერ კიდევ მთვარე ანათებს და ვარსკვლავებიც არ ჩამქრალა. აი თქვენ სულ ადვილად ახვედით ცხრა-წყაროს მწვერვალზე. აქ უკვე აღარ არის ტყეები, იწყება ალპური მდელოების ზონა. მოხერხებული ადგილიდან (კარგია, თუ თან წამოღებული გაქვთ სამგზავრო დასაკეცი სკამი) თვალს აპყრობთ ჰორიზონტს, საიდანაც ესეს არის გამოჩნდება ამომავალი მზის პირველი სხივი.

ქრება ცაზე უკანასკნელი ვარსკვლავი და თითქოს იმავდროულად შორს-შორს ჰორიზონტზე ენთება სხვა, სამაგიერო—ესაა ჯერ კიდევ უჩინარი მზის პირველი სხივი. თენდება. მზე სულ მაღლა, მაღლა იწევს და ზემოდან დასცქერის მუდმივი თოვლით დაფარულ მთაგრეხილს, ჰაერი თანდათან თბილი ხდება. მთელი თავისი სიმშვენიერით იშლება დიადი თვალწარმტაცი პანორამა. თქვენს თვალწინ დგება იალბუზი, ყაზბეგი, მოჩანს სვანეთის მთები—უშბა და თეთნულდი. პანორამა დიდი კავკასიონის ქედის თითქმის ორ მესამედს მოიცავს.

მას შემდეგ, რაც თქვენ საკმაოდ ისუნთქეთ სუფთა ჰაერით და მიიღეთ შთაბეჭდილებები, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გაგყვებათ, ეშვებით დაბლა და სულ მალე კვლავ პატარა ფიცრულ სახლთან ხართ.

ადამიანები, რომელთაც ბევრი უმოგზაურიათ და მრავალ სხვადასხვა ადგილას უნახავთ მზის ამოსვლა, წერენ, რომ არსად არ არის ისეთი ადგილი, როგორც ცხრა-წყარო, საიდანაც იშლება თავისი სილამაზით და შთაბეჭდილებათა ძალით განსაკუთრებით დიადი პანორამა. მოწმენდილ, კარგ ამინდში ცხრა-წყაროს მწვერვალიდან მოჩანს აგრეთვე შავი ზღვა, რაც ავსებს თავისი სილამაზით არნახული ბუნების სანახაობას. უნდა გვახსოვდეს, რომ ამინდს დიდი მნიშვნელობა აქვს. ცუდ ამინდში ცხრა-წყაროზე ასვლა არაა მიზანშეწონილი, რადგან ჰორიზონტი ღრუბლებსა და ნისლშია გახვეული, და ექსკურსანტიც სავსებით იმედგაცრუებული

ბრუნდება უკან. გამოცდილმა ადამიანებმა კარგად იციან, თუ რა დროს უნდა შევურჩიოთ ცხრა-წყაროს მწვერვალზე ასვლა, რომ უკეთესად ვიხილოთ მზის ამოსვლის დიადი სურათი. უარეს შემთხვევაში ექსკურსანტი კმაყოფილდება ბორჯომიდან ცხრა-წყაროს ძირამდე მიმავალი მშვენიერი გზის ხილვით.

ვინც ბორჯომსა და მის მიდამოებში ისვენებს, კარგად უნდა იცოდეს, რომ არ შეიძლება ცხრა-წყაროზე ასვლა გულის მანკით, კარდიოსკლეროზით, ჰიპერტონიული და ზოგიერთი სხვა სნეულებით დაავადებულთათვის. ასეთ შემთხვევებში გონიერი იქნება, თუ სანატორიუმისა და პოლიკლინიკის ავადმყოფები რჩევისათვის მიმართავენ თავიანთ ექიმებს და მათგან მიიღებენ ნებართვას.

„ცხრა-წყაროზე, მთის ძირას, მართლაც არსებობს ცხრა-წყარო. საერთოდ ამ არემარეში ბევრგან მოიპოვება სასიამოვნო სასმელი და მეტად ცივი წყაროს წყალი. თამარ მეფის დროს აქედან გაყვანილ იქნა წყალსადენი, რომელიც შემდეგში ყოფილ ვორონცოვის ტაფობამდე იქნა მიყვანილი ბორჯომში.

ცხრა-წყაროს მახლობლად არის ტურისტებისა და ექსკურსანტებისათვის კიდევ ერთი მეტად მიმზიდველი ადგილი ტაბაწყურის ტბა, რომელიც მაღლა მთებში მდებარეობს.

საქართველოში ცოტა როდია სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე ტბები, მაგრამ ისინი მეტწილად მცირე სიდიდისა არიან. ტაბაწყურის ტბა ზღვის დონედან 1921 მეტრზე მდებარეობს, მისი სიგრძე 7 კილომეტრია, სიგანე 4,3 კილომეტრს აღწევს, მაგრამ კიდეებში იგი ძლიერ ვიწროვდება. მისი ნაპირები დასერილია უამრავი მცირე ყურეებითა და კონცხებით. ტბის სიღრმე 40 მეტრს შეადგენს.

ცნობილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში წერდა, რომ ტაბაწყურის ტბაში წყალი გამჭვირვალეა, სასმელად გემრიელი და სასარგებლო; რომ ტბის მიდამოები მდიდარია საძოვრებით და ტყეებით, ბალახეულით, ყვავილებით და წყაროებით; რომ ტბაში მრავლად იცის წვრილი და მსხვილი კალმახი—ეს მეტად გემრიელი თევზი.

აი რას წერდა ვახუშტი: „ტბა ტბის—ყურისა არის წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო, გარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახყვავილიანი, წყაროიანი და კალმახითა სავსე, დიდწვრილითა და ფრიად გემრიელითა“.

ვახუშტის მიერ მოცემული აღწერა სავსებით შეესაბამება ტაბაწყურის ტბის ახლანდელ მდგომარეობას, მხოლოდ იმ გამონა-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაკურიანი. საერთო ხედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაკურიანი. ბავშვთა სანატორიუმი.

ჯლისით, რომ ტყეები ახლა ძალიან მცირეა. მაგრამ ტბის გარშემო ახლაც გაშლილია შესანიშნავი საძოვრები, ტბის წყალს მართლაც სასიამოვნო გემო აქვს.

ეს ტბა დიდი ხნიდან არის განთქმული თავისი შესანიშნავი კალმახით. ძველ დროში მეთევზეობა გაუმაძღარ მოიჯარეთა ხელში იყო და მას მტაცებლური წესით აწარმოებდნენ, რაც თევზს სრულ განადგურებას უქადდა. ამჟამად მეთევზეობა აქ მეცნიერულ საფუძველზეა დაყენებული; ხელოვნურად აშენებენ არა მარტო კალმახს, არამედ ლადოგისა და სევანის ტბებიდან შემოტანილ ჭაფალს და იშხანს. ამგვარად, ტაბაწყურმა აღიდგინა არა მხოლოდ თავისი ყოფილი სახელი, არამედ იგი იქცა აგრეთვე შემოსავლიან მეურნეობად. ყოველწლიური თევზჭერა 700 ცენტნერს შეადგენს. ტბა გაწმენდილია მტაცებელი თევზისაგან და სარეველა მცენარეებისაგან. შესწავლილია მისი რეჟიმი და საკვები ბაზა.

ტაბაწყურის კალმახი იმდენად განთქმულია საქართველოში, რომ მის მოშენებას ხელი მიჰყვეს სხვა ტბებშიც, რომლებიც ხელოვნურად წარმოიქმნა, მაგალითად, ხრამის წყალსაცავში. აქაც არსებობს ის აუცილებელი პირობა, რაც საჭიროა კალმახის მოშენებისათვის—ყინვასავით ცივი და წმინდა წყალი.

ტაბაწყურის ტბისაკენ მიმავალი გზა იმავე ბაკურიანსა და ცხრა-წყაროს გაივლის. ცხრა-წყაროს ძირში მდგომი ხის სახლიდან ტბა სულ რაღაც 10,5 კილომეტრით არის დაშორებული. გზა კარგია, მხოლოდ ადგილ-ადგილ საკმაოდ ციცაბო ალმართები გვხვდება, რომელთაც მანქანა თავისუფლად სძლევს. აქ არ არის ტყეები, ირგვლივ ალპური საძოვრებია, რომელთა ფონზე ლამაზად მოჩანს ტბის ცისფერი ზედაპირი.

ფიქრობენ, რომ ტბა ვულკანური წარმოშობისაა. ტბის ნაპირებზე უამრავი ნიჟარები და მინერალებია. არც ერთი ხე აქ არ არის და ზაფხულში მზის მწველ სხივებს ვერსად გაექცევით. სამაგიეროდ შესანიშნავი საძოვრებია და გარეულ იხვებზე ნადირობის სრული შესაძლებლობაც არსებობს. მომავალში აქ, ალბათ, ტყის ნარგავებიც გაჩნდება, რაც საკურორტო ადგილის განვითარებისა და კეთილმოწყობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ტბის ახლოს მდებარეობს ორი სოფელი, რომელთა მცხოვრებნი მისდევენ მესაქონლეობასა და მეთევზეობას.

ტაბაწყურიდან შეიძლება ბაკურიანში დაბრუნება სოფელ მითარბის გავლით. ეს გზა უფრო თვალწარმტაცია, იგი ტყეებზე გადის; ხშირად ვხვდებით ყინულივით ცივ წყაროებს.

ბაკურიანიდან ბორჯომში მიმავალი გზაც უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებს. ყველაფერი—მთებიც, ტყეებიც და გზაც—ჩამავალი მზის სხივებშია გახვეული. ლამაზი პეიზაჟები ერთმანეთს სცვლის.

მთელი ამ გასეირნებისათვის ერთი დღე სავსებით საკმარისია.

ჩვენ ვფიქრობთ, ძნელია სხვა ისეთი ადგილის გამონახვა, რომელიც მიღებულ შთაბეჭდილებათა სიმდიდრით და მრავალფეროვნებით ბორჯომის ხეობის შესადარი იყოს. საკმარისია ითქვას, რომ ექსკურსანტს ან ტურისტს, დილით ადრე ცხრა-წყაროზე ასულს, შეუძლია დასტკბეს მზის ამოსვლის დიადი სანახაობით, კავკასიონის ქედის გრანდიოზული პანორამით, შავი ზღვის ხედით, ხოლო იმავე დღეს საღამოთი აბასთუმნის ობსერვატორიიდან ჭვრეტდეს ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. ერთი დღის დასვენების შემდეგ შეგიძლიათ დაათვალიეროთ XII საუკუნის საოცრება—თამარ მეფის დროს ვარძიის კლდეებში გამოკვეთილი სასახლე-მონასტერი, ხოლო იმავე დღის საღამოთი, ბორჯომში დაბრუნებისას გზაზე გამოვლით, დასტკბეთ მთებში გაწოლილი ცისფრად მოკამკამე ტაბაწყურის ტბის ხილვით.



ცხრაწყარო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაბაწყურის ტბა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუმცა აბასთუმანი ბორჯომის ხეობაში არ მდებარეობს, მაგრამ იგი იმდენად დაკავშირებულია მასთან, რომ მთელი ზაფხული ბორჯომში გაატაროთ და არც ერთხელ არ ინახულოთ აბასთუმანი, ეს არ გეპატიებათ, მით უმეტეს, რომ აბასთუმანში მგზავრობა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ბორჯომი აბასთუმანს უერთდება კარგი გზატკეცილით, რომელიც მეტწილად გუდრონირებულია და რომლის მანძილიც 75 კილომეტრს უდრის. მგზავრობა შეიძლება რკინიგზითაც ახალციხემდე, და იქიდან მანქანით (23 კლმ) აბასთუმნამდე.

ბორჯომიდან ახალციხემდე ერთთავად მტკვრის მარცხენა ნაპირზე მიდიხართ. დასაწყისში ხეობა შედარებით ვიწროა, მაგრამ არა იმდენად, რომ სულს გიხუთავდეთ მაღლა აზიდული მთები,— ამას არ განიცდიან ის ადამიანებიც კი, რომლებიც ვაკე ადგილას ცხოვრობენ და პირველად მოდიან ბორჯომში. რაც უფრო სცილდებით ბორჯომს, ხეობაც მით უფრო ფართოვდება. უკვე ახალციხეს მიახლოებულს, თვალწინ გეშლებათ საკოლმეურნეო მინდვრები და ხეხილის ბაღები განთქმული ახალციხური ვაშლის ხეებით.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, იქ, სადაც რკინიგზა მიიმართება, მოჩანან მარად მწვანე, უმთავრესად, ფიჭვ-ნაძვნარით შემოსილი მაღალი მთები, რომლებიც თანდათან ეშვებიან მდინარის მიმართულებით. მტკვრის მარცხენა ნაპირზე აგრეთვე აღმართულია წიწვიანი ტყით დაფარული მთები, მაგრამ ისინი გზატკეცილიდან ცოტა მოშორებით მდებარეობენ. თვით ახალციხემდე თქვენ არ გშორდებათ მტკვარი—ეს მთის მდინარე, რომელიც ალაგ-ალაგ ისე ბობოქრობს და ხმაურობს, რომ თერგს ან არაგვს მოგაგონებთ, ხოლო ალაგ-ალაგ ისე მშვიდად მოედინება, რომ ველის მდინარეს ემსგავსება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომის შემდეგ პირველი პუნქტი—ესაა მუშათა დასახლების ადგილი, ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურის მუშა-მოსამსახურეებისათვის აგებული ლამაზი ორსართულიანი სახლებით. მის ახლოს დგას საგენერატორო სადგურის ლამაზი შენობა. კიდევ რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ თქვენ ხედავთ კაშხალს. ნებისყოფის რა კოლოსალური დაძაბულობა უნდა გამოეჩინათ მშენებლებს სტიქიასთან ბრძოლაში, რომ მიეცათ მტკვრისათვის ახალი მიმართულება სწორედ იმ მთებში გაყვანილი გვირაბებით, რომელთა სიდიადეს თქვენ აღტაცებაში მოჰყავდით მთელ გზაზე ბორჯომიდან ახალციხემდე!

ცოტას კიდევ გაივლით და შედიხართ სოფელ აწყურში. აქ მტკვრის პირას, მიუვალ ფრიალო კლდეზე, მწვანით დაბურული ხეობის ფონზე ერთგული დარაჯივით დგას აწყურის ციხე, საქართველოს ისტორიის მძიმე დღეების მოწამე. კიდევ უფრო ღრმად ხეობაში შეჭრილი, თქვენ არა ერთი ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევს წააწყდებით, მაგრამ ძველ დროში საქართველოსათვის აწყურის ციხეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ბორჯომიდან 52-ე კილომეტრზე იმყოფება ქალაქი ახალციხე—რაიონული ცენტრი. იგი მაღლობზე მდებარეობს, გარემოცულია ბაღებით; მდინარე ფოცხოვი მას ორ ნაწილად ჰყოფს. ქალაქში მრავალი ახალი მშენებლობაა.

შემდეგ მდინარე გვერდზე რჩება. გზა უკვე აბასთუმნის გზატკეცილით მიიმართება. საკმაოდ ვრცელი მინდვრების შემდეგ იწყება ვიწრო ხეობა, რომელსაც ჩაუდის პატარა, მაგრამ შმაგი მდინარე ოცხე, ან, როგორც მას დამსვენებელთა უმრავლესობა უწოდებს, მდინარე აბასთუმანი. ხეობას გარს არტყია ასწლოვანი ფიჭვნარით დაფარული მაღალი მთები.

აბასთუმანს მდინარე ჩაუდის მთელ სიგრძეზე. მის მარჯვნივ და მარცხნივ განლაგებულია პატარა, სუფთა, მეტწილად ორსართულიანი სახლები და სანატორიუმები. დაბურულ ტყეში გაყვანილია ბილიკები; დამსვენებლებსა და ავადმყოფებს შეუძლიათ მთელი დღეები სუფთა ჰაერზე დაჰყონ.

აბასთუმანი განთქმულია მთელ კავშირში არა მარტო თავისი ბუნების სილამაზით, არამედ განსაკუთრებული კლიმატური პირობებით, რაც აუცილებელია ტუბერკულოზიან ავადმყოფთა მკურნალობისათვის.

კურორტი მდებარეობს აჭარა-იმერეთის ქედის ერთ-ერთ ხეობაში ზღვის დონედან 1275—1340 მეტრზე. იგი ქარებისაგან დაცულია აღნიშნული ქედის შტოებით, რომლებიც მარად მწვანე ტყეებითაა დაფარული, რაც აბასთუმნის დიდ ღირსებას შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო წლიური ტემპერატურა აქ უდრის 6,5°. ზაფხულის საშუალო ტემპერატურა 18,1°, ზამთრის—5,6°. ზამთარი მკაფიოდ გამოხატულია, ყინვიანი დღეები—17, აბსოლუტური მინიმუმი—25°, აბსოლუტური მაქსიმუმი—35°. ნალექის წლიური რაოდენობა—618 მმ, ჰაერის ტენიანობა დაბალია, ზამთარში—50—70%, ზაფხულში—50%. საშუალო წლიური ტენიანობა—77%. ჰაერი წმინდა და სურნელოვანია ირგვლივ ფიჭვნარის არსებობის გამო. მზის ნათების საათთა რიცხვი წლის განმავლობაში უდრის 1981, ანუ საშუალოდ 5,5 საათს დღე-ღამეში.

ტემპერატურისა და ჰაერის წნევის მერყეობა აბასთუმანში სრულიად უმნიშვნელოა, დღისით არ ცხელა, საღამოს გრილა, ნესტი არ იცის.

აბასთუმნის ერთ-ერთ შესანიშნავ თვისებას შეადგენს ის, რომ აქ არ იცის მკაცრი ქარები. ამას ხელს უწყობს ზღვის სიახლოვე, მთები. აქედან ახლოს იმყოფება ზეკარის ულელტეხილი, რომელიც ზღვის დონედან დაახლოებით 3000 მეტრზე მდებარეობს და იცავს კურორტს ჩრდილოეთის ქარების შემოჭრისაგან.

აბასთუმნის საუცხოო მდებარეობა და განსაკუთრებული კლიმატური პირობები ამ კურორტს მართლაც შეუცვლელ კურორტად ხდის სუნთქვის ორგანოების ტუბერკულოზით დაავადებულთათვის.

ექიმთა მიერ ტუბერკულოზიან ავადმყოფებზე მრავალი წლის მანძილზე წარმოებული დაკვირვებებით მტკიცდება, რომ აბასთუმნის ჰავა განსაკუთრებით კეთილად მოქმედებს მათზე. მკურნალობის სხვა ფაქტორებთან ერთად აბასთუმანში ყოფნით მიღწეული წარმატება განსაკუთრებულია. ამიტომ არის, რომ კურორტის შედარებით მცირე ტერიტორიაზე მოთავსებულია 10-ზე მეტი სანატორიუმი მხოლოდ ტუბერკულოზიან ავადმყოფთათვის. ეს სანატორიუმები სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობს, უმრავლესობა—ხეობაში, მდინარე აბასთუმნის ორივე ნაპირზე. ხშირ ფიჭვნარში, ზღვის დონედან 1340 მეტრზე მდებარეობს სანატორიუმი არაზინდო.

აბასთუმნის ახლოს, 1650 მეტრ სიმაღლეზე, აღობილის მიდამოში, მშვენიერ ტაფობზე აგრეთვე მდებარეობს სანატორიუმი ტუბერკულოზიან ავადმყოფთათვის, მასთან ახლოს მდებარეობს მაღალმთიანი ასტროფიზიკური ობსერვატორიის შენობა.

აბასთუმნის სანატორიუმები მთელი წლის მანძილზე მუშაობენ. ზამთრის კლიმატური პირობები აქ არა ნაკლებ უწყობს ხელს ავადმყოფთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ვიდრე წელიწადის სხვა დროისა, რაც კიდევ მეტ სახელს უხვეჭს აბასთუმანს. კიდევ უფრო

მნიშვნელოვნად ხდის ამ კურორტს მინერალური წყლების ბრუ-ბობა.

აბასთუმნის მინერალური წყაროები ძველთაგანვე ცნობილია, მაგრამ მხოლოდ 1870 წელს მიაქციეს მათ სერიოზული ყურადღებ, როცა აგებულ იქნა იმ დროისათვის საკმაოდ კარგი ბალნეოლოგიური შენობა.

ყველა წყაროს საერთო დებიტი ერთ მილიონ ლიტრზე მეტია დღე-ღამეში. სამი წყაროს წყლის ბუნებრივი ტემპერატურა 39-დან 48,5-დეა, მაგრამ ასეთი მაღალი ტემპერატურის აბაზანის მიღება შეუძლებელია და არც არის ნაჩვენები. ცხელი მინერალური წყლის გაზავება ცივი წყლით აგრეთვე არასასურველია, რადგან ეს სცვლის სამკურნალო წყლის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს. პრობლემა საკმაოდ მოხერხებულად იქნა გადაჭრილი: წყაროდან წყალი ჰერმეტულად დახურული მილებით შედის ცემენტის ყრუ კამერებში, რომლებსაც გარს უვლის ცივი წყაროს წყალი. აქ მინერალური წყალი გრილდება და ავადმყოფობისათვის სასურველი ტემპერატურისა ხდება.

სააბაზანო შენობაში 32 აბაზანაა; ყველა ისინი მარმარილოსაგან არის ნაკეთები, ყველგან შესანიშნავი სისუფთავე და კარგი ვენტილაციაა. ყოველივე ეს კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ავადმყოფზე. აქ არის ორი დიდი საცურაო აუზი გამდინარე წყლით, არსებობს შხაპები, ინჰალაციები და სხვ.

აბასთუმნის მინერალური წყლების შემადგენლობის საკითხი მთელი რიგი წლების განმავლობაში სადავოდ იყო გამხდარი. თავდაპირველად მათ მარილ-გოგირდოვან-ტუტოვან წყლებს მიაკუთვნებდნენ, შემდეგ გოგირდოვან-ტუტოვანს. შემდეგში მინერალიზაციის საკითხი მოიხსნა წყალში გოგირდის უმნიშვნელო რაოდენობით არსებობის გამო (0,00071 10,000 გ წყალზე); მაშინ ამ წყლებს უწოდეს ინდიფერენტული. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ტერმინი „ინდიფერენტული“ შეუფერებელია, რადგან ავადმყოფთა წარმოდგენაში ეს იგივეა, რაც სიტყვა „უსარგებლო“. ამიტომაც შემდეგში აბასთუმნის წყლებს „თერმალური“ უწოდეს, სხვანაირად რომ ვთქვათ—„თბილი“.

უნდა გვახსოვდეს, რომ მთელ რიგ ნერვულ დაავადებათა დროს, მძიმე ავადმყოფობის გადატანის შემდეგ დასუსტებულ ავადმყოფებში აბასთუმნის აბაზანებისაგან კარგი ეფექტი მიიღება სხვა ისეთ ფაქტორებთან კომპლექსში, როგორიცაა კლიმატი, წყლის ტემპერატურა, ცხოვრების პირობები, ადგილმდებარეობა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამად აბასთუმნის აბაზანებს, რომლებსაც თერმალურს უწოდებენ, წარმატებით იყენებენ მთელ რიგ ავადმყოფობათა დროს საკმაოდ კარგი შედეგებით.

არსებობს სამი ცხელი წყარო: „ბოგატირსკი“, „ზმეინი“ და „ზოლოტუშნი“. ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მიხედვით ამ სამი წყაროს წყალი ერთი და იმავე ტიპისაა და მიეკუთვნება ჰიპერთერმალურს და თერმალურ ქლორიდ-სულფატ-ნატრიუმიან წყლებს მცირე მინერალიზაციით.

წყაროების ტემპერატურა ერთნაირი არაა: ბოგატირსკის აქვს 48,5°, ზმეინის—42°, ზოლოტუშნის—39°. რადიაქტივობა მცირეა. წყალს განსაკუთრებით აბაზანებისათვის იყენებენ. წყაროები პოპულარობით სარგებლობს ისეთ ავადმყოფებში, რომლებიც დაავადებული არიან სამოძრაო ორგანოების ავადმყოფობით, გინეკოლოგიური ავადმყოფობით, ნივთიერებათა ცვლის მოშლილობით ისეთ შემთხვევებში, როცა ეს დაავადებები თან სდევს ძირითად სნეულებებს, რომლებიც ნაჩვენებია აბასთუმანში სამკურნალოდ.

კურორტს აქვს საუცხოო პარკი და ფიჭვნარის ჭალა. აბასთუმნის მიდამოები უაღრესად მხატვრულია. ექსკურსიებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს თამარის ციხე—ისტორიული ძეგლი, რომელიც კურორტიდან 3—4 კილომეტრზე მდებარეობს. ფრიად საინტერესოა ზეკარის ულელტეხილიც.

ზეკარის ანუ მზეკარის ულელტეხილის უკვე მარტოოდენ სახელწოდება იზიდავს მთის ლამაზი პეიზაჟების მოყვარულთ.

მაგრამ სპეციალისტთა მტკიცებით ამ სახელწოდების სხვა ახსნაც არსებობს. სიტყვა „ზეკარი“ ორი სიტყვისაგან შედგება: ზე- და კარი, რაც ნიშნავს მაღალ კარს. მართლაც, ეს ულელტეხილი დიდ სიმაღლეს აღწევს და იგი მთელ აბასთუმანს დაჰყურებს.

ულელტეხილზე მიმავალი გზა აბასთუმნიდანვე იწყება, იქ, სადაც თავდება აგარაკები და თვითონ აბასთუმნის გზატკეცილიც. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეცსამკურნალო-სანატორიულ სამმართველოს სანატორიუმს მარცხენა მხრიდან ჩაუვლით და ეგრეთწოდებულ „აღტაცების კარებს“ მიადგებით. ასე ეწოდება იქვე გზასთან არსებულ ადგილს, რომელიც საუცხოო სურათს წარმოადგენს. აქ იხურება ასწლოვანი ფიჭვნარით დაფარული მთის ხეობათა რკალი თავისი ჩხრიალა ნაკადულებითა და ჩანჩქერებით.

„აღტაცების კარებს“ შემდეგ გზა სულ მთაში მიიკლაკნება 10 კილომეტრის მანძილზე. მალე თქვენ აღმოჩნდებით 2000 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან და მაშინვე იგრძნობთ სიცივეს.

ზეკარის ულელტეხილის ყველაზე მაღალი ადგილი—ესაა 2700 მეტრი ზღვის დონედან. უკვე 2000 მეტრის სიმაღლეზე თავდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეების ზოლი და იწყება ალპური მინდვრები. ულელტეხილის დალმართი გაცილებით უფრო ლამაზია და უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე ალმართი; ამასთან დალმართი 2700 მეტრის სიმაღლიდან 45 კილომეტრის მანძილზე გრძელდება რიონის ხეობამდე, რომელიც თითქმის ზღვის დონეზე მდებარეობს. ადვილი წარმოსადგენია ის დიადი სურათი, რომელიც თვალწინ ეშლება მაყურებელს, როცა იგი თვალს ადევნებს მრავალფეროვან ბუნებას მეტად მდიდარი მცენარეულობით მთელ მანძილზე, დაწყებული აბასთუმნით და გათავებული ქუთაისით.

აბასთუმნიდან ზეკარის ულელტეხილით ქუთაისში მიმავალი (მანძილი 90 კილომეტრი), თქვენ ხედავთ მცენარეულის ისეთ მრავალფეროვნებას, თითქოს დიდ ბოტანიკურ ბაღში სეირნობდეთ. აბასთუმნის ხეობის ასწლოვან ფიჭვებს სცვლის ალპური ზონის როდოდენდრონი; შემდეგ, ძირს დაშვებისას, ხვდებით ფოთლოვან ტყეს—რცხილას, მუხას, ნეკერჩხალს; რაც უფრო უახლოვდებით რიონს, მით უფრო ხშირია სამხრეთ რაიონის მცენარეული—დაფნის ხეებისა და პალმების ჩათვლით; კიდევ უფრო დაბლა—ვენახები, ხეხილის ბაღები, ჩაის პლანტაციები; და რაღაც 1,5—2 საათის სავალ გზაზე თქვენს თვალწინ იშლება მთელი ეს პეიზაჟი.

ექსკურსანტმა უნდა იცოდეს, რომ როცა იგი ბორჯომიდან აბასთუმანში მიდის, ადგილ-ადგილ მას მოუხდება ისეთი სიმაღლეების გადავლა, რომლებიც ორჯერ და სამჯერ აღემატება ბორჯომის სიმაღლეს ზღვის დონედან. ზეკარის ულელტეხილზე მგზავრობისას კი მას უხდება 2700 მეტრ სიმაღლეზე ასვლა. ხოლო როცა ის ეშვება კოლხიდის დაბლობში, რომელიც თითქმის ზღვის დონეზე მდებარეობს, იქ მას ელის სიცხე, თუ ზაფხულში მოგზაურობს. ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოს მგზავრმა, რათა ზაფხულშიც კი თბილი ტანსაცმელი იქონიოს. თუჰცა, თუ თქვენ დახურული მანქანით მოგზაურობთ, ასეთი სიფრთხილის ზომების მიღება საჭირო აღარ არის.

ზეკარის ულელტეხილზე გადასვლისას თქვენ ხვდებით მინერალურ წყაროებს. მაგალითად, გზატკეცილიდან ახლოს აბასთუმნის შემდეგ არის ზეკარის მინერალური წყლები (თერმალურ-გოგირდოვანი), რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივ მოსახლეობაში.

აბასთუმანში მგზავრობით მიღებული შთაბეჭდილებები სრული არ იქნება, თუ არ ინახულებთ ახლა მთელ მსოფლიოში ცნობილ ასტროფიზიკურ ობსერვატორიას. იგი აბასთუმნიდან დაახლოებით 10 კილომეტრზე მდებარეობს, 1700 მეტრზე ზღვის დონედან, ტაფობზე, რომელიც მთლად ფიჭვნარით არის გარემოცული. ფიჭვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურნელი, საუცხოო ბუნება, სიჩუმე, სრული სიმშვიდე—ასეთია აბასთუმნის ამ კუთხის დამახასიათებელი ნიშნები.

საინტერესოა ამ ობსერვატორიის დაარსების ისტორია.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს რუსი ასტრონომები წერდნენ, რომ აბასთუმანი, რომელიც ატმოსფეროს გამჭვირვალობით და განსაკუთრებული სიმშვიდით განსხვავდება, ყველაზე შესაფერის ადგილს წარმოადგენს სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორიის დასაარსებლადო.

ასტრონომიის დარგში თავისი მნიშვნელოვანი გამოკვლევებით ცნობილი ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ს. პ. გლაზენაპიც მომხრე იყო აბასთუმანში ასტრონომიული ობსერვატორიის დაარსებისა. გამოჩენილი რუსი ასტრონომი და ასტრო-ფიზიკოსი ა. ა. ბელოპოლსკი წერდა „მრავალ სხვა ადგილთან შედარებით აბასთუმნის უდავო უპირატესობათა შესახებ და იქ დიდი მნიშვნელობის ობსერვატორიის მოწყობის მიზანშეწონილების შესახებ.“

რუსულ ასტრონომიულ ლიტერატურაში არა ერთხელ დასმულა საკითხი აბასთუმანში ობსერვატორიის აგების შესახებ, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე მეცნიერული ცენტრის შექმნა ეწინააღმდეგებოდა მეფის მთავრობის მთელ იმ პოლიტიკას, რომელსაც იგი სახელმწიფოს განაპირა მხარეების მიმართ ატარებდა. დადებითად გადაწყდა ეს საკითხი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

სსრ კავშირის სამხრეთ რაიონების გულდასმითი საექსპედიციო გამოკვლევების შემდეგ არჩევანი აბასთუმანზე შეჩერდა. 1932 წელს აქ შეიქმნა საცდელი სამთო ბაზა, ორი წლის შემდეგ კი, 1934 წელს, კანაბილის მთაზე დაიწყო დიდი ობსერვატორიის მშენებლობა.

ობსერვატორია განსაკუთრებით ლამაზ ადგილას არის აგებული; კანაბილის მთის მწვერვალზე, ზღვის დონედან 1700 მეტრზე, დაბურულ ფიჭვნარში აღმართულია ორსართულიანი შენობა, რომელიც გამართულია სამყაროს უსაზღვრო სივრცეების გამოსაცნობად საჭირო ინსტრუმენტებითა და ხელსაწყოებით. საბჭოთა ოპტიკურ-მექანიკური მრეწველობა ობსერვატორიას სულ ახალ-ახალი, უფრო მძლავრი და სრულყოფილი ასტრონომიული ინსტრუმენტებით ამარაგებს.

აბასთუმნის ობსერვატორია თავისი არსებობის ორ ათეულ წელსაც კი არ ითვლის, მაგრამ მას უკვე ისეთი მიღწევები აქვს, რომ ასტრონომიულ დაწესებულებათა შორის საპატიო ადგილი დაიკავა. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში პირველად აქ დაინერგა დაკვირვებათა პრაქტიკაში ფოტო-ელექტრული მეთოდი—ყველაზე ზუსტი და იმავე დროს ტექნიკურად ყველაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთული მეთოდი. ამ საკითხში აბასთუმნის ობსერვატორიამ ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ უაღრესად კომპეტენტურ პირთა განცხადებით, ფოტო-ელექტრულ დაკვირვებათა სიზუსტე აქ არა თუ ჩამორჩება, არამედ აჭარბებს ამერიკის ობსერვატორიებში მიღწეულ სიზუსტეს.

აბასთუმნის ობსერვატორიის შრომები ძირითადად მიძღვნილია ვარსკვლავთა სამყაროს აგებულების პრობლემისადმი. ობსერვატორიამ უკვე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვარსკვლავთმრიცხველობაში. მან რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა მზის სრული დაბნელების დროს წარმოებულ დაკვირვებებში. პირველად აქ დაიდგა მზის შესასწავლად სპეციალური ხელსაწყოები, რომლებიც უფრო გვიან გამოყენებულ იქნა საბჭოთა კავშირის სხვა ობსერვატორიებშიც.

ობსერვატორიის ერთსულოვანი კოლექტივი დირექტორის, ცნობილი მეცნიერის პროფ. ე. კ. ხარაძის, მეთაურობით დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, რისთვისაც არაერთხელ მიუღია მაღალი შეფასება.

ობსერვატორია ეწევა აგრეთვე დიდ მასობრივ-საგანმანათლებლო და მეცნიერულ-პოპულარიზატორულ მოღვაწეობას. მისი მუშაკები სისტემატურად ატარებენ ლექციებსა და საუბრებს საწარმოებში, რაიონის კოლმეურნეობებსა და სკოლებში, უშვებენ მეცნიერულ-პოპულარულ ბროშურებსა და მონოგრაფიებს.

აბასთუმნის ობსერვატორიის მშენებლობა დაიწყო მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა სათანადო კადრები, არ არსებობდა გამოცდილება და ტრადიცია. ახლა აქ აღიზარდნენ შესანიშნავი კადრები, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს საბჭოთა ასტრონომიული მეცნიერების წინსვლას.



აბასთუმანი. მდინარე აბასთუმანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბასთუმანი. სსპკს სანატორიუმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომიდან ვარძიაში

ბორჯომი და მისი ხეობა მდიდარია საქართველოს მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლებით. აბასთუმანი და ვარძია უშუალოდ ბორჯომის ხეობაში არ შედის, მაგრამ ის, ვინც ისვენებს ბორჯომში, განსაკუთრებით კი ექსკურსანტები და ტურისტები, თავის მოვალეობად თვლიან ეს ადგილებიც ინახულონ. მარტო ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ვარძია ჩვენი დიადი სამშობლოს ასი ათასზე მეტმა მშრომელმა ინახულა.

ვარძია შოთა რუსთაველის ეპოქის, ფეოდალური საქართველოს აყვავების ეპოქის შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს. მაგრამ შეუძლებელია იმის დავიწყება, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქაც ისე, როგორც მთელ საქართველოში, ძირეული ცვლილებები მოხდა. ამიტომ არის, რომ ამ თავებში გზადაგზა ჩვენ ვჩერდებით იმ დიდ ცვლილებებზე, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში მოხდა. ეს ცვლილებები მკაფიოდ იგრძნობა მთელ იმ მანძილზე, რომელიც ვარძიას ბორჯომისაგან აშორებს.

ვარძია სახელგანთქმული მონასტერია, რომელიც კლდეშია გამოკვეთილი.

ამ განსაცვიფრებელი ნაგებობის მშენებლებმა დიდი ცოდნა, შრომისმოყვარეობა და გულმოდგინება გამოავლინეს, შექმნეს რა XII საუკუნის დიადი ძეგლი. თამარ მეფემ და მრსმა მამამ ააგეს ვარძია, როგორც დიდი მონასტერი, რისთვისაც ფრიად მოხდენილი ადგილი შეარჩიეს.

მართლაც, საქართველოს ამ კუთხეში, ბორჯომთან ახლოს, საუცხოო ჰავაა: აქ არ იცის არც სიცხიანი ზაფხული, არც მკაცრი ზამთარი, აქ არსებობს მრავალი მინერალური წყარო და ცივი წყაროების წყალი.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ ბევრი მძიმე განსაცდელი იცის. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს

არბევდნენ და ანადგურებდნენ არაბები, მონგოლები, თურქები და სპარსელები; მხოლოდ ქალაქმა თბილისმა თავისი არსებობის 1500 წლის მანძილზე სულ მცირე 15-ჯერ მაინც განიცადა მტერთა ურდოების შემოსევა, რბევა და აწიოკება.

ბორჯომის ხეობა, ისე როგორც მთელი საქართველო, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი, მოფენილია ციხე-სიმაგრეებით, საქართველოს ისტორიის მძიმე პერიოდების ამ ცოცხალი მოწმეებით. ამ ხეობაში არა ერთხელ შემოჭრილან არაბთა, თურქთა და სპარსთა ურდოები. თავის სიმდიდრეთა გარდა, მას ხომ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დამაკავშირებელს, ამასთან იგი მთელ საქართველოს აკავშირებდა წინა აზიასთან და დასავლეთთან.

ამ რაიონისათვის განსაკუთრებით მძიმე დრო დადგა VII და VIII საუკუნეში. VII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ ექცევა. VII საუკუნის პირველი ნახევრის დამლევს საქართველოში შემოიჭრებიან არაბები, რომელთა თარეში უმაღლეს წერტილს აღწევს VIII საუკუნის მეორე ნახევარში. ყველაზე მეტად ზარალდება საქართველოს ცენტრალური ნაწილი. მოსახლეობა ნაწილობრივ შორეულ რაიონებში გაიხიზნა.

IX საუკუნის დამდეგს აქ წარმოიშვება ტაო-კლარჯეთის სამეფო. ამ დროისათვის უკვე არსებობდა აფხაზეთის სამეფო (VIII საუკუნის დასასრული), რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა კახეთის სამთავრო. მეფე დავით აღმაშენებელი (1088—1125) საქართველოს მთელ მიწა-წყალს აერთიანებს. XII საუკუნის მანძილზე და XIII საუკუნის დამდეგს, გიორგი III მეფობის დროს და, განსაკუთრებით, სახელგანთქმული მეფის თამარის მეფობის დროს (1184—1213 წწ.) საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე ტრაპეზუნდის სამეფო.

გასაკვირველი როდია, რომ თამარ მეფემ ვარძია ააგო მესხეთში, როგორც მაშინ უწოდებდნენ საქართველოს ამ ნაწილს, რომელიც მისი პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. საკმაოა ითქვას, რომ, გადმოცემის თანახმად, სწორედ მესხეთიდან, ვარძიასთან ახლოს მდებარე სოფელ რუსთავიდან წარმოიშვა დიდი შოთა რუსთაველი, რომელმაც შექმნა უკვდავი პოემა „ვეფხის-ტყაოსანი.“ ეს პოემა, რომელიც XII საუკუნის დამლევს დაიწერა, სრულიად სამართლიანად ითვლება მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლად.

აბასთუმანი. სანატორიუმი „არაზინდო“.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბახთუმანი. ბალნეოლოგიური სამკურნალო.

ახლანდელ ბორჯომის რაიონში ზედიზედ აიგო ახალ-ახალი საეკლესიო ნაგებობანი; ზოგმა მათგანმა ჩვენამდე მოაღწია. ინტენსიურად წარმოებდა სოფლის მეურნეობა; გაჰყავდათ სარწყავი არხები, რომელთა ნაშთებიც დღემდეა შემონახული. მევენახეობამ და ხვნა-თესვამ, რაც საქართველოში უხსოვარი დროიდან წარმოებდა, განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. მაშინდელი ევროპისა და წინა აზიის ბაზრებზე საქართველოს ღვინოებთან ერთად საქართველოს აბრეშუმიც დიდად ფასობდა. სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს მესაქონლეობაც არ ჩამორჩებოდა; საქართველოს საზღვრებს იქით განთქმული იყო კახური ცხენი, ხევსურული ძროხა, თუშური ცხვარი, აფხაზური თხა.

გასაკვირველი როდია, რომ ქვეყანა, რომელიც მსოფლიო გზების ჯვარედინზე მდებარეობს, ქვეყანა თავისი აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრით მრავალი დამპყრობის და, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს უახლოესი მეზობლების—ირანისა და თურქეთის, ყურადღებას იზიდავდა.

თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ კვლავ იწყება საქართველოს ისტორიის მძიმე დღეები.

ამჯერად (XIII საუკუნის 30-ანი წლების დამლევს) საქართველოს შემოესიენ მონგოლთა ურდოები. ისინი იკლებენ და აოხრებენ ქვეყანას, მთელი საუკუნით რჩებიან აქ და აუწერელ ტანჯვა-წამებას აყენებენ მოსახლეობას. მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი, ბოლოს და ბოლოს, სძლევს და განდევნის მათ თავისი მიწა-წყლიდან.

საქართველოსათვის ყველაზე მძიმე შედეგები მოჰყვა თემურლენგის შემოსევას (1386—1403 წწ.). ქვეყანა განადგურებულ იქნა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოწყდა, ნაწილმა კი თავი შეაფარა მიუვალ მთებს. გარეშე მტრისაგან აკლებული, შინაური არეულობით აწეწილი საქართველო კვლავ ცალკეულ სამეფოებად იყოფა.

ახლა მისი ბუნებრივი სიმდიდრეებისაკენ მოისწრაფიან თურქთა და სპარსთა ურდოები.

ამ დამპყრობთა შორის ყველაზე სასტიკი და გაუმაძღარი იყო ირანის შაჰი აბაზი. 1616 წელს ის თავისი აურაცხელი ურდოებით შემოესია საქართველოს, დაიკავა მთელი კახეთი, მოსპო და გაანადგურა თავის გზაზე ყოველი სულდგმული, გააპარტახა აყვავებული ქვეყანა, ამოწყვიტა მოსახლეობის ერთი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი სამხრეთ ირანში გადაასახლა. საინტერესოა, რომ

ათას წელზე მეტი ხნის წინათ ირანში გადასახლებულ ქართველთა ნაწილი დღესაც ფერეიდანში (სამხრეთ ირანი) ცხოვრობს და სავსებით შენარჩუნებული აქვს ქართული ენა და ზნე-ჩვეულება.

XVII—XVIII საუკუნეებს საქართველო დაუსრულებელ ომებში ატარებს. დასავლეთ საქართველოს გაჩანაგებასა და დაპყრობას ესწრაფვის თურქეთი, აღმოსავლეთისას კი—ირანი.

XVIII საუკუნის შუა ხანებში საქართველო კვლავ ცდილობს გაითავისუფლოს თავი უცხოელ დამმონებელთაგან. აღმოსავლეთ საქართველოში მათ წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებს ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ბრწყინვალე მოღვაწე—ერეკლე II. შეუპოვარი წინააღმდეგობის შედეგად იგი ათავისუფლებს საქართველოს ამ ნაწილს ირანის ბატონობისაგან. დასავლეთ საქართველოში კი თურქთა ურდოების წინააღმდეგ მედგარ ბრძოლას ეწევა ენერგიული სოლომონ I.

მაგრამ ხალხი იტანჯებოდა და გმინავდა არა მარტო გარეშე დამმონებელთა უღელქვეშ. ფეოდალთა შინაური შუღლი და კინკლაობაც არა ნაკლებ უთხრიდა ძირს ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას. საქართველო იძულებული იყო გარეთ ეძებნა დახმარება. ერთმორწმუნე რუსეთისაკენ იქნა მიპყრობილი მისი გულისყური.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს; ეს ურთიერთობა საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში რუსეთი არა ერთხელ გამოსულა ქართველი ხალხის დამცველის როლში.

ჯერ კიდევ XI—XII საუკუნეებში საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა კიევის, ნოვგოროდისა და სუზდალის რუსეთთან, მაგრამ ეს ურთიერთობა წმინდა სავაჭრო ხასიათისა იყო. შემდეგში მონგოლებმა დიდიხნით შეწყვიტეს ეს ურთიერთობაც. XV საუკუნეში კვლავ დამყარდა კავშირი მოსკოვის სამეფოსთან და მხოლოდ XVIII საუკუნის დამლევს (1783 წელს) დადებულ იქნა ხელშეკრულება (გეორგიევსკის ტრაქტატი), რომლის ძალით აღმოსავლეთმა საქართველომ მიიღო რუსეთის პროტექტორატი იმ პირობით, რომ შეინარჩუნებდა თავის საშინაო დამოუკიდებლობას.

1801 წელს ალექსანდრე I დაარღვია ეს ხელშეკრულება, თანდათანობით შეიერთა როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო, გააუქმა მათი დამოუკიდებლობა, და საქართველო რუსეთის მეფის კოლონიად გადაიქცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბასთუმანი. ხეივანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბასთუმანი. სანატორიუმი „ალობილი“.

საქართველოს შეერთებით რუსეთთან შენარჩუნებულ იქნა ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობა, მაგრამ მშრომელი ხალხი იჩაგრებოდა როგორც საკუთარი ექსპლოატატორების, ისე მეფის მოხელეთა მიერ.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა დიდი რუსი ხალხი და ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ქართველი ხალხის ცხოვრებაშიც დაიწყო ერა ნამდვილი წინსვლისა და აყვავებისა.

ქართველმა ხალხმა საუკუნეებში გამოატარა თავისი უძველესი კულტურა, თავისი მშობლიური ენა, თავისი სიყვარული თავისუფლებისადმი. დიდი რუსი ხალხის დახმარებით, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში მან არნახულ მოკლე ისტორიულ ვადაში მიაღწია შესანიშნავ წარმატებებს სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

ვარძიაც, ისე როგორც მთელი დანარჩენი საქართველო, ვერ გადაურჩა უცხოელთა ურდოების შემოსევას და განადგურებას. მან მიიქცია დამპყრობთა ყურადღება არა მარტო თავისი სტრატეგიული მდებარეობით, არამედ თავისი მოწყობილობის სიმდიდრითაც; ბევრი რამ იყო აქ ისეთი, რითაც დამპყრობლები ხელს მოითბობდნენ.

XVI საუკუნის შუა ხანებში (1551—1552 წწ.) ვარძიას გარშემოერტყნენ სპარსეთის მპყრობელის შაჰ-თამაზის ჯარები. შაჰმა გაძარცვა ვარძიის მონასტერი, თან წაიღო ყველა განძი; რის წაღებაც ვერ მოახერხა, მოსპო, გაანადგურა, წაასხა ტყვეები და, ნადავლით დატვირთულმა, დატოვა ეს მხარე, რომლის მმართველობაც ერთ-ერთ თავის მახლობელ პირს გადასცა.

რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდნენ ახალი დამპყრობლები—თურქები. რაც ვერ მოასწრეს ან ვერ მოიმოქმედეს სპარსთა ურდოებმა, ის თურქთა ბრბოებმა განაგრძეს და დააბოლოვეს, მათ მთელი რაიონი გააჩანაგეს და გააპარტახეს. ვარძიისაგან მხოლოდ კლდეში გამოკვეთილი დარბაზები და მონასტრის კედლების მხატვრობა-ღა დარჩა—იშვიათი მხატვრობა, იმდროინდელ სახელგანთქმულ მხატვართა მიერ შესრულებული.

როცა 1829 წელს ეს მხარეც რუსეთს შეუერთეს, ვარძია წარმოადგენდა მივარდნილ კუთხეს, რომელიც არავის არ იზიდავდა და არ აინტერესებდა. ამით ისარგებლეს ქურთმა მწყემსებმა და ვარძია საქონლის სადგომად აქციეს.

1857 წელს გაწმინდეს და ნაწილობრივ აღადგინეს ეკლესია. 1887 წელს, საქართველოს ეგზარქოსად[1] პალადის დანიშვნის დღეს, აქ გადახდილ იქნა წირვა. მაგრამ საერთოდ ცარიზმის პირობებში ვარძიას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. საქართველოს წარსულის ეს შესანიშნავი ძეგლი მხოლოდ ცალკეულ პირთა ყურადღებას იპყრობდა. მათ შორის იყვნენ ადამიანები, რომლებიც ვარძიას ისტორიული წერილობითი ძეგლებით იცნობდნენ, მაგრამ ისინი გულნატკენნი ბრუნდებოდნენ უკან, იმ ნანგრევთა დათვალიერების შემდეგ, რომელთა აღდგენაზე არავინ ფიქრობდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ყველაფერი გაკეთდა ვარძიის აღსადგენად. 1938 წელს დაარსებულ იქნა ვარძიის მუზეუმი. ერთი წლის შემდეგ, 1939 წელს, საქართველოს სიძველეთა დაცვის კომიტეტი შეუდგა ვარძიასთან მისასვლელი გზების შეკეთებას და ჩაატარა ზოგიერთი სამუშაოები ძველი კულტურის ამ შესანიშნავი ძეგლის აღსადგენად. ორი წლის შემდეგ, 1941 წელს, ვარძიის მუზეუმი გადავიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობაში. ამ დროიდან საერთოდ ფართოდ დაისვა საკითხი ძველი დროის ძეგლების, მათ რიცხვში ვარძიის, შესწავლის შესახებ, ძეგლების, რომლებიც მრავლად არის გაფანტული ამ რაიონში. გაიცა სახსრები ვარძიის შესანახად და სათანადო წესრიგში მოსაყვანად, აგრეთვე გამოიყო საუკეთესო სპეციალისტები მისი ისტორიის შესასწავლად.

ამავე დროს ძლიერდება ინტერესი საქართველოს ამ შესანიშნავი ისტორიული ძეგლისადმი. ახლა უკვე ცალკეული პირები კი არა—ათასობით ადამიანები მოდიან აქ სანახავად, განსაკუთრებით ზაფხულში, და გამოცდილ ექსკურსიის მძღოლთა ხელმძღვანელობით ათვალიერებენ მუზეუმს, იღებენ საინტერესო ცნობებს საქართველოს წარსულზე.

რათა ვიქონიოთ სრული წარმოდგენა საქართველოს ძველი კულტურის ამ შესანიშნავ ძეგლზე, რომელიც წარმოიშვა XII საუკუნეში და რომლისკენაც არა ერთხელ ყოფილა მიპყრობილი საქართველოს ყველა დამპყრობის ხარბი თვალი, პირადად უნდა ვინახულოთ და დავათვალიეროთ ეს ადგილები. ამ ჩვენს მოკლე აღწერილობაში შევეცდებით გავუღვიძოთ მკითხველს ინტერესი

---

[1] უმაღლესი სასულიერო თანამდებობა საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ.

ვარძიისადმი, მხოლოდ მთელი მისი სიდიადის გადმოცემას კი ვერ ვიკისრებთ.

ვარძია ბორჯომიდან დაშორებულია 112 კილომეტრით; გზატკეცილი, ალაგ-ალაგ გუდრონირებული, საკმაოდ კარგია. ბორჯომიდან ვარძიაში შეიძლება წასვლა ახალციხით (112 კლმ) ანდა ბაკურიანით (90 კლმ); მანძილი დაახლოებით თანაბარია. ბორჯომიდან ვარძიაში უმჯობესია ახალციხით წასვლა, ხოლო იქიდან— ბაკურიანით დაბრუნება. როცა ბაკურიანის ულელტეხილით თავქვე დაეშვებით, იხილავთ ულამაზეს პეიზაჟს, გაივლით ალპურ მდელოებს და ფიჭვნარს.

ბორჯომიდან ვარძიაში მიმავალ გზაზე სხვა ისტორიულ ძეგლებსაც ნახავთ, რომელთა დათვალიერებაც აგრეთვე დიდ ინტერესს წარმოადგენს. ასეთ ღირსშესანიშნაობას მიეკუთვნება ციხეები ხერთვისი და თმოგვი და საფარის სახელგანთქმული მონასტერი.

ექსკურსანტებისათვის ვარძიის ახლოს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, შენდება სახლი, სადაც შეიძლება არამცთუ მცირე ხნით დასვენება, არამედ ღამის გათევაც კი. პრიმიტიული, უვარგისი ხიდის ნაცვლად მტკვარზე შენდება ახალი ხიდი, უმჯობესდება გზები. ამჟამად ვარძიაში მგზავრობისათვის შექმნილია ყველა საჭირო პირობა; საამისოდ გამოყოფილია ექსკურსიის გამოცდილი მძღოლები. დიდი სამუშაოებია ჩატარებული აგრეთვე ვარძიის შიგნით, გაწმენდილია გამოქვაბულები; ისინი გათავისუფლებულია საუკუნეობით ნაყარი მიწისაგან.

ბორჯომიდან 85 კილომეტრზე, ვარძიაში მიმავალ გზაზე მდებარეობს ასპინძა, რაიონული ცენტრი, ლამაზი ახალი სახლებით, გარშემორტყმული მთების მდიდარი ხედით.

საქართველოს ისტორიაში ასპინძას საპატიო ადგილი უკავია. ამ 180 წლის წინათ აქ მოხდა განთქმული ასპინძის ომი: საქართველოს მეფემ ერეკლე II თავისი მცირერიცხოვანი რაზმით სასტიკი დამარცხება აგემა თურქთა არმიის მრავალჯერ ჭარბ ძალებს.

როგორც ისტორიიდან ცნობილია, თურქებს მრავალი წლის მანძილზე ეპყრათ მესხეთი. ისინი გამაგრებული იყვნენ ციხეებში (აწყური, ხერთვისი და სხვ.), ძარცვავდნენ, არბევდნენ მდიდარ ადგილებს და ყოველდღიურად ავიწროებდნენ ქართველ ხალხს მისი გათურქების მიზნით. ქართველები ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ, რათა გაეთავისუფლებინათ ეს მხარე თურქთა ბატონობისაგან. ასეთი მომენტიც დადგა რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1769—1774 წწ.). 1769 წელს საქართველოში შემოვიდა რუსთა საექსპედიციო კორპუსი ტოტლებენის მეთაურობით. მეფე ერეკლე

II დაითანხმა ტოტლებენი ერთად გაელაშქრებინათ თურქების წინააღმდეგ და გაეთავისუფლებინათ ეს მხარე თურქთა ბრბოებისაგან. ტოტლებენი დიდი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა, მაგრამ მან თავის ბინძურ წარსულს არ უღალატა და ბოლომდე ავანტიურისტი და გამცემი დარჩა. ტოტლებენი ჯერ კიდევ ადრე, შვიდწლიანი ომის დროს, მხილებულ იქნა ღალატში და იგი რუსეთიდან გააძევეს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მან ეკატერინე II პატიება სთხოვა და რუსეთში დაბრუნდა. მალე იგივე ტოტლებენი დანიშნულ იქნა რუსეთის საექსპედიციო კორპუსის სარდლად საქართველოში.

მეფე ერეკლე II შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვით იგი თავისი ჯარით უნდა შეერთებოდა ტოტლებენის ჯარს ბორჯომის ახლო—სურამთან, და ერთად გაელაშქრნათ აწყურზე.

გაჩაღებული ომის დროს, ზედ აწყურის კედლებთან, ტოტლებენმა მოხსნა თავისი ჯარი და დაბრუნდა უკან სურამში, ხოლო ერეკლე II თავისი მცირერიცხოვანი რაზმით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: მას არსაიდან მაშველი ჯარი არ მოსდიოდა, მაშინ როდესაც თურქთა ჯარებს ახალ-ახალი ძალები ემატებოდა. ერეკლე II თავისი რაზმით დაიხია აწყურის ციხის კედლებიდან და უმოკლესი გზით გაიჭრა ასპინძისაკენ. თურქებმა რამდენჯერმე გადაუჭრეს გზა ქართველებს, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქნენ. და აი, როცა უკვე ასპინძაში თურქებმა კვლავ გზა გადაჭრეს, ერეკლემ გადაწყვიტა შებმოდა მტერს, ამასთან თვითონ მეფე უშუალოდ იღებდა მონაწილეობას ბრძოლაში; შეტაკების დროს პირადად მან მოკლა ლეკთა ცხენოსანი ჯარის მეთაური, რამაც თავზარი დასცა მტერს.

ეს იყო 1770 წელს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ხიდთან, რომლის ნაშთებმაც ჩვენამდე მოაღწია. აქ საქართველოს მეფემ ერეკლე II, ასპინძის ომის გმირმა, თავისი მარტოოდენ 2000 მებრძოლით ბრძოლა გაუმართა 10.000 მეომრისაგან შემდგარ თურქთა ჯარს. ერეკლემ თავდაპირველად გაუშვა მტრის ურდოების ერთი ნაწილი, ხოლო შემდეგ გასცა განკარგულება მოწინააღმდეგის შეუმჩნევლად გადაეხერხათ ხიდი, რათა ამით გადაეჭრათ მტრისათვის უკანდასახევი გზა. როგორც საომარი ხელოვნების მცოდნემ, ერეკლემ დააქუცმაცა მტრის ურდოები და გადაჰყარა თურქები მდინარე მტკვარში. თურქთა მთელი ჯარისაგან მხოლოდ 40 ცხენოსანმა უშველა თავს და მტკვრის მეორე ნაპირზე გავიდა, 60 ტყვედ ჩავარდა, მაშინ როდესაც ქართველებმა

ბათუმანი. მთავარი ქუჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბასთუმანი. გზა აბასთუმნიდან ობსერვატორიისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ 30 მებრძოლი დაკარგეს მოკლულთა სახით და დაახლოებით 100—დაჭრილთა სახით.

ათიათასიანი რაზმის ასეთმა სამხედრო კატასტროფამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, და ერეკლეს სამხედრო ტალანტისა და გმირობის შესახებ ხმა გავარდა და ალაპარაკდა არა მხოლოდ წინა აზია, არამედ ევროპაც.

ამ ისტორიულ ადგილებში, ასპინძიდან ორი კილომეტრის მანძილზე, ორი თბილი გოგირდის წყაროა მცირე სააბაზანო შენობით.

ასპინძის გოგირდის წყაროები პირდაპირ გზატკეცილთან მდებარეობს; მტკვრის მარცხენა ნაპირზე, წყაროსთან არის ბაგირის ხიდი; მარჯვენა ნაპირზე აგებულია დიდი ორსართულიანი შენობა ავადმყოფების მოსათავსებლად.

წყლის დებიტი—300.000 ლიტრი დღე-ღამეში, ტემპერატურა—38° C, ჩვენებანი—რევმატიზმული და გინეკოლოგიური დაავადებანი და პერიფერიული ნერვული სისტემის სნეულებანი.

ადგილობრივ მოსახლეობაში ეს თბილი წყაროები დიდი პოპულარობით სარგებლობს. მარტო ერთ 1951 წლის ზაფხულში პრიმიტიულად მოწყობილ საბაზანო შენობაში ათასზე მეტი ავადმყოფი გატარდა.

ასპინძიდან ახლოს თვალწარმტაც ადგილას მდებარეობს სოფელი რუსთავი, გადმოცემით უკვდავი შოთა რუსთაველის (სწორედ აქედან წარმოდგება პოეტის ფსევდონიმი—რუსთაველი), გენიალური პოემის „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორის სამშობლო. ქართველმა ხალხმა ეს გენიალური ქმნილება გამოატარა სიყვარულით საუკუნეებში და ჩვენს დრომდე შემოინახა. ამ რაიონების მოსახლეობა დღემდე თაობიდან თაობას გადასცემს უამრავ ლეგენდებს, რომლებიც დაკავშირებულია XII საუკუნის უკვდავი გენიოსის შოთა რუსთაველის სახელთან და ნაწარმოებთან.

რაიონულ ცენტრ ასპინძიდან მე-14 კილომეტრზე გზა იყოფა: ერთი მიდის ზევით ახალქალაქის გზატკეცილით, მეორე დაბლა—ხიდამდე.

აქ მტკვრის ნაპირას აღმართულია მშვენიერი კლდოვანი ბორცვი, რომელიც მაშინვე იპყრობს ტურისტის ყურადღებას და რომელიც მკვეთრად წარმოსახულია მთელი ამ მიდამოს ლამაზ ფონზე. კლდეს გაბატონებული ადგილი უკავია მთელ არემარეზე, მის ძირას სწრაფად მიაქანებს თავის ტალღებს მდინარე მტკვარი. თავისი მიუვალი მდებარეობით ეს მოხდენილად შერჩეული ადგილი ერთ დროს სამხედრო მხრივ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა.

კლდოვანი ბორცვის მწვერვალზე აგებული ციხე-სიმაგრის, ხერთვისის, ნაშთებს ახლაც განცვიფრებაში მოყავხართ თავისი სიდიადით. ეს ციხე-სიმაგრე დარაჯობდა უმნიშვნელოვანეს გზებს, რომლებიც აკავშირებდა ამ რაიონს აზიისა და ევროპის ქვეყნებთან; მის ახლოს უნდა გაევლოთ ყველაზე ხშირად თურქეთიდან დაძრულ მტრის ურდოებს. ამიტომ არის, რომ წარსულის ძეგლებში ხშირად იხსენიება ხერთვისი, რომელიც განთქმული იყო თავისი მიუვალი სიმაგრით. ციხის შესასვლელთან არის წარწერა, რომელსაც ისტორიკოსები XIV საუკუნეს მიაკუთვნებენ.

ხეროვისის ციხეში დღემდე შემორჩენილია ორი კოშკი, რომელთა აგების შესახებ არსებობს შემდეგი ლეგენდა.

თამარ მეფემ ორ კალატოზს—ოსტატსა და მის შეგირდს—დაავალა ორი კოშკის აგება, ერთის—ციხის აღმოსავლეთ ნაწილში, მეორის—დასავლეთ ნაწილში, ამასთან აღუთქვა დიდი საჩუქარი ამ ორი კალატოზიდან იმას, ვინც უკეთეს კოშკს ააგებდა. შენების პროცესში ხალხმა შეამჩნია, რომ კოშკი, რომელსაც შეგირდი აშენებდა, გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, ვიდრე ოსტატის—მისი მასწავლებლის კოშკი. თამარ მეფემ წინასწარ დაასაჩუქრა შეგირდი. აღშფოთებულმა ოსტატმა გადაწყვიტა შური ეძია თავისი შეგირდის მიმართ. მან შეარჩია ხელსაყრელი მომენტი, როცა შეგირდი, კიბეზე ასული, ამთავრებდა კოშკს, და მას ქვემოდან კიბე გამოაცალა. შეგირდი მაღლა დარჩა; მაგრამ გაბედულმა და მოხერხებულმა შეგირდმა ფიცრებისაგან ფრთები დაამზადა, მიიბა ისინი, ცული ქამარში გაიკეთა და ასე გადაფრინდა მტკვარზე. მხოლოდ, 40 მეტრი რომ გაიფრინა, ძირს დაშვებისას მძიმედ დაიჭრა, თავის ცულზე დაცემული, და მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა. დღემდე ხერთვისის მცხოვრებნი ამ ადგილს „მსხვერპლის ადგილს“ უწოდებენ.

ლეგენდა კოშკების აგებისა და კალატოზის გადაფრენის შესახებ აქამდე შემორჩენილია. თაობიდან თაობაში გადადის თქმულება ამ შესანიშნავი ციხის აგების შესახებ.

ახლა ეს თვალწარმტაცი ადგილი უჭირავს სოფელს, რომელიც ამფითეატრად არის განლაგებული ბორცვის მაღლობიდან დაბლობში მტკვრის ნაპირამდე. აქ ბევრი ვენახი და ხეხილის ბაღებია. რა რიგ შორს წავიდა ის დრო, როდესაც ჩვენი მამა-პაპანი სისხლით რწყავდნენ ამ ადგილებს, იცავდნენ რა ქვეყანას თურქთა და სპარსთა ურდოების დაუსრულებელი და სასტიკი თავდასხმებისაგან.

ხერთვისი ქართული სიტყვაა, რაც ნიშნავს შეერთების ადგილს; აქ, კლდოვანი ბორცვის ძირში, რომლის მწვერვალზეც აგებულია ციხე, მართლაც ერთდება ორი მდინარე—ჯავახეთისა და არტაანის მტკვარი.

როდესაც ვარძიაში მივდივართ, ხერთვისიდან 14 კილომეტრზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, შეიძლება შორიდანვე დავინახოთ უზარმაზარი კლდე, რომელიც არა ნაკლებ 200 მეტრი სიმაღლიდან დაჰყურებს გზატკეცილს და რომელსაც მძლავრად გადაურაზავს ხეობაში შესასვლელი. კლდის წვერზე აგებულია ციხე. სწორედ ესაა სახელგანთქმული თმოგვის ციხე, რომლისთვისაც არა ერთხელ უმღერიათ თავიანთ ლექსებში ქართველ, უკრაინელ, სომეხ და სხვა პოეტებს (კონსტანტინე ჭიჭინაძე, მიკოლა ბაჟანი, ოვანეს თუმანიანი), აგრეთვე აუწერიათ მოგზაურებს (ბროსე, აბიხი, დიუბუა).

თურქები ამ ციხეს უწოდებდნენ „ეშმაკის ციხეს“. ისტორიიდან ცნობილია, რომ თმოგვის ციხის კედლებთან არა ერთხელ დამსხვრეულან და უკუგდებულან უცხოელ დამპყრობთა ურდოები. მაგალითად, X საუკუნის დამდეგს (914 წელი) არაბთა ჯარებმა არა ერთხელ მიიტანეს იერიში ციხეზე, მაგრამ უშედეგოდ; დამარცხებულნი, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

ციხის შიგნით გაშენებული იყო იმავე სახელწოდების ქალაქი. ციხე-ქალაქი საიდუმლო გასასვლელით შეერთებული იყო მტკვართან, საიდანაც იგი წყლით მარაგდებოდა.

1088 წელს მომხდარმა უჩვეულო მიწისძვრამ საგრძნობლად დაანგრია ციხე, მაგრამ შემდგომ იგი აღდგენილ იქნა. ხოლო 1319 წელს აქ კვლავ მოხდა მიწისძვრა, რასაც დიდძალი ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა; ამის შემდეგ ციხემ უკვე დაკარგა თავისი პირვანდელი სახე.

გზატკეცილიდან ახლაც მოჩანს ჩვენამდე შენახული ციხის კედლებისა და კოშკების ნაშთები. ციხის შიგნით მოიპოვება ფეოდალთა სასახლეებისა და ეკლესიების ნანგრევები და კლდეში გამოკვეთილი ორი უზარმაზარი აუზი წყლის შესანახად. ციხის კედელთა სისქე ზოგ ადგილას $1^1/_2$ მეტრს აღწევს. თმოგვის ციხე განთქმულია კიდევ იმით, რომ გადმოცემით აქ არის დასაფლავებული შოთა რუსთაველის თანამედროვე, ცნობილი სწავლული და ფილოსოფოსი სარგის თმოგველი, ჩვენამდე მოუღწეველი პოემის „დილარიანის“ ავტორი. შოთა რუსთაველი თავისი უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის“ დასკვნით სტროფებში იხსენიებს სარგის თმოგველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმოგვის ციხისათვის ისეთი მოხდენილი ადგილი შეურჩევიათ, რომ ახლაც, როცა მისი აგების შემდეგ გასულია ათასი წელი, ციხის დარჩენილი ნანგრევები მკაცრი, მაგრამ ლამაზი ბუნების ფონზე დიად შთაბეჭდილებას სტოვებს.

თმოგვს იქით ბუნება იცვლება, ხეობა ფართოვდება, გზადაგზა ვხვდებით ხეხილის ბაღებისა და პურის ყანებს. თმოგვიდან ორ კილომეტრზე არის გამოქვაბული მონასტერი ვანისქვაბი. ვანისქვაბის მონასტერი ერთ-ერთი უძველესი მონასტერია საქართველოში.

კიდევ რამდენიმე მოსახვევი გზატკეცილზე და ხერთვისიდან მე-18 კილომეტრზე ჩვენს თვალწინ იშლება XII საუკუნის სასწაულის — ვარძიის დიადი სანახაობა. ჯერ კიდევ შორიდან მოჩანს გამოქვაბულთა მრავალრიცხოვანი შავი ხვრელები.

ვარძია — ეს კლდეში გამოკვეთილი მონასტერი, აგებულია XII საუკუნეში, შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის ეპოქაში. ფიქრობენ, რომ ვარძიის მშენებლობა დაახლოებით 30 წელს გრძელდებოდა. ეს განთქმული მშენებლობა დაიწყო გიორგი III გამეფებისას (1156—1184 წწ.) და დამთავრდა თამარ მეფის დროს (1184—1213 წწ.). არიან ისტორიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ვარძია აშენებულია XII საუკუნეზე ბევრად ადრე, მაგრამ უმრავლესობა ამ აზრს არ იზიარებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მტკვარი ვარძიასთან ზღვის დონედან 1.210 მეტრზე მიედინება, ვარძიის აღმოსავლეთ ნახევრის 1-ლი სართული მტკვარს 90 მეტრ სიმაღლიდან დაჰყურებს, ხოლო მე-7 სართული—130 მეტრ სიმაღლიდან, უნდა დავასკვნათ, რომ ეს მონასტერი ზღვის დონედან დაახლოებით 1.400 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

ფიქრობენ, რომ თავდაპირველად ვარძიის გამოქვაბულთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო და ციხე-ქალაქი 20.000 კაცამდე იტევდა; დროთა განმავლობაში გამოქვაბულთა ნაწილი ჩამოინგრა და დღემდე დაახლოებით 750 გამოქვაბულმა მოაღწია.

ამჟამად აღრიცხვაზეა 613 გამოქვაბული; ფიქრობენ, რომ ციხის გაწმენდისა და წესრიგში მოყვანის შემდეგ დამატებით აღმოჩენილ იქნება არა ნაკლებ 100 გამოქვაბულისა. ზოგიერთ გამოქვაბულს 6 დან 14 მეტრამდე სიგრძე აქვს, სიგანე —5—7 მეტრი, ხოლო სიმაღლე —3—5 მეტრი. ეს გამოქვაბულები წარმოადგენენ დარბაზებს და პალატებს; მათ დაახლოებით 100-დე ითვლიან.

სიტყვა „ვარძიის“ წარმოშობის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს, მაგრამ ამ საკითხის მცოდნე პირები ყველას სადავოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიჩნევენ. ხალხური გადმოცემა ვარძიის სახელწოდებას თამარ მეფეს მიაწერს. ისევე, როგორც ბორჯომის სახელწოდება, ვარძიის სახელწოდების წარმოშობის საკითხი სწორ მეცნიერულ გადაჭრას მოელის. ფიქრობენ, რომ „ვარძია“ ქართული სიტყვაა, მაგრამ ვერ შეთანხმებულან მისი მნიშვნელობის განმარტებაში.

დიდი ხნით ადრე ვარძიამდე საქართველოს სხვადასხვა რაიონშიც აგებდნენ გამოქვაბულებს, მაგრამ კლდეებში გამოკვეთილი ქალაქის ასეთი მონუმენტური ნაგებობა არსად არ არის. ამიტომაა, რომ დღეს, მრავალი საუკუნის შემდეგ, ვარძია ყველას განცვიფრებას და აღტაცებას იწვევს. ამავე დროს იგი მაჩვენებელია იმისა, თუ რაოდენ ძლიერ იყო განვითარებული სამშენებლო ხელოვნება იმდროინდელ საქართველოში.

თუ თვალს გადავავლებთ ძველი საქართველოს მწერლობას, იქ ჩვენ შევხვდებით მრავალ არქიტექტურულ-სამშენებლო სპეციალობათა აღმნიშვნელ ტერმინს, როგორც, მაგალითად: მშენებელი, უფროსი მშენებელი-არქიტექტორი, კალატოზი, კალატოზთა უფროსი, ზედამხედველი, შემსრულებელი, სამუშაოთა მწარმოებელი (თანამედროვე გაგებით); არსებობს ხელსაწყოების, იარაღმანქანების ნუსხა: წერაქვი, ორმაგი წერაქვი, კბილსაჭრელი დაზგა, ნაჯახი ქვის გამოსათლელად, ჭაღი სიმძიმეთა ასაწევად, ონკანი, ხარაჩო და ა. შ.

ბევრი რამ ადასტურებს ცნობილი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის (ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის მეორე ნახევარში) ცნობებს იმის შესახებ, რომ საქართველოში „გვხვდება არქიტექტურის წესების მიხედვით აშენებული ბინები, გვხვდება ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები.“

ვარძიიდან რამდენიმე კილომეტრზე არსებობს არქიტექტურის შესანიშნავი ნაწარმოები — საკათედრო ტაძარი ყუმურდოში, აგებული 964 წელს და ჩვენამდე შემორჩენილი. სპეციალისტი არქიტექტორები, რომელთაც შეისწავლეს ეს შესანიშნავი ძეგლი, ამტკიცებენ, რომ ყუმურდოს ტაძრის აგებამდე არქიტექტორს ხელთ ჰქონდა პროექტი ნახაზებში, სადაც ყოველი წვრილმანი იყო გათვალისწინებული და ზედმიწევნით დამუშავებული.

ამგვარად, არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ძველ დროს საქართველოში მზადდებოდა მოდელები და მაკეტები, ესკიზები, ნახატები და ნახაზები.

უნდა ვიფიქროთ, რომ სანამ ვარძიის მშენებლობას შეუდგებოდნენ, მშენებლებს უკვე წინასწარ დამზადებული ჰქონდათ პროექტები და ნახაზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუვალი კლდეები, სადაც გამოკვეთილია გამოქვაბულები, მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირის გასწვრივ, მდინარის კალაპოტზე მაღლა, სიგრძით თითქმის ერთ კილომეტრ მანძილზე. კლდე სხვადასხვა სიმტკიცისა და ფერის ქანებისაგან შედგება. შავი, მაგარი ფილაქნები ზემოდან შენობის თითქოს ბუნებრივ სახურავს ქმნიან. მათ მოსდევს მუქი-ნაცრისფერი და მოვარდისფრო-ყვითელი რბილი თირის ფენები. აი სწორედ ამ რბილი თირის ფენებში, რომლებიც დანითაც კი ადვილად იჭრება, გამოკვეთილია ქალაქი-გამოქვაბული — ვარძია. ეჭვს გარეშეა, იმდროინდელი მშენებლები კარგად ერკვეოდნენ გეოლოგიაში, რაკი ისინი თირის ისეთ ფენებს არჩევდნენ, სადაც შეიძლებოდა გამოქვაბულთა გამოკვეთა. მაგრამ შეუძლებელია არ გაგვანცვიფროს იმ შრომამ, ცოდნამ და ოსტატობამ, რაც მათ გამოუჩენიათ მრავალი გამოქვაბულისაგან შემდგარი 7 სართულიანი შენობის აგებით, სადაც 20.000-დე კაცი ეტეოდა. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ხალხის ფანტაზია ასეთ დიად ნაგებობებს უბრალო ადამიანთა ნამოქმედარს კი არ მიაწერდა, არამედ რაღაც განსაკუთრებული ადამიანების, გოლიათების, ბუმბერაზების შრომასა და შემოქმედებას.

აქ ჩვენ არ ვკისრულობთ ვარძიის ვრცელი აღწერილობის გადმოცემას. დაინტერესებულ მკითხველებს შეიძლება ვურჩიოთ სათანადო ნარკვევები, სპეციალურად ვარძიის საკითხისადმი მიძღვნილი. ჩვენ მხოლოდ მოკლედ გავაცნობთ მკითხველს ამ ქალაქ-გამოქვაბულის ღირსშესანიშნაობებს.

ვარძია 800 წელია რაც არსებობს და ჩვენამდე მან გაძარცული და ნაწილობრივ დანგრეული სახით მოაღწია. ცოტა ზიანი როდი მიაყენა ვარძიას აგრეთვე ხშირმა მიწისძვრამ. მაგრამ ყველაზე მეტი ზიანი მას უცხოელ დამპყრობთა ურდოებმა—მონგოლებმა და, განსაკუთრებით, თურქებმა მიაყენეს. XIV საუკუნეში თემურლენგის ჯარებმა, ხოლო XVI საუკუნეში შაჰ-თამაზის ჯარებმა სრულიად მოსპეს და გაანადგურეს თავისი სიმდიდრით განთქმული ვარძია. ვარძიის სიმდიდრისა და საგანძურის შესახებ ისტორიკოსი ასე წერს: „სიტყვა უძლურია სათქმელად ამისად, მსურველმან დეე თვით იხილოს ვარძია.“ შაჰ-თამაზს ბევრი რამ ჰქონდა გაგებული ვარძიის სიმდიდრეთა შესახებ. ბრძოლის შემდეგ გადაწყვიტა თვით შესულიყო გამოქვაბულებში, რათა პირადად ენახა მისი სიმდიდრენი. და, მართლაც, როგორც ისტორიკოსი წერს, „ის რაც მან ნახა, ყოველივე მის მიერ მოსმენილს

ალემატებოდა"; შაჰმა ბრძანა, ვარძიის მთელი სიმდიდრე მის ხაზინაში გაეგზავნათ.

გაძარცულ იქნა ვარძიის ცენტრალური ტაძარიც: გაქრა ძვირფასი ქვებით მოოქვილი ხატები, ტაძრის შიდაკარი ოქროსი და სხვა ძვირფასი და იშვიათი ნივთები. ამიტომ გასაგებია, რომ თანამედროვე ვარძია, რომელმაც წარსულში მრავალი უბედურება, რბევა და განადგურება განიცადა, ოდნავ არ შეედრება წინანდელ ვარძიას.

მაგრამ ახლაც ცხადად ჩანს, თუ რა მაღალ დონეზე იდგა სამშენებლო ტექნიკა საქართველოში ჩვენგან შორეულ წარსულში.

ვარძიისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წყლის პრობლემას, რაც იმ დროის მიხედვით ბრწყინვალედ გადაუჭრიათ. სასმელი წყალი გამოყვანილი ყოფილა ქალაქ-მონასტრიდან დაახლოებით 6 კილომეტრის მანძილზე მდებარე ზედა-ვარძიის წყაროებიდან. წყალი თვითდინებით მოდიოდა კლდეში გამოკვეთილი, მტრისათვის უხილავი გვირაბით. გვირაბი საკმაოდ ფართო ყოფილა, რაც საშუალებას იძლეოდა დაზიანების შემთხვევაში თავისუფლად ემუშავნათ მისი შეკეთებისათვის. გვირაბში გაყვანილი იყო თუნის მილები; წყალსადენის ნაშთები დღემდე შემორჩენილია რამდენიმე ადგილას, მაგალითად, სამრეკლოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ამ ნაშთების მიხედვით ძნელი არ არის წყალსადენის საერთო სურათის აღდგენა. არის მეორე გვირაბიც, რომლის სიგრძე 2 კილომეტრს უდრის, მხოლოდ აქ ვერ ვხვდებით თუნის მილებს; გვირაბის ფსკერზე გაჭრილია არხი, რომლითაც წყალი აგრეთვე თვითდინებით მიდიოდა ახლომდებარე ხეობიდან ვარძიის ბაღ-ვენახების მოსარწყავად.

მონასტრის აღმოსავლეთ ნაწილში არსებობს მტრის თვალისათვის ძნელად შესამჩნევი გვირაბი მრავალი კიბით, რომელიც დაბლა ეშვება და მტკვარს უერთდება. თუ ძირითადი წყალსადენი დაზიანდებოდა ან მტერი მას აღმოაჩენდა, მოსახლეობას შეეძლო მტკვრის წყლით ესარგებლნა. მტკვართან ეს საიდუმლო მისასვლელი ისე იყო მოწყობილი, რომ მტრის მიერ აღმოჩენის შემთხვევაში შეიძლებოდა გვირაბის ჩაკეტვა და მტრისათვის ვარძიაში შესასვლელი გზის გადაღობვა.

გარდა ამისა, თვითონ ვარძიაში, ტაძართან ახლოს, არსებობს წყარო, რომლის წყალიც დიდ აუზში მიედინება. აუზში წყალი განსაზღვრულ დონეს არ სცილდება; უნდა ვიფიქროთ, რომ წყლის დონეს ზემოთ არსებობს წყალგამტარი ფენა. წყაროს და აუზს ჩვენამდე მოულწევია, წყალი ცივია და მას სასმოვნო გემო აქვს,

ტემპერატურა 11 გრადუსს უდრის. ალბათ, როცა ვარძია მტრე-ბის მიერ ალყაშემორტყმული იყო, ამ წყლით სარგებლობდა აგრეთვე მოსახლეობა, დანარჩენ შემთხვევებში იგი მონასტრის საჭიროებას აკმაყოფილებდა.

ასე ბრწყინვალედ იყო გადაჭრილი ძველ დროში წყლით მომარაგების პრობლემა ვარძიაში.

ვარძიის მონასტერი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მონასტერი იყო მესხეთში. დღემდე ვარძიაში გამოვლინებულია 12 ეკლესია-სამლოცველო და მათ შორის სახელგანთქმული მონასტერი ქალაქის ცენტრში. ერთ-ერთი ეკლესია — ანანაურისა — ცნობილია თავისი შესანიშნავად შენახული ფრესკული მხატვრობით. თანამედროვეებისათვის ამ საეკლესიო ნაგებობებს ის მნიშვნელობა აქვთ, რომ მათი მიხედვით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ განვითარების რა მაღალ საფეხურზე იდგა იმდროინდელ საქართველოში არქიტექტურა, მხატვრობა, ქანდაკება და ხელოვნების სხვა დარგები.

მთავარი ტაძარი ვარძიის ცენტრში მდებარეობს. გადარჩენილი ეკლესიებიდან ყველაზე უკეთ ის არის შენახული. აქ მთავარ ყურადღებას იპყრობს ფრესკული მხატვრობა, რომლითაც დაფარულია ტაძრის მთელი კედლები და თაღი. მხატვრობა ალაგ-ალაგ დაზიანებულა დრო-ჟამისა და ორი დიდი ბზარისაგან ეკლესიის მთელ სიგრძეზე, მაგრამ ტაძარი ახლაც განცვიფრებას იწვევს და ნათელ წარმოდგენას იძლევა ძველ ოსტატთა ხელოვნებაზე.

ფრესკული მხატვრობის თემა ძირითადად აღებულია სამღვთო წერილიდან. დიდი ადგილი უკავია ფრესკას გიორგი III და თამარ მეფის გამოსახულებით.

საკურთხევლის აბსიდაში გამოსახულია ღვთისმშობელი ჩვილითურთ მარცხენა მუხლზე; ორივე მხრით ანგელოსთა გამოსახულებებია. ამ კომპოზიციაში, ისე როგორც სხვებში, იგრძნობა მხატვრის ოსტატობა; დაბლა ერთ მწკრივში გამოსახულია 12 მოციქული და 2 დიაკონი. ტაძრის თაღზე გამოხატულია 8 სცენა ახალი აღთქმიდან — „ლაზარეს აღდგინება“ პერსონაჟთა დიდი რაოდენობით. კლდოვანი პეიზაჟის ფონზე დგას ქრისტე გაწვდილი ხელით, მის უკან იოანე ნათლისმცემელი, ხოლო ფეხებთან— მართა. მარჯვენა მხარეზე მდიდრულად მოწყობილი აკლდამიდან გამოდის მიწისფერი ახალგაზრდა ლაზარე, რომელსაც ოთხი ახალგაზრდა ხდის სუდარს. გვერდით „ფერისცვალება“, დაბლა „ფეხთბანა“ და „საიდუმლო სერობა.“ ტაძრის სამხრეთ კედელზე გამოსახულია „ჯვარცმა“, დაბლა წმინდანთა მსვლელობა, დასავ-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბასთუმანი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასტრო-ფიზიკური
ობსერვატორია.

აწყურის ციხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთ კედელზე — „ამაღლება“ ორი ნაწილისაგან; ზემოთ — „ქრისტე“ ორი ანგელოსით. დაბლა „ღვთისმშობელი“, აგრეთვე ორი ანგელოსით, მაგრამ მოციქულებით გარშემორტყმული, „სულიწმინდის მოფენა“ და „ღვთისმშობლის მიძინება“.

მრავალმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც შესრულებულ იქნა ეს მხატვრობა. ამ ხნის განმავლობაში ვარძიამ ბევრი რამ განიცადა, მაგრამ ახლაც გაკვირვებას იწვევს ფერწერის ხელოვნება იმდროინდელ საქართველოში. მხატვრობა ზოგან ძლიერ დაზიანებულია, დაცულია მხოლოდ ცალკეული ნაწილები და შეუძლებელი ხდება კომპოზიციის თემების გარკვევა. ასევე ძნელია ამ მხატვრობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გამორკვევა, ვინაიდან შემსრულებელთა ხელწერა ან წაშლილია, ან შემსრულებლები კმაყოფილდებოდნენ მარტო სახელის მიწერით, ხოლო შესრულების თარიღს იშვიათად აღნიშნავდნენ. ვარძიის ეკლესიის სამხრეთ კარიბჭის ფრესკებქვეშ დღემდე დაცულია ორი მხატვრის ხელმოწერა, მათი ამოკითხვა ძნელია, რადგან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ცალკეული ასოები ორნამენტულ ზოლში, მაგრამ შემსრულებელთა სახელების დადგენა შეუძლებელი ხდება.

ვარძიის აღმოსავლეთი ნაწილი უკეთ არის დაცული, ვიდრე დასავლეთი. ეს ნაწილი გამოქვაბულთა ნაკეთობით ტექნიკური მხრით უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენს. ეს გასაგებიცაა: ვარძიის აღმოსავლეთ ნაწილში ხომ მოთავსებული იყო „საბჭოს დარბაზი— სადარბაზო“ და უმაღლესი, „პალატების“ ტიპის გამოქვაბულთა დიდი ნაწილი.

ამ ნაწილში არსებული გამოქვაბულები თავისი ადგილმდებარეობით, მოცულობით (სიგრძე — 7 მ., სიგანე — 5 მ, სიმაღლე 3,5 მ) და ტექნიკური ნაკეთობით ვარძიის საუკეთესო გამოქვაბულთა რიცხვს მიეკუთვნება. ახლა ისინი ვერ ახდენენ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას, ვინაიდან დრომ საგრძნობლად დაზიანა; დაგვრჩენია მხოლოდ წარმოვიდგინოთ მათი ყოფილი სიდიდე.

„საბჭოს დარბაზი“—სადარბაზო — ყველაზე დიდი გამოქვაბულია (სიგრძე — 10 მ, სიგანე — 7 მ, სიმაღლე — 4,25 მ). კედლების ირგვლივ ქვის სკამებია; ცალკე განკუთვნილია აგრეთვე ადგილები მეფისა და საბჭოს უმნიშვნელოვანეს წევრთათვის.

ვარძიის აღმოსავლეთ ნაწილში, ეკლესიის მახლობლად, ამ რამდენიმე წლის წინათ, სახელდობრ 1937 წელს, გასაწმენდი სამუშაოების შესრულების დროს, ერთ-ერთ დიდ გამოქვაბულში აღმოჩენილ იქნა კარგად შენახული სხვადასხვა სიდიდის 13 ქვევრი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავამდე მიწაში ჩამარხული; ორ მათგანში სითხეა ნახული. ვარ-ძიის სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილია დაახლოებით 10-დე ასეთივე ქვევრი. ისინი განკუთვნილია როგორც ღვინოს, ისე სხვა პროდუქტების შესანახად. უნდა აღინიშნოს, რომ ახლაც საქარ-თველოს სოფლებში ღვინოს თავამდე მიწაში ჩამარხულ ქვევრში ინახავენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველ დროს ვარძიის გარშემო გაშენებული იყო ვენახები, რასაც მოწმობს ვაზის გადაგვარებულ და გაველურებულ ფესვთა ნაშთები.

ვარძიის ქვედა სართულში დარჩენილია მეტად საინტერესოდ მოწყობილი თავლები. ცხადია, ჩვენამდე მათ მოაღწიეს ნანგრე-ვების სახით: წინა კედელი მთლიანად ჩამონგრეულია, მაგრამ ახლაც, მრავალი საუკუნის შემდეგ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ აქ იყო პირუტყვისათვის, უმთავრესად, ცხენებისათვის კლდეებში გამოკვეთილი სადგომები. ამ საქმის მცოდნე სპეცია-ლისტთა აზრით, თავლები ისე იყო მოწყობილი, რომ სავსებით აკმაყოფილებდა პირუტყვის რაციონალური მოვლენის ყველა ძირითად მოთხოვნას. როგორც ცხენთა ბაგების სწორი განლა-გების მხრივ, ისე ცხენის მოვლის ყველა საჭირო პირობის, — რო-გორც, მაგალითად, კვების, წყალსალევის და წმენდის საქმის და-ყენების მხრივ, თავლების მოწყობილობა გაოცებას იწვევს თა-ვისი მოსაზრებულობით. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მოწმობს წარსულში ვარძიის მშენებელთა მაღალ ხელოვნებას.

ვარძიის აღმოსავლეთ ნაწილში მრავალი მიწისქვეშა საიდუმ-ლო გვირაბია თავისი განშტოებებით. ზოგ მათგანს ორ-ორი მეტრი განი და სიმაღლე აქვს. საიდუმლო სავალების გასწვრივ ზოგ ადგილას კლდეში გამოჭრილია სარკმლები როგორც სასი-ნათლოდ, ისე გარემოს დასაზვერად. გამოირკვა, რომ ზოგიერთი საიდუმლო სავალის განშტოება დიდ მანძილზეა გაყვანილი.

საიდუმლო სავალების მოწყობა გასაგებია, თუ გავითვალის-წინებთ იმ გარემოებას, რომ მესხეთის, კერძოდ ვარძიის, მოსახ-ლეობა მუდამ მტრების თავდასხმის მუქარის ქვეშ იმყოფებოდა. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ვარძიის მიდამოებში მრა-ვალი გამოქვაბული არსებობს სავალებით. ამ მიწისქვეშა საიდუმ-ლო სავალებით სარგებლობდნენ არა მარტო ადამიანთა დასაფა-რავად, არამედ აგრეთვე განძის, განსაკუთრებით საეკლესიო გან-ძის, შესანახად, რითაც განთქმული იყო თავის დროზე ვარძია.

დიდ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე ჩვენამდე ნაწილობრივ შემორჩენილი სამრეკლო. თავდაპირველად ის ორსართულიანი იყო, მაგრამ ზედა სართული, გადმოცემის თანახმად, დანგრეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნა შაჰ-თამაზის ჯარების მიერ XVI საუკუნეში. გადარჩა მხოლოდ ერთსართულიანი ოთხკუთხი სამრეკლო, რომელიც კლდის გარეშე დგას. სპეციალისტთა მოწმობით, სამრეკლო ვარძიის გამოქვაბულთა დანარჩენ კომპლექსზე უფრო გვიან იქნა აგებული— მას XIII საუკუნეს მიაწერენ. ორი ღია მხრიდან სამრეკლოს აქვს ქვის ორნამენტით დაფარული თაღები—შესასვლელები; დასავლეთის მხრიდან კუთხეში ქვაზე ამოკვეთილია ვაზის გამოსახულება ორი მტევნით, რაც გავრცელებული იყო ძველ საქართველოში როგორც სამკაულთა დეკორატიული ფორმა. ეს ნატიფი ნაგებობა ახლაც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

საქართველოში ცოტა როდია გამოქვაბული ქალაქ-მონასტრები. მაგრამ ვარძია მათ შორის განირჩევა როგორც თავისი მონუმენტურობით და მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობით, ისე ძველი დროის სამშენებლო ტექნიკურ-მხატვრული ხელოვნებით.

მემატიანეთა მოწმობით, თამარ მეფე განსაკუთრებით ცდილობდა მდიდრულად მოერთო ვარძია. მთავარი ტაძრის შიდა ოქროს კარი, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ხატები, გამოქვაბულთა მთელი შინაგანი მორთულობა ლაპარაკობს იმ დიდ ყურადღებაზე, რასაც თამარი ვარძიას უთმობდა. ზოგიერთი მკვლევარი სვამს საკითხს — იყო თუ არა ვარძია თამარის რეზიდენცია? მემატიანეთა მონაცემების მიხედვით, ჩვენი ისტორიკოსები სარწმუნოდ მიიჩნევენ მხოლოდ იმას, რომ ვარძია თამარ მეფის საყვარელი ადგილსამყოფელი იყო, და ის არა ერთხელ ყოფილა იქ.

ჩვენ შემოვიფარგლეთ მხოლოდ მოკლე ცნობების გადმოცემით ვარძიის შესახებ, რათა გაგვეღვიძებინა მისადმი ინტერესი ყველა მათში, ვინც დასასვენებლად და სამკურნალოდ მოდის ბორჯომში. ვისაც სურს საქართველოს ამ შესანიშნავი ისტორიული ძეგლის გაცნობა, გარდა ადგილობრივი დათვალიერებისა, ვურჩევთ წაიკითხოს სპეციალური ნაშრომები ამ საკითხზე.[1]

მთელი გზა ბორჯომიდან ვარძიამდე მოფენილია საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლებით. აქ ჩვენ თვალწინ გაივლის ციხეების, ეკლესია-მონასტრების მთელი წყება. საქართველოს არც ერთი რაიონი ისე მდიდარი არ არის ისტორიული ძეგლებით, როგორც ეს რაიონი.

---

[1] გ. ი. ტყეშელაშვილი. ვარძია. მხარეთმცოდნეობის ტურისტული ნარკვევი, 1951 წ., რუსულ ენაზე. ც. გაბაშვილი. ვარძია, 1948 წ., ქართულ ენაზე, 1949 წ., რუსულ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე საფარის, ზარზმის, ყუმურდოს და სხვა მონასტრები.

წარსულში საქართველოში, ისე როგორც მრავალ სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოშიც, მონასტრები არა მარტო რელიგიის, არამედ კულტურის კერებსაც წარმოადგენდნენ. მონასტრები ამზადებდნენ და უშვებდნენ არა მხოლოდ ეკლესიის მსახურთ; გარდა ღვთისმეტყველებისა, აქ შეისწავლიდნენ ქართულ ენას და ლიტერატურას, უცხო ენებს, ფილოსოფიას, მათემატიკას, ვარსკვლავთმრიცხველობას და მუსიკასაც კი.

საფარის მონასტერი ახალციხიდან 7 კილომეტრზე მდებარეობს, ლამაზ და მხატვრულ ადგილას, ფლატეებიან ნაპირზე, ურაველის ხეობის მარცხნივ. ახალციხეში მისვლამდე რამდენიმე კილომეტრი გვაკლია, როცა ჩვენ უკვე შორიდანვე ვამჩნევთ სახელგანთქმულ საფარას.

თავდაპირველად მონასტერი 12 ეკლესიისაგან შედგებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში აქედან ერთი ნაწილი გამოყენებულ იქნა საცხოვრებელ ბინებად. ციხე-კოშკის ნაშთები, მათი მდებარეობა ხეობის ფლატეებთან ნაპირზე იმას მოწმობს, რომ თავის დროზე მონასტერს უხდებოდა თავდაცვა მტრის ურდოების შემოსევისაგან. შედარებით კარგადაა შენახული მთავარი ტაძარი— წმ. საბას გუმბათიანი ეკლესია, XIII საუკუნის 80-იან წლებში აშენებული, და ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია; ორივე ტაძარი აგებულია პირდაპირ კლდის ფლატეზე, ადგილობრივი მოწითალო, კარგად გათრაშული თიხისა და მიხაკისფერი ვულკანური ლავისაგან. ეკლესიის ცენტრალური ნაწილი მთავრდება მაღალი გუმბათით. წმ. საბას ეკლესიაში საკმაოდ კარგად არის შენახული კედლის მხატვრობის ზოგიერთი ნაწილი; ეს ფერწერა თვით არასპეციალისტისთვისაც დიდ მხატვრულ-ისტორიულ ინტერესს წარმოადგენს. ეკლესიის სამხრეთ კედელზე მოთავსებულია ოთხი ათაბაგ-მმართველის ფიგურების გამოხატულება. ათაბაგ სარგის 1, საათაბაგოს პირველი დამოუკიდებელი მფლობელი, რომელიც ალიკვეცა ბერად საბას სახელწოდებით, დახატულია ბერის ტანსაცმელით, ხოლო მისი შვილი ბექა და შვილიშვილნი სარგის II და ყვარყვარე დახატული არიან XIII და XIV საუკუნის ეპოქის ფეოდალთა საპარადო საერო ტანსაცმელით. ტაძრის დამაარსებელი ბექა მაშინდელი ტრადიციის მიხედვით დახატულია ხელში ტაძრის მოდელით. ამ ისტორიულ პირთა გამოხატულების საფუძველზე ფიქრობენ, რომ მხატვრობა XIV საუკუნეს ეკუთვნის.

ხერთვისის ციხე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხაფარის მონასტერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ეკლესია — მიძინებისა, მოთავსებულია პირველის გვერდით; ის შესანიშნავია თავისი კანკელით, რაც გაკეთებულია ღიამწვანე თიხისაგან; კანკელის ცალკეული ფრაგმენტები დაცულია ხელოვნების მუზეუმში თბილისში. რაოდენი შრომა, მოთმინება და ცოდნა უნდა გამოეჩინათ იმისათვის, რომ ასეთი ხელოვნებით შეესრულებინათ ეს ფაქიზი სამუშაო! კანკელის ფილებზე არის რელიეფური გამოხატულებანი სხვადასხვა რელიგიურ თემაზე. ამასთან თითოეული თემა მოქცეულია სპეციალურად შესრულებულ მაჩუქურთმებულ ჩარჩოში.

ფრესკული მხატვრობა დაცულია აგრეთვე წმ. მარინეს ეკლესიაში, რომელიც მოთავსებულია სამრეკლოს I სართულში.

საფარაში მოიპოვებოდა აგრეთვე სამოქალაქო ნაგებობანი — ათაბაგთა სასახლე, სენაკები და სხვ., მაგრამ მათგან ჩვენამდე მხოლოდ ნანგრევებმა მოაღწია.

ქართული არქიტექტურის მეორე შესანიშნავი ძეგლი ზარზმა, ისე როგორც საფარა, უმდიდრეს მასალას იძლევა ქართული ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის შესასწავლად.

ზარზმა ახალციხიდან 34 კილომეტრზე იმყოფება, კობლიანის ხეობის წარმტაც ადგილას, ადიგენის რაიონში.

ზარზმის მონასტერი, რომლისგანაც გადარჩენილია გუმბათოვანი ეკლესია, სამრეკლო და რამდენიმე სამლოცველო, მაღალ ტყიან ველზე მდებარეობს.

თავდაპირველად მონასტერი ზარზმაში დაარსებულ იქნა IX საუკუნეში სახელგანთქმული საეკლესიო მოღვაწის სერაპიონ ზარზმელის მიერ. მაგრამ თავდაპირველ ნაგებობათაგან ზარზმაში არაფერი არ დარჩენილა. ახლანდელი დიდი ტაძარი და სამრეკლო აგებულია XIV საუკუნის დამდეგს მესხეთის მმართველის ბექა I დროს.

სამრეკლოს პირველი სართული დასაწყისში ორი მხრით ღია იყო და მონასტრის გალავანში გასასვლელს წარმოადგენდა. XVI საუკუნის დამლევს, 1577 წელს, ზარზმის მთავრებმა (ხურციძის საგვარეულოდან) სამრეკლოს I სართული ეკლესიად გადააკეთეს, რასაც მოწმობს სამრეკლოს აღმოსავლეთ კედელზე ჩუქურთმიანი ჯვრის გარშემო არსებული დიდი წარწერა.

ჩრდილოეთის მხრით სამრეკლოზე მიშენებულია მცირე სამლოცველო. მის შესავალზე მოთავსებულია დიდი წარწერა ხუცურად, რომელიც მოგვითხრობს იმ დახმარების შესახებ, რაც ქართველთა ჯარებმა საქართველოს სამხრეთი ოლქების მმართვე-

ლის — დავით კუროპალატის წინამძღოლობით აღმოუჩინეს ბიზანტიის იმპერატორებს მათ წინააღმდეგ ბარდა-სკლიაროსის აჯანყების დროს. ეს ამბები და თვითონ წარწერა მიეკუთვნება X საუკუნის დამლევს — ზარზმაში გადარჩენილ ძეგლთა შორის ეს უძველესია. ზარზმის წარწერა ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ისტორიული წარწერაა საქართველოში.

დიდ ტაძარში, რომელიც უხვად არის შემკული ქვაზე ამოჭრილი ჩუქურთმებით (თამასები სარკმლებისა და შესასვლელების გარშემო, როზეტები, ჩუქურთმიანი ჯვარი), კედლები და კამარები მთლად მოხატულია. გარდა ფრესკებისა ჩვეულებრივი რელიგიური სიუჟეტებით, დაცულია ისტორიულ პირთა მრავალი პორტრეტი. სამხრეთ კედელზე, შესასვლელთან, მოთავსებულია მესხეთის მმართველების — სარგის I, ბექა I, სარგის II და ყვარყვარეს (იმავე პირების, რაც საფარაში) გამოსახულებანი. ჩრდილოეთ კედელზე, შესასვლელის პირდაპირ — XVI საუკუნის მხატვრობა — იმერეთის მეფე ბაგრატი უბოძებს სიგელს „მამა სერაპიონს“ ხურციძეს, ზარზმის მპყრობელს. არის სხვა პორტრეტებიც.

ზარზმის ყველა ნაგებობა და მხატვრობა აღდგენილია XIX საუკუნის დამლევს. ამასთან, მხატვრობა არა მარტო გაწმენდილი იქხა, არამედ ნაწილობრივ აღდგენილი და ხელახლა დახატულიც, რის გამოც მან დაკარგა ფერების თავდაპირველი შეხამება.

ზარზმის ფრესკები XIV საუკუნის ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

ზარზმაში, ეკლესიის ახლოს, შემორჩენილია ძველი წყარო.

ხერთვისიდან 8 კილომეტრზე, გზატკეცილის გასწვრივ აღმართულია დანგრეული ციხის ნაშთები. ამ ნახგრევთა მახლობლად, გზატკეცილის მარცხნივ, მდებარეობს პატარა, მაგრამ ღრმა ტბა წუნდა. უძველესი დროიდან იგი ცნობილია თავისი სამკურნალო წყლებით და დღემდე ყოველ გაზაფხულზე აქ იჭერენ წყალს სამკურნალო მიზნებისათვის. ტბის გარშემო მრავალი გარეული იხვი იცის. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, წუნდას ტბა — ეს ჩამჭრალი ვულკანის ყელია.

ტბიდან ნახევარ კილომეტრზე, სამხრეთით, კლდეზე აღმართულია წუნდის ძველი ეკლესია, რუსთაველის ეპოქაში აგებული. ოდესღაც ამ ადგილას გაშენებული იყო ქალაქი წუნდა, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, რომელიც მოხსენებულია XI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუკუნის მატიანეებში. ამ ქალაქისაგან ამჟამად დარჩენილია მხოლოდ ეკლესია, დიდი ქარვასლის ნანგრევები და გამოქვაბულთა კომპლექსები.

წუნდის ეკლესია, ზომით 6×12 მ, ყურადღებას იქცევს თავისი შესანიშნავი არქიტექტურული ღირსებებით. ის აგებულია კარგად გათლილი ქვისაგან, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში ალაგ მოყვითალო, ალაგ მომწვანო ფერი მიიღო. მისი საკმაოდ მოხდენილი პროპორციული ნაწილები, ლამაზი და დეტალურად დამუშავებული ორნამენტები ახლაც, მრავალი საუკუნის შემდეგ, დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. წუნდის ეკლესია რესტავრირებულ იქნა 1938 წელს.

ეკლესიიდან 4 კილომეტრზე, ახალქალაქის ტაფობის კიდეზე, სოფელ ყუმურდოში, დაცულია ძველი დიდი საკათედრო ტაძარი — X საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი. შერჩენილ წარწერათა საფუძველზე ზუსტად დადგენილია, რომ ყუმურდოს ტაძარი აგებულია 964 წელს. შემდეგ ტაძარი რამდენჯერმე შეაკეთეს (XII საუკუნე) და აღადგინეს.

ყუმურდოს საკათედრო ტაძარი აგებულია იშვიათი არქიტექტურული ხელოვნებით, ლამაზად გათრაშული ქვებისაგან, რომელთა კარიერები ყუმურდოდან 40 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს მთებში. დროთა განმავლობაში ტაძარი ძლიერ დაზიანდა, გუმბათი ჩამოინგრა, დასავლეთი მხარეც აგრეთვე დაინგრა, და მაინც იგი მთლიან შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. ათი საუკუნის განმავლობაში ყუმურდოში ჩვენამდე შემორჩენილი ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებნი, მხატვრობის ნაშთები, თვითონ ტაძრის შენობა ლაპარაკობს იმდროინდელი ეპოქის მხატვრული კულტურის მაღალი დონის შესახებ.

ყუმურდოს ტაძრის კედელზე დაცულია მრავალი ქართული წარწერა. ერთ-ერთ წარწერაში მოხსენებულია ტაძრის მშენებელი ქართველი ხუროთმოძღვარი ს ა კ ო ც ა რ ი.

ყუმურდოს ტაძარი თვალს ხიბლავს უმთავრესად თავისი მაღალხარისხოვანი არქიტექტურული და მხატვრული ხელოვნებით. მიუხედავად იმისა, რომ ათმა საუკუნემ განვლო რაც იგი აშენდა, ამ ხნის განმავლობაში მისი მხატვრობის ფერდაკარგული ნიმუშები, სტიქიურ უბედურებათაგან და მტერთა შემოსევისაგან შერყეული და დაზიანებული კედლები დღესაც მეტყველებს განვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების იმ მაღალი დონის შესახებ, რომელზეც იდგა ხუროთმოძღვრება იმდროინდელ საქართველოში. ყუმურდოს საკათედრო ტაძარი X საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია.

ბორჯომიდან ვარძიას მიმავალი, 52 კილომეტრის გავლის შემდეგ, შედის ქალაქ ახალციხეში. ეს ძველი ქალაქი შორიდანვე იპყრობს ჩვენს ყურადღებას. მისი მაღალი მდებარეობა, მცენარეულის სიუხვე, ძველისძველი ციხე და ჩქარი მდინარე ფოცხოვი წარმტაც სახეს აძლევს მას.

მდინარე ფოცხოვი ახალციხეს ორ ნაწილად ყოფს; მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ქალაქის ძველი ნაწილი, რომელშიც აქა-იქ ახალი შენობები არის აღმართული, განსაკუთრებით გამოირჩევა რკინიგზის სადგური; ქალაქის ახალი ნაწილი, გაცილებით მნიშვნელოვანი, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. წინათ ამ ორ ნაწილს პრიმიტიული ხის ხიდი აერთებდა; ახლა აქ არის ფართო, შესანიშნავი ხიდი, რომელიც კიდევ უფრო ამშვენებს ქალაქს.

შორეულ წარსულში ახალციხე მესხეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა; შუა საუკუნეებში აქ ცხოვრობდა მესხეთის მფლობელი ათაბაგი. XVI და XVII საუკუნეებში ქალაქი თურქებს ეპყრათ; აქ მათ მოაწყვეს დიდი ბაზარი, სადაც მონებით ვაჭრობდნენ. 1829 წლის 15 აგვისტოს რუს-ქართველთა ჯარებმა გენერალ პასკევიჩის სარდლობით იერიშით აიღეს ახალციხე და დაუბრუნეს იგი საქართველოს. მას შემდეგ ის იყო სამაზრო ცენტრი. ამჟამად ახალციხე დიდი რაიონის ცენტრს წარმოადგენს.

თანამედროვე ახალციხე არაფრით არ წააგავს ძველ ქალაქს. აქ ყველაფერი გამოცვლილია, დარჩა მხოლოდ ძველი ციხე — საქართველოს ისტორიის შავბნელი პერიოდების მომსწრე. ინტერესს იწვევს აგრეთვე XVI საუკუნის დროინდელი აბანოს ნაშთები.

1937 წლიდან აქ არსებობს მხარეთმცოდნეობის საინტერესო მუზეუმი. მასში განსაკუთრებით მდიდრულად არის წარმოდგენილი ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული განყოფილება.

ისტორიულ განყოფილებაში ჩვენ ვნახულობთ ფრესკების შესანიშნავ ასლებს, რუსთაველის ეპოქის დროინდელ ძეგლთა ფოტოსურათებს და ჩანახატებს. ფრიად ვრცლად არის წარმოდგენილი ნუმიზმატიკური კოლექცია უძველესი დროიდან XIX საუკუნის პირველ მეოთხედამდე. არქეოლოგიურ განყოფილებაში თავმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილია ბორჯომის ხეობაში წარმოებული გათხრების დროს ნახული საგნები. დიდად საინტერესოა ცნობილ ახალციხელ ოსტატთა ნაკეთობანი. მდიდრულად წარმოდგენილია ძველი წიგნებისა და ხელნაწერების კრებული, სადაც ჩვენ ვპოულობთ 1711 წელს ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭდილ ქართულ წიგნს.

მეფის ხელისუფლების დროს ახალციხე განთქმული იყო მხოლოდ თავისი ვერცხლის ნაკეთობითა და ვაშლით. თანამედროვე ახალციხეს ხეხილის ბაღებთან და ვენახებთან ერთად მოეპოვება სწრაფად მზარდი მრეწველობა. აქ წარმოებს ქვანახშირისა და დიატომიტის — თეთრი მიწის ამოღება, რაც აუცილებელია ქიმიური მრეწველობისათვის, აგრეთვე აქატისა — ოქრო-პლატინის მრეწველობისათვის საჭირო ქვების. მუშაობენ სახამებლის, თაბაშირის და ალებასტრის, აგურის ქარხნები, ლუდსახდელი ქარხანა. განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა ქვანახშირის მრეწველობა. „საქნახშირის“ კომბინატის ახალციხის შახტების სამმართველო წლითიწლობით აძლიერებს ამოღებას. თუ წარსულში ახალციხის ქვანახშირი მხოლოდ ადგილობრივ საჭიროებას ხმარდებოდა, ახლა იგი სულ უფრო მეტ გამოყენებას პოულობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. შახტებთან აგებულია დიდი და კეთილმოწყობილი მაღაროელთა დაბა.

ქალაქში აშენებულია 3-სართულიანი სახლები, გახსნილია სკოლები და სხვა კულტურული დაწესებულებანი, გაშენებულია დიდი ბაღი. ახალციხე განუწყვეტლივ იზრდება და სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება.

ზოგი ფიქრობს და წერს კიდეც, რომ ახალციხე მტკვრის ნაპირზე მდებარეობს. ეს შეცდომა იქიდან წარმოდგება, რომ ბორჯომიდან ახალციხეს ძიმავალთ სულ მუდამ მტკვრის მარცხენა ნაპირზე უხდებათ მგზავრობა, და ზოგი ვერ ამჩნევს, რომ ქალაქთან ახლოს (14 კილომეტრზე) მდინარე ფოცხოვი მტკვარს ერთვის. ვინც ადგილმდებარეობას არ იცნობს, ის ვერ ამჩნევს, მდინარეთა შესაყარ ადგილს, ვინაიდან იგი გზატკეცილიდან დაახლოებით ½ კილომეტრზე მდებარეობს. მდინარე ფოცხოვი კი, რომელზედაც ახალციხე მდებარეობს, საკმაოდ დიდი მდინარეა, ისეთივე ჩქარი მთის მდინარე, როგორც მტკვარი. აი რატომ ხდება ეს შეცდომა.

ასეთია მთელი გზა ბორჯომიდან ვარძიამდე; იგი ახალციხეზე გადის და ექსკურსანტთა და ტურისტთა ხსოვნაში მდიდარ შთაბეჭდილებას სტოვებს. მათ წინაშე თითქოს იშლება ფურცლები საქართველოს მძიმე და მკაცრი ისტორიისა. რიგრიგობით გაი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლიან მისი გამოჩენილი მოღვაწეები სხვადასხვა დარგში, უკვდავი რუსთაველის თანამედროვენი — სწავლულნი და მხედართმთავარნი, მწერლები და კანონმდებლები, არქიტექტურისა და მხატვრობის ოსტატები.

მთელი გზა ბორჯომიდან ვარძიამდე განსაკუთრებით თვალწარმტაც ხეობაზე გადის. ექსკურსანტები და ტურისტები მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას იღებენ.



ზარზმის მონასტერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყუმურდოს მონასტერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომს აქვს მდიდარი ისტორიული წარსული და შესანიშნავი აწმყო, მაგრამ ამ განსაკუთრებული საკურორტო რაიონის ხვალინდელი დღე კიდევ უფრო ლამაზი იქნება.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ ახალ საკურორტო მშენებლობას. ახალი პირველხარისხოვანი კურორტები, უამრავი ახალი სანატორიუმები და სამკურნალო დაწესებულებები, რომლებიც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოიქმნა, — ყოველივე ეს ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა უდიდესი მზრუნველობისა ხალხის კეთილდღეობაზე, მისი ჯანმრთელობის დაცვაზე.

საბჭოთა პერიოდის მანძილზე ბორჯომის რაიონმაც იცვალა სახე. იქ, სადაც დროს ატარებდა მუქთახორების მცირე ჯგუფი, ახლა სავსებით დამსახურებულად ისვენებენ ათიათასობით მშრომელები. წარმოიქმნა ახალი, საუკეთესოდ მოწყობილი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. მოწინავე ტექნიკის ბაზაზე განვითარდა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ბორჯომის რაიონი ამ ხრივ საკმაოდ მკაფიო გამოხატულებაა ახალი, სოციალისტური საქართველოსი, მისი აყვავებული ეკონომიკით და კულტურით.

კურორტის ახალი მატიანე — ესაა ახალი დიდი მშენებლობის, დიდი მეცნიერული მუშაობის, მკურნალობის ახალი, სრულყოფილი მეთოდების გამოყენების საქმეში მიღწეული დიდი წარმატებების მატიანე.

კურორტის ახალ ისტორიასთან არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა სახელები. ბორჯომში 1951 წელს ისვენებდა დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი. აქ მან გაატარა მთელი თვე, ხშირად მანქანით ათვალიერებდა ბორჯომის მდიდარ რაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონს და სტკბებოდა ბორჯომის მშვენიერი ბუნებით და შესანიშნავი კლიმატური პირობებით.

ბორჯომში ისვენებდნენ და მკურნალობდნენ მ. ვ. ფრუნზე, გ. კ. ორჯონიკიძე, ვ. ვ. კუიბიშევი. 1934 წელს ბორჯომში მთელ ზაფხულს ისვენებდა ბულგარელი ხალხის ბელადი გ. მ. დიმიტროვი. ბორჯომში ისვენებდა საბჭოთა ქვეყნის ათიათასობით მუშაკი, რომელთაც სამუდამოდ აღებეჭდათ ნათელი მოგონება ჩვენი დიადი სამშობლოს ამ საუცხოო კუთხის შესახებ.

ბორჯომის დიდ მნიშვნელობაზე დამაჯერებლად მეტყველებს არა მარტო მრავალრიცხოვანი მეცნიერული დაკვირვებები, არა მარტო მეცნიერთა სპეციალური შრომები. მისი მნიშვნელობის გაგება შეიძლება აგრეთვე იმ აურაცხელი აღტაცებული და მადლობის შემცველი ჩანაწერების მიხედვით, რომლებიც სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში დატოვეს აქ დასასვენებლად და სამკურნალოდ მოსულმა მშრომელებმა.

აქ შეიძლება ამოვიკითხოთ აზრი სტახანოველი მუშებისა, საკოლმეურნეო მინდვრების მუშაკებისა, საბჭოთა კავშირის გმირებისა და სოციალისტური შრომის გმირებისა, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებისა, მასწავლებლებისა, სამამულო ომის ინვალიდებისა და სხვათა.

აი, რას წერენ, მაგალითად, ნავთობმრეწველობის მუშა ბაშკირეთიდან ვ. გუსევი, მუშა კრივოი როგიდან ა. ტუბანეცი და ინჟინერ-არქიტექტორი ბაქოდან ა. ალი-ზადე:

„სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სანატორიუმში ყოფნის შემდეგ, დღეს ჩვენ, გამომრთელებულნი, მხიარულნი და შრომისუნარიანნი, ვუბრუნდებით ჩვენს საყვარელ სამუშაოს. ჩვენ აღვიდგინეთ ჯანმრთელობა და წონაშიც მოვიმატეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ჯანმრთელობისადმი მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინა სანატორიუმის მთელმა კოლექტივმა.“

მემალაროე ა. მელნიკოვი მოსკოვის გარეუბნიდან წერს:

„მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მე სანატორიუმში დავყავი, თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ავად ვიყავი გასტრიტით, კოლიტით და თირკმლების ჭვალით. მივდივარ გაჯანსაღებული, რის გამო დიდ მადლობას ვუძღვნი სანატორიუმის ექიმთა პერსონალს. ბორჯომი ძალიან მომეხდა. ჩემს მშობლიურ მალაროებში დაბრუნებული, მე განახლებული ძალით ვაწარმოებ ბრძოლას ნახშირისათვის, რომელიც ჩვენს საყვარელ სამშობლოს სჭირდება.“

ასეთივე კარგი შეხედულების არიან ბორჯომზე, აქ ჩატარებული მკურნალობის კარგ შედეგებზე სამამულო ომის ინვალიდი ს. შოსტაკოვი, ნავთობსახდელი ქარხნის მუშა ი. ბერდიაევი, თურქმენეთის ნავთობმრეწველობის ინჟინერი ა. სოკოლოვი. დონბასელი მოსამსახურე ტ. გაილიკი წერს: „სანატორიუმში ჩატარებული მკურნალობის შედეგებმა ყველა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა: კუჭისა და ღვიძლის ტკივილი შემიწყდა, საერთო მდგომარეობა საგრძნობლად გამიუმჯობესდა. წონაში 4 კილოგრამი მოვიმატე. ყოველივე ეს საფუძველს მაძლევს ვთქვა, რომ ავადმყოფობის დიაგნოზი და მკურნალობის მეთოდი სწორია, რომ ბორჯომი — ეს ნამდვილი სასწაულია.“

ჩვენი ქვეყნის სულ სხვადასხვა კუთხის ადამიანთა ყოველი ასეთი გამოძახილი კიდევ მეტ სახელს ჰმატებს კურორტს. ამიტომ არის, რომ წლითიწლობით ძლიერდება ავადმყოფთა ლტოლვა ბორჯომისაკენ და ამავე დროს იზრდება აქ ჩატარებული მკურნალობის შედეგებით კმაყოფილთა რიცხვი.

ეს წიგნი ჩვენ დავიწყეთ ისტორიული ცნობებით ბორჯომის წარსულის შესახებ. ბედნიერი ვართ იმით, რომ მას ჩვენ ვამთავრებთ ბორჯომში ნამყოფ რიგითი საბჭოთა ადამიანების შეხედულებებით დღევანდელ ბორჯომზე. უკვე იმ დროს, როცა წიგნის უკანასკნელი გვერდები იწერებოდა, წარმოისახა კურორტის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე პერსპექტივები. საბჭოთა კავშირის მთავრობა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს ატარებს ბორჯომის შემდგომი შესწავლისა და მის ბუნებრივ სიმდიდრეთა, უმთავრესად, მისი ძირითადი სიმდიდრის — მინერალური წყაროების გამოყენებისათვის.

ეს წამოწყება ახალ, ყველაზე მნიშვნელოვან ფურცელს წარმოადგენს ბორჯომის ისტორიაში და იგი ხალხმა მიიღო როგორც ახალი მკაფიო გამოვლინება პარტიისა და მთავრობის მზრუნველობისა მშრომელთა ჯანმრთელობაზე.

ჩვენ ახლა ვხედავთ, თუ როგორი იქნება ბორჯომის ხვალინდელი დღე. აშენდება ახალი სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების კორპუსები, გაიშლება ფართო ქსელი ახალ სამკურნალო დაწესებულებათა, კეთილმოწყობილი შეიქნება ქალაქი-კურორტი და მისი მოსაზღვრე მრავალრიცხოვანი საკურორტო ადგილები. შეიქმნება ყველა პირობა იმისათვის, რომ ბორჯომსა და მის ხეობაში დაისვენოს და იმკურნალოს საუკეთესო შედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებით საამისოდ უალრესად უზრუნველყოფილ პირობებში რაც შეიძლება მეტმა საბჭოთა ადამიანმა. ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რათა მშობლიური საბჭოთა მიწის ეს შესანიშნავი კუთხე კიდევ უკეთ ემსახუროს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დიად საქმეს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვარძია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თმოგვის ციხე.


პირობითი ნიშნები:
საერთაშორისო საზღვრები
რკინიგზები
შარაგზები
მასშტაბი. 1 სმ-ში — 8 კმ
ბორჯომი
ნალვერი
ქბასთუმანი
ანყური
ახალციხე
ბაკურიანი
ციხისჯვარი
ცეში
ფეხრეს ციხე
ულოლეს. ცხრაწყარო
ცხა ცამაწყური
ბაკურიანი
ასპინძა
ხერთვისი
ქობულეთი
ბათუმი
ბორი
ახალდაბა
ზესტაფონი
ზესტაფონისაკენ
ბორი
თბილისისაკენ
ბორჯომი
ახალციხე
ასპინძა
ხერთვისი
ქობულეთი
ბათუმი
ვარძია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობისაგან

„ბორჯომი და მისი ხეობა“ წარმოადგენს 1952 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ამავე სახელწოდების სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევის გადამუშავებულ და შევსებულ ქართულ გამოცემას.

წიგნის ახალ—ქართულ დედანზე მუშაობა ავტორმა ჩაატარა 1953 წელში, მიმდინარე წლის მაის-ივნისის თვეებში მანვე წაიკითხა საავტორო კორექტურა და საბოლოოდ გასინჯა სურათების ანაბეჭდები, მაგრამ წიგნის ბეჭდვა, ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო, ვერ მოხერხდა ავტორის სიცოცხლეშივე და ის მხოლოდ ახლა გამოდის.

თბილისი, 1954 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ.
შესავალი	3
მოკლე ისტორიული მიმოხილვა	7
ბორჯომის ადგილმდებარეობა და კლიმატური პირობები	17
ბორჯომის მინერალური წყლები	33
ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და მისი შემადგენლობა	39
ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიოლოგიური ზოქმედება ადამიანის ორგანიზმზე	54
ქალაქი - კურორტი. პარკები, საწარმოები, კულტურული დაწესებულებანი	86
ბორჯომში მკურნალობის ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი	102
ბორჯომის ჯგუფის კურორტები: წაღვერი, ცემი, ლიბანი, პატარა-ცემი, ბაკურიანი და სხვ.	106
ცხრა-წყარო, ტაბაწყურის ტბა	128
აბასთუმანი	133
ბორჯომიდან ვარძიაში	141
ხალხის კეთილდღეობისათვის	167

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ა. ყიფშიძე

ბორჯომი და მისი ხეობა

რედაქტორი **დ. ჯავახიშვილი**
ფოტო **გ. რაზმაძისა** და **დ. დავიდოვისა**
მხატვრები **რ. რევაზიშვილი** და **შ. ბერიტაშვილი**
ტექრედაქტორი **ვ. ხუციშვილი**
კორექტორი **ი. მაჩაბელი**

გადაეცა წარმოებას ასაწყობად 12|I—54 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15|VI—54 წ.
ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×92|16
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 15,0.
სააღრიცხვო ფორმათა რაოდენობა 13,2.
ტირაჟი 3.000—უე 04427. შეკ. 938.

ფასი 6 მან. 60 კაპ.
ყდა 1 მან. 25 კაპ.
7 მან. 85 კაპ.

საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობა
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 26

საქმედგამის სტამბა, თბილისი, მედქალაქი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Проф. НИКОЛАЙ АНДРЕЕВИЧ КИПШИДЗЕ

БОРЖОМИ И ЕГО УЩЕЛЬЕ

(На грузинском языке)

Грузмедгиз
Тбилиси
1954

ეროვნული
ბიბლიოთეკა